*of State Higher Educational Institution «University of Educational Management»,*
*Kyiv, Ukraine*

**Abstract**

*After the start of the full-scale war, the labour market became one of the segments of social relations that underwent significant transformation in Ukraine. Challenges of uncertainty in the conditions of hostilities, narrowing of the field of employment, its structural and qualitative changes, large-scale flows of forced migrants and mobilization deepened the problems in the field of employment. And even after the end of the war, it will not be so easy to overcome them.* Reduction in the birth rate, mass migration of the population of younger age groups only further exacerbates the aging of the population, which began even before the full-scale invasion of russia into Ukraine, and today gender disparities have been added to this due to the fact that a large number of women left. Every month, that the war continues, reduces the probability of the return of migrants by 2%. It should be emphasized that over the past six months, the shortage of personnel has intensified in Ukraine: in April 2024, 74% of Ukrainian employers (against 55% in October 2023) experienced a shortage of personnel. The situation with human capital is becoming critical, affecting the economy and the future of the country in general. Ukraine needs urgent solutions that could stop the growth of the shortage of personnel. One of them is effective employment of internally displaced persons, persons with disabilities, as well as return and assistance with employment of forced migrants. This is a labour resource of millions, which can potentially be involved in the labour market and the recovery of the country [2].

According to the forecasts of scientists from the Institute of Demography and Social Research, several scenarios are considered - basic, moderately pessimistic and pessimistic, in particular, by 2036 in Ukraine will decrease the number of young people under 35 years of age: base scenario: 10,9 million people (-7,6% compared to 2023); moderately pessimistic: 10.1 million people (-14,4%); pessimistic: 8,7 million people (-26,3%).

Therefore, it is important to attract older people to the labour market, and first of all, attention should be paid to the creation of special working conditions for this category of Ukrainians. It is worth noting that today absolutely all European countries, the United States of America, and Japan are facing the problem of population aging. The issue of inclusiveness, tolerance of society in general and employers in particular towards older people becomes the main issue. To get results, important to create specific workplaces for these people, taking into account their physical condition. Retraining programs for them and a flexible work schedule are needed. Special attention should be paid to explanatory work. It is worth abandoning theses that older people are ballast for the country's economy. The strategy of development of the labour market in Ukraine should take into account the appearance of a significant number of people in vulnerable categories: displaced persons, persons with disabilities and people of mature age [2].

The situation on the labour market directly depends on when the war will end and how the country will develop after it. As experts note, if there is an economic boom, many migrants will return to Ukraine. With a different development of the economy, the opposite situation may arise: many families will be faced with the choice of where they will reunite after the lifting of restrictions on men's free travel abroad – in

Ukraine or beyond. Currently, the economy of Ukraine is already experiencing a significant reduction of professionals who have received special training.

***Keywords:*** *labour market, human capital, migration, demographic crisis, demographic balance*

**REFERENCES:**

1. In order to attract older people to the labour market, special conditions must be created. URL: http://surl.li/oaldrj
2. What is happening in the Ukrainian labor market during the war. URL: http://surl.li/rmyeqg.

# რისკის კულტურის კვლევა საქართველოში

**ასიე ცინცაძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბათუმი, საქართველო*
**თამარ ღოღობერიძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

რისკის კულტურა განისაზღვრება, როგორც ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ საქმიანობაში რისკის გაგების და მისი იდენტიფიცირების უნარს, რაც აისახება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რისკების შესაძლო დადგომის შესახებ სიტუაციების განხილვისას და მოქმედებების ჩამოყალიბებისას მომავალი რისკების მინიმიზაციის ან თავიდან აცილების შესახებ.

რისკის კულტურის შეფასებისათვის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რისკის კულტურას სიმწიფის დონე ჯერ არ აქვს მიღწეული. ბევრმა ორგანიზაციამ განახორციელა და ახორციელებს რისკების მართვის პროცესებს, მაგრამ, შემდგომში ამ პროცესების გამოყენებისას რაიმე ხელშესახები სარგებლის შესახებ შედეგები არ საჯაროვდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ დაამკვიდრეს რისკის კულტურა.

სტატია აფასებს საქართველოს ორგანიზაციებისა და დასაქმებული ინდივიდუალური პირების რისკის კულტურის სიმწიფის დონეს. მონაცემები შეგროვდა კითხვარის გამოყენებით. შედეგები აჩვენებს, რომ ზოგიერთ ორგანიზაციას აქვს ჩამოყალიბებული რისკის მართვის ძირითადი პროცესები და სტრუქტურები, თუმცა, რისკის კულტურა მივიწყებულ პოზიციაშია თვით საქმიანობის პროცესში, რაც ადასტურებს, რომ ე.წ. რისკის მადა, ანუ რა ხარისხის რისკის მისაღებად არის მზად ორგანიზაციის მენეჯმენტი, ინვესტორი, ინდივიდუალური პირი და ა.შ. არ ზის თითოეული მათგანის ცნობიერებაში.

ჯანსაღი რისკის კულტურა ხელს უწყობს ღია კომუნიკაციას, რაც უზრუნველყოფს, თანამშრომლების კომფორტულობას რისკების განხილვისას ყველა დონეზე. როდესაც რისკები ღიად განიხილება, პასუხისმგებლობა ნათელია და ანგარიშვალდებულება განაწილებულია, რაც ზრდის წარმატების ალბათობას.

მნიშვნელოვანია რისკის კულტურა რისკების მენეჯმენტის შესაბამისობისთვის ორგანიზაციის საერთო მიზნებთან და ამოცანებთან. ეს ხელს უწყობს რესურსებისა და ძალისხმევის პრიორიტეტიზაციას ყველაზე კრიტიკულ სფეროებში, რაც პირდაპირ უწყობს ხელს წარმატებას.
მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ რისკის კულტურა, უკეთესად შეუძლიათ ადაპტირება გარემოს ცვლილებებთან. ისინი უფრო გამძლეები არიან გამოწვევების წინაშე, სწავლობენ წარსულის შეცდომებზე და ავითარებენ რისკის მართვის პრაქტიკას მომავალი შედეგების გასაუმჯობესებლად.

კარგად ჩამოყალიბებული რისკის კულტურა იწვევს რესურსების უკეთ განაწილებას. რისკების ადრეული ამოცნობით და შერბილებით, ორგანიზაციები თავიდან აიცილებენ არასაჭირო ხარჯებს და შეფერხებებს, აძლიერებენ ოპერაციულ ეფექტურობას და მოგებიანობას.

რისკის კულტურა ემსახურება გადაწყვეტილების მიღების, ანგარიშვალდებულების და სტრატეგიული თანხვედრის საფუძველს, რაც გადამწყვეტია ორგანიზაციული წარმატებისთვის.

დაბალი რისკის კულტურის მქონე ორგანიზაციებში რისკები ხშირად იდენტიფიცირებულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი პრობლემად იქცა. ეს რეაქტიული მიდგომა ორგანიზაციას დაუც-

ველს ტოვებს მოულოდნელი გამოწვევების მიმართ, რაც ამცირებს ეფექტური რეაგირებისთვის ხელმისაწვდომ დროს. ორგანიზაციები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ და ვერ აფასებენ პოტენციურ რისკებს, ხშირად კარგავენ ზრდისა და ინოვაციის შესაძლებლობებს.

რისკებისადმი მიდრეკილი კულტურა ან რისკების სათანადოდ შეფასების უნარითუ არ გააჩნია ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯმენტს შესაძლოა, ორგანიზაციას ხელი შეუშალოს ახალი ბაზრების, ტექნოლოგიების ან პროცესების შესწავლაში.

ჩამოთვლილი პრობლემების გამოვლენა, იდენტიფიცირება და ხარისხის მინიჭება რისკ-მენეჯმენტის ჯგუფის ძირითადი ამოცანაა. განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი კორპორაციები სისტემატურად ატარებენ რისკების კვლევას საკუთარი ადამიანური რესურსის გამოყენებით. საშუალო კომპანიები იწვევენ ექსპერტებს დარგის, საწარმოს საქმიანობის მიმართულებით და სამ ან ხუთ წელიწადში ერთხელ, ახდენენ სანდოობის შემოწმებას კენდელის კონკორდაციის კოეფიციენტით და აყალიბებენ რისკის ხარისხის მიხედვით მინიმიზაციის ღონისძიებებს. საქართველოში რისკ მენეჯმენტის კულტურა თითქმის არ არსებობს. გამომდინარე აქედან, ნაშრომის მიზნისა და ამოცანების შესასრულებლად შედგენილი იქნა კითხვარი, რომლის ძირითადი არსი ფოკუსირებული იყო დასაქმებული ადამიანების რისკისადმი დამოკიდებულების შესწავლაზე. კვლევამ აჩვენა, რომ რისკის გაგება ძალიან დაბალ დონეზეა. ინფორმაციის შევსებისათვის მიმდინარეობდა ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომელმაც ერთგვარი გათვითცნობიერების როლიც კი შეასრულა. განვითარებადი ქვეყნების რისკის კულტურის ამაღლება მოითხოვს საკვლევ დონეზე მიღებული მდგომარეობის შესაბამისად ტრენინგების მომზადება-ჩატარებას, პირველ ეტაპზე რისკის არსის, მისი აღქმის უნარების გამომუშავებისათვის, რაც გახდება საფუძველი კვლევების შემდეგ დონეზე წარმოებისათვის.

***საკვანძო სიტყვები:*** *რისკი, კულტურა, რისკ მენეჯმენტი, რისკის მადა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ასიე ცინცაძე, თამარ ღოღობერიძე (2023**).** რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე და რისკ-მენეჯემენტის პრობლემები, ჟურნალი: „ინოვაციური ეკონომიკა“ და მენეჯმენტი, № **9,** გვ. 23-28.
2. ციალა ლომაია, თამარ გოგოლაშვილი (2019). რისკის კულტურა კომერციული ბანკების *საქმიანობაში, ჟ. ეკონომიკა 2019, №05-06, გვ.64-71.*
3. ონიანი ლელა, ღოღობერიძე თამარ (2017). საბანკო რისკების შეფასების თანამედროვე მეთოდი, გამომცემლობა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი.
4. **Bernhard Streicher, Eric Eller,** Sonja Zimmermann (2018). Risk Culture: An Alternative Approach to Handling Risks, book: Psychological Perspectives on Risk and Risk Analysis (pp.217-247). DOI:10.1007/978-3-319-92478-6_10.
5. Mohamed Kanu (2020). The Role of Risk Culture in Enterprise Risk Management Implementation, DOI:10.5539/ijbm.v15n11p13, International Journal of Business and Management; Vol. 15, No. 11.
6. Heike Bockiu, Nadine Gatzert (2024). Organizational risk culture: A literature review on dimensions, assessment, value relevance, and improvement levers, European Management Journal Volume 42, Issue 4, Pages 539-564.
7. Gerhard Philip Maree Grebe, Johan Marx (2023). The Perceived Relationship between Risk Culture and Operational Risk Management Practices of Ghanaian Banks, Journal of Risk and Financial Management, № 16(9), 407; https://doi.org/10.3390/jrfm16090407.

# ბალტიისპირეთის ქვეყნების ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების მიკროეკონომიკური ანალიზი და მათი გამოცდილების მნიშვნელობა საქართველოსთვის

**ალექსანდრე შარაშენიძე**

*ეკონომიკის დოქტორი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

*ასისტენტ პროფესორი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

კვლევის მიზანია ჯანდაცვის დაფინანსების სისტემებს ანალიზი ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი). ამ ქვეყნებში მოქმედებს, როგორც გადასახადებზე დაფუძნებული დაფინანსება (ლატვია), ასევე, სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა (ესტონეთი და ლიეტუვა), ცენტრალიზებული მენეჯმენტისა და სახელმწიფო დონის მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, ჯიბიდან გადახდები რჩება მაღალი სამივე ქვეყანაში (ლატვია-37%, ლიეტუვა - 32%, ესტონეთი -24%), რაც გამოწვევებს უქმნის ჯანდაცვის სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ევროკავშირის ქვეყნების მშპ-ში ჯანდაცვის სექტორის საშუალო წილთან (8-9%) მიმართებაში დაბალი მაჩვენებლებია (ლატვიაში 6.2%, ლიეტუვა 6.6% და ესტონეთი 6.7%.), რაც სამედიცინო პერსონალის სიმცირესთან ერთად (ლატვიაში პრაქტიკოსი სამედიცინო მუშაკების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რაოდენობაა ევროკავშირში), კიდევ უფრო ამძაფრებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებს.

COVID-19-ის პანდემიამდე დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) სისტემით ჯანდაცვის დაფინანსების მეთოდი ხელს უწყობდა რესურსების ეფექტიან განაწილებას ბალტიისპირეთის ქვეყნებში. პანდემიამ აიძულა მთავრობები, მიეღოთ დამატებითი დაფინანსება DRG სისტემის ფარგლებს გარეთ, რაც მეტყველებს კრიზისული სიტუაციების დროს აღნიშნული სისტემის შესაძლო ნაკლოვანებებზე და დამატებითი დაფინანსების წყაროების აუცილებლობაზე. ჯანდაცვის სისტემების მდგრადობისა და ადაპტაციის გასაუმჯობესებლად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მომავალი კრიზისების ფონზე ბალტიისპირეთის ქვეყნებში DRG სისტემა გადაიხედა.

მიკროეკონომიკური პერსპექტივიდან ბალტიისპირეთის ჯანდაცვის სისტემების შესწავლისას იკვეთება საზოგადოებრივი საქონლის დაბალანსებასა და ბაზრის უუნარობასთან დაკავშირებული სირთულეები. ჯანდაცვა, როგორც შერეული საზოგადოებრივი საქონელი, განსაკუთრებით კრიზისების დროს საჭიროებს მთავრობის არსებით ჩარევას ბაზრის უუნარობის გამოსასწორებლად და სამართლიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ჯიბიდან მუდმივად მაღალი გადახდები ხაზს უსვამს თანასწორობასა და ეფექტიანობას შორის წინააღმდეგობას, რადგან მათ შეიძლება გამოიწვიონ ჯანდაცვის ძირითადი სერვისების არათანაბარი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობაში. პანდემიით გამოწვეული ცვლილებები ჯანდაცვის დაფინანსებაში, როდესაც ნორმალური ბაზრის მექანიზმები არაადეკვატურია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, კიდევ უფრო ასახავს მთავრობის კრიტიკულ როლს ბაზრის უუნარობის აღმოფხვრაში.

სამივე ქვეყანა, საბჭოთა წარსულის მქონე, ამჟამად ევროკავშირის წევრია. ამიტომ ჯანდაცვის დაფინანსებაში მათი გამოცდილების შესწავლა შეიძლება, გადამწყვეტი იყოს საქართველოში შესაბამის სფეროებში რეფორმების დაგეგმვისთვის.

ბალტიისპირეთის ქვეყნების ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების მიკროეკონომიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები საქართველოში ამ გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობის შესახებ.

***საკვანძო სიტყვები:*** *ჯანდაცვის დაფინანსება, მიკროეკონომიკური ანალიზი, ჯანდაცვის რეფორმები, საზოგადოებრივი საქონელი, ბაზრის უუნარობა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შარაშენიძე ა., (2022). *COVID-19-ის ჰოსპიტალური სერვისების დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი (ავსტრიისა და გერმანიის მაგალითზე), Economics, 105*(03), 159–164. https://doi.org/10.36962/ecs105/3/2022-159
2. Behmane, D., Dudele, A., Villerusa, A., Misins, J., Kļaviņa, K., Mozgis, D., & Scarpetti, G. (n.d.). *Latvia: Health system review*.
3. European Observatory on Health Systems and Policies. (2015). *Building primary care in a changing Europe: Case studies*. In D. S. Kringos, W. G. W. Boerma, A. Hutchinson, & R. B. Saltman (Eds.), (pp. 155-161). Author.
4. Eurostat. (2020). *Out-of-pocket expenditure on healthcare*. Retrieved from https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/tepsr_sp310/default/table?lang=en
5. Fitch Solutions. (2022, January 18). *Estonia's public healthcare spending revised upwards, economic growth will remain above trend*. Retrieved from https://www.fitchsolutions.com/infrastructure/estonias-public-healthcare-spending-revised-upwards-economic-growth-will-remain-above-trend-2022-18-01-2022?fSWebArticleValidation=true&mkt_tok=NzMyLUNLSC03NjcAAAGCh9DFsMHDNXoyAypnhW
6. Haigekassa. (n.d.). *About us*. Retrieved from https://haigekassa.ee/en/organisation/about-us
7. International Monetary Fund. (2021). *Estonia: 2022 draft budgetary plan*. Retrieved from https://ec.europa.eu/info/sites/default/files/economy-finance/2022_dbp_ee_en.pdf
8. Lessons learned from the Baltic countries' response to the first wave of COVID-19. (2021, December). *Health Policy*, *125*(12), 1591–1596. https://doi.org/10.1016/j.healthpol.2021.09.011

# სამშენებლო ინდუსტრიის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური განვითარება - ინვესტიციებიდან ინოვაციამდე

**გიორგი რიქვაძე**
*დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ასისტენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*
*ბათუმი, საქართველო*

**რამინ ცინარიძე**
*ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

სამშენებლო ინდუსტრია არის ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედი, რომელიც განსაზღვრავს პროგრესს ინფრასტრუქტურის მიმართულებით, საბინაო და კომერციული პროექტების მეშვეობით. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, სამშენებლო სექტორიც უნდა მოერგოს ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. ეს ტრანსფორმაცია დამოკიდებულია ინვესტიციებისა და ინოვაციების დინამიურ ურთიერთკავშირზე, რომელიც აყალიბებს ინდუსტრიის მომავალს და მის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

სამშენებლო ინდუსტრია, ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური საყრდენი, განიცდის ტრანსფორმაციულ ცვლილებას, რომელიც განპირობებულია ინვესტიციებისა და ინოვაციების სინერგიით. სამეცნიერო ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიოთ, თუ როგორ ცვლის სტრატეგიული ინვესტიციები და განვითარებადი ტექნოლოგიები სექტორს, ხაზს უსვამს მათ ღრმა გავლენას ეკონომიკურ ზრდასა და მდგრადობაზე.

ინვესტიციები გადამწყვეტ როლს თამაშობს სამშენებლო ინდუსტრიის აღორძინებაში. ფინანსური რესურსები აუცილებელია ფართომასშტაბიანი პროექტების დასაწყებად და შესანარჩუნებლად, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის განვითარება, ურბანული გაფართოება და არსებული ობიექტების განახლება. როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ინვესტიციები გადამწყვეტია ამ პროექტების წარმართვაში, მთავრობები და ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფს საჭირო კაპიტალს და სტიმულს შემდგომი კერძო დაფინანსების მოსაზიდად. ასეთი ინვესტიციები არა მხოლოდ ასტიმულირებს პირდაპირ ეკონომიკურ აქტივობას სამუშაო ადგილების შექმნისა და ბიზნესშესაძლებლობების მეშვეობით, არამედ აქვს მულტიპლიკატორული ეფექტი დაკავშირებულ სექტორებზე, მათ შორის წარმოებასა და მომსახურებაზე. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მაგალითად, აძლიერებს რეგიონულ კავშირს, ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას და ზრდას.

ამავდროულად, ინოვაცია ცვლის სამშენებლო პროექტების გააზრებას, შესრულებას და მართვას. მოწინავე ტექნოლოგიებისა და მშენებლობის ახალი მეთოდების გამოყენება იწვევს ეფექტურობის, ხარჯების ეფექტურობისა და გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ძირითადი ინოვაციები მოიცავს შენობის ინფორმაციის მოდელირებას (BIM), რომელიც გთავაზობთ პროექტების ზუსტ ციფრულ წარმოდგენას, რაც საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ უკეთესი დაგეგმვა და კოორდინაცია; მოდულარული და ასაწყობი სამშენებლო ტექნიკა, რომელიც აჩქარებს პროექტის დასრულებას და ამცირებს ნარჩენებს; მწვანე შენობის ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადობას ენერგოეფექტური სისტემებისა და ეკოლოგიურად სუფთა მასალების მეშვეობით. გარდა ამისა, ჭკვიანი ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სენსორებს და მონაცემთა ანალიტიკას, აძლიერებს სტრუქტურების მონიტორინგს და შენარჩუნებას, ხოლო

რობოტიკა და ავტომატიზაცია აუმჯობესებს სიზუსტეს და უსაფრთხოებას სამშენებლო ობიექტებ-ზე.

სამშენებლო სექტორში ინვესტიციებისა და ინოვაციების ინტეგრაციას მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები აქვს. გაძლიერებული ინფრასტრუქტურული პროექტები ხელს უწყობს პროდუქტულობის ზრდას სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების გაუმჯობესებით, რაც გადამწყვეტია ეკონომიკური საქმიანობისთვის. მდგრადი სამშენებლო პრაქტიკა შეესაბამება გლობალურ გარემოსდაცვით მიზნებს, ამცირებს საოპერაციო ხარჯებს და ეკოლოგიურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა სამშენებლო ინდუსტრიას აყენებს ლიდერად ეკონომიკურ განვითარებაში, ხსნის ბაზრის ახალ შესაძლებლობებს და ადგენს ინდუსტრიის ეტალონებს.

როგორც სამშენებლო ინდუსტრია აგრძელებს განვითარებას, მოსალოდნელია, რომ აქცენტი გადაიტანოს უფრო მდგრადი ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებებისკენ. სექტორის უნარს - ადაპტირდეს ახალ ტექნოლოგიებთან და საინვესტიციო მოდელებთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად. სამეცნიერო ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ინვესტიციებითა და ინოვაციებით განპირობებული მიმდინარე ტრანსფორმაცია ხსნის ახალ პოტენციალს ეკონომიკური განვითარებისთვის, რაც სარგებელს მოუტანს როგორც სამშენებლო ინდუსტრიას, ისე უფრო ფართო ეკონომიკას.

მოკლედ, სტრატეგიული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების კვეთა გადამწყვეტია სამშენებლო ინდუსტრიის ტრანსფორმაციისთვის, ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი მდგრადობის ხელშეწყობისთვის. სექტორის ევოლუცია გააგრძელებს ეკონომიკური ზრდისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მომავალს გლობალურად.

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური განვითარება, სამშენებლო მრეწველობა, ინვესტიცია, ინოვაცია, მდგრადი მშენებლობა, ჭკვიანი ინფრასტრუქტურა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Ahn, Y. H., & Kim, S. H. (2021). “Building Information Modeling (BIM) for construction efficiency: A review of applications and research.” *Journal of Construction Engineering and Management*, 147(6), 04021061. [DOI: 10.1061/(ASCE)CO.1943-7862.0002073](https://doi.org/10.1061/(ASCE)CO.1943-7862.0002073)
2. Barney, J. B., & Hesterly, W. S. (2020). “Strategic Management and Competitive Advantage: Concepts and Cases.” 6th ed. Pearson. [ISBN: 978-0134851846](https://www.pearson.com/store/p/strategic-management-and-competitive-advantage-concepts-and-cases/P100000758620)
3. Goh, H. H., & Choi, J. K. (2022). “Modular and Prefabricated Construction: Trends and Benefits.” *Construction Innovation*, 22(1), 15-30. [DOI: 10.1108/CI-12-2020-0163](https://doi.org/10.1108/CI-12-2020-0163)
4. Häkkinen, T., & Belloni, K. (2011). “Barriers and drivers for sustainable building.” Building Research & Information, 39(3), 239-255. [DOI: 10.1080/09613218.2011.561307](https://doi.org/10.1080/09613218.2011. 561307)
5. Kibert, C. J. (2016). “Sustainable Construction: Green Building Design and Delivery.” 4th ed. Wiley. [ISBN: 978-1119047116](https://www.wiley.com/en us/Sustainable+Construction%3A+Green+Building+Design+and+ Delivery%2C+4th+Edition-p-9781119047116)

# ევროკავშირის ჭკვიანი სპეციალიზაციის პლატფორმა და საქართველო: საქართველოს საპილოტე რეგიონებში ბიზნესებსა და მკვლევრებს შორის თანამშრომლობა. შედარებითი ანალიზი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მაგალითებთან

**დევი შონია**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.*
*თბილისი, საქართველო.*
**დავით უგრელიძე**
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.*
*თბილისი, საქართველო.*

**აბსტრაქტი**

2020 წლიდან ევროკავშირის ერთობლივი კვლევითი ცენტრი (JRC – Joint Research Center) მხარს უჭერს ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიებს სხვადასხვა მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. პარტნიორობა გულისხმობს სხვადასხვა ინსტიტუტის - ბიზნესის, აკადემიების, უნივერსიტეტების, კვლევითი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობების ნებაყოფლობით, აქტიურ მონაწილეობას თანამშრომლობაში. ამ პროცესის მართვის მეთოდოლოგიური ჩარჩო შემუშავებულ იქნა ევროკომისიის გაერთიანებული ერთობლივი კვლევითი ცენტრის (JRC) მიერ, ხოლო შესაბამისი პოლიტიკური ციკლი (ეტაპები) შემუშავებულ იქნა დაინტერესებული ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდასაჭერად.

ეს სტატია იკვლევს იმას, თუ როგორ მიმდინარეობს და მყარდება მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა და გაღრმავების სინერგია საქართველოს საპილოტე რეგიონებში (იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო-სვანეთი); როგორ ვითარდება თანამშრომლობა ბიზნეს, საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებს შორის ცოდნის გაზიარების და ეფექტური ეკონომიკური სტიმულირების სფეროებში ინოვაციების შესაქმნელად; როგორ არის გაძლიერებული განათლება/ტრენინგები/კვლევა და რამდენად უკავშირდება მისი ხარისხი ინდუსტრიის საჭიროებებსა და ადგილობრივ დასაქმებას; როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და რა შედეგს იძლევა არსებული მაგალითების შედარებითი ანალიზი.

კვლევა ხელს შეუწყობს და გააფართოებს ჩვენს ცოდნას სტრატეგიული ჭკვიანი სპეციალიზაციისა და კეთილდღეობის განვითარების მიმართულებით როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *ჭკვიანი სპეციალიზაცია, ბიზნესისა და კვლევის თანამშრომლობა, ინოვაციები.*

**გამოყენებული ლიტერატურა / literature:**

1. **Blanchi Guia; Matti Cristian; Pontikakis Dimitrios; Reimeris Ramojus** and …. **(2024).** Innovation for place-based transformations. Publications Office of the European Union. JRC135826
2. **Wala Abdalla, Suresh Renukappa, Subashini Suresh.** (**2024).** Drivers for Managing Knowledge in the Context of Smart Cities: An Empirical Study. University of Wolverhampton.

3. **José, R. and Rodrigues, H.** (2024). A Review on Key Innovation Challenges for Smart City Initiatives, *Smart Cities*. Special Issue Digital Innovation and Transformation for Smart Cities.
4. **Ruess, P. and Lindner, R. (2023)** Knowledge Management for Smart Cities—Standardization and Replication as Policy Instruments to Foster the Implementation of Smart City Solutions, Smart Cities, University of Stuttgart.
5. **Mara Aparecida Barnaski Fagundes. Lidiane Kasper**. **Jorge Oneide Sausen. Claudia Maria Huber.** (**2024).** Territorial Innovation and International Relations: Knowledge Absorptive Capacities and Smart Cities. Porto. Portugal.
6. **Salih Osman Hamed, Suresh Renukappa, and Subashini Suresh. (2014).** Investigating the adoption of smart cities strategies for competitive advantage: MENA perspective. University of Wolverhampton.
7. **European Union-Smart Specialization Platform – Smart Specialization Strategies**. https://joint-research-centre.ec.europa.eu/scientific-activities-z/smart-specialisation
8. **2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის 2022 წლის მონიტორინგის წლიური ანგარიში.** (**2023).** საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
9. **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2023 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიში. (2023).** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
10. **ნინო ელიზბარაშვილი, გივი ქოჩორაძე (2020), ევროპული ინოვაციური და ეკონომიკური მოდელების ფორმირების პრობლემები და გადაჭრის გზები საქართველოში.** აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა.

# საერთაშორისო ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში

**დარეჯან ჩხუბაძე**
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**თემის აქტუალურობა:** საქართველოსთვის, ქვეყნისთვის, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალა გახდა; იგი ხელს უწყობს შინამეურნეობის შემოსავლებსა და მთლიან ეკონომიკურ სტაბილურობას. გზავნილები წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების სასიცოცხლო წყაროს, რაც ამცირებს სიღარიბის დონეს. ამიტომ დღესდღეისობით ეს თემა აქტუალურია და მისი კვლევა მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით.

**კვლევის მიზანი: ნაშრომი მიზნად ისახავს, შეისწავლოს** საერთაშორისო ფულადი გზავნილების მრავალმხრივი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

მსოფლიოს მასშტაბით 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. მიგრანტების ფულადი გზავნილები ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტს და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6 პროცენტს შეადგენს. ბოლო მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 10 პროცენტი ფულადი გზავნილების მიმღებია, ფინანსური ინსტიტუტების წმინდა შემოსავლის 20 პროცენტი ფულადი გზავნილების მომსახურების გადასახადებზე მოდის. ამასთან, მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების გეოგრაფიაც. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90 პროცენტზე მეტი სულ 12 ქვეყანაზე მოდის. ესენია: რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, უკრაინა, ყაზახეთი, ისრაელი, გერმანია.

თუ თვალს გადავავლებთ ფულადი გზავნილების სტატისტიკას, საქართველოში 2013 წლის მდგომარეობით, გზავნილების მოცულობამ 1 მილიარდ 477 მილიონი შეადგინა, რაც 9 პროცენტით მეტი იყო 2012 წლის მონაცემზე და მთლიანი შიდა პროდუქტის 9 პროცენტს შეადგენდა და ერთ-ნახევარჯერ მეტი იყო იმავე წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებელზე. ფულადი გზავნილები საქართველოში წლების განმავლობაში სტაბილურად გაიზარდა. 2020 წელს, მიუხედავად COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური ვარდნისა, ფულადმა გზავნილებმა მიაღწია დაახლოებით $1,9 მილიარდს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12%-ს შეადგენს. ამ ფულადი გზავნილების პირველადი წყაროა ქართველი მიგრანტები რუსეთში, აშშ-ში, საბერძნეთში, იტალიასა და თურქეთში.

2021 წელი საქართველოში ფულადი გზავნილების კუთხით რეკორდული წელი იყო: ქვეყანაში გზავნილების მოცულობამ, 2.349 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წმინდა ფულადი გზავნილების (სხვაობა საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოგზავნილს და საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნილ თანხებს შორის) მოცულობამ2.032 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის მონაცემების მიხედვით, ფულადი გზავნილები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 14% -ს შედგენდა, რაც საშუალო და დაბალი შემოსავლების ქვეყნებისთვისაც კი საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. მაგალითისთვის, იგივე მონაცემი 2021 წელს მოლდოვის შემთხვევაში 15.2%, სომხეთის შემთხვევაში - 11.1%, ალბანეთის შემთხვევაში - 9.4% იყო, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში - 4%-ს არ აღემატებოდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, დაბალი შემო-

სავლების მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 4%-ია, ხოლო საშუალო შემოსავლის ქვეყნების შემთხვევაში – 1.5%. შედარებისთვის ჩვენს ქვეყანაში 2021 წელს 1.152 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც საქართველოში ფულადი გზავნილები ხორციელდება, ლიდერობენ რუსეთი, იტალია, ამერიკა, საბერძნეთი და გერმანია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2022 წელს საზღვარგარეთიდან საქართველოში 4.1 მილიარდი დოლარი გადმოირიცხა, რაც საქართველოს ერთ მოსახლეზე საშუალოდ 1,121 აშშ დოლარია. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მე-9 ადგილზე იყო, ანუ მხოლოდ 8 ქვეყანას ჩამორჩებოდა. 2022 წელს საქართველო რეიტინგში მე-8 ადგილზე იყო. 2023 წელს მიღებულ 4.1 მილიარდ დოლარში რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოში მცხოვრები რუსი ემიგრანტებისთვის გადმორიცხული თანხაც შედის. 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები 300 მლნ დოლარით (7%-ით) შემცირდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 2022 წელს რუსეთიდან 2.1 მილიარდი დოლარი გადმოირიცხა, ხოლო 2023 წელს - 1.5 მილიარდი. 2023 წელს 2021 წელს თუ შევადარებთ, რუსეთიდან გზავნილები 4-ჯერ არის გაზრდილი.

2023 წელს საქართველოში ყველაზე მეტი თანხა – 1.5 მილიარდი დოლარი რუსეთიდან გადმოირიცხა. 519 მლნ. დოლარი გადმოირიცხა იტალიიდან, 456 მლნ. დოლარი - აშშ-იდან, 243 მლნ. დოლარი - საბერძნეთიდან და 229 მლნ. დოლარი - გერმანიიდან. რაც შეეხება 2024 წელს, აპრილის თვეში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 278.5 მლნ. აშშ დოლარი (745.7 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 24.8 %-ით (91.8 მლნ.აშშ დოლარით) ნაკლებია 2023 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები 95.5% იმ 22 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც გზავნილების მოცულობა აპრილის თვეში თითოეულზე 1მლნ. აშშ დოლარს აღემატებოდა. იმავე 22 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 95.9% მოდიოდა.

როგორც ანალიზიდან ვხედავთ, ფულადი გზავნილების როლი ქვეყნის ეკონომიკაში საკმაოდ მაღალია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. იგი შეადგენს მთლიანი შიდაპროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს. ფულის ნაკადის შემოდინება ხელს უწყობს სიღარიბის შემსუბუქებას, ბევრი ოჯახისთვის ფულადი გზავნილები არის შემოსავლის ძირითადი წყარო, რომელიც ეხმარება დაფაროს ისეთი მნიშვნელოვანი ხარჯები, როგორიცაა: საკვები, ჯანდაცვა, განათლება და საცხოვრებელი.

ფულადი გზავნილები ხელს უწყობს საქართველოში ეკონომიკურ და საგადასახდელო ბალანსის სტაბილურობას უცხოური ვალუტის სტაბილური შემოდინებით, რაც ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას გარესესხებზე. უფრო მეტიც, ფულადმა გზავნილები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას შიდამოხმარების გაზრდით. შინამეურნეობების მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი ხშირად იხარჯება საქონელსა და მომსახურებაზე, რითაც ასტიმულირებს ადგილობრივ ბიზნესს და აფართოებს ეკონომიკას. ფულადი გზავნილები ასევე ინვესტირდება მცირე საწარმოებში და სამეწარმეო საწარმოებში, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის დივერსიფიკაციას. ეკონომიკური ზეგავლენის გარდა, ფულად გზავნილებს მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა აქვს საქართველოში. ისინი იძლევა უკეთეს ხელმისაწვდომობას განათლებასა და ჯანდაცვაზე, რაც იწვევს ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას. მიგრანტები საზღვარგარეთ ყოფნისას ხშირად იძენენ ახალ უნარებსა და გამოცდილებას, საქართველოში დაბრუნების შემდეგ „ტვინის მომატების“ ამ ეფექტს შეუძლია დადებითად იმოქმედოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, მათ შორის ტექნოლოგიაზე, ჯანდაცვასა და მეწარმეობაზე.

**დასკვნები და წინადადებები**

- ამრიგად, ფულადი ნაკადები გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკაში და ემსახურება როგორც ინდივიდუალური ბიზნესის, ისე უფრო ფართო ეკონომიკური სისტემის სასიცოცხლო ძალას. პოზიტიური ფულადი ნაკადები საშუალებას აძლევს ბიზნესს, განახორციელონ ინვესტიციები ახალ შესაძლებლობებში, გადაიხადონ ვალები და გაანაწილონ დივიდენდები აქციონერებზე.

- პირიქით, ნეგატიური ფულადი ნაკადები შეიძლება მიუთითებდეს ფინანსურ დისკომფორტზე, ფულადი გზავნილებზე ზედმეტი დამოკიდებულება ასევე წარმოადგენს გამოწვევებს - შეიძლება ეკონომიკა დაუცველი გახადოს გარეშოკების მიმართ, როგორიცაა მიგრაციის პოლიტიკაში ცვლილებები ან ეკონომიკური ვარდნა მასპინძელ ქვეყნებში.

- ფულადი გზავნილების დადებითი ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც წაახალისებს ამ სახსრების პროდუქტულ გამოყენებას. კარგად მართული ფულადი ნაკადები უზრუნველყოფს აუცილებელ თანხებს ბიზნესის ფუნქციონირებისა და გაფართოებისთვის, მხარს უჭერს ფინანსურ სტაბილურობას და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ფულადი ნაკადების მართვის გაგება და ოპტიმიზაცია ფუნდამენტურია ბიზნესისთვის, პოლიტიკის შემქმნელებისთვის და ინვესტორებისთვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის გამძლეობასა და კეთილდღეობას.

**საკვანძო სიტყვები:** *ფულადი გზავნილები, მიმღები ქვეყნები, მასპინძელი ქვეყნები, პოზიტიური ფულადი ნაკადები, ნეგატიური ფულადი ნაკადები, პოტენციური რისკები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბრამიშვილი თ., ,,ფულადი გზავნილები საქართველოში'', თბ., 2022 წ. https://geoeconomics.ge/?p=13955
2. მიმინოშვილი ლ., ,,გადარიცხვების ეკონომიკა"- საქართველო და ქვეყნები მეტი ფულადი გზავნილებით, თბ., 2022. https://bm.ge/news/gadaricxvebis-ekonomika---saqartvelo-da-qveynebi-yvelaze-meti-fuladi-gzavnilebit/122000
3. https://kudos.ge/saertashoriso-fuladi-gzavnilebi/
4. https://eprc.ge/news/saerthashoriso-phuladi-gzavnilebis-roli-sakharthvelos-ekonomikashi/
5. https://factcheck.ge/wp-content/uploads/2014/09/file0019.pdf,

# დროის ეკონომიკური ღირებულება: ინდივიდების მიერ დროის განაწილების სოციალურ-ეკონომიკური გავლენა კეთილდღეობის ზრდაზე

**ნესტან ვარშანიძე**
*დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**გიორგი აბაშიძე**
*დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

დღის განმავლობაში ინდივიდების მიერ დროის განაწილება, განსაკუთრებით სამუშაოს, დასვენებას, განათლებასა და საშინაო პასუხისმგებლობებს შორის, გადამწყვეტ როლს თამაშობს როგორც პიროვნული პროდუქტულობის, ისე უფრო ფართო ეკონომიკური შედეგების ჩამოყალიბებაში. სწრაფი ტექნოლოგიური ტრანსფორმაციისა და შრომის ბაზრის მუდმივი ცვლილების პროცესში სულ უფრო აქტუალური ხდება იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს ყოველდღიური დროის მენეჯმენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ის, თუ როგორ მართავენ ინდივიდები თავიანთ დროს, პირდაპირ გავლენას ახდენს ძირითად ეკონომიკურ ინდიკატორებზე, მათ შორის მშპ-ს ზრდაზე, შრომის პროდუქტულობაზე, დასაქმების მაჩვენებლებსა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე. მაგალითად, ქვეყნები, რომლებიც ხელს უწყობენ ბალანსს სამუშაოსა და დასვენებას შორის - როგორიცაა: ნიდერლანდები და გერმანია - უფრო მაღალი მშპ-თი ხასიათდებიან ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე ქვეყნები, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი სამუშაო დატვირთვა. კვლევები ადამიანური კაპიტალის შესახებ ხაზს უსვამს განათლებისა და უნარების განვითარებაზე დახარჯული დროის მნიშვნელობას გრძელვადიანი პროდუქტულობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

საქართველოში, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება დროის განაწილებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოს ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ბოლო წლებში, რაც გამოწვეული იყო მოდერნიზაციისა და გლობალურ ბაზარზე ინტეგრაციის პროცესით. თუმცა, ისევე როგორც მრავალი განვითარებადი ეკონომიკა, საქართველოც პროდუქტულობის დაბალი დონის გამოწვევის წინაშე დგას, რაც თავის მხრივ განპირობებულია არაფორმალური დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და დროის არასწორი მენეჯმენტით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მაღალია კვირაში სამუშაო საათების საშუალო რაოდენობა, თუმცა ეს არ არის დაკავშირებული და არ იწვევს პროდუქტულობის ზრდას. გარდა ამისა, იმ დროის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ქალები ატარებენ აუნაზღაურებელ საშინაო შრომაზე, ზღუდავს მათ მონაწილეობას ფორმალურ ეკონომიკაში, რაც თავის მხრივ ზღუდავს საერთო ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული ფაქტორები განათლებისა და უნარების განვითარებაში შედარებით დაბალ ინვესტიციებთან ერთად წარმოადგენენ მნიშვნელოვან ბარიერებს მშპ-ს ზრდისა და გრძელვადიანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

შემოთავაზებული კვლევა გამოიყენებს შერეული მეთოდებს, რომელიც აერთიანებს დროის გამოყენების კვლევის მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს ეკონომეტრიკულ მოდელირებასთან ერთად, რათა შეფასდეს კავშირი დროის განაწილებასა და მშპ-ს ზრდას შორის საქართველოში. აღნიშნული კვლევის მიზანია, შეიმუშაოს ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციები,

რათა მოხდეს დროის, როგორც რესურსის ოპტიმიზაცია პროდუქტულობის გაზრდისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის.

***საკვანძო სიტყვები:*** *დროის მენეჯმენტი, ეკონომიკური ზრდა, პროდუქტულობა, ადამიანური კაპიტალი.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Becker, G. S. (1965). A theory of the allocation of time. The Economic Journal, 75(299), 493-517. https://doi.org/10.2307/2228949
2. Bick, A., Brüggemann, B., & Fuchs-Schündeln, N. (2018). Hours worked in Europe and the United States: New data, new answers. American Economic Journal: Macroeconomics, 10(4), 1-35. https://doi.org/10.1257/mac.20150016
3. Gershuny, J., & Fisher, K. (2014). Multinational time use study user's guide and documentation. Centre for Time Use Research, University of Oxford. https://www.timeuse.org/files/cckpub/multinational_time_use_study_users_guide_and_documentation.pdf
4. Stiglitz, J. E., Sen, A., & Fitoussi, J. P. (2009). Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress. Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress. https://ec.europa.eu/eurostat/documents/8131721/8131772/Stiglitz-Sen-Fitoussi-Commission-report.pdf
5. Aguiar, M., & Hurst, E. (2007). Measuring trends in leisure: The allocation of time over five decades. Quarterly Journal of Economics, 122(3), 969-1006. https://doi.org/10.1162/qjec.122.3.969
6. OECD. (2020). How's life? 2020: Measuring well-being. OECD Publishing. https://doi.org/10.1787/9870c393-en
7. Burda, M. C., Hamermesh, D. S., & Weil, P. (2013). Total work and gender: Facts and possible explanations. Journal of Population Economics, 26(1), 239-261. https://doi.org/10.1007/s00148-012-0397-6
8. Eurofound. (2019). Living, working and COVID-19: First findings. Publications Office of the European Union. https://doi.org/10.2806/759368
9. National Statistics Service of Georgia (Sakstat). (2022). Statistical yearbook of Georgia 2022. Sakstat. https://www.geostat.ge/en

# პროფესიული განათლების როლი პოსტ-პანდემიურ საქართველოში

**ვერა ძველაია**
*ეკონომიკის დოქტორი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

პროფესიული განათლება წარმოადგენს კონკრეტულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა სხვადასხვა სფეროში, ადამიანების დასაქმების მიზნით. პროფესიული განათლება საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაში, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის შემდგომ, რაც განპირობებულია ბევრი მიზეზით, მათ შორის საჭირო სპეციალისტთა დეფიციტით. პროფესიულ განათლებას დიდი როლი ენიჭება პანდემიის შედეგად გამოწვეული მსოფლიო გლობალური კრიზისის ფონზე, ვინაიდან COVID-19-ით გამოწვეული პრობლემები არაკლასიკური და ახალია, როგორც მეცნიერებისთვის, ასევე სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის და მისი შედარება არასწორია სხვა ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეულ პრობლემებთან. მაგალითად, თუ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მოჰყვა ეკონომიკური კრიზისი ანუ ეკონომიკის ჩამოშლა, COVID-19-ის დროს სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს - შეჩერებული ეკონომიკა, რომლის ასამოქმედებლად წინა წლების გამოცდილების გამოყენება უშედეგოა და აუცილებელია არატრადიციული, განსხვავებული მიდგომების კომპლექსი.

პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის, რადგან იგი წარმოადგენს უმუშევრობის დაძლევის, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის და ქვეყნის მოქალაქეებისთვის ღირსეული ცხოვრების მისაღწევად ქმედით ბერკეტს.

წინა წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სისტემური ღონისძიებებია გატარებული ამ კუთხით, რაც შესაბამისობაშია, როგორც შრომის ბაზართან, ასევე, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან, შეიქმნა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სტანდარტები, თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა პროფესიული სასწავლებლები, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება შესაბამის კომპანიებში და გარკვეულწილად მოხდა მათი დასაქმებაც.

პროფესიულ განათლებაში განსაკუთრებით სამი მიზანია პრიორიტეტული:

1. საზოგადოებისა და ეკონომიკის საჭიროებებზე ორიენტირებული ინოვაციური და მოქნილი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება;
2. მრავალფეროვანი, ინკლუზიური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. პროფესიული განათლების სისტემის ეფექტურობის გაზრდა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული მასწავლებლების სწავლის ხარისხის ამაღლება და სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი გზა პედაგოგებისთვის თანამედროვე სტანდარტებსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე მორგებული სწავლებაა. ამაზეა აგებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტიც, რომელიც მოიცავს ადამიანურ რესურსებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი გულისხმობს პროფესიული განათლების, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოში, მუდმივ დატრენინგებას თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე და ციფრულ ტექნოლოგიებთან დამეგობრებას.

შრომის ბაზრის მოთხოვნებს რომ შეესაბამებოდეს სტუდენტების უნარები, საჭიროა, კერძო სექტორის ჩართვაც აღნიშნულ პროცესში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტენდენციების შესწავლა, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც აქტუალურია სხვა ქვეყნებში. აუცილებელია, რომ სწავლება მიმდინარეობდეს იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ასევე კომპანიებში, სადაც სტუდენტები რეალურად ერთვებიან სამუშაო პროცესში. პროფესიულ სასწავლებლებს გაფორმებული აქვთ მემორანდუმი კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც სტუდენტები პრაქტიკას გადიან უშუალოდ ორგანიზაციებში, რისი მეშვეობითაც სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნა გადააქვთ პრაქტიკაში. მაგალითად შეიძლება, მოვიყვანოთ საფინანსო სერვისების სტუდენტები, რომლებიც პროფესიულ პრაქტიკას გადიან უშუალოდ ბანკებში და მოქმედი თანამშრომლის ზედამხედველობის ქვეშ უწევენ მომსახურებას მომხმარებლებს. ამით ისინი სწავლობენ მომხმარებლებთან ურთიერთობას, საბანკო პროგრამას, ციფრულ ტექნოლოგიებს, კორპორატიულ კულტურასა და ეთიკას; ერგებიან კონკრეტულ სიტუაციებს; ახდენენ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და რეალიზაციას; იზრდება მათი ცოდნის სფერო; აქვთ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა. ამდენად, ინტეგრირდებიან მათთვის საინტერესო, კონკრეტულ სფეროებში. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი ორმხრივ „სარგებელს“ ქმნის: უპირველესად, სტუდენტების შემთხვევაში ხდება ზემოთ აღნიშნული უნარჩვევების ჩამოყალიბება, თვითონ საბანკო დაწესებულებისთვის კი მარტივად ხელმისაწვდომია კადრი, რომლის სტაჟირებაშიც თავად ღებულობს მონაწილეობას და „ირგებს“ საკუთარ მოთხოვნებზე. ვინაიდან ბანკი ცოცხალი ორგანიზმია და მასში კადრების მოდინება და გადინება უწყვეტი პროცესია, ხშირად შეინიშნება კადრების დეფიციტი. აღნიშნული დეფიციტის აღმოფხვრის საუკეთესო და ადვილი გზა პროფესიული განათლების სტუდენტების დასაქმებაა.

ამდენად, პროფესიული განათლება ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა მიმართულებით. ის აძლევს არასრული განათლების მქონე ახალგაზრდებს არა მხოლოდ საჭირო და კონკურენტუნარიან პროფესიას, არამედ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს, უკვე დიპლომირებულ და პროფესიამიღებულ ადამიანებს კი სთავაზობს ახალ პროფესიას, რითიც ისინი შეძლებენ თავის დამკვიდრებას შრომის ბაზარზე, სადაც დიდი კონკურენციაა და დასაქმების ბევრი მსურველი ეჯიბრება ერთმანეთს.

***საკვანძო სიტყვები:*** *პროფესიული განათლება, პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, შრომის ბაზარი, კონკურენტუნარიანობა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://mes.gov.ge/uploads/2023/2022%20VET%20angarishi.pdf
2. https://eqe.ge/ka/page/static/467/avtorizatsiis-standartebi
3. https://vet.ge/ge/about/system-overview/ONFXNncBn0YVN3tmpPUl
4. https://www.mes.gov.ge/prof_edu.php?id=3&lang=geo

# პანამის არხის შეფერხებების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე

**თამარ ფოლადაშვილი**
*ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*
**იაკობ მახარაძე**
*ეკონომიკის მაგისტრი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საზღვაო სატრანსპორტო კვანძები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის. მათ შეფერხებებს მასშტაბური გავლენის მოხდენა შეუძლია გლობალურ ვაჭრობაზე. მსოფლიოში არსებულ საზღვაო სატრანსპორტო კვანძებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გასასვლელი პანამის არხია. ელ-ნინიოს ფენომენით გამოწვეული გვალვის გამო 2023 წელს გატუნის ტბაში რეკორდულად მცირე სიღრმის გამო პანამის არხის სააგენტომ დღიურ ტრანზიტებზე შეზღუდვები დააწესა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა გადაზიდული ტვირთის მოცულობა, საგრძნობლად შეცვალა საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბები და უარყოფითად აისახა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სავაჭრო მაჩვენებლებზე. არხის გადაკვეთაზე დაწესებული შეზღუდვების გამო ხომალდების ნაწილს ალტერნატიული მარშრუტების გამოყენება უწევს, რაც იწვევს ტვირთის გადაზიდვის დაყოვნებას, კიდევ უფრო ძაბავს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებს, ზრდის ტრანსპორტირების ხარჯებსა და ტვირთების ფასს. სტატიის მიზანია 2023 წლიდან პანამის არხში დაწესებული შეზღუდვების გავლენის კვლევა საერთაშორისო ვაჭრობის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა: საზღვაო სავაჭრო მარშრუტები, ტრანსპორტირების ხარჯები, მიწოდების ჯაჭვებზე ზეწოლა, გავლენა რეგიონულ ეკონომიკაზე და სხვა.

სტატიაში განხილულია 2023 წლის გვალვების გამო პანამის არხში დაწესებული შეზღუდვების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე.

ნაშრომი მიზნად ისახავს 2023 წელს პანამის არხში არსებული შეფერხებების შედეგად გამოწვეული რეგიონული და საერთაშორისო ეფექტების კვლევას, რათა მაქსიმალურად ზუსტად გამოავლინოს ის უარყოფითი ზეგავლენა, რაც ამ რეგიონში მდებარე სატრანსპორტო არტერიის შეზღუდვებს სდევს თან მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

სტატიაში გამოყენებულია პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროების რაოდენობრივი ანალიზი. განხილული საკითხი მრავალშრიანია და რამდენიმე დისციპლინის გადაკვეთაზე მდებარეობს, ეს კი, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას ითხოვს. კვლევისას ყურადღება იმ ცვლადებზეა გადატანილი, რომლებიც პანამის არხში ტრანზიტებზე შეზღუდვების დაწესების შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობის ასპექტებზე გავლენის სურათს ყველაზე მკაფიოდ იძლევა.

კვლევის პროცესში ინფორმაციის მოსაძიებლად გამოყენებულ იქნა აკადემიური საინფორმაციო ბაზები: Google Scholar, Researchgate, Springer, და სხვა. საძიებო სიტყვების მეშვეობით ის სტატიები და საკონფერენციო ნაშრომები შეირჩა, რომლებიც გავლენიან ჟურნალებში იყო დაბეჭდილი და სრულყოფილ ანალიზსა და ემპირიულ კვლევებს მოიცავდა.სტატისტიკური მონაცემები აღებულია პანამის არხის სააგენტოს ბაზაში არსებული ანგარიშებიდან, PortWatch-ზე განთავსებული მონაცემებიდან და სხვა.

დასკვნების სიზუსტისა და სანდოობის დასადასტურებლად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ჯვარედინი მითითება. საერთო მიგნებების პოვნა და დადას-

ტურება კვლევის პროცესში ტრიანგულაციის ტექნიკის მეშვეობით სხვადასხვა ტიპის წყაროდან მიღებული მონაცემების შედარებით მოხერხდა.

კვლევამ გამოავლინა, რომ პანამის არხზე დაწესებული შეზღუდვები ნაკლებად მძიმეა კონტეინერმზიდებისთვის, ნედლი ნავთობტანკერებისა და გათხევადებული ბუნებრივი აირის ტანკერებისთვის, რადგანაც ისინი არხში ტრანზიტის დასაჯავშნად დამატებითი გადასახადის გადახდაზე არიან თანახმა. დაწესებული შეზღუდვები უფრო მძიმედ მოქმედებს იმ ხომალდებზე, რომელთაც მცირე საოპერაციო ხარჯები აქვთ და ალტერნატიული სავაჭრო მარშრუტების გამოყენებას ამჯობინებენ.

***საკვანძო სიტყვები:*** *საერთაშორისო ვაჭრობა, კონკურენცია, ვაჭრობა*

**ბიბლიოგრაფია:**

1. AP. (2024). *Panama Canal Traffic Cut by More Than a Third Because of Drought.* The Associated Press. მოძიებულია: https://apnews.com/article/panama-canal-global-trade-routes-drought-climate-change-bd76a77825a2e8e751a24346f8fd54a9; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
2. Babicz, J. (2015). *Wärtsilä Encyclopedia of Ship Technology (2nd ed).* Wärtsilä Corporation: Helsinki. ISBN 978 952 93 5536 5.
3. Batista RAV. Impact of the Panama Canal on the Panamanian economy: analysis with input-output tables. *Art Human Open Acc J*. 2024;6(1):6-12. DOI: 10.15406/ahoaj.2024.06.00215.
4. Bird, C. (2024). *Drought at the Panama Canal Delay, Rising Prices, and Other Knock-on Effects on Global Trade.* Clydeco & Co. მოძრიებულია: https://www.clydeco.com/en/insights/2024/01/drought-at-the-panama-canal-delay-rising-prices-an; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
5. Boynton, S. (2024). *Panama Canal Drought Adds Further Strain on Global Trade Amid Red Sea Crisis.* Global News. მოძიებულია: https://globalnews.ca/news/10245701/panama-canal-shipping-drought/; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
6. Chico, C., et al. (2024). *Navigating Drought: Analyzing Panama Canal Transit Disruptions Using AIS Big Data.* Research Square. მოძიებულია: https://www.researchsquare.com/article/rs-4193827/v1; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
7. Dierker, D., et al. (2024). *How Could Panama Canal Restrictions Affect Supply Chains?*. McKinsey & Company. მოძიებულია: https://www.mckinsey.com/industries/travel-logistics-and-infrastructure/our-insights/how-could-panama-canal-restrictions-affect-supply-chains; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
8. Feingold, S. (2023). *Unprecedented Challenges: Drought at the Panama Canal Disrupts Global Trade.* World Economic Forum. მოძიებულია: https://www.weforum.org/agenda/2023/08/drought-at-the-panama-canal-poses-unprecedented-challenges-to-global-trade/; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
9. Li, X., et al. (2023). *The Panama Canal Needs a Rainy October: Impacts of Panama Canal Drought on Global Agricultural Trade.* Rabobank Research. მოძიებულია: https://research.rabobank.com/far/en/sectors/fa-supply-chains/impacts-of-panama-canal-drought-on-global-agricultural-trade.html; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.
10. PortWatch. (2024). *Shipping Restrictions to Panama Canal Due to Drought.* International Monetary Fund. მოძიებულია: https://portwatch.imf.org/pages/76f7d4b0062e46c5bbc862d4c3ce1d4b; ბოლო ნახვა: 17 ივნისი, 2024.

# ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის აჭარის ეკონომიკა

**მურმან ცეცხლაძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

აჭარის ტერიტორია დასახლებულია ახალი ქვის ხანიდან.

წერილობითი წყაროები და გამოკვლევები, აგრეთვე, ნივთიერი მასალები, მოწმობს, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან რკინის ხანის დამკვიდრებამ, რკინის სამეურნეო და თავდაცვით საშუალებებად გამოყენებამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა აჭარის ყოფა და კულტურა.

ანტიკური ხანის აჭარის ცხოვრება დიდი ბერძნული კოლონიზაციისა და კოლხეთ-ბერძნული ურთიერთობის სფეროს უკავშირდება. ბათუმისა ციხისა და ფიჭვნარის ნაქალაქარზე მოპოვებული ნივთიერი მასალების მიხედვით, აქაური ბერძნული სამოსახლოები საქონლის იმპორტს - ძვ.წ. VII ს-ის დასასრულიდან, უფრო ინტენსიურად კი  - VI-ის შუა პერიოდიდან ეწევიან.

სამოსახლოს ეკონომიკური პოტენციალი IV საუკუნის 30-იანი წლებიდან თანდათანობით ეცემა, ხოლო მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლი საერთოდ წყვეტს არსებობას.

ქობულეთ-ფიჭვნარის კოლხური საქალაქო ცხოვრების დაცემის შემდეგ მისი ეკონომიკური რაიონის, თუ „ქვეყნის" გავლენა გაქრა.

მალე მას იბერიული მატერიალური კულტურის გაბატონება და აჭარის ჯერ - იბერიულ კულტურის არეალში, ხოლო შემდეგ -  ქართლის (იბერიის) სამეფოში შესვლა მოჰყვა.

აჭარა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული მხარე, გვხვდება XI საუკუნის ქართულ წერილობით წყაროში, კერძოდ, ფარნავაზ მეფის მიერ (ძვ.წ. IV-III სს), ქვეყნის საერისთავოებად დაყოფის შესახებ ცნობაში: **„მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავი და მისცა ტასის კარითგან ვიდრე არსიანთამდის ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელი არს სამცხე და აჭარა."** [14:24].

აჭარის ზღვისპირა ზოლში მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება და სასაქონლო წარმოების ზრდა გვიან-არქაული ხანიდან შეინიშნება, კლასიკურ და ელინისტურ ხანაში ეკონომიკურ საფუძველს მიწათმოქმედება შეადგენდა, ერთ-ერთი სამიწათმოქმედო კულტურა იყო ღომი, რომლის წარმოებისთვის აქ საუკეთესო პირობები იყო, მოჰყავდათ ხორბალი, აგრეთვე სელი, კანაფი, რომლისგანაც აწარმოებდნენ არ ამხოლოდ ბოჭკოს, არამედ ზეთსაც.

მთიან ზოლში, ძირითადად, დაწინაურებული იყო მევენახეობა-მეღვინეობა, მეტალურგია, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა და მეთხეობა. ცხვარი აქ ხარის მსგავსად, წმინდა ცხოველად ითვლებოდა.. ექსპორტის ერთ-ერთ მუდმივ სახეს წარმოადგენდა სანთელი, რაც მეფუტკრეობის განვითარებაზე მიუთითებს. სარეწაო მნიშვნელობა ჰქონდა მეთევზეობას და დელფინის ქონის დამზადებას.

ნივთიერი ძეგლებით ირკვევა, რომ რკინის მეტალურგია და მჭედლობა ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა.

აჭარის ზღვის სანაპირო გზით მიმოსვლის შესახებ უძველესი ცნობებია დაცული რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში, ხოლო ქართულ წერილობით წყაროებს შორის ზღვისპირა და ხეობაში გამავალი გზებით მოგზაურობის შესახებ ერთ-ერთ ძველ გადმოცემად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების" ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან მეგა-

ლე პოლისში (გონიო) მოვიდა, საიდანაც შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება.

დიდი აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოებით: კასპიის ზღვა-მტკვარი-რიონი-ფოთი შორეული ინდოეთიდან მომავალი ქარავანი ციხისძირის გავლით აჭარის გამავალი გზების ერთ-ერთი განშტოებით ჭოროხის ხეობის უმოკლესი გზით ართვინისკენ გადადიოდა.

პირველი წერილობითი ცნობები აჭარის სავაჭრო-სამიმოსვლო გზების შესახებ რომაულ-ბიზანტიური წყაროებიდან იღებს სათავეს. ყველაზე ადრეული ცნობა პატროკლედან მომდინარეობს (ძვ.წ. III საუკუნის 90-იანი წლები), რომაელი გეოგრაფის, კასტორიუსის, მიერ შედგენილ „ტაბულა პევნინგერიანას" რუკაზე დატანილი გონიო-აფსაროსის, ბათოუსის, პირტუს ალტუსის და ქობულეთ-კინტრიშის მიდამოებში გამავალი გზა არა მარტო ახ. წ. IV ს-ის, არამედ პირველ-მეორე სს-ის მონაცემებსაც ეყრდნობა.

ყოველივე ეს მეტყველებს, რომ აჭარა უძველესი დროიდან იყო მოქცეული ცივილიზებული სამყაროს არეალში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ სამყაროს დაკავშირებაში

***საკვანძო სიტყვები:*** *აჭარა, იბერია, საბერძნეთი, ფიჭვნარი, ჭოროხი, გზები, სავაჭრო*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. არიანე ფლ., მოგზაურობა შავი ზღვისპირეთის გარშემო, თბ., 1961.
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1990..
3. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966
4. ვარშანიძე შ., აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა".,ბათუმი, 1990.
5. კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ქალაქები - ანტიკური ხანის ქალაქები (ქობულეთი, ფიჭვნარი), 1971.
6. კვეზერელი-კოპაძე ნ., საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972.
7. ლორთქიფანიძე ო., ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავიზღვისპირეთისაკენ გამავალი სატრანსპორტო გზების შესახებ, საქ. სს მეცნ. აკად. „მოამბე" XIX, ნ 3, 1957.
8. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968.
9. ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები", ტ. 4 , ნაკვეთი 1, 1958.
10. მამულაძე შ., სოფელ კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ხელნაწერების ფონდი.
11. მურიე ჟ., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962.
12. მროველი ლ., ცხოვრება მეფეთა ქართველთა, I, თბ., 1955.
13. ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977.
14. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
15. ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.
16. ხახუტაიშვილი დ., კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან, სდსძ, I, თბ., 1964.
17. ხახუტაიშვილი დ., იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966.
18. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I I, თბ., 1965.
19. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქცა, I, 1955.

# მეფუტკრეობა და თაფლის წარმოების გამოწვევები საქართველოში

**თამარ ლაზარიაშვილი**
*ასისტენტ-პროფესორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარებას დიდი პოტენციალი გააჩნია და ამ მხრივ, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება. გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და მეფუტკრეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი მრავალფეროვანი ველური და კულტურული თაფლოვანი მცენარეული საფარი იძლევა მაღალი ხარისხის სხვადასხვა სახის თაფლის წარმოების შესაძლებლობას.

სტატიაში განხილულია მეფუტკრეობა და თაფლის წარმოების გამოწვევები საქართველოში; ნაჩვენებია დარგის ამჟამინდელი მდგომარეობა საქართველოში, შესწავლილია თაფლის ადგილობრივი ბაზარი, გაანალიზებულია პროდუქტის წარმოებასა და მიწოდებაში არსებული ძირითადი ტენდენციები და სირთულეები. განსაზღვრულია პროდუქტის საექსპორტო პოტენციალი და მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები.

საქართველოსთვის თაფლს მაღალი ეკონომიკური ღირებულება აქვს და დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია. ძირითადად, ქართული თაფლის ექსპორტი ხდება მეზობელ ქვეყნებსა და აზიის რამდენიმე არამეზობელ ქვეყანაში. თუმცა, არის იმის პერსპექტივა, რომ ქართული თაფლი ევროკავშირის ბაზარზე აღმოჩნდეს და საქართველო იყოს თაფლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ქვეყანა.

ევროკავშირის ბაზარზე ქართული თაფლის ექსპორტის შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორებია: მაღალი ფასი, პროდუქტის არაერთგვაროვნება, შეფუთვა და სხვა. აგრეთვე, თაფლის წარმოებას შესაძლოა, ახლდეს არაჰიგიენური გარემო (სოფლის ეზოებში ღია საპირფარეშოები, დაბინძურებული გარემო და ა.შ.), რაც განსაზღვრავს წარმოებული თაფლის შემადგენლობას.

დღეს საქართველოში თაფლის წარმოებით, ძირითადად, მცირე და საშუალო მეფუტკრეები არიან დაკავებულნი. თაფლის წარმოება და რეალიზაცია პრიმიტიულ დონეზეა და ახასიათებს მასშტაბის უარყოფითი ეფექტი. მწარმოებლურობის დაბალი დონე განპირობებულია კვების არასათანადო პრაქტიკითა და პარაზიტების წინააღმდეგ ბრძოლის არაადეკვატური ზომებით. წარმოების დანახარჯები მაღალია, ხოლო ფასწარმოქმნის სტრატეგია მიწოდების ჯაჭვში - არაკონკურენტული. შესაბამისად, დღეს არსებული მეფუტკრეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებას მოითხოვს, რადგანაც მოძველებული ტექნოლოგიები ვერ უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ზრდას, პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირებას და უარყოფითად მოქმედებს წარმოებული პროდუქტის რაოდენობასა და ხარისხზე. აგრეთვე, აუცილებელია ქვეყანაში განვითარდეს მეფუტკრეობისთვის საჭირო და სათანადო ინვენტარის, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების ადგილობრივი წარმოება, რადგან მათი უცხო ქვეყნებიდან იმპორტირება იწვევს პროდუქციის გაძვირებას.

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ეკონომიკურად ეფექტიანი დარგისა და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიზნესის განვითარება, დარგში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვით მეფუტკრეობის პროდუქციის მოცულობის გაზრდა და გარანტირებული ხარისხის მიღწევა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თაფლის წარმოების მონათესავე სექ-

ტორების არსებობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე ფერმერმა თაფლის წარმოების დივერსიფიკაცია მოახდინა და ამჟამად მსგავს პროდუქციას აწარმოებს.

ქართული თაფლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტებისთვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებას და ფალსიფიცირების შემთხვევების შემცირებას. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობდა თაფლის ტექნიკურ რეგლამენტთან დაკავშირებით, რომელიც დაადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და მოაწესრიგებს ურთიერთობებს ბიზნესოპერატორებს, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსა და მომხმარებელთა შორის. თაფლის წარმოებაში არსებული გამოწვევების დასაძლევად და ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა მრავალი ღონისძიების გატარება:

- მეფუტკრეობის დარგში ცოდნის ამაღლება დაავადებებისა და პარაზიტების, თაფლოვანი მცენარეების ყვავილობის ციკლის, საკვების დამუშავების მოთხოვნების შესახებ, ასევე, მათი ბიზნესის და ფინანსური უნარების გაუმჯობესება;
- პრიორიტეტული ტრენინგებისა და განათლების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება;
- სათანადო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საშუალებას მისცემს ამ დარგს, მიაღწიოს მასშტაბის ეკონომიას წარმოებაში;
- საერთაშორისო სტანდარტებით აკრედიტირებული ლაბორატორიის შექმნა, რომელიც შეამოწმებს თაფლს ყველა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაბამისი ორგანოს მიერ თაფლის შემოწმება და სათანადო სერთიფიკატის გაცემა. აღნიშნული სერთიფიკატის გარეშე არ უნდა მოხდეს თაფლის რეალიზაცია;
- ახალი ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა პირველად წარმოებასა და გადამუშავების სექტორში;
- მწარმოებელთა კონსოლიდაცია ან გამსხვილება კოოპერატივებსა და ასოციაციებში;
- კოოპერატივების ასოციაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ დიდი რაოდენობით ერთგვაროვანი თაფლის წარმოებას და ამ მხრივ ექსპორტის შესაძლებლობას;
- ქართული თაფლის ბრენდის ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილი იქნება ადგილობრივად წარმოებულ და აუცილებლად სათანადოდ შეფუთული თაფლის სახით;
- კერძო სექტორის დახმარება საერთაშორისო ბაზრებზე ქართული თაფლის პოპულარიზაციაში სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის საშუალებით;
- სხვადასხვა ქვეყანაში არსებული წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

***საკვანძო სიტყვები:*** *მეფუტკრეობა, თაფლის ბაზარი, წარმოების პოტენციალი, თაფლის პროდუქცია, საოჯახო ბიზნესი.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აგროკავკასიის ვებ-გვერდი: http://agrokavkaz.ge/
2. არველაძე თ., (2021). მეფუტკრეობის დარგი საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები. https://geoeconomics.ge/?p=13521
3. გვარამაძე ა., (2011). მეფუტკრეობა ძველად და თანამედროვე გამოცდილებები. http://www.nplg.gov.ge/ec/ka/cart/search.html?cmd=search&pft=biblio&q
4. „თაფლის ღირებულების ჯაჭვი". http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/ HoneyValueChain-GEO.pdf
5. „მეფუტკრეობის დარგის მიმოხილვა" - პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი

6. რუხაია-მოსემღვდლიშვილი ნ., (2015). ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკა საქართველოში. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/137936/1/Disertacia.pdf
7. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია - https://comtrade.un.org
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20248
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka
10. ფეიქრიშვილი მ., & კორძაია, ა. (2023). ქართული ფუტკარი – ბიომრავალფეროვნების საუკეთესო ნიმუში. *სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.* https://agrokavkaz.ge/dargebi/mefutkreoba/qarthuli-phutkari-biomravalpherovnebis-sauketheso-nimushi.html
11. ჭაღალიძ, ა., (2006). ყვავილის მტვრისა და დინდგელის წარმოების რეზერვები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/157073/1/Disertacia.pdf
12. ჯავახიშვილი ი., (2023). კვლევა „თაფლის ღირებულებათა ჯაჭვი."
13. CENN & ENPARD (2024). მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება საქართველოსა და ევროკავშირში. http://www.kedalag.ge/images/temp/2020/03/06/68d31d14d6301b04deef114d94c50b85.pdf
14. Food and Agriculture Organization - http://www.fao.org/
15. Workman, D. (2023). Natural Honey Exports by Country. https://www.worldstopexports.com/natural-honey-exporter

# ხელოვნური ინტელექტის გავლენა საზღვაო პორტების საქმიანობაზე

**თამთა ვარშანიძე**

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

*ბათუმი, საქართველო*

**დავით ვარშანიძე**

*საზღვაო და სატრანსპორტო სამართლის მაგისტრი.*

*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი სატრანზიტო ფუნქცია მკვეთრად ზრდის დაინტერესებას სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების (პორტებისა და ნავსადგურების) მიმართ და ბუნებრივია, აღნიშნული დაწესებულებების საკომუნიკაციო სისტემების მოწესრიგება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საზღვაო ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემის აღჭურვა გაზრდის საქართველოსადმი, როგორც საინვესტიციოდ ხელსაყრელი ქვეყნისადმი ინტერესს.

შესაბამისად, კვლევის პროცესში მიზნად დავისახეთ, განგვესაზღვრა, თუ რა გავლენა მოახდინა ტექნოლოგიურმა განვითარებამ, პანდემიამ და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომმა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საქმიანობაზე და რა როლი განესაზღვრა საზღვაო ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემებს; როგორ მოხდა მათი მოდიფიკაცია და რით იყო ეს ყოველივე განპირობებული. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოწინავე ციფრული უნარების მქონე პირთა რაოდენობა განსხვავდება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში საშუალო ან მოწინავე ციფრული უნარების მქონე პირთა წილი 40%-ს არ აღემატება, ხოლო ბულგარეთსა და რუმინეთში - 20%-ზე ნაკლებია.

აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური დანიშნულების სტრატეგიული ობიექტების შეფასება და შესაძლო განვითარების გზების ძიება, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების პოტენციალის ათვისება და მისი შემდგომი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. კვლევის პროცესში მიზნად დავისახეთ საზღვაო ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემის სრულყოფის გზების ძიება და შესწავლა, ამ პროცესში უცხოური გამოცდილების გაზიარება და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში მოქმედ პორტებში.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელიც ზოგადად მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გამდიდრების თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულ დონეზეც, აღიწერა ბათუმის ნავსადგურის საკომუნიკაციო სისტემა, ასევე განხორციელდა სასაქონლო ნაკადების ტვირთბრუნვის ანალიზი, რითაც გამოიკვეთა ნავსადგურის ეკონომიკური დანიშნულება რეგიონისთვის.

კვლევის შემდეგი ეტაპი მოიცავს დოკუმენტაციის თვისებრივი კვლევის ჩატარებას, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის შესწავლას, ეკონომიკური დანიშნულების სტრატეგიული ობიექტების რეგულაციების ანალიზს.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების საქმიანობა და ზოგადად, მათი კომუნიკაციის პროცესი დაინტერესებულ ჯგუფებთან, რამაც საშუალება მოგვცა, გამოგვეკვეთა, თუ რა სისტემებს იყენებს ბათუმის ნავსადგური საქმიანობის პროცესში. პორტის საკომუნიკაციო სისტემების ანალიზის პროცესში საზღვაო სატრანსპორტო სააგენტოს ჩართულობით ჩატარდა გაღრმავებული ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან, რის მიხედვითაც შევეცდებით გამოვკვეთოთ ევროპაში ყველაზე მაღალტექნოლოგიური პორტი და გაზიარებულ იქნას მისი გამოცდილება.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა არის აღწერითი ხასიათისა და ხსნის სპეციფიურ მდგომარეობას საქართველოს ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემებთან, ევროპის წამყვანი ნავსადგურების საკომუნიკაციო სისტემების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული კვლევა გვეხმარება, წარმოვაჩინოთ საზღვაო სატრანსპორტო სისტემებში არსებული დღევანდელი მდგომარეობა და მიღებულ იქნას გარკვეული გადაწყვეტილებები. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს წინა პერიოდში არსებულ კვლევებზე დაყრდნობითა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებთ, ასევე, ინოვაციური ფაქტორების, კონკრეტულად ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. თემის ადეკვატური შეფასებისთვის საჭიროა საკმარისი რაოდენობის მონაცემთა შეგროვება და დამუშავება.

როგორც, კვლევებმა გვიჩვენა ავტომატიზაციასთან დაკავშირებით, არ არსებობს პროცესი ან მიდგომა, რომელიც ერთნაირად შეესაბამება ყველა პორტის ან ტერმინალის საჭიროებებს, ანუ გამოირჩევა უნიკალურობით. ამიტომ, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებისას, პორტებსა და ტერმინალებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი რუკა, თუ სად სჭირდებათ და სად შეიძლება, საუკეთესოდ იქნას გამოყენებული ტექნოლოგია.

AI-ზე მხარდაჭერილი პორტის სისტემა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით ზრდის თანამშრომლობის შესაძლებლობებს სხვადასხვა მხარეს შორის, როგორიცაა -პორტის შიდა სტრუქტურული ერთეულები, ტვირთის მფლობელები, მესამე მხარის ლოჯისტიკური პროვაიდერები და ა.შ., შესაძლებლობას იძლევა, ყველა ტერმინალზე წინასწარ მოხდეს ადმინისტრაციული დამუშავება, მათ შორის, დოკუმენტაციისა და წინასწარი განცხადებების წარდგენა.

ამწე პროცესის ავტომატიზაცია და მექანიკური ოპერაცია დისტანციურ პროცესზე გადაყვანა უზრუნველყოფს უფრო მეტ სტაბილურობას, ასევე, შესაძლებლობას იძლევა, მუშაობა გაგრძელდეს ცუდი ამინდის პირობებშიც კი. ბათუმის საზღვაო ნავსადგურში ამ ინოვაციების დანერგვით დიდი ნაბიჯი გადაიდგმება პორტის მუშაობის პროდუქტულობის ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან განტვირთვისა და დატვირთვისთვის საჭირო დრო მნიშვნელოვნად შემცირდება. თავიდან იქნება აცილებული ტერმინალში ტვირთის ნაკადების შემჭიდროება და საცობები. ეს ზრდის ტერმინალის გამტარუნარიანობას და კონტეინერის პირდაპირ ხელმისაწვდომობას.

*საკვანძო სიტყვები: საკომუნიკაციო სისტემები, ხელოვნური ინტელექტი, საზღვაო პორტი, ტექნოლოგიური პროგრესი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. 1.Botti, A.; Monda, A.; Pellicano, M.; Torre, C. The re-conceptualization of the port supply chain as a smart port service system: The case of the port of Salerno. *Systems* 2017, [Google Scholar]
2. Brynningsen G., "Managing Expatriates on International Assignments" Otago Management Graduate Review, 2009

3. 3.CEIC Morgan Stanley Research, ‘Inside China’s Plan to create modern silk road’ (30 January, 2018) <https://www.morganstanley.com/ideas/china-belt-and-road> Accessed 11 January 2023
4. 4.Case of Mutual Dependency?' (2017) 9 EJCCL, 2 Andrew Higgins, *"*China’s Ambitious New ‘Port’: Landlocked Kazakhstan*"*, New York
5. 5.Chu, F.; Gailus, S.; Liu, L.; Ni, L. The Future of Automated Port, Mckinzey. 2018. Available onlyne: https://www.mckinsey.com/industries/travel-logistics-and-transport-infrastructure/our-insights/the-future-of-automated-ports [Google Scholar]
6. European Centre for the Development of Vocational Training, 2021b
7. Fang L., Michael D., Emma P. IJHRM after 30 years: Taking stock in times of COVID-19 and looking towards the future of HR research. The International Journal of Human Resource Management, 2021
8. Handbook of Research on Smart Management for Digital Transformation Belem Barbosa
9. (University of Porto, Portugal), Sandra Filipe (University of Aveiro, Portugal) and Claudia Amaral Santos (University of Aveiro, Portugal) March, 2022
10. Jason Chuah, ''One Belt One Road" Sub-Regional Transport Agreements and the CMR-A
11. 10.Jean-Francois Arvis and others, Effects on Global Logistics and Connectivity in Michele Ruta (ed), The Impact of the War in Ukraine on Global Trade and investment (World Bank Group, 2022)
12. 11.Kenji Ono, Masayuki Tanemura and Yasuhiro Akakura, AI PORT INITIATIVES - POSSIBLE MODERNIZATION OF PORT OPERATION AND MANAGEMENT THROUGH CUTTING EDGE ICTS, PIANC-World Congress Panama City, Panama 2018 https://www.ysk.nilim.go.jp/kakubu/kouwan/system/2018_01.pdf
13. 12.Pollitt D. Abroad but not forgotten – Improving the career management of employees on international assignments. Human Resource Management Enternational Digest, 2007
14. 13.State Council Information Office of China, ‘what are six economic corridors under Belt and Road Initiative? (August 4, 2020) <*http://english.scio.gov.cn/beltandroad/2020-08/04/content_76345602.htm*> accessed 10th of January 2023
15. 14.Times, (New York, 1 January, 2018,) <https://www.nytimes.com/2018/01/01/world/asia/china-kazakhstan-silk-road.html> Accessed 10 January 2023
16. 15.Tuba Eldem*, Russia’s War on Ukraine and the Rise of the Middle Corridor as a Third Vector of Eurasian Connectivity* (Berlin, 28October 2022) 1. < https://www.swp-berlin.org/10.18449/2022C64/>
17. 16.*The 13th Five-Year Plan for Economic and Social Development of the People’s Republic of China* (official translation available at <https://en.ndrc.gov.cn/policies/202105/P020210527785800103339.pdf> Accessed 15th of January 2023
18. 17.*The 13th Five-Year Plan for Economic and Social Development of the People’s Republic of China* (official translation available at https://en.ndrc.gov.cn/policies/202105/P020210527785800103339.pdf ) Accessed 15th of January 2023
19. UNCTAD secretariat, based on UNCTADstat data and Review of Maritime Transport, various issues. GDP figure for 2022 based on table 1.1, World Output Growth, 1991–2023, UNCTAD Trade and Development Report 2022.

# სახელმწიფოს როლი ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში

**თინათინ კოსტავა**
*სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის, ასისტენტ-პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**სოფიკო მიქაბაძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის, ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ეკონომიკური გლობალიზაციის საკითხი ევროპული საბჭოს მიერ XX საუკუნის დასასრულს ევროკავშირის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევად სახელდება. აღნიშნული ტერმინი გულისხმობს, მსოფლიო მასშტაბით მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, რომლის მთავარი საკითხებია: საერთშორისო ვაჭრობა, კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაცია, ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება და ტექნოლოგიური პროგრესი. ყველა მათგანი ახდენს გავლენას ერთმანეთზე. რაც შეეხება, ტექნოლოგიურ პროგრესს, იგი ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას და თავის მხრივ, ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესის უფრო ეფექტურ გავრცელებას. ასევე, დერეგულაცია ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების მოხსნას და ავითარებს ახალ ტექნოლოგიურ ფორმებს.

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე, თანამედროვე პირობებში ზემოქმედებს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება. გლობალიზაციის გავლენა გამოიხატება იმით, რომ იზრდება როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ისე მათი დამოკიდებულება ზეეროვნულ ინსტიტუტებზე. ისეთ ძლიერ საერთაშორისო ორგანიზაციაშიც კი, როგორიცაა ევროკავშირი და მასთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის ზონა აშშ-სა და კანადას შორის საზოგადოებაში ეროვნულობის შენარჩუნების სურვილი საკმაოდ ძლიერია. თუმცა, ეს ყოველივე ზღუდავს და ავიწროებს მთავრობათა სუვერენიტეტის ხარისხს და ავტონომიურობის სივრცეს. ეს ეხება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს.

თუმცა, ეკონომიკური სფეროს რეგულირების ეფექტიანობის საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ეკონომიკის სფეროების სახელმწიფო რეგულირება მრავალფეროვანია.

კვლევის მიზანია, განვსაზღვროთ სახელმწიფოს როლი, ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში. საკვლევი თემის ამოცანებია, პირველი, განვიხილოთ, ჩვენ წინაშე მდგარი გამოწვევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; მეორე, გავიგოთ, სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. მესამე, შევისწავლოთ, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის პროცესი, რაც გულისხმობს, მის ინტერპრეტაციას საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესში.

მოგესხენებათ, XX საუკუნის ბოლოს მსოფლიო განვითარების ძირითადი მიმართულება განსაზღვრა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებამ. აღნიშნულ ტრანსფორმაციაში სახელმწიფოს როლი კი განსაკუთრებულია, რადგან ამ პროცესს პირდაპირი თუ ირიბი კავშირი აქვს მასთან.

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალიზაცია, ინტეგრაცია, ეროვნული ეკონომიკა, ზეეროვნული, სუვერენიტეტი, ტრანსფორმაცია.*

# გლობალური ეკონომიკის ტენდენციები და რისკები

**ლაშა ბერიძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*პროფესორი, წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი*
*ხულო, საქართველო*
**რამინ ცინარიძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*ასოცირებული პროფესორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

მიმდინარე პერიოდის გლობალური გეოპოლიტიკური სიტუაცია ართულებს როგორც ინდივიდუალურ-სახელმწიოფოებრივ, ასევე მსოფლიო ეკონომიკის პროცესებს. თავდაპირველად - კოვიდ-19, ხოლო შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომი მნიშვნელოვანი წინაღობა აღმოჩნდა გლობალური და შესაბამისად, ინდივიდუალური ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გამოვკვეთოთ გლობალური ეკონომიკის ტენდენციები და რისკები, რომლებსაც შეიძლება, ზეგავლენა ჰქონდეს, როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. თანამედროვე სამყაროში როგორც არასდროს, გაზრდილია სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ვაჭრობის მხრივ, ამიტომ რუსეთის ფედერაციის სანქცირებამ ომის გამო, გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის გზების ცვლილება, მათ შორის რა თქმა უნდა, ფიზიკური გაგებითაც - გეოგრაფიული ცვლილებების ფონზე.

დღევანდელი გლობალური ეკონომიკის რუკა ხასიათდება უთანასწორობისა და ძირითადი რეგიონების განცალკევების ზრდით. სხვადასხვა მკვლევარი თუ ორგანიზაცია განსხავავებულად აფასებს მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მოცულობას, მაგრამ ტენდენციების პროგნოზირება საკმაოდ მსგავსია. მაგალითდ, TRADE AND DEVELOPMENT REPORT 2023-ის მიხედვით 2023 წლისთვის ივარაუდება მსოფლიო ეკონომიკის 2,4%-იანი ზრდა, ხოლო 2024 წლისთვის - 2,5%, რაც, ძირითადად, დამოკიდებული იქნება ევროზონის ეკონომიკის აღდგენის პროცესსა და სხვა წამყვანი ეკონომიკების არასასურველ რყევებზე (REPORT, 2024).

მაგალითად, KPMG ორგანიზაციის 2024 წლის მეორე კვარტლის მიხედვით 2023 წელს ეკონომიკის 3.1%-იანი პროგნოზირება შემცირდა 2.9%-მდე და აღნიშნული ორგანიზაციის შეფასებით მომდევნო წელსაც 3%-ის ფარგლებშიც უნდა იყოს გლობალური ეკონომიკის ზრდა. ასევე, მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება, მაგრამ საერთო მაჩვენებლით მაინც მაღალ დონეზე შენარჩნუნდება, ხოლო რაც შეეხება უმუშევრობის საერთო დონეს, მისი ზრდა მოსალოდნელია.

ცხრილი N1

**გლობალური ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება** (KPMG, 2024)

| | 2023 | 2024 | 2025 |
|---|---|---|---|
| **მშპ** | 3.1% | 2.9% | 3.0% |
| **ინფლაცია** | 6.4% | 4.9% | 3.4% |
| **უმუშევრობის დონე** | 5.4% | 5.6% | 5.7% |

ასევე მნიშვენლოვანია, გამოვყოთ ზოგიერთ წამყვან ეკონომიკაზე პანდემიისა და უკრაინ-რუსეთის ომის ზეგავლენა. რა თქმა უნდა, პანდემიაცა და ომიც ის მოვლენებია, რომლებმაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს გლობალურ ეკონომიკასა და მიწოდებათა ჯაჭვებზე.

ცხრილი N2

**კოვიდ-19 პანდემიისა და უკრაინის ომის ზეგავლენა რეალურ მთლიან შიდა პროდუქტზე**

(Hossain, 2023)

| | **პანდემიის ზეგავლენა** | | **უკრაინის ომის ზეგავლენა** | |
|---|---|---|---|---|
| **ქვეყნები** | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
| აშშ | - 3.4 | 5.7 | 2.3 | 1.0 |
| ჩინეთი | 2.2 | 8.1 | 3.3 | 4.6 |
| ინდოეთი | -6.6 | 8.7 | 7.4 | 6.1 |
| გერმანია | -4.6 | 2.9 | 1.2 | 0.8 |
| საფრანგეთი | -7.9 | 6.8 | 2.3 | 1.0 |
| დიდი ბრიტანეთი | -9.3 | 7.4 | 3.2 | 0.5 |
| კანადა | -5.2 | 4.5 | 3.4 | 1.8 |
| ბრაზილია | -3.9 | 4.6 | 1.7 | 1.1 |
| თურქეთი | 1.8 | 11.0 | 4.0 | 3.5 |
| რუსეთი | -2.7 | 4.7 | -6.0 | -3.5 |
| არგენტინა | -9.9 | 10.4 | 4.0 | 3.0 |

**შენიშვნა: მონაცემები აღებულია თავდაპირველი ავტორის მიერ Trading economic-ის საიტიდან**

როგორც ცხრილიდან ჩანს, ომის მონაწილე რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი ზეგავლენა ომმა მოახდინა აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაზე. პანდემიის პერიოდში ყველა წამყვანი ქვეყნის ეკონომიკა ზოგადი შემცირებით ხასიათდება, ამასთან, ომის პროლონგაციის საფრთხე და მისი გადაწყვეტის გზების არარსებობა და პირიქით, გაფართოების საფრთხე კიდევ უფრო ნაკლებ სტიმულს აძლევენ ინვესტორებს კაპიტალდაბანდების განხორციელებისათვის მსოფლიო მასშტაბით, გამომდინარე აქედან, მომავალი მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დაკორექტირებასთანაც შეიძლება, გვქონდეს საქმე.

გლობალური ეკონომიკის გამოწვევებს არ წარმოადგენს მხოლოდ გეოპოლიტიკური სიტუაციის სირთულე, არამედ, თანამედროვე ეტაპზე, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოკლევადიანი და გრძელვადიანი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და გარემოს ზრუნვის საკითხების რეგულირებასთან, მაგალითად, World Economic Forum global Risk, Perception survey 2023-2024-კვლევის თანახმად, მოკლევადიან - 2-წლიან რისკებში პირველი ადგილი დაიკავა არასაწორი ინფორმაციის მიწოდებამ, ან სრული ინფორმაციის არმიწოდებამ, ხოლო 10-წლიანი რისკების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ექსტრემალური ამინდი.

ცხრილი N3

**გლობალური რისკების რანჟირება სერიოზულობის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივის მიხედვით** (Forum, 2024)

| 2 წლის განმავლობაში | | 10 წლის განმავლობაში | |
|---|---|---|---|
| 1 | მცდარი ინფორმაცია, ინფორმაციის არმიწოდება | 1 | ექსტრემალური ამინდი |
| 2 | ექსტრემალური ამინდი | 2 | კრიტიკული ცვლილება დედამიწის სისტემებებისათვის |
| 3 | საზოგადოების პოლარიზაცია | 3 | ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და ეკოსისტემის კოლაფსი |
| 4 | კიბერუსაფრთხოება | 4 | ბუნებრივი რესურსების დეფიციტი |
| 5 | სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტი | 5 | მცდარი ინფორმაცია, ინფრომაციის არმიწოდება |
| 6 | ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა | 6 | AI ტექნოლოგიების უარყოფითი შედეგები |
| 7 | ინფლაცია | 7 | იძულებითი მიგრაცია |
| 8 | უნებლიე მიგრაცია | 8 | კიბერუსაფრთხოება |
| 9 | ეკონომიკური ვარდნა | 9 | საზოგადოების პოლარიზაცია |
| 10 | დაბინძურება | 10 | დაბინძურება |

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გლობალური რისკები თავისი შინაარსითა და პრაქტიკული დანიშნულებით გამოწვევად რჩება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის, მათ შორის - საქართველოსთვისაც. ასეთი რისკები, როგორც აღინიშნა, კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს განსაკუთრებული გეოგრაფიული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს და ასეთად, ერთ-ერთად მოიაზრება საქართველოც. ამის დასტურად შეიძლება მოყვანილ იქნას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეკონომიკის ზრდა ევროპაშიც და რეგიონშიც ერთ-ერთი მოწინავეა (რეგიონში ლიდერია, საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს - 11%-ით, ხოლო 2023 წლის წინასწარი მონაცემებით, 7.5%-ით გაიზარდა, ასევე ზრდა ფიქსირდება 2024 წელსაც, პირველი კვარტლის მიხედვით 8.4%, (მთლიანი შიდა პროდუქტი, 2024)), სხვა საკითხია აღნიშნული რამდენად უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას საქართველოსთვის საერთაშორისო დონეზე (იგულისმხება ჩინეთთან და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება), ნათელია, რომ თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ურთიერთობები არ არის თავისუფალი პოლიტიკასაგან და ნებისმიერი სავაჭრო პოლიტიკის გატარება ან/და ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური არასტაბილურობა/განუსაზღვრულობა, რაც ზრდის პოლტიკურ რისკებს და თავის-თავად უარყოფითად მოქმედებს ინვესტორების გადაწყვეტილებებზე (ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი საინვესტიციო რისკის მქონე ქვეყნები, 2024).

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალური ეკონომიკა, რისკი, დაბინძურება, ინფლაცია, კიბერუსაფრთხოება*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Forum, W. E. (2024). *The Global Risks, Report 2024, 19th edition.* Cologny/Geneva: World Economic Forum.
2. Hossain, D. (2023 წლის 01 02). *Major Trends in Global Economy, CBGA Assessment.* მოპოვებული https://www.researchgate.net/publication/368392470_Major_Trends_in_Global_Economy: https://www.researchgate.net/publication/368392470_Major_Trends_in_Global_Economy-დან
3. KPMG. (2024 წლის 06 09). *GLOBAL ECONOMIC OUTLOOK, 2024, Q2*. მოპოვებული KPMG: https://kpmg.com/xx/en/home/insights/2024/06/global-economic-outlook.html-დან
4. REPORT, T. A. (2024). *Current Trends and Challenges in the Global Economy.* Current Trends and Challenges in the Global Economy.
5. *მთლიანი შიდა პროდუქტი.* (2024 წლის 11 09). მოპოვებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp-დან
6. ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი საინვესტიციო რისკის მქონე ქვეყნები. (2024 წლის 09 11). მოპოვებული FORBES GEORGIA: https://forbes.ge/qhvelaze-dabali-da-qhvelaze-maghali-sainvestitsio-riskis-mqone-qveqhnebi/-დან

# მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობა კავკასიაში

**ლევანი კიკილაშვილი**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მენეჯმენტის მიმართულების დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის საკითხები კავკასიაში. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მწვანე ტექნოლოგიები მნიშვნელოვან წვლილს თამაშობენ ბიზნესების გაძლიერებაში, როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობისა და ენერგიის ეფექტურობის გარანტი. კავკასიის რეგიონი, თავისი უნიკალური ეკოლოგიური და ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, წარმოადგენს საინტერესო ადგილს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისა და იმპლემენტაციისთვის.

სტატიაში მიმოხილულია კავკასიის რეგიონში მწვანე ტექნოლოგიების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესმოდელებთან ადაპტირებით. კვლევის მიზნები ნათელყოფს, როგორ შეიძლება მწვანე ტექნოლოგიებმა ბიზნესებს კონკურენტუნარიანობას და რეგიონის ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა მიაწოდოს.

**ლიტერატურის მიმოხილვა** ფოკუსირდება მწვანე ტექნოლოგიების განვითარებაზე და კონკურენტუნარიანობის კვლევაზე. განხილულია ბოლო წლების კვლევები მწვანე ტექნოლოგიების ეფექტურობაზე და მათი გავლენა ბაზარზე. ასევე, განხილულია კავკასიის რეგიონის ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც ფოკუსირებულია რეგიონში მწვანე ტექნოლოგიების გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე.

**კვლევის მეთოდოლოგია** აღწერს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებს, მათ შორის რაოდენობრივ და თვისობრივ მიდგომებს. ინტერვიუები, გამოკითხვები და ანალიტიკური მოდელები, საშუალებას იძლევა, დეტალურად შეისწავლოს მწვანე ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლები.

**კვლევის შედეგები** გამოხატავს მწვანე ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ძირითადი მახასიათებლების შედეგებს. ნათლად ჩანს ტექნოლოგიების გავლენა ბაზარზე და კონკურენციაზე, რაც გამოიხატება როგორც წარმატების მაგალითებით, ისე სტატისტიკური მონაცემებით.

**დისკუსია** აღწერს მიღებული შედეგების მნიშვნელობას, გამოწვევებს და შესაძლებლობებს. განხილულია მწვანე ბიზნესების განვითარების საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოზე. განხილულია საერთაშორისო მაგალითებიც და მათი გავლენა კავკასიის რეგიონისთვის.

**დასკვნები და რეკომენდაციები** წარმოგვიდგენს ძირითად მიგნებებს და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას. რეკომენდაციები მოიცავს პოლიტიკის შემუშავებას და მწვანე ბიზნესების მხარდასაჭერად საჭირო ნაბიჯებს. წარმოდგენილია სამომავლო კვლევის მიმართულებები, რაც ხელს შეუწყობს მწვანე ტექნოლოგიების ინტეგრაციას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას კავკასიის რეგიონში.

ეს კვლევა ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას კავკასიის რეგიონში და ქმნის კონკრეტულ გზებს, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მწვანე ბიზნესების კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა.

***საკვანძო სიტყვები:*** *მწვანე ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა, კავკასია, ეკოლოგიური მდგრადობა, ენერგოეფექტურობა, მწვანე ბიზნესი, რეგიონალური განვითარების შესაძლებლობები.*

# სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში: დანაკარგები და ნარჩენები სურსათის მიწოდების ჯაჭვში

**ლელა ადუაშვილი**

*დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*

*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად ერთი ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების სურსათი იფლანგება (United Nations Environment Programme, 2024). გაფლანგული სურსათი გლობალურად წარმოებული საკვების 1/3-ს შეადგენს (Food Waste, 2024b) და წარმოქმნის მნიშვნელოვან გარემოს დაცვით პრობლემებს, მაშინ, როდესაც მწვავე სასურსათო კრიზისის წინაშე 300 მლნ. ადამიანია (FSIN & Global Network Against Food Crises, 2024).

სურსათი, ძირითადად, იფლანგება მომხმარებლამდე მიღწევამდე (სურსათის დანაკარგები) - წარმოების, შენახვის, გადამუშავებისა და გადანაწილების ეტაპზე და მომხმარებლამდე მიღწევის შემდეგ (სურსათის ნარჩენები) - საცალო და სამომხმარებლო დონეზე (Food Waste, 2024a). დადგენილია, რომ გლობალური სურსათის დანაკარგები მსოფლიო საკვების 13%-ს შეადგენს, სურსათის ნარჩენები კი - 19%-ია (United Nations Environment Programme, 2024).

პრობლემის სიმძაფრის მასშტაბურობიდან გამომდინარე, 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მე-12 მიზნის მე-3 ქვეპუნქტით (SDG 12.3) დასახულია სურსათის მიწოდების ჯაჭვებში დანაკარგების შემცირება და სურსათის ნარჩენების განახევრების ვალდებულება (FAO, 2024).

სურსათის ფლანგვა მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა, რომელიც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პრობლემის მოგვარებას სახელმწიფოებრივ დონეზე საჭიროებს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი პროცესების აქტიური წარმართვა სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, კერძო სექტორებსა და სამეცნიერო საზოგადოებას შორის. საკვანძო ღირებულების სამეცნიერო კვლევების ჩატარება.

ნაშრომში, სამეცნიერო პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მნიშვნელობა საქართველოში (Kharaishvili & Zviadadze, 2017; Kharaishvili & Gechbaia, 2023; Aduashvili, 2023). საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა - სურსათის მიწოდების ჯაჭვში წარმოქმნილი დანაკარგები და ნარჩენები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით (Geostat, 2024), ქრონოლოგიურად შეფასებულია სურსათის დანაკარგები კატეგორიებისა და საწარმოო პროცესში მათი ხვედრითი წილის მიხედვით. მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად განსაზღვრულია სურსათის დანაკარგებზე Covid-19-ის პანდემიისა და მიმდინარე გეოპოლიტიკური დაძაბულობის გავლენა. ამასთან, შედეგები შედარებულია ანალოგიური საკვლევი პრობლემის ირგვლივ ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების შედეგებთან (De Gorter et al., 2021; Luo et al., 2022; Akkerman & Cruijssen, 2024; Domingo-Morcillo et al., 2024).

Google Form-ზე განთავსებული სტრუქტურირებული რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე განსაზღვრულია სურსათის ნარჩენების საშუალო მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე. ასევე, გამოვლენილია სურსათის მომხმარებელთა პრეფერენციები და პრობლემისადმი მათი დამოკიდებულება. რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებით პარალელი გავლებულია უც-

ხოური სამეცნიერო კვლევების მიგნებებთან (Ray et al., 2024; Obuobi et al., 2024; Fraccascia & Nastasi, 2023). შედეგად, იდენტიფიცირებულია ადგილობრივი და სხვა ქვეყნის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სხვაობა.

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში მიზანშეწონილად მიჩნეულია სურსათის მიწოდების ჯაჭვებისა და მომხმარებელთა პრეფერენციების ტრანსფორმაცია. ამ მხრივ, შესწავლილია ციფრიზაციის გავლენა და შეფასებულია სახელმწიფოს როლი.

ნაშრომში შემუშავებულია დასკვნები და გაფლანგული სურსათის მინიმიზაციისთვის შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

***საკვანძო სიტყვები:*** *სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის დანაკარგები, სურსათის ნარჩენები, მიწოდების ჯაჭვი, ციფრიზაცია.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Aduashvili, L. (2023). Food Security Problems in the Context of Digital Economy Development. *International Scientific Journal Innovative Economics and Management,* 10(3), 47-57. https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.47-57
2. Akkerman, R., & Cruijssen, F. (2024). Food Loss, Food Waste, and Sustainability in Food Supply Chains. *Sustainable Supply Chains*. Springer Series in Supply Chain Management, 23. https://doi.org/10.1007/978-3-031-45565-0_9
3. De Gorter, H., Drabik, D., Just, D. R., Reynolds, C., & Sethi, G. (2021). Analyzing the economics of food loss and waste reductions in a food supply chain. *Food Policy,* 98, ISSN 0306-9192. https://doi.org/10.1016/j.foodpol.2020.101953
4. Domingo-Morcillo, E., Escrig-Olmedo, E., Rivera-Lirio, J. M., & Muñoz-Torres, M. J. (2024). Analyzing the suitability of LCIA methods to foster the most beneficial food loss and waste prevention action in terms of environmental sustainability. *Environmental Impact Assessment Review,* 107, ISSN 0195-9255. https://doi.org/10.1016/j.eiar.2024.107575
5. FAO (2024). *Indicator 12.3.1 - Global Food Loss and Waste.* SDG Indicators Data Portal. https://www.fao.org/sustainable-development-goals-data-portal/data/indicators/1231-global-food-losses/en
6. Food Waste (2024a). *Food Waste The Big Picture.* The Nutrition Source. *https://nutritionsource.hsph.harvard.edu/sustainability/food-waste/*
7. Food Waste (2024b). *Food Waste 2024 – the facts.* Business waste. https://www.businesswaste.co.uk/food-waste-the-facts/
8. Fraccascia, L., & Nastasi, A. (2023). Mobile apps against food waste: Are consumers willing to use them? A survey research on Italian consumers. *Resources, Conservation & Recycling Advances,* 18, ISSN 2667-3789. https://doi.org/10.1016/j.rcradv.2023.200150
9. FSIN & Global Network Against Food Crises (2024). *GRFC 2024.* Rome. https://www.fsinplatform.org/grfc2024
10. Geostat (2024). *Food Balance Sheets*. Food Security. https://www.geostat.ge/en/modules/categories/297/food-security
11. Kharaishvili, E., & Gechbaia, B. (2023). The impact of Sustainable Transportation on the Development of Food Markets. *International Scientific Journal Innovative Economics and Management,* 10(2), 129-139. https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.129-139

12. Kharaishvili, E., & Zviadadze, E. (2017). Priorities for Food Security and Sustainable Development of Agricultural Sector in Georgia. https://www.researchgate.net/publication/319979683_Priorities_for_Food_Security_and_Sustainable_Development_of_Agricultural_Sector_in_Georgia
13. Luo, N., Olsen, T., Liu, Y., & Zhang, A. (2022). Reducing food loss and waste in supply chain operations. *Transportation Research Part E: Logistics and Transportation Review*, 162, ISSN 1366-5545. https://doi.org/10.1016/j.tre.2022.102730
14. Obuobi, B., Zhang, Y., Adu-Gyamfi, G., & Nketiah, E. (2024). Households' food waste behavior prediction from a moral perspective: a case of China. *Environ Dev Sustain,* 26, 10085–10104. https://doi.org/10.1007/s10668-023-03136-w
15. Ray, B., DeLong, K. L., Jensen, K., Burns, S., & Luckett, C. (2024). Consumer preferences for foods with varying best if used-by dates: An experimental auction and sensory evaluation analysis. *Food Policy,* 125, ISSN 0306-9192. https://doi.org/10.1016/j.foodpol.2024.102650
16. United Nations Environment Programme (2024). *Food Waste Index Report 2024. Think Eat Save: Tracking Progress to Halve Global Food Waste*. https://wedocs.unep.org/20.500.11822/45230

# გიგ ეკონომიკა: დიჯიტალიზაციის გავლენა სამუშაო ძალის ბაზარზე

**მარინე ნაცვალაძე**
*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ინდუსტრიაში - დიჯიტალიზაცია, მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე და წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე - ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა, ოპერაციები სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდეს. რობოტები და ავტომატური სისტემები ხელს უწყობენ წარმოების პროცესის დაჩქარებას, ხარვეზების შემცირებას და რესურსების ოპტიმიზაციას.

დიჯიტალიზაცია ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და აუმჯობესებს მუშაობის სისწრაფესა და ხარისხს. ავტომატიზაცია, ასევე ამცირებს ხარჯებს და ზრდის მწარმოებლურობას. ციფრული ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვით შესაძლებელია წარმოების პროცესში მიღებული მონაცემების რეალურ დროში შეგროვება, ანალიზი და გამოყენება. ეს ხელს უწყობს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას, რითაც მცირდება დრო და რესურსების დანაკარგები.

დიჯიტალიზაციის საშუალებით ხდება წარმოების სხვადასხვა ეტაპების ინტეგრირება ერთიან სისტემაში, რაც ამარტივებს პროცესების მონიტორინგს და მართვას. ასევე, იწვევს პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას, მასალების, ენერგიის და ადამიანური რესურსების უკეთეს მართვას, რაც ამცირებს დანახარჯებს და ზრდის წარმოების ეფექტიანობას. ამგვარად, დიჯიტალიზაცია აუმჯობესებს წარმოების მუშაობის ეფექტიანობას, რაც კომპანიის კონკურენტუნარიანობას ზრდის.

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად ამარტივებს ინფორმაციის გაცვლას სხვადასხვა არხით. ინტერნეტი და მისი ბაზაზე შექმნილი ქსელური ტექნოლოგიები (მაგალითად, Wi-Fi, 4G/5G) უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და ფართომასშტაბიან გაცვლას მთელ მსოფლიოში. ეს საშუალებას იძლევა, რომ ინფორმაცია ადრესატს მომენტალურად მიეწოდოს, მიუხედავად მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

ელექტრონული ფოსტა და კომუნიკაციის სხვა საშუალებები (მაგალითად, WhatsApp, Microsoft Teams) საშუალებას იძლევა, სწრაფად და მარტივად გაიცვალოს სხვადასხვა სახის მონაცემები. ღრუბლოვანი პლატფორმები (მაგალითად, Google Drive, Dropbox, OneDrive) უზრუნველყოფს მონაცემთა შენახვას და გაზიარებას უსაფრთხოდ და მარტივად. ღრუბლოვანი სერვისები ამარტივებს დოკუმენტაციის ერთდროულად რედაქტირებას და კოლაბორაციას სხვადასხვა მომხმარებელს შორის.

ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი გახდა ვირტუალური შეხვედრებისა და ვიდეოკონფერენციების ჩატარება (Zoom, Microsoft Teams, Google Meet). ეს ამცირებს ფიზიკური შეხვედრების საჭიროებას და მნიშვნელოვნად ამარტივებს კომუნიკაციას სხვადასხვა ლოკაციიდან. სოციალური მედიის (Facebook, LinkedIn, Twitter) და სხვა ციფრული პლატფორმების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის და სიახლეების გავრცელება და სწრაფი კომუნიკაცია როგორც პერსონალურ, ისე პროფესიულ დონეზე. პროგრამული ინტერფეისები (API) და ინტეგრირებული სისტემები უზრუნველყოფს სხვადასხვა პროგრამას შორის ავტომატური ინფორმაციის გაცვლას, რაც ამარტივებს ბიზნესპროცესებს და აუმჯობესებს სერვისების ხარისხს.

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები იყენებს უსაფრთხოების მექანიზმებს, რათა ინფორმაციის გაცვლა იყოს დაცული და უსაფრთხო. ამ ტექნოლოგიების საშუალებით, ინფორმაციები

იცვლება სწრაფად, ეფექტიანად და ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას როგორც პირად, ისე ბიზნესგარემოში.

ციფრული ტექნოლოგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციების სტიმულირებაში, ხელს უწყობს ახალი პროდუქტების, სერვისებისა და ბიზნესმოდელების შექმნას. 3D ბეჭდვა, ინტერნეტმოწყობილობები (IoT) და დიდი მონაცემების ანალიტიკა (Big Data) ახალ შესაძლებლობებს ქმნის წარმოებაში.

ციფრული ტექნოლოგიები ამარტივებს კვლევისა და განვითარების (R&D) პროცესებს. მოდელირება, სიმულაცია და პროგნოზირება, რაც უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ამცირებს კვლევის ხარჯებს და ამარტივებს ახალი იდეების ტესტირებას.

დიჯიტალიზაცია საჭიროებს ახალ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რაც მოითხოვს შრომის ბაზრის ცვლილებას. ზოგიერთ ტრადიციულ პროფესიაზე შესაძლოა, მოთხოვნა დაიკარგოს, ამასთანავე, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და პროფესიები.

დიჯიტალიზაციას სამუშაო ძალის ბაზარზე და დასაქმებაზე მრავალმხრივი გავლენა აქვს, რაც მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ასპექტებს; იცვლება სამუშაო ძალის ბაზარი, რაც მოითხოვს უნარების გადაფასებას, სწავლის პროცესის მუდმივად განახლებას და ადაპტაციას ახალი ტექნოლოგიების მიმართ. წარმატებისთვის საჭირო ხდება ახალი შესაძლებლობების მოძიება და მუდმივი განვითარება, რაც დასაქმებულებს და დამსაქმებლებს დაეხმარება ახალ ციფრულ რეალობასთან ადაპტირებაში.

გიგ ეკონომიკა არის ეკონომიკური მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია დროებით, პროექტებზე დაფუძნებულ ან თავისუფალ სამუშაოებზე, ნაცვლად ტრადიციული სრულგანაკვეთიანი დასაქმებისა. ამ ეკონომიკაში მუშაკები, რომლებსაც ხშირად უწოდებენ "გიგ მუშაკებს" ან "ფრილანსერებს," ჩართულნი არიან მოკლევადიან პროექტებზე ან დავალებებზე დაფუძნებულ სამუშაოებში და მუშაობენ თვითდასაქმებულად ან კონტრაქტორებად.

გიგ ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია:

1. დროებითი სამუშაოები - გიგ ეკონომიკა ემყარება დროებით, მოკლევადიან ან ერთჯერად სამუშაოებს, რომლებიც ხორციელდება კონკრეტული დავალებების ან პროექტების დასრულებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა საქმიანობას, დაწყებული სერვისების გაწევიდან, როგორიცაა ტრანსპორტირება (მაგ., Uber, Bolt), დამთავრებული ექსპერტული კონსულტაციებით, დიზაინით ან პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებით.

2. მოქნილი გრაფიკი - გიგ მუშაკებს აქვთ მოქნილი სამუშაო გრაფიკი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავად განსაზღვრონ სამუშაო საათები და სამუშაოს მოცულობა. ეს განსაკუთრებით მიმზიდველია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს ბალანსის დაცვა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის.

3. პლატფორმაზე დაფუძნებული სამუშაო - გიგ ეკონომიკა ხშირად ემყარება ციფრულ პლატფორმებსა და აპლიკაციებს (მაგ., Upwork, Fiverr, TaskRabbit), რომლებიც აკავშირებენ მუშაკებს დამკვეთებთან და ამარტივებენ სამუშაოს მოძიებასა და შესრულებას.

4. დამოუკიდებლობა - გიგ მუშაკები დამოუკიდებლად მუშაობენ და, შესაბამისად, თავად არიან პასუხისმგებლები თავიანთი სამუშაოს მენეჯმენტზე, რაც მოიცავს კლიენტების მოძიებას, მოლაპარაკებებს, კონტრაქტებს და ფინანსების მართვას.

5. ნაკლები შეზღუდვები - გიგ ეკონომიკაში ჩართვა ხშირად ნაკლებად შეზღუდულია და არ მოითხოვს ხანგრძლივ დამსაქმებელ-თანამშრომლის ურთიერთობას ან კონტრაქტს. ეს ადამიანებს მარტივად აძლევს საშუალებას ახალი სამუშაო გამოცდილების მიღებისთვის.

კოვიდ-19-ის პანდემიამ მკვეთრად შეცვალა გიგ ეკონომიკა და მისი როლი გლობალურ შრომის ბაზარზე. მიუხედავად გამოწვევებისა, მან, ასევე, წარმოშვა ახალი შესაძლებლობები და დააჩ-

ქარა დიგიტალიზაციის პროცესი, რაც მომავალშიც გააგრძელებს გიგ ეკონომიკის განვითარებას და ტრანსფორმაციას.

გიგ ეკონომიკას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ის სწრაფად იზრდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ შრომის ბაზარზე, ქმნის ახალ შესაძლებლობებს და სამუშაო ფორმებს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს რეგულაციებისა და მუშაკთა უფლებების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაცული და სამართლიანი სამუშაო გარემო.

გიგ ეკონომიკა თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი აქტიური თემა გახდა. ამ მიმართულებით ბევრი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა, რომლებიც ფოკუსირებულია მის სხვადასხვა ასპექტებ-ზე, მათ შორის სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ საკითხებზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *ციფრული ეკონომიკა, დიჯიტალიზაცია, სამუშაო ძალის ბაზარი, გიგ ეკო-ნომიკა, დასაქმება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Zhengqing Z. (2023). The Rise of the Gig Economy: Implications for Understanding Work and Workers, Business and Economics Journal, ISSN: 2151-6219, (2023) Volume 14, Issue 3. https://www.hilarispublisher.com/open-access/the-rise-of-the-gig-economy-implications-for-workers-businesses-and-labour-market-regulations-98580.html#:~:text=While%20flexibility% 20is%20a%20benefit, to%20plan%20and%20budget%20effectively.
2. Kuhn K.M. (2016). The Rise of the “Gig Economy” and Implications for Understanding Work and Wor-kers, Published online by Cambridge University Press. Industrial and Organizational Psycho-logy , Volume 9 , Issue 1 , pp. 157 – 162 . DOI: https://doi.org/10.1017/iop.2015.129
3. https://www.cambridge.org/core/journals/industrial-and-organizational-psychology/article/abs/rise-of-the-gig-economy-and-implications-for-understanding-work-and-workers/0359098FEC51B66EFC02101105B25FCF
4. Klein G., Klunover D., Shavit T. (2024). Gig work: Does it get you more happiness?
5. https://doi.org/10.1002/mde.4101. https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/mde.4101
6. Satisfaction of gig economy workers with independent work U.S. 2021. Published by Statista Research Department, Jul 5, 2024
7. https://www.statista.com/statistics/916294/gig-economy-satisfaction-workers-current-job/
8. The Gig Economy and the Future of Work : Global Trends and Policy Directions for Non-Standard Forms of Employment (English). The World Bank Group, 2024.
9. https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/099060524074041161/p1796471e104d70c8193971d1ead6456d2e
10. Hogan M. (2023). The Gig Economy: Navigating The Dichotomy Of Opportunity And Exploitation
11. https://www.linkedin.com/pulse/gig-economy-navigating-dichotomy-opportunity-maren-hogan/
12. Gig Economy: Definition, Statistics & Trends [2024 Update]
13. https://zety.com/blog/gig-economy-statistics?utm_source=google&utm_medium=sem&utm_campaign=6482924844&utm_term=%2Bgig%20%2Beconomy&network=g&device=c&adposition=&adgroupid=85084943480&placement=&gad_source=1&gclid=CjwKCAjwufq2BhAmEiwAnZqw8pbtVQtdcTmk9pcucIayxX9bllmXCCxaL_qy06GiaHKJBgGaIqFlzxoC4RcQAvD_BwE
14. Brianna Blaney. (2024). Complete Guide to Gig Economy in 2024.
15. https://tipalti.com/en-uk/marketplace-hub/gig-economy/

16. Stewart A. (2017). Regulating work in the gig economy: what are the options? Economic and Labour Relations Review, 28(3), pp. 382- 401.
17. https://futurework.org.au/wp-content/uploads/sites/2/2017/08/Gig_Symposium_PrePub_Stewart_Stanford.pdf
18. Muldoon J, Sun P. (2024). The Global Gig Economy: How Transport Platform Companies Adapt to Regulatory Challenges -A Comparative Analysis of Six Countries, *Industrial Law Journal*.
19. https://doi.org/10.1093/indlaw/dwae010
20. Wellener P. Dollar B. Ashton H. Monck L. Hussain A. (2020).The future of work in manufacturing A DELOITTE SERIES ON THE SKILLS GAP AND THE FUTURE OF WORK IN MANUFACTURING What will jobs look like in the digital era?
21. https://www2.deloitte.com/us/en/insights/industry/manufacturing/future-of-work-manufacturing-jobs-in-digital-era.html

# განათლების განვითარების ზოგიერთი პრობლემა ციფრულ ეპოქაში

**მერაბ მიქელაშვილი**
*პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მსოფლიო საზოგადოება დიდი ხანია, აღიარებს, რომ აუცილებელია პედაგოგიური მიდგომების გარდაქმნა, რათა ციფრული უნარების დაუფლების ფონზე, ხელი შეეწყოს ციფრულ ეპოქაში ახალი ტიპის უნივერსიტეტების ფორმირებას.

თანამედროვე საგანმანათლებლო სამყაროში, სადაც პრიორიტეტული ადგილი უკავია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, გამოჩნდა სტუდენტთა ახალი თაობა, რომელიც გარკვეული ნიშნით სრულად განსხვავდება წინა თაობებისგან. სწავლების სფეროს ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი, ჯონ კოატსი, თავის წიგნში „თაობები და სწავლების სტილი" გვთავაზობს ფსიქოლოგიური ცვლილებების შეტანას პედაგოგებისა და თაობა Z-ის წარმომადგენელთა ურთიერთობის სტილში {1} აქ იგულისხმება სწავლების სწრაფი ტემპი, ერთი სასწავლო ამოცანიდან სხვა ამოცანაზე გადართვა, ჯგუფური მუშაობა, სწრაფი უკუკავშირი, შეფასების ზუსტი კრიტერიუმები და მოთხოვნები, თვალსაჩინოება. ამ რეკომენდაციების საფუძველზე, შეიძლება დავაზუსტოთ, რომ პედაგოგიური ინსტრუმენტების ინდივიდუალური შერჩევა, რომელიც შესაძლებელია ელექტრონული სწავლების პროცესში, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ ისეთი ცნებები, როგორიცაა - "ციფრული სწავლება" და "ციფრული განათლება", რომლებიც ხშირად გამოიყენება სინონიმებად, რაც არამართებულია. ტერმინის "ციფრული სწავლება" გამოიყენება, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ცნება "ციფრული დიდაქტიკა", ანუ ციფრული სწავლების თეორია, ეჭვს არ იწვევს. მათში საუბარია კანონზომიერებებზე, პრინციპებსა და მექანიზმებზე, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები ითვისებენ საგნობრივ ცოდნას, უნარებს, კომპეტენციებს, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მაგრამ ტერმინი „ციფრული განათლება", რომელიც ხშირად გვხვდება პედაგოგიურ ლიტერატურაში, იურიდიულ -ნორმატიულ დოკუმენტებში და ყოველდღიურ პედაგოგიურ ცხოვრებაში, არასწორია. ფაქტია, რომ სიტყვა "განათლება" ატარებს სამ განსხვავებულ მნიშვნელობას, რაც დამოკიდებულია მეტყველების დროს მისი გამოყენების კონტექსტზე

პირველი მნიშვნელობა არის კონკრეტული ადამიანის საგანმანათლებლო კვალიფიკაცია, რომელიც კითხვაზე, თუ რა განათლება აქვს, პასუხობს: ზოგადი საშუალო, პროფესიული თუ უმაღლესი. მეორე მნიშვნელობა არის განათლების სისტემა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლიობა, მათი განმახორციელებელი საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მათი მართვის სისტემა. მესამე მნიშვნელობა არის განათლების პროცესი, რომელიც შედგება სწავლებისა და აღზრდისგან , მათი ერთობისგან.

ამ განსხვავებების გათვალისწინებით,მართლზომიერი იქნება მხოლოდ ტერმინების - „განათლების ციფრული სისტემა" (და არა "ციფრული განათლების სისტემა") და "ციფრული სწავლება" - გამოყენება, რადგან კომპიუტერი არ არის ჩართული მოსწავლეთა აღზრდაში. როგორც ჩანს,

ინტუიციურად, ციფრული განათლების ადეპტები არ საუბრობენ "ციფრული აღზრდის" შესახებ, ისინი ამას "ციფრული განათლების" ტერმინში მალავენ.

ციფრული სწავლების უზარმაზარ და ჯერ კიდევ შეუსწავლელ შესაძლებლობებთან ერთად, არსებობს უამრავი გამოწვევა და რისკი, რომლებიც დაკავშირებულია განათლების სისტემაში მათ ტოტალურ დანერგვასთან:

- ✓ დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოში არ არსებობს ციფრული სწავლების პედაგოგიური ან ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თეორია, რომელსაც სკოლის მასწავლებლები, კოლეჯის და უნივერსიტეტის პედაგოგები დაეყრდნობოდნენ, ასევე, არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება ციფრული სწავლების გამოყენებით განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. ამ მიზეზით, განათლების დიგიტალიზაციისადმი შეგნებული თუ არაცნობიერი წინააღმდეგობა შეიმჩნევა პედაგოგიური კორპუსის მნიშვნელოვან ნაწილს შორის, განსაკუთრებით უფროსი თაობის მასწავლებლებს შორის.
- ✓ ინფორმაცია და ცოდნა სხვადასხვა ცნებებია: ინფორმაცია არის სემიოტიკური, ნიშანთა სისტემა, მნიშვნელობების მატარებელი (ენის ნიშნები, ტექსტები, მეტყველების ბგერები და ა.შ.), ხოლო ცოდნა არის პიროვნების ქვესტრუქტურა, რაღაც სუბიექტური, პიროვნული აზრები, რომლებიც ხშირად განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანისთვის, რომლებიც აღიქვამენ ერთსა და იმავე ინფორმაციას.
- ✓ სწავლისა და განათლების პროცესი რეალიზდება პედაგოგსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გზით. კომუნიკაცია შედგება სამი კომპონენტისგან - კომუნიკაციური, ინტერაქტიული და აღქმითი, ასევე ორი მხარისგან - ვერბალური და არავერბალური, რომელიც მოიცავს "სხეულის ენას" (პოზა, სხეულის მოძრაობები, თვალის გამომეტყველება და ა.შ.) და ექსტრალინგვისტური, ხმის მახასიათებლები. (ინტონაცია, ტემბრი, ტონი და ა.შ.).

სიტყვა არის ინფორმაციის მატარებელი; ის შეიცავს ტერმინის, ცნების, გამოთქმის ობიექტურ მნიშვნელობას, რომლის განმარტებაც მოცემულია ლექსიკონებში. თუმცა, როგორც წესი, თითქმის ნებისმიერი სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია. მისი მნიშვნელობა კონკრეტული ადამიანისთვის დამოკიდებულია ენობრივ კონტექსტზე; მსმენელისთვის სიტყვის მნიშვნელობა არანაკლებადაა დამოკიდებული მეტყველების არავერბალურ მახასიათებლებზე. ცნობილი ავსტრალიელი ფსიქოლოგის, ალან პიზის, თქმით, ნათქვამის მნიშვნელობის მხოლოდ 7% აისახება სიტყვაში, 55% - მოსაუბრის სხეულის მოძრაობებში და 38% - ექსტრალინგვისტიკაში [2]. ციფრული ტექნოლოგია ვერ ახერხებს ასეთი დახვეწილობის აღქმას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადამიანის, პედაგოგის, თანამოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვების გაგება, მათი მნიშვნელობა მსმენელისთვის განისაზღვრება რიგი სხვა კონტექსტებით: სქესი (ცნობილია, რომ მამაკაცისთვის და ქალისთვის ერთი და იგივე ინფორმაციის მნიშვნელობა ხშირად განსხვავებულია), ეროვნული, რელიგიური, გეოგრაფიული, სამეცნიერო, სიტუაციური და ა.შ.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ პირველი შვიდი წამის განმავლობაში, თითოეული ჩვენგანი ჩვენდაუნებურად ვწყვეტთ, მივმართოთ თუ არა კონკრეტულ ადამიანს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვკითხოთ, თუ როგორ მივიდეთ ამა თუ იმ ადგილზე. თუ ადამიანი არ მოგვწონს, მასთან ურთიერთობას ვერიდებით, მაშინაც კი, თუ ის ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციას ფლობს. მაგრამ მოსწავლე პედაგოგს არ ირჩევს. და თუ მოსწავლეებს არ უყვართ პედაგოგი, ხოლო ამ უკანასკნელს - სასწავლო ჯგუფი, მის ლექციაზე გადაცემული ინფორმაცია ვერ განივთდება ცოდნაში.

ციფრული სწავლება საერთოდ არ გულისხმობს აღზრდას, მაშინ, როცა სწავლებასთან ერთად ისინი უნდა წარმოადგენდნენ განათლების, როგორც „მედლის“ ორ მხარეს.

აღზრდა - არის მორალურ-ზნეობრივი კატეგორია, სადაც მორალი წარმოადგენს საზოგადოებაში მიღებულ კანონებს, სოციალური ქცევის ნორმებს, რელიგიურ, გენდერულ, ტექნიკურ ნორმებს და ა.შ. ხოლო ზნეობრიობა - ეს არის საზომი იმისა, თუ რამდენად ახლოს არის ადამიანი საზოგადოების მიერ მიღებულ მორალურ ნორმებთან. ზნეობრივი აღზრდა არ შემოიფარგლება ინფორმაციის ათვისებით იმის შესახებ, თუ რა ითვლება საზოგადოებაში კარგად ან ცუდად. შეიძლება კარგად იცოდე მორალური ნორმები და იყო უზნეო, უზრდელი, დამნაშავე. ის კი არ ზრდის, რასაც ასწავლიან, არამედ ის, თუ როგორ ასწავლიან.

- ზნეობა არის პიროვნების თვისება, რომელიც გულისხმობს მისი ჩამოყალიბების დროს ემოციურ - ღირებულებით დამოკიდებულებას მათში ჩართულ ადამიანებთან, ადამიანებს შორის ურთიერთობა, რომელიც წარმოიქმნება ამ სიტუაციებში. ასეთი გამოცდილებისა და ურთიერთობების წყარო, ზნეობისა და ეთიკის მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი - მშობელი, მასწავლებელი, საზოგადოების სოციუმის ნებისმიერი წარმომადგენელი, მაგრამ არა რაიმე ძლიერი ციფრული მოწყობილობა.

თანამედროვე ტექნოლოგიების ფართო გამოყენების ფონზე, მასწავლებელს სჭირდება სტუდენტებთან ერთ ტალღაზე ყოფნა, ერთ ენაზე საუბარი და კომუნიკაციის ერთი არხის გამოყენება. ამ მიზნით, სასწავლო პროცესში ჩართულია მულტიმედიური პრეზენტაციები, სოციალური ქსელები, ფოტო, აუდიო და ვიდეომასალა, აპლიკაციები, ღრუბლოვანი საცავები, ონლაინ რედაქტორები და ა.შ. რეკომენდებული ლიტერატურის სიაში შედის ბმულები საიტებზე და ელექტრონულ წიგნებზე.

ამრიგად, შტრაუსისა და ჰოუის თაობების თეორიაზე [3] დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე პედაგოგებმა, რომლებიც მიჩვეულნი არიან სხვადასხვა თაობის სტუდენტებთან მუშაობას, რომლებიც იყენებენ მხოლოდ პასიური სწავლების მეთოდებს და კურიკულუმის გარე აქტივობებს, უნდა გააცნობიერონ ცვლილებები და სტუდენტთა ახალ თაობებთან მუშაობის სპეციფიკური გარემოებები. სტუდენტი დღეს არის ინდივიდი, რომელიც მზად არის ცვლილებებისთვის, აქტიური ურთიერთობისთვის და სწავლის ინტერაქტიული ფორმების, გაჯეტებისა და ინტერნეტის გამოყენებისთვის.

ამ ეტაპზე ჩვენ ორი თაობა გვაინტერესებს: მილენიალები ანუ თაობა Y (1985-2000 წლებში დაბადებულები) და თაობა Z (2001 წლიდან დაბადებულები).

ჩატარებული უცხოური კვლევების საფუძველზე, თაობა Z დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება შემუშავდეს წინადადებები ციფრული თაობის წარმომადგენლების უმაღლეს სასწავლებლებში ციფრული თაობის სწავლების მეთოდების სრულყოფის შესახებ. ზოგიერთი რეკომენდაცია შეიძლება ასეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული:

- ✓ დროის, ინფორმაციის მოცულობისა და მიღებული სარგებლის ბალანსის დაცვა;
- ✓ დავალების (სწავლების) შესრულების პროცესში მიღწეული მიზნის და შედეგის მკაფიო ფორმულირება;
- ✓ Z თაობის სტუდენტებისთვის მიზანშეწონილია მასალის მიწოდება კერძოდან ზოგადისკენ;
- ✓ სწავლების ინდივიდუალური ტრაექტორიების შექმნა;
- ✓ ინფორმაციულ-საგანმანათლებლო სივრცის მაქსიმალურად ვიზუალიზაცია;
- ✓ პედაგოგის როლის შეცვლა საგანმანათლებლო პროცესში;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის ნაწილის ვირტუალურ გარემოში გადატანა;
- ✓ სტუდენტების აქტიური ჩართვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სრულყოფის საგზაო რუკის ეტაპების განხორციელებაში „უნივერსიტეტი 3.0“ მოდელის საფუძველზე.

ზემოთქმული არის მხოლოდ საკითხის დაყენება სოციო-კულტურული მემკვიდრეობის ახალი ტიპის შესახებ, განათლებაში პრინციპულად ახალი სიტუაციის შესახებ, რომელიც შეიქმნა მოზარდებისა და სტუდენტების გამოჩენასთან ერთად, რომელთა წარმომადგენლები შეიძლება ჩაითვალონ "ციფრული თაობის" წევრებად.

თანამედროვე პედაგოგს სჭირდება ყურადღება მიაქციოს საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ პარადიგმებს, რათა იყოს კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო ბაზარზე. სპეციალისტები უკვე წერენ, რომ "მულტიკომპეტენტურობა და პოლიფუნქციონალურობა არის აუცილებელი პირობა იმისთვის, რომ პედაგოგმა ითანამშრომლოს თაობა Z-თან" [5]

ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე პედაგოგმა მუდმივად უნდა განავითაროს თავისი კომპეტენციები და შესაძლებლობები, შეეცადოს, იცოდეს ყველა ის ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროცესში. ამავე დროს, მოქნილად უნდა უპასუხოს სტუდენტთა ფსიქოლოგიურ მოთხოვნებს, გაითვალისწინოს მათი ღირებულებები, თავისებურებები და შესაძლებლობები.

ჯონ კოატსის [1] რეკომენდაციები პედაგოგებს:

- ✓ აუცილებელია სასწავლო პროცესის კარგად სტრუქტურირება. თანამედროვე სტუდენტებს სურთ, ზუსტად იცოდნენ, რა მოეთხოვებათ მათ და რა ვადებში;
- ✓ უკუკავშირის უზრუნველყოფა;
- ✓ გამოიყენეთ თქვენი დრო ეფექტურად. სწავლის დრო დაყავით 25-30 წუთიან პერიოდებად, რომელთაგან თითოეულში მოსწავლეები ერთხელ შეცვლიან აქტივობების ფორმებს;
- ✓ ინფორმაცია, რომელსაც თქვენ აწვდით, არ უნდა იყოს ჭარბი. ახალ თაობას "კონცენტრირებული" ცოდნა სურს;
- ✓ გახადეთ სასწავლო მასალა „ნათელი და თვალსაჩინო";
- ✓ ბრძნულად უხელმძღვანელე. მოსწავლეებს სურთ, რომ მასწავლებელი იყოს კვალიფიციური და ბრძენი ხელმძღვანელი და არა "ყველაფრის მცოდნე";
- ✓ გახსოვდეთ სიტყვიერი კომუნიკაციის მნიშვნელობა. გამოიყენეთ მეთოდები, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შორის სიტყვიერ კომუნიკაციას.

აქედან გამომდინარეობს, რომ სწავლების კლასიკური ფორმა: პედაგოგი ყვება - სტუდენტმა ისწავლა სახლში, შემდეგ ლექციაზე/სემინარზე ჩააბარა - კარგავს თავის აქტუალობას ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა და პირობების გამო. თაობა Z სტუდენტებისთვის სწავლების შემდეგი ფორმა უფრო ეფექტური და რელევანტური ხდება: პედაგოგი სვამს კითხვას, აყალიბებს ამოცანას - სტუდენტი ეძებს ლიტერატურაში (ხშირად ინტერნეტში) -ლექციაზე/სემინარზე ერთად განიხილავენ და პოულობენ პასუხს.

***საკვანძო სიტყვები*** *: თაობების თეორია, თაობა Z, ციფრული თაობა, ციფრული სწავლება, ციფრული განათლება*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Julie Coates (2006) Generational Learning Styles, LERN Books
2. https://vegas2011.at.ua/jazyk_telodvizhenij.pdf
3. Howe, N., Strauss, W. (1991) Generations: The History of America's Future,1584 to 2069. NewYork: William Morrow & Company.
4. European Commission (2016). New skills development program for Europe https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri= CELEX:52016DC0381
5. https://journals.vilniustech.lt/index.php/CS/article/view/7241

# საქართველოს მწვანე ეკონომიკური ზრდა

**ნინო კონცელიძე**
*დოქტორანტი, თსუ, ასისტენტი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მწვანე ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, არამედ ერთგვარ საჭიროებას, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების გადაჭრას ეკონომიკური ზრდის პარალელურად. ამ მიდგომის მიზანი გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაა, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გარემოზე ზემოქმედების შემცირებას და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას.

მწვანე ეკონომიკური ზრდის მთავარი პრინციპებია ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების დანერგვა. ენერგეტიკულ სექტორში მწვანე ზრდა გულისხმობს ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებას, როგორიცაა: ჰიდროენერგია, მზის და ქარის ენერგია, რაც საქართველოს ბუნებრივი პირობებისთვის ხელსაყრელია. პარალელურად, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება ყველა სექტორში აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის რესურსების ნაკლებად და ეფექტიანად ხარჯვისთვის. რესურსების განახლებადობას და ბიომრავალფეროვნების დაცვას. ნარჩენების მართვა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა მნიშვნელოვანია რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად. ეს მოიცავს ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიების განვითარებას და ბიზნესებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, რაც მათ წაახალისებს მიიღონ ეკოლოგიური გადაწყვეტილებები.

ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწვანე ეკონომიკური ზრდის განვითარებაში. ელექტრომობილების განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაძლიერება და ურბანული ინფრასტრუქტურის ეკოლოგიური მართვა ხელს შეუწყობს დაბინძურების შემცირებას და ხელსაყრელი ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. ამ ყველაფრის განსახორციელებლად, საქართველოს სჭირდება ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და მთავრობის მხარდაჭერა, ასევე - საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილოთ ამ პროცესში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე და ბიზნესსექტორის აქტიურ ჩართულობაზე, რადგან მხოლოდ საზოგადოების და ეკონომიკური აქტორების ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა. დასასრულს, მწვანე ეკონომიკური ზრდის მოდელი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური და ეკოლოგიური სტაბილურობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რაც ქვეყნისთვის არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს, არამედ გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობასაც.

***საკვანძო სიტყვები:*** *მწვანე ეკონომიკა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, მწვანე ინსვესტიციები, განახლებადი ენერგია.*

# შრომითი აქტივობის ზრდის ფონზე ქალთა მიერ საოჯახო საქმეებისა და დასაქმების შეთანაწყობის სტატისტიკური ტენდენციები საქართველოში

**ნინო აბესაძე**
*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*თბილისი, საქართველო*
**ნატალია რობიტაშვილი,**
*ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*
**ოთარ აბესაძე**
*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)*
*თბილისი, საქართველო*
**რუსუდან ქინქლაძე**
*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სულ უფრო აქტუალური ხდება ქალთა ეკონომიკური აქტიურობის გაზრდა. ეს დასტურდება საქართველოს შრომის ბაზარზე გამოვლენილი ტენდენციებით, რაც გენდერული ნიშნის მიხედვით ქვეყანაში გამოვლენილი როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ცვლილებების ფონზე ყალიბდება. ფაქტია, რომ გაზრდილია უმუშევრობა, გამწვავებულია გენდერული დისბალანსები, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ქალებისა და კაცების ხელფასების შესაბამისობისა და თანაფარდობის მაჩვენებლები, სახეზეა შრომითი დისკრიმინაცია, შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსები და ა. შ. მაგრამ ისიც რეალობაა, რომ საქართველოს შრომით ბაზარზე ქალთა შრომითი აქტივობა იზრდება, რაც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული. ეს დადებითი მოვლენაა და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმება დღეს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. ქალები უკვე ჩნდებიან ისეთ სამუშაო ადგილებზე, რაც ადრე წმინდა მამაკაცურ პროფესიებად ითვლებოდა. ამის პარალელურად, კორექტირდება შრომის ბაზრის კონიუნქტურა და ყალიბდება განსხვავებული საბაზრო სიტუაციები. შეიცვალა ქალის ფუნქციებიც და საოჯახო საქმეების გაძღოლის პარალელურად პრიორიტეტულ იქნა დასაქმება და საზოგადოებრივად აქტიურ გარემოში გადანაცვლება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ქალთა შრომითი აქტივობის ზრდის სტატისტიკური ტენდენციების გამოკვეთა საქართველოში და ქალების მიერ ეკონომიკური აქტივობის ფონზე საოჯახო საქმეების შეთანაწყობის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების შესაბამისი; სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. გარდა ამისა, ქალების მიერ დასაქმებისა და საოჯახო საქმეების გაძღოლის შეთანაწყობის შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევა დაეფუძნა Google Drive-ის ფორმატით ონლაინანკეტით ქალების გამოკითხვას და ჩაღრმავებულ ფიზიკურ პირდაპირ ინტერვიუირებას ფოკუს ჯგუფებში რეგიონულ ჭრილში.

კვლევის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, რომ 2010-2023 წლებში ქალთა დასაქმებაში შეინიშნებოდა ცვალებადი ტენდენციები. საშუალოდ 10 წლის განმავლობაში, პანდემიამდე დასაქმებულ ქალთა რაოდენობა ქვეყანაში იზრდებოდა ყოველწლიურად 1%-ით, მაგრამ პანდემიის გამო 2021 წლის მაჩვენებელი ჩამორჩება 2010 წლის დონესაც კი.

საკვლევ პერიოდში სამუშაო ძალის გარეთ ქალების რიცხვი ყოველწლიურად საშუალოდ 1%-ით მცირდებოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში სამუშაო ძალას გარეთ მყოფი ქალების რაოდენობა საშუალოდ 1%-ით მცირდებოდა. შემცირდა დაქირავებით დასაქმებულ ქალთა რაოდენობა. მცირდება თვითდასაქმებული ქალების რაოდენობაც. ყველაზე მაღალია ქალთა დასაქმების მაჩვენებლები განათლებაში, ჯანდაცვასა და პროფესიული საქმიანობებში. ზოგადად, გაიზარდა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა; მართალია, მცირედით, მაგრამ გაზრდილია მათი რიცხვი დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობებს შორისაც; სულ უფრო მეტი ქალი საქმდება სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობიაში, გრეთვე - ტექნიკოს-დამხმარე სპეციალისტებად და ა.შ. დინამიკაში შეინიშნება უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებულ ქალთა რიცხვის ზრდის ტენდენცია. დიფერენცირებულია შრომითი აქტივობის მაჩვენებლები ასაკობრივი ნიშნის მიხედვითაც. დისბალანსები ვლინდება შრომის ანაზღაურებაშიც.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ქალების უმრავლესობა ახამებს შრომის აქტივობასა და საოჯახო საქმეების გაძღოლას და რაც მთავარია, მათი აქტივობა პოზიტიურად აისახება ოჯახის ფინანსურ, შვილებზე ქალის აღმზრდელობითი როლისა და დადებითი ზეგავლენის გამოვლენაზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *გენდერული დისბალანსი, შრომის ბაზარი, საქმიანობის შეთანაწყობა, ანალიზი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბესაძე ნ., დასაქმების სტატისტიკა საქართველოში გენდერული სტერეოტიპების ფონზე (2017). თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, გვ. 19-25.
2. აბესაძე ნ., გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., ძებისაური ლ., (2022) დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნესსექტორში პანდემიური შოკების ფონზე. უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ-ს გამომცემლობა, გვ.17-28
3. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ქუცურუა ქ., (2021) პანდემიის პერიოდში სტუდენტების დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური კვლევა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ-ს გამომცემლობა, გვ.13-20.
4. გელაშვილი ს., აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., (2022) სტუდენტების მშობლების დასაქმებასა და უმუშევრობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური კვლევა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნვერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტში“ შრომების კრებული, ქუთაისი, 2022, გვ. 11-23

5. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., (2016). გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი.
6. სეფაშვილი ე., (2019) ქალები გლობალური ზრდისთვის: საჭიროება ქალთა ეკონომიკური აღმავლობისთვის. ჟურნალი. გლობალიზაცია და ბიზნესი.
7. Abesadze, N. (2017). Employment statistics in Georgia against the background of gender stereotypes. *The 2nd International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business.* (pp. 19-24). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.
8. Abesadze, N. M. (2021). Statistical survey of student employment and unemployment during the pandemic. *Collection Of Scientific Articles Of International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business",Ivane Javakhishvili Tbilisi State University* (p. 13). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.
9. Abesadze, N. P. (2018). Gender Aspects of Youth Employment in Georgia - ,. *Ecoforum Journal , volume 7* (1), 1-7.
10. Abesadze, N. R. (2019). Socio-Economic-Gender Disbalances In Georgia. *Globalization And Business , 7*, 143-147.
11. Gender discrimination in labor relationships (2014). Tbilisi. P.51. http://article42.ge/wp-content/uploads/2016/03/.pdf
12. Gorgadze, N. Gender education at the initial stage of general educational schools (2015). Tbilisi. P. 22
13. Charaia, V. P. (2021). Public Debt Increase Challenge Under COVID-19 Pandemic Economic Crisis in the Caucasian Countries. *Journal of Contemporary Issues in Business and Government , 27* (3), 18-27.
14. Chitaladze, K. (2016). General Unemployment Data in Georgia And The Statistical Analysis. *21st International Scientific Conference Economics and Management (ICEM 2016)*, (p. 278). Brno.
15. *geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Gender%20Statistics__Employment%20and%20Unemployment/04_Employed_and_Unemployed_Population_by_Age.px.* (2021).
16. *http://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Employment%20and%20Unemployment.* (2022, 01 27). Retrieved from www.geostat.ge.
17. *http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=en.* (2022, 01 27). Retrieved from www.geostat.ge.
18. *https://www.geostat.ge/en/modules/categories/663/wages.* (n.d.).
19. Sepashvili , E.,(2019) Gender dimension of economic decision-making: Women on top management. Journal Economia Aziendale Online-. Volume 10, Issue 2 pp. 385-399
20. Sepashvili , E., (2012) Economic Aspects of Gender Discrimination in the Georgian Labour Market: Myths and Realities. Regional Competence-Building for Think-Tanks in the South Caucasus and Central Asia, Norwegian Institute of International Affairs (NUPI)

# GIG ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

**ნინო გრიგოლაია**

*ეკონომიკის დოქტორი, ალტე უნივერსიტეტის პროფესორი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშების მიხედვით, გლობალური შრომის ბაზრის დაახლოებით 12% გიგ ეკონომიკაშია, ხოლო 2027 წლისთვის ვარაუდობენ, რომ აშშ-ის სამუშაო ძალის დაახლოებით 50% ნაწილობრივ ან სრულად იქნება დასაქმებული ამ სექტორში [2; 3]. გიგ ეკონომიკის როლის ზრდასთან ერთად, იზრდება ამ სექტორის დეტალური შესწავლის საჭიროება შესაძლო პრობლემების თავიდან ასაცილებლად და ძირითადი ტენდენციების გამოვლენის მიზნით.

ზოგადად გიგ ეკონომიკა მოიცავს მუშაკთა დასაქმების ორგანიზაციის სისტემებს, რომლებიც განსხვავებულია დასაქმების ტრადიციული ფორმებისგან. საქმე იმაშია, რომ დასაქმება სულ უფრო და უფრო ემსგავსება მუსიკალურ დაწესებულებაში გამოსვლას მუშაობის გაგრძელების გარანტიის გარეშე, მაგრამ შემდგომში - დასაქმების დამოუკიდებელი არჩევანის შესაძლებლობით.

ვიწრო გაგებით, გიგ ეკონომიკა არის თავისუფალი ბაზრის სისტემა, რომელიც შედგება დამოუკიდებელი მუშაკებისა და ფრილანსერებისგან, რომლებიც ასრულებენ დროებით, მოქნილ სამუშაოს [2]. გიგ ეკონომიკის მუშაკთა მთავარი სამი პრიორიტეტი, რომლებმაც ისინი ირჩევენ ნებაყოფლობით, არის დროის დახარჯვა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ამოცანებისთვის, თვითდასაქმება და უფრო მოქნილი სრულ განაკვეთზე მუშაობის პირად საჭიროებებზე მორგება. შედეგად, მკვლევრები აღნიშნავენ ბედნიერების და კმაყოფილების მაღალ დონეს, ვიდრე ტრადიციულ სრულ განაკვეთზე მომუშავე ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ შტატგარეშე მუშაკები ხშირად მუშაობენ კვირაში 45 ან თუნდაც 60 საათზე მეტს და უხდიან ოდნავ მეტ ხელფასს [3]. გიგ მუშაკთა 38% 18- დან 34 წლამდე ასაკისაა. ახალგაზრდებს იზიდავთ ასეთი მუშაობა, რადგან ეს საშუალებას აძლევს მათ, მიიღონ შემოსავალი, შეიძინონ ახალი უნარები და მოქნილად დააკავშირონ მუშაობა სასწავლო ან სხვა აქტივობებთან [4].

დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მოქალაქეებისთვის ციფრულ პლატფორმებზე მუშაობა შეიძლება იყოს დამატებითი გამოსავალი სიღარიბიდან: განვითარებად ქვეყნებში ამ სექტორის მუშაკებზე მოთხოვნა ბევრად უფრო სწრაფად იზრდება. აფრიკის ქვეყნებში, მსხვილ ციფრულ პლატფორმაზე სამუშაო ადგილების რაოდენობა 130%-ით გაიზარდა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში - მხოლოდ 14%-ით. მთლიანად მსოფლიოში, დროებითი სამუშაო პლატფორმებზე ტრაფიკის 40% მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებიდან [5].

გიგ ეკონომიკას შეუძლია გადაჭრას ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემა, გაზარდოს ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე, გაზარდოს ეკონომიკის ინკლუზიურობა და გააუმჯობესოს მთელი საზოგადოების კეთილდღეობა [5]. ამ სექტორს შეუძლია, მეწარმეებს, სტარტაპერებს და მცირე ბიზნესს შესთავაზოს მოქნილობა ტალანტების დაქირავებაში, რაც წარმოადგენს ზრდის, განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის გასაღებს.

თუმცა, შესაძლებლობების გარდა, გიგ ეკონომიკას აქვს თავისი უარყოფითი შედეგებიც. არაფორმალური მუშაკების უმეტესობა დაუცველია, აქვს არასტაბილური შემოსავალი, არ აქვს მკაფიო კარიერული ზრდის შესაძლებლობა და არ არსებობს არანაირი სოციალური გარანტია, ასევე არ არის დაცული თაღლითობისგან. პრობლემაა, ასევე, ამ ტიპის მუშაკების უსაფრთხოებისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა. ფრილანსერების 44%-ისთვის გიგ ეკონომიკაში მუშაობა მათი შემოსავლის მთავარი წყაროა [6]. ლოკალური სამუშაო პლატფორმები მნიშვნელოვან როლს

თამაშობს ადგილობრივ შრომის ბაზრებზე, მაგრამ აწყდება სიცოცხლისუნარიანი ბიზნესმოდე-ლების შექმნისა და გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობის პრობლემებს. გარდა ამისა, რჩება მნიშვნელოვანი განსხვავება ანაზღაურებაში: მსხვილ ონლაინპლატფორმებზე, ქალების საშუალო ხელფასი შეიძლება იყოს მამაკაცების ხელფასის მხოლოდ 68 პროცენტი [4].

ციფრული პლატფორმების გამოყენებით არაფორმალურმა მუშაობამ შეიძლება, ხელი შეუწ-ყოს ინკლუზიას ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის და დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკე-ბისთვის დასაქმების შესაძლებლობის მინიჭებით, მაგრამ ამ სექტორის რეგულირება აუცილე-ბელია ეფექტური სისტემის ასაშენებლად. განვითარებად ქვეყნებში არაფორმალური მუშაკების უმეტესობის მსგავსად, გიგ მუშაკები ხშირად შრომის კანონმდებლობის ფარგლებს გარეთ არიან, ამიტომ მთავრობებმა უნდა იმუშაონ ციფრულ პლატფორმებთან, რათა მხარი დაუჭირონ ფრი-ლანსერებს და გააუმჯობესონ სოციალური დაზღვევის მოდელები. ეროვნულ ციფრულ პლატფორ-მებს შეუძლი, ხელი შეუწყოს არაფორმალური მუშაკების ცნობიერების ამაღლებას და სოციალური დაზღვევის გაფართოების მცდელობებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გიგების ეკონომიკის რაოდენობრივი გავლენა შეიძლება იყოს შედარებით მცირე, მას აქვს პოტენციალი, შეიტანოს უზარმაზარი ხარისხობრივი ცვლილებები სამომავლოდ მუშაობის ორგანიზებაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ შრომითი საქმიანობის ამ ფორმის საგადასახადო რეგულირება ხშირად ძალიან რთულია მრავალი ფაქტორის გამო. თვითდასაქმებულების ნაწილი იყენებენ სხვადასხვა ციფრულ პლატფორმას, რომლებიც მოქმედებს როგორც შუამავლები, რომლებიც ეხმარებიან შეკვეთების მოძიებაში. თუმცა, მთლიანად ეკონომიკისთვის ასეთი ციფრული პლატ-ფორმები ბიუჯეტში გადასახადების მიღების რისკს ზრდის. ამიტომ აუცილებელია თვითდასაქმე-ბის ანალიზი სხვადასხვა კუთხით, გიგ ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების ახალი ვარიანტე-ბის ჩამოყალიბება, სადაც გათალისწინებული იქნება მათი სპეციფიკური საჭიროებები და შესა-ბამისობა თანამედროვე ციფრულ ეკონომიკასთან. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, გავითვალისწი-ნოთ გიგ ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, ვინაიდან ეს სექტორი გააგრძელებს ზრდას მომდევნო წლებში, წარმოქმნის ახალ გამოწვევებს და საგადასახადო რეგულირების შესაძლებ-ლობებს. დასაქმების ახალი ფორმების გაჩენა, როგორიცაა ციფრულ პლატფორმაზე მუშაობა, მოითხოვს მათ საგადასახადო რეგულირებას. ფირმებს შეუძლიათ ფულის დაზოგვა იმ მუშაკების დაქირავებით, რომლებიც ირჩევენ დასაქმების არასტანდარტულ ფორმებს. თუმცა, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც ბიუჯეტს, ასევე დასაქმებულთა სოციალურ დაცვას. საგადასახადო და შეღავათების სისტემები ისე უნდა რეფორმირდეს, რომ არ მოხდეს თვითდასაქმებულების დასაქ-მება მხოლოდ გადასახადების დაზოგვის მიზნით [1].

***საკვანძო სიტყვები:*** *გიგ ეკონომიკა, ციფრული პლატფორმები, ფრილანსერები, შრომითი ხელშეკრულებები, საგადასახადო რეგულირება*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გრიგოლაია ნ., გიგ ეკონომიკა და საგადასახდო დაბეგვრის პრობლემები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თბ., 2023.
2. Working Without Borders: The Promise and Peril of Online Gig Work / The World Bank [ელექტრონუ-ლი რესურსი]. https://www.worldbank.org/en/topic/jobsanddevelopment/ publication/online-gig-work-enabled-bydigital-platforms

3. Gig economy: Number of freelancers in the U.S. 2017–2028 / Statista Research Department [ელექტრო-ნული რესურსი]https://www.statista.com/statistics/921593/gig-economy-number-of-freelancers-us/
4. Law, T. J. The ultimate guide to the gig economy and how to get started in 2021 / T. J. Law [ელექტ-რონული რესურსი]https://www.oberlo.com/blog/what-is-the-gig-economy.
6. Maciej Duszynski Gig Economy: Definition, Statistics & Trends / Maciej Duszynski [ელექტრონული რე-სურსი] https://zety.com/blog/gig-economy-statistics.
7. Woodcock, Jamie The Impact of the Gig Economy / J. Woodcock [ელექტრონული რესურ-სი].https://www.bbvaopen-mind.com/en/articles/the-impact-of-the-gig-economy/.

# ევროკავშირის საჯარო–კერძო პარტნიორობა და საქართველოსთვის მისი გაზიარების მნიშვნელობა

**რამაზ ფუტკარაძე**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მსოფლიოში ბოლო 30 წლის განმავლობაში საჯარო-კერძო პარტნიორობა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა სახის ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და დასაფინანსებლად. მსგავს თანამშრომლობას ევრკავშირის წევრ ქვეყნებში (და არა მარტო) დიდი პერსპექტივა აქვს. უფრო და უფრო მეტი პროექტი ფინანსდება.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაციის ფარგლებში ძლიერდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთობათა აქტივიზაციის ტენდენცია სახელმწიფო საკუთრებაში კერძო კაპიტალის შეღწევის მიმართულებით. იმავდროულად, იცვლება სახელმწიფოს ფუნქციები და ქვეყნის შიგნით ეკონომიკის ცალკეული სფეროების განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიზნესის თანამშრომლობა.

უკანასკნელ ათწლეულებში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში აქტიურად ვითარდება სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების სრულიად განსაკუთრებული ხარისხი, რომელიც იწოდება საჯარო-კერძო პარტნიორობად (სკპ).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სკპ-ის მნიშვნელობა ფართოდ არის აღიარებული, რაც აისახება მათ საბიუჯეტო ასიგნებებში, კანონმდებლობასა და შესაბამის პროგრამებში. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ინოვაციური განვითარების თანამედროვე სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციისას, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამძღვრების შექმნას სკპ-ის ისეთი პროექტების ფორმირებისთვის, რომლებიც სხვადასხვა კომბინაციაში აერთიანებენ კერძო სამრეწველო კომპანიებს, უნივერსიტეტებს, სამთავრობო უწყებებს და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებს კონკრეტული სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგების მისაღწევად. თავის მხრივ ბიზნესის მონაწილეობას სახელმწიფოსთან ერთობლივ ინფრასტრუქტურულ პროექტებში კარგი შედეგები მოაქვს, კერძოდ, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას და პროექტების წარმატებულ რეალიზაციას.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სკპ კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად არის აღიარებული. სკპ-ის მნიშვნელობის მიუხედავად, მისი დანერგვა ჩვენს ქვეყანაში ნელა მიმდინარეობს. სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლის რიგი მეთოდოლოგიური საკითხების გადაუწყვეტლობა, ასეთი პარტნიორობის სათანადო გამოცდილების არარსებობა, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განუვითარებლობა, ბიუროკრატიული დაბრკოლებები აფერხებს სკპ-ის დანერგვას საქართველოში, რაც განაპირობებს მოცემული პრობლემატიკის კვლევის აქტუალობას.

ევროკავშირის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია და სხვ) საჯარო-კერძო პარტნიორობას მრავალი წელია, იყენებენ და სულ უფრო აქტიურად. შედეგად, ასეთი პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

საქართველოში კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ მიღებულია 2018 წლის 4 მაისს. მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. აღნიშნული კანონი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე - საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მუხლი 1). მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო შეიქმნა "საჯარო და კერძო თანამშრომლობის" შესახებ კანონის საფუძველზე, ხოლო ფუნქციონირება 2019 წლის თებერვლიდან დაიწყო.

კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, საჯარო და კერძო თანამშრომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) გრძელვადიანობა – საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, მაგრამ არანაკლებ 5 წლით; ბ) ღირებულება – 2020 წლის 1 ივლისამდე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით; გ) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა; დ) საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება; ე) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

2003 წლის 7 მაისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა შიდა ბაზრის სტრატეგია, რომელიც ხაზს უსვამს საჭიროებას, PPP-თან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გარკვევას. 2008 წლის 16 სექტემბერი EIB და კომისიამ გახსნეს ევროპის PPP ექსპერტიზის ცენტრი (EPEC), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკპ-ის განვითარებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

მსოფლიო ბანკის შეფასებით (Benchmarking Infrastructure Development 2023 ), საქართველოს კარგი შედეგი აქვს საჯარო-კერძო თანამშრომლობის შეფასების კომპონენტებში: (PPP პროექტის მომზადება, PPP პროექტის შესყიდვა, PPP კონტრაქტის მენეჯმენტი და საინიციატივო შეთავაზება (USP)). აქედან ყველაზე მაღალი შეფასება, 83 ქულა, კერძო პარტნიორის მიერ ინიცირებულ PPP-ში (USP) მიიღო. დანარჩენ სამ კომპონენტში შეფასებები ასეთია: PPP პროექტის მომზადება - 65 ქულა, პროექტის შესყიდვა -74 და კონტრაქტის მენეჯმენტი - 79 ქულა. ხაზგასასმელია, რომ მსოფლიო და რეგიონულ, ასევე, იდენტური შემოსავლების (ამ შემთხვევაში საშუალო მაღალი შემოსავლების) მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ოთხივე მიმართულებით საქართველოს ქულები გაცილებით მაღალია.

ამრიგად საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ევროკავშირთან დაახლოებას.

***საკვანძო სიტყვები:*** *საჯარო–კერძო პარტნიორობა, საერთაშორისო ეკონომიკა, გლობალიზაცია, ევროკავშირი, საქართველო.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Asian Development Bank. (2022). (ADB) Public-Private Partnership Handbook. Chrome extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ieg.worldbankgroup.org/sites/default/files/Data/reports/chapters/ppp_chap1_0.pdf
2. EPRS | European Parliamentary Research Service. (2017). Public-private partnerships in research.
3. European Commission (2009) Communication on: Mobilising private and public investment for recover and long term structural change : developing Public Private Partnerships.
4. European Commission. (2003). Guidelines for Successful Public–Private Partnerships. Brussels. Available: http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/guides/ ppp_en.pdf
5. European Public Private Partnership Expertise Centre (2019) Market Update: Review of the European PPP Market in 2018
6. Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: His- torical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
7. Putkaradze R. Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal Nr 107. Poland. 2015.
8. Putkaradze R. Perspectives of Georgia-European Union trade relacions. Istanbul international annual conference on the economic cooperation and development within the black sea basin Countries. Donetsk Nacional University. Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck. 2010.
9. Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Universali, Tbilisi. (In Georgian).
10. Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
11. Putkaradze, R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
12. World Bank. (2023). Introduction to Public-Private Partnerships.
13. World Bank. http://rru.worldbank.org/PapersLinks
14. საქართველოში კანონი ,,საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“.

# თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევები და საქართველოს ადგილი ახალ წესრიგში

**რუსუდან სირბილაძე**
*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
*ივანე ჯავახიშვლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ბოლო სამი წლის განმავლობაში უდიდესი ზიანი მიადგა მსოფლიო ეკონომიკას, ამის მიზეზები მრავალჯერ განხილულა სამეცნიერო კონფერენციებზე, მსოფლიო ეკონომიკურ წრეებში და თითქოს ციფრებითაც ცნობილია ზარალის ოდენობა. მრავალჯერ მოგვიწია შევხებოდით ამ საკითხებს, თუმცა სრული სურათი იმის შესახებ რა ხელის შემშლელი ფაქტორები იკვეთება ბოლო წლებში იმისთვის, რომ ზუსტად განისაზღვროს გლობალიზაციის შემაფერხებელი პროცესები არ არის გამოკვეთილი, ან როგორ შეიძლება თანამედროვე ციფრულ მსოფლიოში გაუმჯობესდეს ბაზრებზე წვდომა და ამაში აქტიურად მონაწილეობდნენ ის ფირმები და საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ამას საჭიროებენ. თავისთავად გლობალიზაცია უნდა გულისხმობდეს სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკურ დონეებში არსებული განხვავებების დაძლევას. ამ თვალსაზრისით განვითარება არ შეინიშნება, ისევე როგორც ურთულესია მდგრადი ზრდის ხელშესახები ნიშნების ხილვა. ყოველივე ეს უკავშირდება სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ დონეებში დიდ სხვაობას. დიფერენცირებულობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყნები ეკონომიკური განვითარების მიხედვით სრულიად განსხვავდებიან. ასევე შეინიშნება სხვაობა ერთი და იმავე ქვეყანაში სიმდიდრის დონეებში, შემოსავლების დონეებში და შესამაბამისად, ცხოვრების დონეებიც მთლიანად განსხვავებულია. ყოველივე ეს არ იქნებოდა ასე მნიშვნელოვანი, რომ არა ის კვლევები, რომლებიც ზუსტ სურათს გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორი სტრატეგია უნდა აირჩიონ ქვეყნებმა, რომ ამ მიმართულებით მიაღწიონ განსაკუთრებულ პროგრესს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც არსებობს მსოფლიო პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესის გარკვეულ ასპექტებს, მისი თანამედროვე ფორმით, კერძოდ, გლობალური ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სავაჭრო-სახელმწიფო ორგანიზაციების დომინირებას, ეს ანტიგლობალიზმია. გლობალიზაციის დომინირება ისედაც რთულია იმ ფონზე, როდესაც მსოფლიომ გამოიარა კორონომიკა, საშინელი დამანგრეველი და გამანადგურებელი ომი მიმდინარეობს უკრაინაში რუსეთის მიერ. დანგრეულია ქალაქები, სოფლები, მოსახლეობა, ეკონომიკა 21-ე საუკუნეში, რამაც ასევე დამანგრევლად იმოქმედა მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე მსოფლიოში. თავის მხრივ გლობალიზაცია გულისხმობს ყველა იმ სფეროს განვითარებას, როგორიცაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, კულტურული. სპორტული, საერთაორისო და ა.შ თემების განვითარება, თუმცა დღევანდელ პირობებში, მაშინ როცა სრულიად გაუარესებულია საერთაშორისო სტრუქტრებთან ურთიერთობები და გაუმჯობესების არანაირი ნიშან-წყალიც კი არ ჩანს, ურთულესია რაიმე განვითარებაზე, მდგრადობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი, მაშინ, როცა არც სტრატეგია და არც ტაქტიკა არ არსებობს მსოფლიო საზოგადოებასთან ინტეგრაციის. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესების სწორად დალაგება და მართვა საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების სრულყოფით. იმ ფონზე, როდესაც ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს რუსეთი უკრაინაში და როცა ეს ქვეყნები საქართველოს პარტნიორებია, როგორც ექსპორტში, ასევე - იმპორტში, 2022 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში საქართველოდან ექსპორტი რუსეთში შეადგენდა 521,102,1 ათას აშშ დოლარს, ხოლო უკრაინაში -

213,354,6 ათას აშშ დოლარს. 2023 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში რუსეთში ექსპორტი შეადგენდა 558,956,0 ათას აშშ დოლარს, ხოლო - უკრაინაში 83,676,1 ათას აშშ დოლარს. რაც შეეხება იმპორტს 2022 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში რუსეთიდან იმპორტირებულია 1 416 006,8 ათასი აშშ დოლარის საქონელი, ხოლო უკრაინიდან იგივე მაჩვენებელი არ იძებნება. რაც შეეხება 2023 წლის იანვარ-ოქტომბერს რუსეთიდან იმპორტირებულია 1 481 234,3 ათასი აშშ დოლარის საქონელი. რასაკვირველია, ეს კარგად დაეტყო საქართველოს ეკონომიკასაც. ბოლო ათწლეულში ცხოვრების დონე 60%-ით შემცირდა, სურსათის ფასებმა მოიმატა 90%-ით, ახალგაზრდების 50%-ზე მეტი უმუშევარია, საქართველო დატოვა 100 000-ზე მეტმა ადამიანმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე აქვს პრეტენზია, არანაირად არ არის შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, მაშინ, როდესაც რომელიღაც სფეროში ეკონომიკური ზრდაა და სხვაში დესტაბილიზაცია, ამ დროს სიღარიბის დაძლევა და პროგრესის მიღწევა შეუძლებელი ხდება და სიმდიდრის დაგროვება მხოლოდ რამდენიმე ასეულ ოჯახს შეუძლია, სხვები ინარჩუნებენ საშუალო და დაბალ დონეებს, ამის საფუძველს იძლევა შემოსავლებში ასეთივე უთანასწორობა. ეს პროცესი საფუძველშივე კლავს განვითარების, მდგრადობის და ეკონომიკური ზრდის საკითხს.

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ხელოვნურ ინტელექტს აქვს განვითარების ძალზე დიდი პოტენციალი. ყოველდღიურად სწრაფად ცვალებად გარემოში ტექნოლოგიური ინოვაციების პრაქტიკაში დანერგვა ნებისმიერი სფეროსთვის იქნება მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი. საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კვალდაკვალ ტექნოლოგიური სიახლეები და შესაძლებლობები აღნიშნული თვალსაზრისით ქმნის ახალ მიმართულებებს ბიზნესში და შესაბამისად, ჩვენს პროფესიებში. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით; გავაანალიზოთ საზოგადოების მოლოდინები მანქანური სწავლებასა და ხელოვნური ინტელექტის მომავალთან დაკავშირებით; გამოვავლინოთ, თუ რა ზეგავლენა ექნება მანქანურ სწავლებას და ხელოვნურ ინტელექტს კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ბიზნესპროცესებსა და საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარდამტეხ როლს ასრულებს და პოზიტიურად ზემოქმედებს ორგანიზაციაზე, მისი მასშტაბისა და მიმართულების მიუხედავად. დაგეგმვის, წარმოების, ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პოზიტიურად ზემოქმედებს ორგანიზაციის ქმედითუნარიანობაზე. აუმჯობესებს მის კონკურენტუნარიანობას და ეფექტიანობას. თანამედროვე კომპანიებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რისკების მართვა ამა თუ იმ საკითხთა ანალიზისთვის აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, რაშიც მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრება ხელოვნური ინტელექტის ჩართულობას. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას და მდგრად განვითარებას.

***საკვანძო სიტყვები:*** *ადამიანური კაპიტალი, ხელოვნური ინტელექტი (AI), ინოვაციური ეკონომიკა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), მდგრადი ეკონომიკური განვითარება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Abuselidze, G., & Mamaladze, L. (2021). The impact of artificial intelligence on employment before and during pandemic: A comparative analysis. *Journal of Physics: Conference Series*, 1840, 012040.
2. Brynjolfsson, E., & Mcafee, A. (2017). Artificial intelligence, for real. *Harvard business review*, *1*, 1-31.
3. Chatterjee, S., Nguyen, B., Ghosh, S. K., Bhattacharjee, K. K., & Chaudhuri, S. (2020). Adoption of artificial intelligence integrated CRM system: an empirical study of Indian organizations. *The Bottom Line*, *33*(4), 359-375.
4. Ertel, W. (2018). *Introduction to artificial intelligence*. Springer.
5. Garnham, A. (2017). *Artificial intelligence: An introduction*. Routledge.
6. Holzinger, A., Langs, G., Denk, H., Zatloukal, K., & Müller, H. (2019). Causability and explainability of artificial intelligence in medicine. *Wiley Interdisciplinary Reviews: Data Mining and Knowledge Discovery*, *9*(4), e1312.
7. Jackson, P. C. (2019). *Introduction to artificial intelligence*. Courier Dover Publications.
8. Kumar, P., Sharma, S. K., & Dutot, V. (2023). Artificial intelligence (AI)-enabled CRM capability in healthcare: The impact on service innovation. *International Journal of Information Management*, *69*, 102598.
9. Ledro, C., Nosella, A., & Dalla Pozza, I. (2023). Integration of AI in CRM: Challenges and guidelines. *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, *9*(4), 100151.
10. Nilsson, N. J. (1982). *Principles of artificial intelligence*. Springer Science & Business Media.
11. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2023). Impact of Economic Crime on The Sustainable Development of The State. *Three Seas Economic Journal*, *4*(1), 10-17.
12. Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., & Zoidze, G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. *Entrepreneurship*, *10*(2), 22-32.
13. Winston, P. H. (1984). *Artificial intelligence*. Addison-Wesley Longman Publishing Co., Inc.
14. Zoidze, G. (2023). Strategic directions of balanced economic growth of entrepreneurial entities. *Journal of Innovations and Sustainability*, *7*(1), 1-22.

# საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში

**ნათია კახნიაშვილი**

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტი პროფესორი*

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო*

**ხათუნა ბარბაქაძე**

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

*ასოცირებული პროფესორი*

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო*

**ნატო კაკაშვილი**

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

*ასოცირებული პროფესორი*

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო,*

Nato.kakashvili@tsu.ge

**აბსტრაქტი**

საპენსიო პოლიტიკა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომელიც უკავშირდება მოსახლეობის დაბერების პროცესს, ზრდის მოთხოვნას საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტურ განხორციელებაზე. საპენსიო სისტემების სტაბილურობა და ეფექტიანობა ნებისმიერი საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის ინფრასტრუქტურის გადამწყვეტი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს პენსიონერთა ფინანსურ მხარდაჭერას და მათ კეთილდღეობას ხანდაზმულ ასაკში. თუმცა, ეს სისტემები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან დემოგრაფიული ცვლილებების, ეკონომიკური რყევების და საზოგადოების მოლოდინების ცვლილების კვალდაკვალ. ხშირად, ტრადიციული საპენსიო სისტემებს არ შეუძლია პენსიონერთა საჭიროებების სრულად უზრუნველყოფა და მრავალ ქვეყანაში არსებული საპენსიო სქემები განიცდის მნიშვნელოვან რყევებს, რაც საფრთხეს უქმნის მათ შესაძლებლობას, შეასრულონ დასახული მიზანი მომავალში. შესაბამისად, საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება სულ უფრო აქტუალური ხდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებს სჭირდებათ მეტად ამბიციური რეფორმების გატარება, რომლებიც მიზნად ისახავს საპენსიო სისტემების ეფექტიან მოდერნიზაციას.

საპენსიო სისტემის რეფორმა გულისხმობს მთავრობის ან დამსაქმებლის მიერ საპენსიო შეღავათების მარეგულირებელ სტრუქტურაში, პოლიტიკასა და რეგულაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის პროცესს. წარმატებული რეფორმები ხშირად მოითხოვს ღრმა ანალიზს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და საკანონმდებლო მოქმედებას ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებისთვის.

საქართველოს საპენსიო სისტემამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში რეფორმების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქვეყანაში განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციები, რასაც თან ახლდა დემოგრაფიული დაბე-

რება და შრომის ბაზრის დინამიკის ცვლილებები. ამ ცვლილებებმა ხაზი გაუსვა საპენსიო სისტემაში რეფორმების გატარების აუცილებლობას.

საპენსიო სისტემას თან ახლავს რიგი გამოწვევები. მათ შორის უპირველესი არის მოსახლეობის დაბერების დემოგრაფიული ტენდენცია შობადობის კლებასთან ერთად, რაც მნიშვნელოვან საფრთხეებს უქმნის საპენსიო სისტემის მდგრადობას. ასევე, მზარდი არაფორმალური შრომის ბაზარი და უმუშევრობის მაღალი დონე წარმოადგენს დამატებით დაბრკოლებებს, რაც საფრთხეს უქმნის მომავალი პენსიონერებისთვის საპენსიო შეღავათების გრძელვადიან სტაბილურობას. ამგვარი ფისკალური გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ინოვაციური პოლიტიკის დანერგვას, რომელიც დააბალანსებს მოქალაქეებისთვის ადეკვატურ საპენსიო შემოსავლებს.

საპენსიო სისტემის რეფორმა მოითხოვს მთავრობისა და საზოგადოების ერთობლივ მონაწილეობას. მთავრობამ უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა და მენეჯმენტი, შექმნას საპენსიო სისტემის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის მექანიზმი. საპენსიო სისტემის რეფორმა არის კომპლექსური. სხვადასხვა ქვეყანას აქვს ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონე, დემოგრაფიული სტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და ა.შ.

***საკვანძო სიტყვები:*** *საპენსიო სისტემა, რეფორმა, ეფექტიანობა, რისკები, მოდერნიზაცია.*

# პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების შედეგიანობა[1]

**ეკატერინე შაინიძე**
*ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**იამზე სურმანიძე**
*ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*
**თამილა თურმანიძე**
*ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*
**თამარი ფოლადაშვილი**
*ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*
**ტარიელ გიორგაძე**
*ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ბათუმი, საქართველო*

***აბსტრაქტი***

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსება სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში. ამ მხრივ საინტერესო სურათია საქართველოში, ვინაიდან არსებობს პრიორიტეტული დარგები, რაც სტუდენტებს განათლების უფასოდ მიღების საშუალებას აძლევს.

ჩვენი კვლევის მიზანია პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამათა დაფინანსების ეფექტიანობის შეფასება. მოცემული კვლევის ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე განსაზღვრულია, თუ რა გავლენა მოახდინა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დაფინანსებამ აბიტურიენტთა მოთხოვნაზე, როგორია აღნიშნულ პროგრამებზე მიღებული განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების თავსებადობა, რა პერსპექტივები აქვს ამ სპეციალობებს როგორც დასაქმების, ისე წარმატებული კარიერის შექმნის მხრივ.

მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების ქვეყნის საჭიროებებთან და გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიდგომები გადაიხედოს ყოველწლიურად წინასწარ შერჩეული მკაფიო კრიტერიუმების (ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა, სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ქვეყნის გამოწვევებთან და სხვა) შესაბამისად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გაითვალისწინონ შრომის ბაზ-

[1] შესრულებულია ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში.

რის მოთხოვნები შესაბამისი კვლევების საფუძველი. ამასთან, ყოველწლიურად მისაღები კონტინ-გენტი განისაზღვროს არა მექანიკურად, არამედ გამოცდილებისა და პერსპექტივის შეფასების საფუძველზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *განათლება, პრიორიტეტული პროგრამები, შრომის ბაზარი*

# ANTI-MONEY LAUNDERING AS A FACTOR IN INTERNATIONAL RELATIONS AND PUBLIC COMMUNICATIONS

**Vitaliy Serzhanov**
*DSc (Economics), Associate Professor*
*Faculty of Economics Uzhhorod National University*
*Uzhhorod, Ukraine*
**Fedir Abramov**
*PhD (Economics), Associate Professor*
*Department of General Economic Theory National Technical University*
*"Kharkiv Polytechnic Institute", Kharkiv, Ukraine*
**Nataliia Volosnikova**
*PhD (Economics), Associate Professor*
*Department of General Economic Theory National Technical University*
*"Kharkiv Polytechnic Institute", Kharkiv, Ukraine*

**Abstract**

In today's world, combating money laundering has become one of the key factors in international relations and public communications. As a result, countries that do not pay enough attention to this problem risk facing serious sanctions from partner countries and international organizations and find themselves in international isolation. The similar unanimity of most countries of the world regarding the need to combat money laundering creates favorable conditions for overcoming this problem. However, success in achieving the goal largely depends on the effectiveness of the measures used by countries to combat money laundering. Unfortunately, today the most common measure to combat money laundering remains the use of a financial monitoring system, which is not only characterized by low efficiency, but can also lead to the emergence of a number of other negative phenomena [1-5].

The main reason for the mentioned shortcomings of the financial monitoring system is the high level of transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring, caused mainly by the risk of errors during the assessment of the dubiousness of financial transactions. The first type of such errors consists in mistakenly classifying a dubious financial transaction as safe. The second type of possible mistakes, on the contrary, consists in assigning completely safe financial transactions to the category of dubious ones. It is the last type of error that is responsible for the increase in the level of transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring [6]. Provided that effective and efficient formal rules for financial monitoring and financial investigations are adopted, as well as the presence of clear and transparent criteria for the dubious nature of financial transactions, one can hope that: firstly, the number of such errors will be a small percentage of the total number of financial transactions, and secondly, officials of the primary level of financial monitoring will make both types of errors with equal probability. That is, the negative consequences of the introduction of the financial monitoring system will be minimal.

The opposite situation will be observed in the case when the country, in the eyes of other partner countries, has a reputation (whether deserved or not) of a country that does not pay enough attention to the fight against money laundering. In this case, the country may be under pressure of varying degrees, from constant reminders of the need and importance of the corresponding struggle to the slowing down of integration processes or the imposition of direct sanctions. The latter will inevitably create pressure on officials of the primary link of the financial monitoring system. This pressure will increase even more if the country depends on financial support from partner countries. In this case, the fear of not receiving financial

assistance from partner countries due to the lack of expected formal indicators of combating dirty money laundering may prompt local authorities to intensify the corresponding "fight". And since the main formal signs of an active fight against money laundering are the number of detected dubious financial transactions, the "intensification" of the fight against money laundering will mainly consist in the establishment of target performance indicators for officials of the primary level of financial monitoring, an increase in the number of checks and strengthening of responsibility of the officials for not identifying dubious financial transactions.

In both cases, conditions will be created under which the responsibility of the officials of the primary level of financial monitoring for mistakenly classifying a financial transaction as dubious will be significantly less than for not detecting a real dubious transaction. Therefore, in an attempt to reduce the risk of imposing fines, the officials of the primary level of financial monitoring, in the presence of any doubts, will try to classify the corresponding financial transaction as dubious transactions. The latter will lead to an inevitable increase in the number of errors of the second type and, accordingly, an increase in the level of transaction costs associated with going through bureaucratic procedures of financial monitoring. At the same time, an increase in the level of relevant costs will be observed both for persons involved in the process of laundering dirty money and for persons who have nothing to do with it. The consequence of this will be the strengthening of all those negative consequences of the application of the financial monitoring system, which are based on the desire of clients to minimize the level of their own transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring.

The risk of these negative consequences may increase due to the danger of a positive feedback loop between the expectations of the partner countries of the fight against money laundering. The false perception of foreign partners about the country as a country that does not fight dirty money laundering creates pressure on local authorities to adopt ineffective formal financial monitoring rules. This, in turn, leads to an increase in the level of transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring and, as a result, to an increase in the number of persons trying to escape from the control of the financial monitoring system by developing new control avoidance schemes. As a result, the chances of persons involved in the process of laundering dirty money to remain unnoticed increase significantly and the real situation with combating dirty money laundering significantly worsens. The latter convinces foreign partners even more of their correctness and further increases the pressure on the local authorities. The consequence of this is the negative dynamics of the effectiveness of the formal rules of financial monitoring and financial investigations and the aggravation of related problems.

For a country faced with a similar problem, the only possibility to break the positive feedback loop discussed above is to refuse to use the financial monitoring system and use other more effective anti-money laundering measures [7]. However, as mentioned earlier, in the modern world, in most economically developed countries, public sentiments dominate, according to which the use of the financial monitoring system is not only effective, but also the only measure against money laundering. Due to the relevant public sentiments, an attempt by an individual country to abandon the application of the financial monitoring system may be perceived by other countries as a complete rejection of the fight against money laundering. Moreover, even the rejection of some of the most complex bureaucratic procedures of the financial monitoring system, which contribute the most to the increase in the level of transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring, can be considered in a similar way. The consequences of this may be the blocking of financial assistance or the application of sanctions.

Thus, countries that, as a result of external pressure, faced the problem of negative dynamics of formal rules of financial monitoring and financial investigations, are faced with a very difficult choice: either

further strengthening of financial monitoring and aggravation of the corresponding negative consequences in exchange for the commitment of partner countries, or change of the entire anti-money laundering policy with the risk of facing international sanctions.

The main reason for this development of the situation is the use of a false criterion for the effectiveness of the financial monitoring system - the number of detected dubious transactions. After all, the desire to increase the number of discovered dubious transactions, in most cases, is realized at the expense of the majority of members of society, which are in no way related to laundering dirty money. For them, the effort to "improve" the efficiency of the financial monitoring system turns into an increase in the level of transaction costs of bureaucratic procedures of financial monitoring. The latter is the direct cause of most of the negative consequences of applying the financial monitoring system.

Therefore, in order to reduce the risk of introducing ineffective formal rules of the financial monitoring system, instead of the total number of identified dubious transactions, another more adequate indicator of the effectiveness of the financial monitoring system should be used - the level of transaction costs of bureauratic procedures per identified dubious transaction. The smaller this indicator is, the more effective the financial monitoring system is. After all, from the point of view of society, the financial monitoring system should not only successfully detect dubious financial transactions, but also do it with the least inconvenience for society.

Thus, the following conclusions can be drawn.

First, the ineffectiveness of formal rules of financial monitoring and financial investigations can be the cause of defeat in the fight against money laundering and the simultaneous emergence of other no less dangerous phenomena.

Secondly, the assessment of the effectiveness of the financial monitoring system based on the number of detected dubious financial transactions, combined with external pressure regarding the need to strengthen the fight against money laundering, may determine the negative dynamics of the effectiveness of formal rules of financial monitoring and financial investigations.

Thirdly, in order to prevent the negative dynamics of the effectiveness of the formal rules of financial monitoring and financial investigations, such a criterion of the effectiveness of the financial monitoring system as the level of transaction costs of bureaucratic procedures for one identified dubious transaction can be used.

***Keywords**: international relations, transaction costs, formal rules, efficiency, financial monitoring.*

## References

1. Abramov F.V. (2023) Efektyvnist’ systemy finansovoho monitorynhu v umovakh bez·hotivkovoho suspil’stva [Effectiveness of the financial monitoring system in the conditions of a cashless society]. Skhidna Yevropa: ekonomika, biznes ta upravlinnya. Vypusk 4 (41). pp. 9-14.
2. Volosnikova N.M., Serzhanov V.V., Abramov F.V. (2023) Poperedzhennya koruptsiyi v systemi finansovoho monitorynhu: instytutsiynyy pidkhid [Corruption prevention in the financial monitoring system: an institutional approach]. Tsyfrova ekonomika ta ekonomichna bezpeka, vol. 4(04), pp. 3–8.
3. Sukholov E. (2023) Instytutsiyni chynnyky efektyvnosti systemy finansovoho monitorynhu [Institutional factors of the effectiveness of the financial monitoring system]. Tsyfrova ekonomika ta ekonomichna bezpeka, no 7 (07), pp. 125-130.
4. Sukholov, E. (2024). Efektyvnist’ systemy finansovoho monitorynhu u poperedzheni ekonomichnykh

zlochyniv [Efficiency of the financial monitoring system in the prevention of economic crimes]. Tsyfrova ekonomika ta ekonomichna bezpeka, (2 (11), 123-189.

5. Volosnikova N.M., Maksymenko Ya.A., Serzhanov V.V., Abramov F. V. (2023) Napiv formal’ni pravyla, yak chynnyk dynamiky efektyvnosti formal’nykh pravyl finansovoho monitorynhu [Semiformal rules as a factor in the dynamics of the effectiveness of formal financial monitoring rules]. Biznes Inform, no. 1, pp. 12–17.
6. Dyachenko T.A., Serzhanov V.V., Abramov F.V. Dyskretsiyni povnovazhennya chynovnykiv yak chynnyk efektyvnosti formal’nykh pravyl systemy finansovoho monitorynhu [Discretionary powers of officials as a factor in the effectiveness of formal rules of the financial monitoring system]. Derzhava ta rehiony. Seriya: Ekonomika ta pidpryyemnytstvo. 2023. no 4 (130). pp. 6-11.
7. Serzhanov V. V., Maksymenko YA.A., Abramov F. V. (2022) Efektyvnist’ formal’nykh pravyl finansovoho monitorynhu [Effectiveness of formal rules of financial monitoring]. Derzhava ta rehiony, no 3 (126), pp. 10–15.

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ქვეყანაში და საქართველოს არასტაბილური გარემოს გავლენა მულტინაციონალური კომპანიების გადაწყვეტილებებზე

**ირინა ვაშაყმაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ირინე თავაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის კვეთაზე აქცევს მას მნიშვნელოვან ტერიტორიად სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. საქართველო წარმოადგენს საინტერესო პერსპექტივას ქვეყნის არასტაბილურობასა და მულტინაციონალური კომპანიების (MNEs) მიერ მიღებული საინვესტიციო გადაწყვეტილებებს შორის კომპლექსური ურთიერთობის გასაანალიზებლად, რასაც მნიშვნელოვანი შედეგები აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) დინამიკაზე. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ სახელმწიფომ გაატარა ეკონომიკური რეფორმები გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის გაღრმავებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. რეფორმები მოიცავს ბევრ ინიციატივას, რომელიც მიმართულია ბიზნესგარემოს გაძლიერებისკენ, მათ შორის მარეგულირებელი ჩარჩოების გაძლიერება, კორუფციის შემცირება და სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია.

საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ მიმზიდველია, როგორც განვითარებადი ბაზარი, ზრდის პოტენციალით, მას ემუქრება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობის მრავალმხრივი გარემო. საქართველოს ჰქონდა მნიშვნელოვანი ცვალებადობა მშპ-ს ზრდის ტემპებში, ინფლაციასა და გაცვლით კურსებში, რაზეც გავლენა იქონია როგორც შიდა ფაქტორებმა, ასევე გარე შოკებმა, როგორიცაა გლობალური ფინანსური კრიზისი და რეგიონალური ეკონომიკური არასტაბილურობა. საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო ართულებს სოციალური არასტაბილურობა, რომელიც მოიცავს არეულობას შრომით ბაზარზე და სოციალურ არამდგრადობას. ამ ასპექტების ცვალებადობა წარმოადგენს როგორც სირთულეებს, ასევე შესაძლებლობებს მულტინაციონალური კომპანიებისთვის. გაურკვევლობის მაღალმა დონემ შეიძლება, ხელი შეუშალოს ინვესტიციებს რისკების გაზრდით და ხელი შეუშალოს გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში. მეორეს მხრივ, არასტაბილურმა გარემომ შეიძლება უზრუნველყოს მულტინაციონალური კომპანიების წარმატება საქართველოს ბაზარზე, რადგან მათ ექნებათ შანსი, მართონ არაპროგნოზირებადი გარემო მათი რესურსებით და არასტაბილური ბაზარი გამოიყენონ მათ სასარგებლოდ.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ განასხვავოს არასტაბილურობის სირთულე და მისი გავლენა მულტინაციონალური კომპანიების (MNEs) სტრატეგიებსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე მაკროეკონომიკური მონაცემების, პოლიტიკური სტაბილურობის, მარეგულირებელი ჩარჩოებისა და ბაზრის გარემოებების საფუძვლიანი ანალიზის ჩატარებით. ეს კვლევა მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს, როგორ აღიქვამენ და რეაგირებენ MNE-ები რისკზე განვითარებად ბაზრებზე, კონკრეტულად საქართველოში. გაანალიზებს საქართველოში არსებული არასტაბილურობის მრავალ სახეობას და შეაფასებს მათ გავლენას სხვადასხვა სექტორზე. ამ

ანალიზის საშუალებით, კვლევა მიზნად ისახავს დეტალური და ნიუანსირებული გაგება MNE-ებს, რისკებსა და განვითარებად ბაზრებს შორის ურთიერთობის შესახებ. გარდა ამისა, კვლევა გაანალიზებს ამ დინამიკის გრძელვადიან შედეგებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, გადინებასა და სექტორულ განაწილებაზე.

ეს კვლევა მიზნად ისახავს, გააძლიეროს საერთაშორისო ბიზნესისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ არსებული ლიტერატურა იმ კონკრეტული პროცედურების განხილვით, რომლითაც არასტაბილურობა გავლენას ახდენს განვითარებად ქვეყნებში საინვესტიციო ბაზარზე. გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავს პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდებას საქართველოში პოლიტიკის შემქმნელებისთვის ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად და მრავალეროვნული საწარმოებისთვის რისკის შემცირების ეფექტიანი ღონისძიებების დანერგვის მიზნით. ეს კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში არასტაბილურობას, MNE-ის ინვესტიციების ქცევას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას შორის კომპლექსური ურთიერთობის საფუძვლიან გამოკვლევას თეორიული ჩარჩოების ემპირიულ მონაცემებთან კომბინირებით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბაზარი, ინვესტიციები, დაფინანსება, საწარმო, ფინანსური ინსტრუმენტი*

# ფინანსური რისკების მართვის თანამედროვე გამოწვევები და მათი სტატისტიკური ანალიზი საქართველოს საბანკო სექტორში

**მარიამი ახვლედიანი**
*მაგისტრი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**ნონა ახვლედიანი**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საბანკო სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე ბიზნესის განვითარებაში. კომერციული ბანკები ძალიან უწყობენ ხელს სტარტაპებისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ჩამოყალიბებას. დღესდღეობით კომერციული ბანკების როლი კიდევ უფრო იზრდება, აქედან გამომდინარე, მოცემული სტატიის მთავარ თემატიკასაც სწორედ საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობა და მათი ფინანსური რისკების მართვის თანამედროვე მეთოდების შესწავლაა.

იქიდან გამომდინარე, რომ მათი როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი აუცილებელია, მოხდეს ანტისარისკო ღონისძიებების რაციონალური და პრაგმატული შემუშავება, იმისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას მათ ფინანსურ მდგომარეობას და შესაბამისად, არ აისახოს ქვეყნის ეკონომიკის სტაგნაციაში. საბანკო სექტორი მუდმივად დგას სხვადასხვა ტიპის რისკების წინაშე, როგორებიცაა საოპერაციო რისკი, საბაზრო რისკი, საპროცენტო რისკი, ქვეყნის რისკი, რეპუტაციის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, საკრედიტო რისკი, თუმცა მათგან ყველაზე მეტად ყურადღება გასამახვილებელია ფინანურ რისკებზე, რადგან მათი არასწორი მართვა და კონტროლი ბანკისთვის გაკოტრების მიზეზიც შეიძლება გახდეს. ფინანსური რისკების მართვის საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში.

სწორედ აქედან გამომდინარე, მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია ფინანსური რისკების ზეგავლენა და გამომწვევი მიზეზები საქართველოს საბანკო სექტორში. სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომიდან გამომდინარე, ნაჩვენებია მათი იდენტიფიცირების, აღმოფხვრის და შეფასების მეთოდები. ფინანსური რისკების დეტალური შესწავლა და მათი თავიდან აცილება არის უმნიშვნელოვანესი გზა იმისთვის, რომ კომერციულმა ბანკმა შეინარჩუნოს თავისი ფინანსური სტაბილურობა და შესაბამისად მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიის შექმნა. თანამედროვე ფინანსურ ტრანზაქციებსა თუ ოპერაციებზე დამოკიდებულებით მოცემული საკითხი უფრო მეტად აქტუალური ხდება, როგორც საზოგადოებისთვის, ისე საბანკო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

კვლევის მიზანი და ამოცანებია სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ, საქართველოში რომელი ფინანსური რისკები წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს კომერციული ბანკის გამართული ფუნქციონირებისთვის; თანამედროვე რეალობაში რა ტიპის მეთოდებით ხდება მათთან გამკლავება და რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის ჩართულობა ბანკების ფინანსური რისკების იდენტიფიცირებაში.

კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები საბანკო ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს ფინანსური რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკის შემუშავებაში, პროგრესული ინოვა-

ციური მეთოდების დანერგვაში, რომლებიც მოახდენს რისკების მინიმალიზებას და კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას.

***კვლევის მიზანი და ამოცანები:*** კვლევა ჩატარდა საქართველოში წამყვანი კომერციული ბანკის ,,თიბისის“ და ,,ბაზის“ ბანკის მიხედვით; მოხდა ამ ბანკებში არსებული ფინანსური რისკების წარმოჩენა, მათთან გამკლავების გზების ილუსტრირება და შემგომში ერთმანეთთან შედარება, რამაც საბოლოოდ მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ გაგვეკეთებინა რაციონალური დასკვნები, რომლებსაც გაითვალისწინებენ საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკებიც და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კვლევის შედეგად გვაქვს ერთიანი სურათი, თუ რა ტიპის გამოწვევები არსებობს საქართველოს საბანკო სექტორში ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

***კვლევის მეთოდოლოგია*** ემყარება შემდეგ სტატისტიკურ მეთოდებს: ჩატარებული კვლევის ტიპი არის თვისებრივი კვლევა, თვისებრივი კვლევის საფუძველზე ხდება რესპონდენტისგან დასმულ კითხვებზე დეტალური ინფორმაციის მიღება. მოცემულ კვლევაში ყველა კითხვა არის ღია ტიპის კითხვა, რომელიც ეხებოდა იმას, თუ როგორ უმკლავდებიან ბანკები სადეპოზიტო თუ ლიკვიდურობის რისკის მართვის ფენომენს ბაზის ბანკისა და თიბისი ბანკის მიხედვით და კვლევა უშუალოდ ჩატარდა ამ კონკრეტული ბანკების მმართველებთან შეხვედრის შედეგად.

***კვლევის საგანი და ობიექტი:*** კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში ფინანსური რისკების რაოდენობრივი ანალიზი და მათი მართვის თანამედროვე მეთოდები. კომერციული ბანკების მიხედვით, სტატისტიკური კვლევის შედეგად წარმოჩინდება, თუ რა ტიპის მეთოდები არსებობს კონკრეტულ რისკთან გასამკლავებლად ბაზის ბანკის და თიბისი ბანკის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, გავაკეთოთ დასკვნები, თუ რა ტიპის ოპერაციებს ახორციელებენ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ფინანსურ რისკებთან ბრძოლაში.

**კვლევის ჰიპოთეზა:** კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, სტატისტიკური მონაცემების შედეგად დავინახოთ, რამდენად შეესაბამება კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული პროცედურები და ოპერაციები საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულ რეგულაციებს, რა მსგავსებები და განსხვავებები ახასიათებთ კომერციულ ბანკებს ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკის წინააღმდეგ გატარებულ ოპერაციებს შორის, სჭირდებათ თუ არა, რომელიმე მიმართულებით გააუმჯობესონ და დახვეწონ აღნიშნული რისკების წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკები.

მოცემული სტატია საქართველოს საბანკო სექტორში ფინანსური რისკების წარმოქმნის მიზეზებზე წარმოაჩენს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის ეკონომიკურ ვოლატილობას, რეგულატორულ ცვლილებებს და ბაზრის დინამიკას. ვაჩვენეთ, რომ საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა და ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების განვითარება ზრდის რისკების მართვის სირთულეს.

ასევე სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი კომერციული ბანკების რეგულირებაში, რაც აჩვენებს მის მნიშვნელობას რეგულატორული სტანდარტების დადგენაში, შესაბამისობის მონიტორინგსა და ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ეროვნული ბანკის პოლიტიკა და ინტერვენციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში არსებული ბანკების რისკების მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

ფინანსური რისკების მართვის კონტექსტში, ჩვენ, ასევე, განვიხილეთ მართვის სტრატეგიები და ჩარჩოები, კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული რისკების შესამცირებლად. ზემოთ ხსენებული მოიცავდა რისკების შეფასების მეთოდოლოგიებს, შიდა კონტროლის მექანიზმებსა და საერთაშორისო სტანდარტების, როგორიცაა ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტების დანერგვასა და სრულყოფილად შესრულებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც მოიცავდა საქართველოს ორი დიდი ბანკის, თიბისისა და ბაზის ბანკის გამოკვლევასა და გამოკითხვას, მივიღეთ პრაქტიკული ინფორმაცია, თუ როგორ მართავენ, აკვირდებიან, იდენტიფიცირებენ, წყვეტენ და მართავენ ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკებს. ორივე ბანკმა აჩვენა, რომ მათი რისკების მართვის პრაქტიკა შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას და ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებს.

კვლევის შედეგებმა, ასევე, აჩვენა ამ ბანკების კონკრეტული ნაბიჯები ლიკვიდობისა და საკრედიტო რისკების საპასუხოდ. ეს ნაბიჯები მოიცავს საკმარისი ლიკვიდობის რეზერვების შენარჩუნებას, რეგულარული სტრეს-ტესტების ჩატარებას, საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციას და შიდა რისკების მართვის პროცესების გაუმჯობესებას. ბანკების პროაქტიული მიდგომები აღნიშნული რისკების საპასუხოდ აჩვენებს მათ ვალდებულებას ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადობის მიმართ.

***საკვანძო სიტყვები:*** *ლიკვიდობა, საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, ინფლაცია, დეფოლტი, სტრეს-ტესტირება, LCR-კოეფიციენტი, NSFR-კოეფიციენტი,PTI-კოეფიციენტი, LTV-კოეფიციენტი.*

# საბანკო სისტემის გავლენა სოციალურ სამართლიანობაზე

**ნინო მიქიაშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*
**ნატალია კონოვალოვა**
*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური*
*დოქტორი, გამოყენებით მეცნიერებათა*
*უნივერსიტეტი RISEBA*
*რიგა, ლატვია*

**აბსტრაქტი**

საბანკო სისტემას და მის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებათა ერთობლიობას შეუძლია, გაზარდოს მოსახლეობის ფინანსური ჩართულობა და ბიზნესაქტიურობა. ორივე მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში, რაც სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების ხელშემწყობი ფაქტორია. საბანკო სისტემა პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს უთანასწორობის მავნე გამოვლინებების შერბილებაზე კრედიტის, საშემნახველო ანგარიშების, სადაზღვევო და სხვა ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდით. საბანკო სექტორს, ასევე, შეუძლია წაახალისოს ინვესტიციების ზრდა ადამიანისეულ კაპიტალში და ამით საზოგადოებრივი ატმოსფერო გააჯანსაღოს. მთლიანობაში, საბანკო სისტემის მიზანმიმართულ საქმიანობას ძალუძს ქვეყანის სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-ერთი საკვანძო რგოლი იყოს და განავრცოს დადებითი ტენდენციები.

კვლევის მიზანია, საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობის გავლენის შესწავლა სოციალურ სამართლიანობაზე საქართველოს და ლატვიის ეკონომიკის მაგალითებზე. საბანკო სისტემას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ცხოვრების და სიღარიბის დონეებზე, სესხებზე, საშემნახველო პროდუქტებსა და სხვა, ფინანსური ინსტრუმენტების წვდომის მასშტაბებიდან გამომდინარე.

სოციალური სამართლიანობისა და საბანკო სისტემის ურთიერთკავშირის შესასწავლად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი (კორელაციური, რეგრესიული ანალიზი), ისე თვისებრივი მიდგომები სტატისტიკის ეროვნული სამსახურების, ცენტრალური ბანკების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაცემებზე დაყრდნობით.

ძირითადი დასკვნები მიუთითებს იმაზე, რომ სხვადასხვა მასშტაბით ორივე ქვეყანა აწყდება გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ჩართულობასა და სოციალურ უთანასწორობასთან. საქართველოში სოციალური უთანასწორობის ერთ-ერთი გამოვლინება დაკავშირებულია ოფიციალური საბანკო მომსახურების შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან, განსაკუთრებით სოფლად, და უმოქმედო სესხების მაღალ კოეფიციენტებთან. ლატვიის ძირითადი გამოწვევა კი არის რეგიონულ უთანასწორობასთან და საბანკო სექტორში ფინანსური კრიზისების ნარჩენ ეფექტებთან ბრძოლა.

სოციალური სამართლიანობა ვერ განხორციელდება იქ, სადაც სიღარიბის მაღალი მაჩვენებელია და ან დიდია რისკი იმისა, რომ ადამიანი გაღარიბდეს. ამ მხრივ ყურადსაღებია არსებული სიტუაცია როგორც საქართველოში, ასევე, ლატვიაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში აბსოლუტური სიღარიბის დონე 2018 წელს იყო 21,7%, 2022 წელს - 15,6%, ხოლო 2023 წელს - 11,8%. რაც შეეხება ლატვიას, ევროკომისიის მონაცემებით, 2019 წელს ლატვიაში მცხოვრებთა დაახლოებით 24.4% იყო სიღარიბის რისკის ქვეშ, 2020 წელს - 23.4%, 2022 წელს კი - 22,5%. სიღარიბე ორივე ქვეყანაში უპირატესად კონცენტრირებულია სოფლად და

ზოგიერთ ურბანულ რაიონში. შესაბამისად, სოციალური უთანასწორობის გამოვლინებების აღმოფხვრის საჭიროებაც ამ ტერიტორიულ ერთეულებში უფრო მწვავედ იგრძნობა.

სოციალური უთანასწორობის შერბილებისა და აღმოფხვრისთვის რამდენიმე საკვანძო მიმართულებითაა განსახორციელებელი საბანკო სექტორის განვითარება. ესენია: 1. ფინანსური მომსახურების გავრცობა და გაღრმავება; 2. დაკრედიტების სისტემის სრულყოფა და კრედიტზე წვდომის გაფართოება; 3. საპროცენტო განაკვეთების რეგულირება; 4. ფინანსური ცოდნის ელემენტების ფართო მასებისთვის მიწოდება; 5. საბანკო სისტემის სტაბილურობა. ყოველივე აღნიშნულს თან უნდა ახლდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დასაქმების დონის ზრდა და სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული სამთავრობო პოლიტიკა. თავის მხრივ, საბანკო სტაბილურობა შეიძლება, გაიზომოს სხვადასხვა ინდიკატორისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ბანკების ფინანსური მაჩვენებლები, მარეგულირებელი მოთხოვნები, მაკროეკონომიკური ფაქტორები და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ სოციალური სამართლიანობის განხორციელების საკვანძო ინდიკატორად მიიჩნევა სიღარიბის დონე, ხოლო ეგზოგენურ ფაქტორებად - საბანკო სტაბილურობა, მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი, მაშინ რეგრესიული ანალიზის საშუალებით საშედეგო ცვლადისთვის აღიწერება როგორც თითოეული ფაქტორის მნიშვნელოვნება, ისე მათი ჯამური ზეგავლენის მასშტაბები.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლამ ცხადყო, რომ ეფექტიანი საბანკო სისტემა, რომელიც ხასიათდება ხელმისაწვდომი კრედიტით, ძლიერი მარეგულირებელი სისტემით და მიზანმიმართული ფინანსური პოლიტიკით, გადამწყვეტ როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებაში და აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის დონის ზრდას. ფინანსური ინკლუზიის გაუმჯობესება, კრედიტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ფინანსური წიგნიერების ამაღლება და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება ჯანსაღი საბანკო პოლიტიკის საშუალებით უნდა იყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი სტრატეგიები. მათი რეალიზაცია კი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს სამთავრობო და ფინანსურ ინსტიტუტებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებას, რომლებიც ურთიერთშეთანხმებით და თანამშრომლობით შექმნიან ინკლუზიურ ფინანსურ ეკოსისტემას. ამდენად, არსებულ რეალობასთან მორგებული ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომი სტრატეგიებისა და ინოვაციური საბანკო გადაწყვეტილებები სჭირდება საქართველოსა და ლატვიას სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების დროს არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

***საკვანძო სიტყვები:*** სოციალური სამართლიანობა, სიღარიბე, საბანკო სისტემა, ფინანსური ხელმისაწვდომობა, საქართველო, ლატვია

# დაგროვებითი საპენსიო სისტემის კრიზისი

**სოფიკო ცეცხლაძე**
*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მოხუცებზე ზრუნვა ყოველი საზოგადოების წმინდა მოვალეობაა. გადამწყვეტი საკითხია, როგორ დავაბალანსოთ მათ მიმართ პასუხისმგებლობა შრომისუნარიანი მოსახლეობის წინაშე ვალდებულებებთან.

მსოფლიო ბანკმა (1994) და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოითხოვა სავალდებულო დაფინანსებული კერძო საყრდენის შემოღება, განსაკუთრებით განვითარებად ეკონომიკებში, მათ შორის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში. დაგროვებითი საპენსიო სისტემა ბევრ ქვეყანაში განხორციელდა, თუმცა სხვადასხვა წარმატებით. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი, სადაც რეფორმამ კრახი განიცადა.

**უნგრეთის საპენსიო სისტემა.** ევროპაში სახელმწიფო სოციალიზმის დაცემის შემდეგ, ქვეყნებს მოუწიათ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მიერ კონტროლირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნა. ამ ახალ კონტექსტში მთავრობები ბევრს მუშაობდნენ საპენსიო სისტემების შესაქმნელად, რომლებიც შეესაბამებოდა ახალ რეალობას: ეკონომიკური დეპრესია, ღია ინფლაცია და მასობრივი უმუშევრობა. ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში იყო სერიოზული შეცდომები პენსიის დიზაინში, გამონაკლისი არც უნგრეთი გახლდათ, სადაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში არსებული შეცდომები შეიძლება, მივაწეროთ საჯარო განხილვის ნაკლებობას.

დიდი რეცესიის დადგომამ აჩვენა ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მთავრობებს, რომ გარდამავალი პროცესი არც ისე ადვილია: კერძო საყრდენი არ იყო ისეთი ეფექტური, როგორზეც ოცნებობდნენ საპენსიო პრივატიზაციის მომხრეები; გარდა ამისა, გარდამავალმა ხარჯებმა შეაფერხა ანტიციკლური საბიუჯეტო პოლიტიკის დაფინანსება.

უნგრეთში ლიბერალურმა დემოკრატიულმა მთავრობამ დაიწყო პრივატიზაცია 1998 წელს და დემოკრატიულად არჩეულმა ანტილიბერალურმა მთავრობამ მზარდი ავტორიტარული ტენდენციებით კერძო ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაფუძნებული საპენსიო სქემა სრულიად გააუქმა და ნაციონალიზაცია გაუკეთა. მას სურდა, შეემცირებინა უნგრეთის სახელმწიფო ვალი სახელმწიფო ხარჯების შემცირებისა და გადასახადების გაზრდის გარეშე. იმის გამო, რომ უნგრეთის მთავრობა ინარჩუნებდა საპენსიო ვალდებულებებს, სახელმწიფო საპენსიო ვალი არ გაქრა: ის გადაკეთდა იმპლიციტურ სახელმწიფო საპენსიო ვალად.

პარალელურად, შემოღებულ იქნა პერსონალური საშემოსავლო გადასახადის უცვლელი განაკვეთი. ვინაიდან უნგრეთის საპენსიო ფორმულა მოქმედებს წმინდა ხელფასის საფუძველზე, გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი რეფორმა ზრდის მაღალშემოსავლიანთა თანაფარდობას სარგებელსა და წვლილზე და ამცირებს დაბალი შემოსავლის მქონეთა თანაფარდობას.

2013 წლისთვის უნგრეთში პროგრესირება თითქმის შემცირდა. ბოლო მომენტში პროცესი დასრულებამდე შეჩერდა და ნომინალურად ზღვრების დაფიქსირებით, პროგრესირება ოდნავ გაიზარდა ფასებისა და სახელფასო ინფლაციის გამო.

**საბერძნეთის საპენსიო სისტემა.** ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც საპენსიო სისტემამ დრამატული შედეგი განიცადა, იყო საბერძნეთი. 1985 წელს საბერძნეთის მთავრობამ შემოიღო დაგროვებითი

სახელმწიფო საპენსიო სისტემა, სადაც თანაბრად მონაწილეობდა დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო. რამდენიმე წელიწადში, 1990-იანი წლების დასაწყისში ფინანსთა სამინისტრო უკვე ვეღარ ახორციელებდა თავის წილ შენატანებს ფონდში და იძულებული გახდა, მიემართა ვალდებულებების ზრდისთვის.

საბერძნეთს გაუმართლა, რომ 2002 წელს ევროზონაში შევიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებოდა, დეფოლტი გამოეცხადებინა გაზრდილი ვალდებულებების გამო. აღნიშნული ქმედება საბერძნეთისთვის პრობლემების გადავადებას ნიშნავდა და არა სრულად აღმოფხვრას.

გადაჭარბებული საპენსიო ხარჯები საბერძნეთის ცუდი ფისკალური მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი იყო კრიზისამდე. 2000-20010 წლებში საბერძნეთის საპენსიო ხარჯები გაიზარდა მშპ-ს 11%-მდე. ეს განპირობებული იყო ნომინალური პენსიების სწრაფი ზრდით მაღალი ხელფასისა და ფასების ზრდის გამო, უხვად არსებული შეღავათებითა და ვადამდელი პენსიაზე გასვლით. შედეგად, წარმოიქმნა სისტემის დეფიციტი და გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვანი პრობლემები, რის გამოც OECD-მა საბერძნეთის საპენსიო სისტემას „ფისკალური დროის ბომბი" უწოდა, რადგან მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის საპენსიო ხარჯები გაორმაგდება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის სწრაფი დაბერებით და მოხუცებულთა დამოკიდებულების კოეფიციენტის გაორმაგებით (OECD, 2007 წ. EC 2009).

2008 წელს დაწყებული კრიზისი, რა თქმა უნდა, საბერძნეთსაც შეეხო და დააზარალა. 2008 წლიდან 2013 წლამდე საბერძნეთის ეკონომიკა 26%-ით შემცირდა და შესაბამისად, იკლო ერთ სულ მოსახლეზე წლიურმა საშუალო შემოსავალმაც.

ქრონიკულმა დეფიციტმა დაუკარგა საბერძნეთს ნდობა და დაეცა საკრედიტო რეიტინგი, შედეგად საბერძნეთის მთავრობას საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე წვდომა შეეზღუდა.

**პოლონეთის საპენსიო სისტემა.** 1999 წელს პოლონეთმა შემოიღო საპენსიო სისტემის რადიკალური რეფორმა. ეს რეფორმა ეფუძნებოდა გადახდის სქემის ნაწილის ჩანაცვლებას სრულად დაფინანსებული კაპიტალის სქემით, ასევე - განსაზღვრული საპენსიო ფორმულიდან გამოსვლას ეკვივალენტური გადაწყვეტილებების სასარგებლოდ განსაზღვრული შენატანებით პენსიის შემოღების გზით. 2002 წლისთვის ამ სისტემაში უკვე ჩართული იყო 9,7 მლნ. ადამიანი, დასაქმებულთა 60%-ზე მეტი. 2004 წლისთვის პოლონეთში უკვე არსებობდა 16 საპენსიო ფონდი, რომელიც, დაახლოებით, 45,44 მლრდ. ზლოტის ღირებულების კაპიტალს განკარგავდა. ამ სახსრების დიდი ნაწილი (50%) სახელმწიფო ობლიგაციებში იყო დაბანდებული.

როდესაც 2008 წელს გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა შეაფერხა ფინანსური ბაზრები, საპენსიო ფონდებიდან ინვესტიციებზე ანაზღაურების მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა. უფრო მეტიც, სახელმწიფო ფინანსების რთულმა მდგომარეობამ დაიწყო რეფორმის გარდამავალი პერიოდის შემდგომი დაფინანსება. პოლონეთმა კრიზისის დროს საპენსიო ფონდებში არსებული თანხა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად გამოიყენა. მთავრობამ სახაზინო ობლიგაციებში ინვესტირებული თანხის (ფონდის აქტივების 50%) კონფისკაცია განახორციელა.

პოლონეთმა ასევე გააუქმა პენსიების იმპლიციტური სახელმწიფო ვალი, რადგან მომავალი დამატებითი პენსიები ფინანსდებოდა დანაზოგებით და არა მიმდინარე შემოსავლებით. ამან გაზარდა ეროვნული დანაზოგები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და ინვესტიციებისთვის. მსხვილი კერძო საპენსიო ფონდების გაჩენამ, ასევე, ხელი შეუწყო კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

როდესაც შემოსავალი შემცირდა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის გამო, საჯარო საპენსიო ფონდები განიცდიდა დიდ ფისკალურ სტრესს. ცენტრალური ევროპის ქვეყნების უმეტესობამ ფისკალური მიზეზების გამო დროებით შეამცირა შენატანები მეორე საყრდენში, თუმცა მას შემდეგ უმეტესობამ კვლავ გაზარდა კონტრიბუცია.

კრიზისმა, ასევე, მოიტანა საინვესტიციო რისკი ბევრი ადამიანის გონებაში, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი მრავალი ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფინანსური და სოციალური გაურკვევლობა საპენსიო სისტემებში. ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი არის ის, რომ რისკი არ შეიძლება აღმოიფხვრას, ის შეიძლება შემცირდეს მხოლოდ საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფის დივერსიფიკაციით.

ამგვარად, პოლონეთმა გადალახა გლობალური კრიზისი და იყო ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ განუცდია სრული რეცესია 2009 წელს.

**დასკვნა.** როდესაც მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან გვაქვს საქმე, ის ამა თუ იმ ხარისხით ეხება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას. მთავრობამ უნდა განახორციელოს ისეთი ნაბიჯები, რომ თუ სრულად ვერ აიცილებს კრიზისს თავიდან, მინიმუმამდე მაინც დაიყვანოს იგი.

თითქმის ყველა საპენსიო რეფორმა ძვირია და შემოსავლები ხარჯებთან შედარებით გაცილებით გვიან მოდის. საჭიროა, ჩვენ გადავჭრათ ჩვენს საშუალოვადიან პერსპექტივაში არსებული პრობლემები, სანამ გრძელვადიანი პრობლემები გამოვლინდება.

განხილულ ქვეყნებში არსებულმა კრიზისმა გვაჩვენა, რომ მოსახლეობის აქტივები სათანადოდ არ არის დაცული ეკონომიკური რისკებისგან. საპენსიო აქტივების ინვესტიცია ეროვნულ ეკონომიკაში და ძირითადად დაბალი რისკის საინვესტიციო ინსტრუმენტებში, როგორიცაა ვადიანი დეპოზიტები და სახელმწიფო ობლიგაციები, იწვევს მის დაბალ შემოსავლებს. საჭიროა, მთავრობამ წაახალისოს გრძელვადიანი ინვესტიციები ეროვნულ ეკონომიკაში.

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემების მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად შეირყა, რადგან მოსახლეობამ დაინახა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მათი დანაზოგები სტაბილურად არ არის დაცული. მაღალი საპენსიო ტვირთი დიდი გამოწვევაა და კრიზისის შემდგომ აქტიურად მიმდინარეობს საპენსიო პოლიტიკების რეფორმირება, რათა მაქსიმალურად მოარგონ რეფორმა ეროვნულ ინტერესებს და მაქსიმალურად დადებითად აიასახოს სამომავლო შედეგი მოსახლეობაზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *საპენსიო რეფორმა, ფინანსური კრიზისი, რეფორმის კრახი, ნაციონალიზაცია.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მელაძე ს., 2017, საპენსიო სისტემის რეფორმა: დავაგროვოთ და მოგვეცემა?! https://sputnik-georgia.com/20171106/sapensio-sistemis-reforma-238064317.html
2. Aslund, A., 2013, Poland Doesn't Need to Fix Unbroken Pension System **https://www.piie.com/commentary/op-eds/poland-doesnt-need-fix-unbroken-pension-system**
3. Kalavrezou, A., Kim, D., 2021, Reforming the Greek Pension System https://www.elibrary.imf.org/view/journals/001/2021/188/article-A001-en.xml
4. Simonovits, A., 2022, Pension policy in autocracy: The case of Hungary https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S266731932200012X#sec0003
5. Zukowski, M., Golinowska, S., The Impact of the Economic and Financial Crisis on the Polish Pension System https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/zsr-2011-0304/pdf

# ფინანსური რისკების მართვა საბანკო სექტორში

**ხათუნა შალამბერიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საბანკო სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე ბიზნესის განვითარებაში. იგი ხელს უწყობს სტარტაპებისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ჩამოყალიბებას. დღესდღეობით, კომერციული ბანკების როლი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ვცხოვრობთ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაში, სადაც ციფრული ტრანზაქციები აპრიორ ოპერაციებს წარმოადგენს. ამასთან ერთად, იზრდება კომერციული ბანკების გამოწვევებიც, ისინი მუდმივ მზაობაში არიან, რომ გააჩნდეთ სანდო დაცვის მექანიზმები, რათა გაამართლონ მომხმარებელთა და ინვესტორთა მოლოდინები.

ფინანსური რისკის მართვა კომერციულ ბანკებში არის მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა რისკის იდენტიფიცირებას, შეფასებას და შერბილებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ სტაბილურობასა და მოგებიანობაზე. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ სესხების გაცემის მოცულობის რაოდენობა იზრდება, განსაკუთრებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ანტისარისკო ღონისძიებებს, განსაკუთრებით ფინანსური რისკების მართვის საკითხს. რაც შეეხება ვადაგადაცილებული სესხების მოცულობას ამ მხრივ ბოლო ორი წლის განმავლობაში წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ბანკის ეფექტურ ფუნქციონირებაზე და ფინანსური რისკების მართვის ოპერატიულობაზე საქართველოში.

მნიშვნელოვანია, დეტალურად მიმოვიხილოთ კომერციულ ბანკებში ფინანსური რისკის მართვის პრაქტიკის მექანიზმები, კერძოდ:

რისკის იდენტიფიკაცია: კომერციული ბანკები იდენტიფიცირებენ და კატეგორიზაციას უწევენ სხვადასხვა სახის ფინანსურ რისკებს, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან, მათ შორის საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი და შესაბამისობის რისკი; რისკის განსაზღვრა და შეფასება: რისკების იდენტიფიცირების შემდეგ, კომერციული ბანკები რაოდენობრივად აფასებენ ამ რისკების პოტენციურ გავლენას მათ ფინანსურ მაჩვენებელზე და კაპიტალის ადეკვატურობაზე; რისკის შემცირების სტრატეგიები: კომერციული ბანკები ახორციელებენ რისკის შემცირების სტრატეგიებს ფინანსური რისკების უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით; საკრედიტო რისკის მართვა: საკრედიტო რისკის მართვა კომერციულ ბანკებში ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქციაა; ლიკვიდობის რისკის მართვა: ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ კომერციულ ბანკებს ჰქონდეთ საკმარისი ფულადი სახსრები და ლიკვიდური აქტივები თავიანთი მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის კლიენტების გატანა და გადახდის ვალდებულებები.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკების პრევენცია მოიცავს რისკის მართვის მძლავრი პრაქტიკის დანერგვას და კონტროლის დაწესებას საკრედიტო ზემოქმედების ეფექტური იდენტიფიცირების, შეფასების, შერბილებისა და მონიტორინგის მიზნით. შემუშავებულია რამდენიმე ძირითადი სტრატეგია საკრედიტო რისკების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ: ყოვლისმომცველი

საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, ეფექტური საკრედიტო ანალიზი, სასესხო პორტფელის დივერსიფიკაცია და სხვ. კომერციულმა ბანკებმა სასურველია, მოერიდონ სესხების გაცემას არაადეკვატური კრედიტუნარიანობის ან გადაჭარბებული ბერკეტის მქონე მსესხებლებზე. აუცილებელია მსესხებლების მიმართ სათანადო გამოკვლევა, დაფარვის შესაძლებლობების შეფასება და სესხის შესაბამისი პირობების დადგენა, საკრედიტო რისკის მონიტორინგი და მართვა, სტრესის ტესტირება და სცენარის ანალიზი, რისკზე დაფუძნებული ფასების დადგენა, გირაო და უსაფრთხოება, საკრედიტო რისკის შერბილების ტექნიკა, მარეგულირებელი შესაბამისობა და სხვა. ამ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით და საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული მიდგომის შენარჩუნებით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ, გააძლიერონ თავიანთი ფინანსური მდგრადობა, შეინარჩუნონ აქტივების ხარისხი და შეამსუბუქონ კრედიტთან დაკავშირებული მოვლენების პოტენციური ზარალი.

კომერციულ ბანკებში ლიკვიდობის რისკების თავიდან აცილება გულისხმობს ლიკვიდობის რისკის მართვის გონივრული პრაქტიკის დანერგვას და სტრატეგიების ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ლიკვიდობის ხელმისაწვდომობა მოკლევადიანი დაფინანსების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შემუშავებულია რამდენიმე ძირითადი სტრატეგია ლიკვიდობის რისკის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ: ლიკვიდურობის ადეკვატური ბუფერების შენარჩუნება, დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, სტრესის ტესტირება და სცენარის ანალიზი, ლიკვიდობის რისკის ლიმიტები და მეტრიკა, საგანგებო დაფინანსების გეგმა, აქტივ-პასივის მენეჯმენტი, ცენტრალური ბანკის საშუალებები, ბაზრის წვდომა და ურთიერთობები, მარეგულირებელი შესაბამისობა, რაც გულისხმობს კომერციული ბანკის მიერ მარეგულირებელ მოთხოვნებთან და გაიდლაინებთან შესაბამისობას ლიკვიდურობის რისკის მართვასთან, ლიკვიდობის რისკის გაზომვის, ანგარიშგების და სტრესტესტირების ჩათვლით.

პრევენციული ზომების მიღებით და ლიკვიდობის რისკის მართვის პროაქტიული მიდგომის შენარჩუნებით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ, გააძლიერონ თავიანთი ფინანსური მდგრადობა, შეინარჩუნონ ლიკვიდობის ბუფერები და შეამსუბუქონ დაფინანსებისა და ლიკვიდობის პოზიციების პოტენციური შეფერხებები.

კომერციულ ბანკებში სავალუტო რისკების პრევენცია კი გულისხმობს რისკის მართვის მძლავრი პრაქტიკის დანერგვას და სტრატეგიების გამოყენებას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გაცვლითი კურსის რყევების ზემოქმედების შესამცირებლად. შემუშავებულია ძირითადი სტრატეგია სავალუტო რისკების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ: სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა, სავალუტო რისკის იდენტიფიკაცია და შეფასება,, სავალუტო ექსპოზიციების დივერსიფიკაცია, ჰეჯირების სტრატეგიები და სხვა, რაც კომერციულმა ბანკებმა უნდა გამოიყენონ სავალუტო რისკის ეფექტიანად შესამცირებლად.

ამრიგად, კომერციულმა ბანკებმა უნდა დანერგონ შესაბამისი ტექნიკები სავალუტო რისკის ზემოქმედების შესამცირებლად სხვადასხვა ვალუტაში გრძელი და მოკლე პოზიციების კომპენსირებით. სტრესის ტესტირება და სცენარის ანალიზი: კომერციულმა ბანკებმა უნდა ჩაატარონ სტრეს-ტესტირება და სცენარის ანალიზი, რათა შეაფასონ ბანკის მდგრადობა არასასურველი გაცვლითი კურსისა და ვალუტასთან დაკავშირებული შოკების მიმართ. რისკების მონიტორინგი და ანგარიშგება: კომერციულმა ბანკებმა რეგულარულად უნდა აკონტროლონ სავალუტო რისკის ზემოქმედება და აცნობონ სავალუტო რისკის მეტრიკის შესახებ მაღალ მენეჯმენტს და დირექტორთა საბჭოს.

აღნიშნული პრევენციული ზომების მიღებით და სავალუტო რისკის მართვის პროაქტიული მიდგომის შენარჩუნებით, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ, გააძლიერონ თავიანთი ფინანსური

მდგრადობა, შეინარჩუნონ კაპიტალი და შეამსუბუქონ პოტენციური ზარალი, რომელიც წარმოიქმნება სავალუტო კურსის არასასურველი ცვლილებით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ფინანსური მდგრადობა; რისკების იდენტიფიკაცია და პრევენცია; ანტისარისკო ღონისძიებები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბარბაქაძე ხ., ფინანსური მენეჯმენტი, თბილისი, 2023 წ.
2. ბასილაია კ., ,,საბანკო საქმე“, 2018 წ., თბილისი, გვ.378.
3. ღუდუშაური ლ., საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა, თბ. ,2020 წ. 201 გვ.
4. ქოქიქური ლ., საბანკო საქმე, თბ., 2021 წ.
5. ცუცქირიძე გ., ქისტაური ლ., „რისკ მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში“, თბ., 2015 წ. (267 გვ.).
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2021 წ., გვ. 548.
7. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ., – რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, 2021, გვ.379.
8. ქისტაური ლ., ცუცქირიძე გ.,- „რისკმენეჯმენტი კომერციულ ბანკებში“, თბილისი, გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2015 წელი, გვ.267 .
9. პიტერ ს. როუზისა და სილვია ჰაჯინსის „საბანკო მენეჯმენტი და ფინანსური სერვისები,“ აშშ. 2022, მე-4 და მე-7 თავი.
10. ჰული, „რისკების მენეჯმენტი და ფინანსური ინსტიტუტები“, აშშ. 2023 წ. გვ.832. პირველი და მეთექვსმეტე თავი.
11. „ფინანსური რისკის მენეჯმენტი: პრაქტიკოსის სახელმძღვანელო საბაზრო და საკრედიტო რისკის მართვისთვის“ 2020 წ. აშშ. მეშვიდე თავი.
12. მიშელ კრუჰის, დენ გალაის და რობერტ მარკის „რისკების მართვის საფუძვლები", 2023 წ., აშშ.

# კორპორაციული ქცევის ბნელი მხარე: კორპორაციული სოციალური უპასუხისმგებლობის (CSI) მიმოხილვა

**ნათელა წიკლაშვილი**

*პროფესორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**თამთა ქარცივაძე**

*დოქტორანტი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

კორპორაციული სოციალური უპასუხისმგებლობა (CSI) წარმოადგენს ბიზნესპრაქტიკას, რომელსაც შესაძლოა, ჰქონდეს საზიანო გავლენა საზოგადოებასა და გარემოზე. იგი ეწინააღმდეგება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პრინციპებს და მოიცავს ისეთ მავნე საქმიანობებს, როგორიცაა: გარემოზე ზიანის მიყენება (დაბინძურება და რესურსების ამოწურვა), შრომითი ექსპლუატაცია (სახიფათო სამუშაო პირობები, არასამართლიანი ხელფასი და მშრომელთა უფლებების დარღვევა), არაეთიკური ბიზნესპრაქტიკა (თაღლითობა, კორუფცია და შეცდომაში შემყვანი რეკლამა) და სხვა.

სოციალურად უპასუხისმგებლო კომპანიები გრძელვადიანი სოციალური კეთილდღეობას ნაცვლად, ხშირად ანიჭებენ პრიორიტეტს მოკლევადიან მოგებას, რაც იწვევს ნეგატიურ შედეგებს, როგორიცაა: რეპუტაციის გაუარესება, სამართლებრივი ჯარიმები და მომხმარებელთა ნდობის დაკარგვა. კორპორაციული სოციალური უპასუხისმგებლობა (CSI) წარმოადგენს კრიტიკულ საკითხს მენეჯერებისა და მკვლევრებისთვის. ფაქტობრივად, ამ თემაზე კვლევების რაოდენობა წლიდან წლამდე სწრაფად იზრდება, თუმცა ქართულენოვანი ლიტერატურა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ არის გამოქვეყნებული.

წინამდებარე სტატია იკვლევს კორპორაციული სოციალური უპასუხისმგებლობის (CSI) კონცეფციას; განასხვავებს მას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისგან (CSR) და მოყვანილი მაგალითების საფუძველზე აანალიზებს კორპორაციების ამა თუ იმ ქმედებებსა თუ ქცევებს, რომლებიც ავლენენ უგულებელყოფას ეთიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემების მიმართ. ნაშრომში შესწავლილია ამ თემის შესახებ არსებული ლიტერატურა და წინა კვლევების შეფასების საფუძველზე ხაზგასმულია არსებული ხარვეზები, გამოვლენილია გამოწვევები და შემუშავებულია ამ გამოწვევების მოგვარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება, სასარგებლო და საინტერესო იყოს როგორც აკადემიური წრეებისთვის, ისე მენეჯერებისთვის, რადგან დასკვნები და წინადადებები მიმართულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და სოციალური უპასუხისმგებლობის შემცირების გზების ძიებაზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაციული სოციალური უპასუხისმგებლობა (CSI), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, კორპორაციული ქცევა*

# ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიები ცვლილებების პირობებში

**რეზო მანველიძე**
*პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ლეილა ცეცხლაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ლიდერობის ფილოსოფიის ფუძემდებელი და ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, უორენ ბენისი, ჯერ კიდევ 60-იან წლებში იყენებს ცნებას "ადაპტიური ორგანიზება", რომლითაც ხაზს უსვამს მენეჯმენტის უპირატესობას, სწრაფი რეაგირება მოახდინოს ცვლილებებზე, რაც ბაზრის პირობებში საჭირო ხდება როგორც შიდა, ისე გარე გარემოში მიმდინარე პროცესებზე საპასუხოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე წარმატებული კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა უამრავ ცვლილებას მოიცავს. გარდაუვალია ორგანიზაციული ცვლილებები, რომლის დინამიკა სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია გეოგრაფიაზე, ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, სამართლებრივ სფეროზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, კლიმატზე, პერსონალზე და სხვა; ბიზნესმოდელის ცვლილება, ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია, კომპანიების შერწყმა და გაერთიანება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რესტრუქტურიზაცია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ცვლილება და მრავალი სხვა პროცესი არის ცვლილება, რომელიც მიმართულია კომპანიებისა და ორგანიზაციის წარმატების, ზრდისა და განვითარებისკენ და საჭიროებს მართვას. ორგანიზაციის უნარი, გაატარონ ცვლილებები - საკვანძო ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს მის წარმატებას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. თანამედროვე საწარმოებში ორგანიზაციული ცვლილებების მართვა ხდება, როგორც უაღრესად ღირებული და მოთხოვნადი მენეჯერული უნარი. მომავალში ყველაზე წარმატებულები ის ორგანიზაციები იქნება, რომლებიც შეძლებს ფუნდამენტური, გრძელვადიანი ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებას.

არსებობს სამი სახის ცვლილება: სტრატეგიული, ოპერატიული და ტრანსფორმაციული. კონცეპტუალურად ცვლილების პროცესი იწყება ცვლილების საჭიროების გაცნობიერებით. სიტუაციის ანალიზი და ფაქტორები, რომლებმაც ის შექმნეს, იწვევს მათი განმასხვავებელი მახასიათებლების დიაგნოზს და მითითებას, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს მოქმედება. ამის შემდეგ, შესაძლებელია, მოქმედების შესაძლო კურსების იდენტიფიცირება, შეფასება და სასურველი მოქმედების არჩევა.

ორგანიზაციული ცვლილებების სფეროში შეიქმნა მრავალი განსხვავებული თეორია და კონცეფცია, რომლებიც ძალიან არაერთგვაროვანი, სუსტად ურთიერთდაკავშირებული და არათანაბარი განვითარებისაა. შემუშავებულია ზოგიერთი თეორია, რომელიც უზრუნველყოფს ცვლილებების დეტალურ სურათს მრავალი ჩართული ცვლადისა და მათ შორის ურთიერთობის შესახებ; ისინი დამოწმებულია ემპირიული კვლევებით, არის მრავალი მკვლევრის შრომის შედეგი და წარმოდგენილია მრავალრიცხოვან კვლევებში. სხვა თეორიები გაცილებით ნაკლებად არის განვითარებული და ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ცნებების დონეზეა; ისინი პრაქტიკაში ნაკლებადაა გა-

მოცდილი და ლიტერატურაშიც ნაკლებად არის წარმოდგენილი. რეალობა ისაა, რომ კომპანიებში ხშირად, სხვადასხვა ცვლილება ერთდროულად ხდება, რის გამოც მენეჯერები შეიმუშავებენ რამდენიმე განსხვავებულ პროექტს კონკრეტული გაუმჯობესების მისაღწევად. ასეთ რთულ პირობებში კონტროლი ძნელად მისაღწევია და ის მოიცავს სხვადასხვა იერარქიულ დონეს, უფლებამოსილების ხაზებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურებს.

ცვლილების ყველაზე ცნობილი მოდელებია ლევინის (1951) და ბექჰარდის (1969) მიერ შემუშავებული მოდელები. მნიშვნელოვანი წვლილი ცვლილებების მექანიზმების გაგებაში შეიტანეს ტურლიმ (1979), ბანდურამ (1986), კოტერმა (1996) და სხვებმა.

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ორგანიზაციული ცვლილებები ხდება, ისინი ხშირად უფრო რთული და გაურკვეველია, ვიდრე მოდელები ასახავს. ამ მიზეზით, ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების პროცესი არაწრფივი და ხშირად არაპროგნოზირებადია.

კომპანიების განვითარების ტემპი დღითი დღე იზრდება, შესაბამისად, წარმატების მიღწევისთვის და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისთვის კიდევ უფრო აქტუალური ხდება ცვლილებების პროექტების სწორად მართვა. აღნიშნულს ადასტურებს სხვადასხვა კვლევა, რომელთა თანახმადაც:

– ცვლილებების მართვის პროგრამების 70% ვერ აღწევს თავის მიზნებს. აღნიშნული მაჩვენებელი გამოწვეულია თანამშრომლების წინააღმდეგობით ცვლილებებისადმი (39%), მენეჯმენტის მხარდაჭერის ნაკლებობით (33%), არაადეკვატური რესურსებითა და ბიუჯეტით(14%) და სხვა დაბრკოლებებით (14%);

–ორგანიზაციების 49.7% აღწერს საკუთარ თავს, როგორც გონებაგახსნილი, ჩართული და მოქნილი, როცა საქმე ცვლილებას ეხება;

– კომპანიები, რომლებიც აღწერენ თავიანთ ცვლილებებს, როგორც დახვეწილ და შესანიშნავ პროგრამებს, აცხადებენ, რომ ROI არის 135%;

–უფროსი მენეჯერების 68% თანხმდება, რომ მათ ესმით თავიანთი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზები;

–42% კომპანიებისა აცხადებს, რომ საშუალო დონის მენეჯერები ყველაზე მდგრადია ცვლილებების მიმართ.

–ცვლილებებით დაზარალებული თანამშრომლების 73% ამბობს, რომ ისინი განიცდიან ზომიერ და მაღალ სტრესს.

–აღმასრულებელი დირექტორიების 31% გაათავისუფლეს ცვლილებების არასწორი მართვის გამო.

კვლევებმა აჩვენა, რომ ცვლილებების წარმატებული პროგრამები 30%-ით მეტია, როდესაც მათში ჩართული ადამიანები რეალურად მოტივირებულნი არიან. სხვა კვლევა მიუთითებს, რომ ადამიანების 62%-ს ან საერთოდ არ მოსწონს კომფორტის ზონის დატოვება, ან მხოლოდ ზოგჯერ აკეთებს ამას. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არიან თანამშრომლები რეზისტენტული ცვლილებების მიმართ, კვლევები აჩვენებს, რომ 44%-ს არ ესმის ცვლილება და 38% - არ ეთანხმება.

ნაშრომში საქართველოს ბიზნესსუბიექტების მაგალითზე შესწავლილია ორგანიზაციული ცვლილებების როლი, ცვლილებების დანერგვის დროს არსებული გამოწვევები და მიდგომები, რომლებიც გამოიყენება წინააღმდეგობების დასაძლევად.

***საკვანძო სიტყვები:*** *ცვლილებების მართვა, სტრატეგია, ტრანსფორმაცია, მოდელის ცვლილება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. დიხამინჯია ი., ცვლილებათა მართვა (დამხმარე სახელმძღვანელო), სსუ-ს გამომც., თბილისი. 2018 წ.
2. ხარხელი მ., გავერდაშვილი დ., კომპანიებში ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2022, №1, გვ.160–172.
3. Appelbaum S. H., Habashy S., Malo J., Shafiq H. Back to the future: revisiting Kotter's 1996 change model. Journal of Management Development, Vol. 31 Iss: 8 pp. 764 – 782.
4. Kotter P. J. Leading Change. Boston. 1996.
5. Robert F. Jacobs, Richard B. Chase. Operations and Supply Chain Management: The Core. 2022.
6. Reiss M., Change Management., Publisher., BoD – Books on Demand, 2012.
7. Teczke M., at al. Approaches and models for change management; Jagiellonian Journal of Management vol. 3 (2017), no. 3, pp. 195–208.
8. Fusch, G. E. at al., People and Process: Successful Change Management Initiatives. Journal of Social Change 2020, Volume 12, Issue 1, Pages 166–184.
9. https://changesynergy.com.au/three-reasons-behind-those-change-management-failure-statistics/
10. https://www.prosci.com/blog/the-correlation-between-change-management-and-project-success
11. https://www.statista.com/statistics/1082243/strategic-performance-measurement-executive-team-worldwide/
12. https://www.prosci.com/blog/the-correlation-between-change-management-and-project-success
13. https://andchange.ru/about-change-management

# მენეჯმენტის ტრანსფორმაციის გამოწვევები ტექნოლოგიურ გარემოში (საქართველოს რეალობა)


**ბადრი გეჩბაია**

*პროფესორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**ქეთევან გოლეთიანი**

*ასისტენტ პროფესორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**გივი ბაქრაძე**

*ასოცირებული პროფესორი*

*ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**ამირან წილოსანი**

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

*ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი*

*ბათუმი, საქართველო*



**აბსტრაქტი**

თანამედროვე ბიზნესგარემოში, ტექნოლოგიური წინსვლა და განვითარება სწრაფად ცვლის მართვის პარადიგმებს ინდუსტრიებში. მოცემულ ნაშრომში მოკვლეულია ის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ გარემოში მენეჯმენტის ტრანსფორმაციასთან, სადაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ორგანიზაციების მიერ მოხდეს სიახლეების დანერგვა და ადაპტირება იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნას კონკურენტუნარიანობა. ანალიზდება დინამიური ურთიერთქმედება ტექნოლოგიებსა და მართვის სისტემებს შორის, მის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, კულტურასა და საოპერაციო ეფექტურობაზე გავლენის განსაზღვრის მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომში განხილულია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის, დიდ-მონაცემთა ანალიზის, ბლოკჩეინისა და ნივთების ინტერნეტის მართვის ტრადიციულ სტრუქტურებზე. მოცემული ტექნოლოგიები ეფექტურობის გაზრდის უპრეცედენტო შესაძლებლობისა და ინოვაციების შემოთავაზებების გარდა, ასევე ქმნიან მნიშვნელოვან პრობლემებს. ორგანიზაციებს უწევთ, გადალახონ სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული ტექნოლოგიების არსებულ სისტემებში ინტეგრაციასთან, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიებთან, ორგანიზაციული აზროვნების ცვლილებასთან და სტრატეგიული მიზნების გადაფასებასთან.

მთავარ გამოვლენილ პრობლემას წარმოადგენს შიდა ორგანიზაციულ კულტურაში ცვლილებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა. ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია მოითხოვს დადგენილი პროცედურებისა და პროცესების ჩანაცვლებას, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს თანამშრომელთა წინააღმდეგობა, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ტრადიციულ მეთოდებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უწყვეტი სწავლებისა და ადაპტირების კულტურის ფორმირების მნიშვნელობაზე. წინააღმდეგობის შესამცირებლად და სამუშაო ძალის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელებმა უნდა დაარწმუნონ კომპანიის თანამშრომლები ცვლილებების საჭიროებაში, აწარმოონ მათთან მკაფიო კომუნიკაცია, გაუწიონ ადეკვატური ტრენინგები და მხარდაჭერა.

ტრანსფორმაციის პროცესი, ასევე, ავლენს არასაკმარისი უნარების არსებობას. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად უნდა ხდებოდეს თანამშრომელთა უნარების განვითარებაც.

განხილულია მუდმივი განათლებისა და სწავლების პროგრამების აუცილებლობა თანამშრომლების შესაბამისი ტექნოლოგიური უნარებით აღჭურვის მიზნით. ეს მოიცავს როგორც ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ტექნიკურ უნარებს, ასევე ისეთ უნარებს, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და ადაპტირება. ორგანიზაციები, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ თავიანთ ადამიანისეულ კაპიტალში, უფრო მარტივად მიაღწევენ წარმატებას ტექნოლოგიურ ცვლილებებთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში.

გარდა ამისა, ნაშრომში განვიხილავთ სტრუქტურულ და სტრატეგიულ ცვლილებებს, რომლებიც საჭიროა მართველობის ეფექტური ტრანსფორმაციისთვის. ტრადიციული იერარქიული სტრუქტურები სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური გარემოს პირობებში ხშირად ძალიან ხისტია. ნაშრომის ავტორები ვემხრობით უფრო მოქნილ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, რომლებსაც შეუძლიათ, სწრაფად უპასუხონ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ბაზრის მოთხოვნებს. ეს გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესების დეცენტრალიზაციას და გუნდების გაფართოების შესაძლებლობას ინოვაციების დანერგვისა და დამოუკიდებლად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან განხილვად გამოწვევას წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის მართვა. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციები სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებიც ეყრდნობა მონაცემებს, ამ მონაცემების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა ხდება პირველი რიგის ამოცანად. სტატია იკვლევს მონაცემთა დაკარგვის შედეგებს, საიმედო კიბერუსაფრთხოების ზომების მნიშვნელობასა და ისეთი რეგულაციების დაცვას, როგორიცაა "მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია" (GDPR). ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშავონ კომპლექსური სტრატეგიები კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის გასამყარებლად.

სტატიაში, ასევე, განხილულია ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ფინანსური შედეგები. ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება შეიძლება იყოს ძვირად ღირებული და ორგანიზაციებმა უნდა იპოვონ შუალედი ინოვაციების საჭიროებასა და ბიუჯეტურ შეზღუდვებს შორის. სტატიაში მოცემულია სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვა და დაფინანსების ისეთი ვარიანტების შესწავლა, როგორიცაა" გრანტები, პარტნიორობა და სარისკო კაპიტალი ტექნოლოგიური ინვესტიციების მხარდასაჭერად.

და ბოლოს, სტატიაში განხილულია ხელმძღვანელობის როლი მოცემული პრობლემების გადაჭრაში. ეფექტურ ხელმძღვანელობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის წარმართვაში. ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ მკაფიო ხედვა, შთაგონებისა და მოტივაციის უნარი იმისთვის, რომ გაურკვეველი გარემოებების პირობებში მიღებულ იქნას სტრატეგიული გადაწყვეტილებები. სტატია ხაზს უსვამს ხელმძღვანელოების განვითარების პროგრამების მნიშვნელობას, რომლებიც მიმართულია ხელმძღვანელებისა და ლიდერების შესაძლებლობების ამაღლებაზე მართონ ტექნოლოგიური ცვლილებები.

დასასრულს, სტატიაში მოცემულია ტექნოლოგიურ გარემოში მართვის ტრანსფორმაციის გამოწვევების კომპლექსური ანალიზი. იგი ხაზს უსვამს ერთობლივი მიდგომის აუცილებლობას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასთან, სტრუქტურულ მოქნილობას, მონაცემთა სანდო მართვასთან, სტრატეგიულ ფინანსურ დაგეგმარებასა და ეფექტურ ხელმძღვანელობასთან. ამ გამოწვევების გადაჭრით, ორგანიზაციებს შეუძლია, არა მხოლოდ

იარსებონ, არამედ განვითარდნენ ციფრდეს ეპოქაში იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას მდგრადი ზრდა და კონკურენტული უპირატესობა ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით.

***მიზანი:*** მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს მრავალმხრივი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ გარემოში მენეჯმენტის ტრანსფორმაციასთან. მასში ხაზგასმულია ორგანიზაციების ადაპტირებისა და ინოვაციების აუცილებლობის მნიშვნელობა, რათა ორგანიზაცია დარჩეს კონკურენტუნარიანი სწრაფადცვალებადი ტექნოლოგიური გარემოს პირობებში. კვლევა მიმართულია იმის დადგენისაკენ, თუ რა გავლენა აქვს ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციას მართველობის ტრადიციულ სტრუქტურებში და როგორც შედეგი აღნიშნულის გავლენა ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, კულტურასა და ოპერაციულ ეფექტურობაზე.

***მეთოდი:*** სტატიაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენციების ხარისხობრივი ანალიზი და მათი გავლენა მენეჯმენტის პრაქტიკაზე. განხილულია მენეჯმენტის ტრადიციულ სტრუქტურებზე ისეთი ტექნოლოგიების გავლენა, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI), დიდ მონაცემთა ანალიტიკა, ბლოკჩეინი და ნივთების ინტერნეტი (IoT). გამოყენებულ იქნა ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდი ტექნოლოგიური ინტეგრაციის გამოწვევებზე, ორგანიზაციული კულტურის ცვლილებებზე, არასაკმარისი უნარების საკითხებზე, სტრუქტურულ ცვლილებებზე, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებზე, ფინანსურ შედეგებზე და მმართველის/ლიდერშიპის როლზე ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციაში.

***შედეგი:*** კვლევის შედეგად გამოვლინდა ტექნოლოგიურ გარემოში მენეჯმენტის ტრანსფორმაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებსაც განეკუთვნება შიდა ორგანიზაციულ კულტურაში ცვლილებების წინააღმდეგობა, უნარების ნაკლებობა, რაც საჭიროებენ უწყვეტ განათლებას და ტრენინგებს, და ასევე უფრო მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის საჭიროება. გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს მონაცემთა უსაფრთხოების მკაცრი ზომების კრიტიკულ მნიშვნელობას და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების ფინანსურ ტვირთს. ეფექტური ხელმძღვანელობა განისაზღვრება, როგორც წარმატებული ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის წარმართვის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ფოკუსირებული უნდა იყოს ლიდერების შესაძლებლობების განვითარებაზე, რათა მართონ ცვლილებები, წაახალისონ სამუშაო გუნდები და მიიღონ სტრატეგიული გადაწყვეტილებები.

***დასკვნა:*** ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ტექნოლოგიურ გარემოში მენეჯმენტის ტრანსფორმაციის გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ერთიან მიდგომას. ეს გულისხმობს ტექნოლოგიების ინტეგრირებას ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან ერთად, უწყვეტი სწავლის კულტურის ხელშეწყობას, მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურების დანერგვას, მონაცემთა ძლიერი მართვის უზრუნველყოფას, სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვისა და ეფექტური ლიდერობის განვითარებას. მოცემული სტრატეგიების მიღებით, ორგანიზაციებს შეუძლიათ არა მხოლოდ იარსებონ, არამედ განვითარდნენ ციფრულ ეპოქაში იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მდგრადი ზრდა და კონკურენტული უპირატესობა ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტრასნფორმაცია, ტექნოლოგია, გარემო, მენეჯმენტი*

## *გამოყენებული ლიტერატურა:*

1. Pronchakov, Y., Prokhorov, O., & Fedorovich, O. (2022). Concept of high-tech enterprise development management in the context of digital transformation. *Computation*, *10*(7), 118.
2. Maksimenko, I., Vashko, T., & Zdrestova-Zakharenkova, S. (2021). Digital transformation and its challenges to the strategic management system. In *SHS web of conferences* (Vol. 106, p. 01035). EDP Sciences.
3. Brunetti, F., Matt, D. T., Bonfanti, A., De Longhi, A., Pedrini, G., & Orzes, G. (2020). Digital transformation challenges: strategies emerging from a multi-stakeholder approach. *The TQM Journal*, *32*(4), 697-724.

# მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური საფუძვლები საქართველოსა და ევროკავშირში[1]

**გიორგი ქათამაძე**
*ასისტენტ-პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ნათელა წიკლაშვილი**
*პროფესორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ნესტან ვარშანიძე**
*დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტები, როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის ქვეყნებშიც ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი აქტორია და ამასთანავე, განსაკუთრებით მგრძნობიარეა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიმართ. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აქვს ბიზნესსუბიექტების განვითარებასა და ზოგადად, ბიზნესგარემოს ფორმირებაში, ისევე როგორც ბიზნესსუბიექტებს აქვთ დიდი გავლენა ეკონომიკური განვითარების პროცესსა და შედეგებზე.

ბიზნესსუბიექტების განვითარება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მაგრამ მთავარი და ფუნდამენტური არის მდგრადი ეკონომიკური გარემო, ქვეყნის პოზიტიური საერთაშორისო იმიჯი, სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, მიმზიდველი ბიზნესრეგულაციები, სახელმწიფო პროგრამების ორიენტაცია ბიზნესზე, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და გამართული ფუნქციონირება.

ბოლო წლებში საქართველომ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ეკონომიკური, რაც მიზნად ისახავს ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ეს კი თავის მხრივ, პირდაპირ უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და განვითარებას. კომპლექსური რეფორმების ეფექტურობა განსაზღვრა ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, ბიუროკრატიული მექანიზმების გაუქმებამ, ბიზნესსუბიექტებზე საგადასახადო ტვირთის შემცირებამ, საბაჟო პროცედურების გამარტივებამ, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებამ, კორუფციის წინააღმდეგ უწყვეტმა ბრძოლამ და ა.შ. საქართველო, ზოგადად, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კუთხით, იგივე გამოწვევების წინაშე დგას, როგორც ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყანა - მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტები წარმოადგენენ მოქმედი, აქტიური საწარმოების ყველაზე დიდ წილს, მათი წვლილი მშპ-ს მიმართ კვლავ დაბალია.

2023 წელს საქართველო გახდა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყანა. სრულფასოვანი წევრობის მოთხოვნების შესრულებაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და ქვეყნის მოსახლეობა გამოხატავს ურყევ ნებას, შეუერთდეს ევროპულ ოჯახს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში

[1] **შენიშვნა:** ნაშრომი მომზადებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024 წელს გამარჯვებული (აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 მარტის დადგენილება N06-01/25) მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - „ევროკავშირის სტანდარტები და მოთხოვნები მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების მიმართ და მათი იმპლემენტაციის შესაძლებლობა საქართველოში" - ფარგლებში.

ძირითადი ცვლილებები ინსტიტუციური და რეგულირების მიმართულებით არის მოსალოდნელი, რასაც ევროკავშირის სტანდარტები და რეგულაციები ითვალისწინებს. 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან უკვე სავალდებულო გახდა ბიზნესსუბიექტებისთვის გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება ევროკავშირის ბაზარზე საქონლის შესატანად, თუმცა დაწესდა ეტაპები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს განსაზღვრულ დროში. ბუნებრივია, გაერთიანების წევრობა გულისხმობს ქვეყნის ტრანსფორმაციას სხვადასხვა - სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით; ფაქტობრივად, ცვლილება დიდ გავლენას მოახდენს ბიზნესსუბიექტების საქმიანობასა და მიმართულებებზეც, რაც მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ტრანსფორმაციის რთული პროცესი იქნება. ჩვენი კვლევა მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტებთან მიმართებით ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შედარებით ანალიზს ეხება, რომლის მიზანი იმ განსხვავების გამოვლენაა, რომლის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მოთხოვნა საქართველოს ბიზნესსუბიექტების მიმართ უახლოეს პერიოდში დადგება. შემოთავაზებული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანალიზის პროცესში გამოყენებულია კომპლექსური მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს:

კომპონენტური ანალიზი - კომპონენტების მიხედვით აქტორებისა და ფაქტორების ზემოქმედების შეფასება ბიზნესზე და განვითარების დინამიკის პროგნოზირება;

სტატისტიკური ანალიზი - ბიზნესსექტორის დინამიკის, ტრენდისა და ტენდენციების ანალიზისთვის შესწავლილია სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მონაცემები, მოხდა მათი კლასიფიკაცია და ნიშნულების ანალიზი.

შედარებითი მეთოდი – ამ მეთოდით მოვახდინეთ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესსუბიექტების ინსტიტუციური სტრუქტურის შედარებითი ანალიზი და გამოვავლინეთ ძირითადი სხვაობები ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებში. ამავე მეთოდით მოვახდინეთ ევროკავშირისა და საქართველოს ფისკალური პოლიტიკის, კერძოდ, ბიზნესსუბიექტებთან დაკავშირებული გადასახადების შედარებითი ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები.

***საკვანძო სიტყვები:*** მცირე და საშუალო ბიზნესი; რეგულაციები; ევროკავშირის სტანდარტები; ინსტიტუციური საფუძვლები

# საერთაშორისო ბიზნესი და გლობალიზაციის ტენდენციები

**გოდერძი შანიძე**

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და*

*ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვეობაში ყველა სახელმწიფო მიისწრაფვის იქითკენ, რომ შექმნას ძლიერი, დემოკრატიული და მყარ ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო. 21-ე საუკუნის ეკონომიკა კი განუყოფელია გლობალიზაციისგან. ის არის მომავალი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყარო. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციაზეა დამოკიდებული საზღვრების გახსნილობა. საზღვრების გახსნა რეალური საშუალებაა საქართველოსთვის, ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესში, მიაღწიოს საერთაშორისო ბაზრებს და ასევე, შეძლოს საკუთარი პროდუქციის რეალიზება უცხოეთში. გლობალიზაცია აფერხებს ადგილობრივი მონოპოლიების წარმოშობასა და ასევე - ზრდას. ხოლო გლობალური ინტეგრაცია ზრდის კონკურენციას ფირმებს შორის და აიძულებს ფირმებს, რომ გადარჩნენ. ახალ გლობალურ ბიზნესში საჭიროა, მიმართონ ინოვაციებს, დანერგონ და გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები და ა.შ. საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანამ გამოიყენოს მსოფლიო გამოცდილება და თვალყური ადევნოს გლობალიზაციის ტენდენციებს.

გლობალიზაციის ინდექსის გამოთვლა ხდება ისეთი მაჩვენებლებით როგორიცაა: კომერცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ინვესტიცია, შემოსავალი. მაგრამ თანამედროვე მეთოდებში ითვალისწინებენ: პოლიტიკას, სოციალურ მდგომარეობას, კულტურულ და ასევე გარემოს დაცვის საკითხებსაც. გლობალიზაციის ერთ-ერთი ინდექსი, რომელიც ზომავს სამ მაჩვენებელს: ეკონომიკას, სოციალურ მდგომარეობასა და პოლიტიკას არის „KOF ინდექსი".

2023 წლის მონაცემებით საქართველო პოლიტიკური გლობალიზაციით 138-ე ადგილზეა, ეკონომიკური გლობალიზაციით 51-ე ადგილზე, ხოლო სოციალური გლობალიზაციით კი 83-ე ადგილზე. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 37%-იანი წილი, სოციალური გლობალიზაცისას – 37%-იანი, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს - 26%-იანი.

2022 წლისთვის ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით 54-ე ადგილი ეკავა მსოფლიოში 70.2 ქულით. ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი 25-ე ადგილი. რაც შეეხება, გლობალიზაციის საერთო დონით 54-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 74-ე ადგილზე იყო, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით – 125-ე ადგილზე. 2021 წელს საქართველოს გლობალიზაციის ქულა 70.6 იყო და ამ ქულით საქართველო მსოფლიოში ერთი პოზიციით ზემოთ, 53-ე ადგილზე მოხვდა. ზოგადად საანგარიშო წლის რეიტინგი გასული წლების რეალობებს ემყარება.

გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის საერთაშორისო ბიზნესურთიერთობები მსოფლიოში. ყველა ქვეყანამ უნდა ეცადოს, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოიყენოს და ასევე თავი დაიცვან მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან. მისთვის უცხოა ეროვნულობა და პრიორიტეტს ანიჭებს უნივერსალურობას.

რეალური გლობალიზაცია გვაძლევს კარგ შესაძლებლობას საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ქვეყნისთვის ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია, ზოგიერთი ქვეყანა მალევე ახერხებს გლობალურ მსოფლიოსთან ინტეგრაციას, ხოლო

ზოგი ქვეყანა ამ ყველაფერს ნელი ტემპით აღწევს. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გლობალიზაცია 100% არ ჰპირდება ქვეყნებს, რომ საქმიანი ურთიერთობებიდან ყველა მიიღებს გარკვეულ სარგებელს, ამ ყველაფრის მოლოდინის პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს ის ნეგატიური პროცესები და შედეგები, რაც შეიძლება, გლობალიზაციამ გამოიწვიოს. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციები გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, ასევე კონტინენტებზე და ამასთანავე, მთელ მსოფლიოზე. კონკრეტულად კი გახშირებული ეკონომიკური, ფინანსური, ეკოლოგიური კრიზისები, ტერორიზმი, კონტრაბანდა, არალეგალური იარაღით ვაჭრობა, ნარკობიზნესი და ა.შ. რაც უდიდესი პრობლემაა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, ასევე აღსანიშნავია ტრანსეროვნული კომპანიების ზრდა და მათი ზემოქმედება ეროვნულ სახელმწიფოებზე. ეს ჩამოთვლილი პრობლემები მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეხება, მაგრამ ყველაზე მეტად იმ განვითარებადი ქვეყნებისთვისაა, რომლებიც მგრძნობიარედ რეაგირებენ საერთაშორისო რყევების მიმართ. საქართველომ უნდა იპოვოს თავისი ადგილი და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც ადვილი ნამდვილად არ არის გლობალური კონკურენციის ზემოქმედების პირობებში და ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის ნაკლები შესაძლებლობების მქონე ქვეყნისთვის. გარდა ნეგატიურისა გლობალიზაცია, ასევე, ხასიათდება პოზიტიური ტენდენციებითაც, კერძოდ, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებთან ახლო საქმიანი ურთიერთობა, რაც გამოიწვევს შემდგომში ეროვნული ინდუსტრიის გაუმჯობესებას და ახალი ქართული პროდუქციის შექმნას. საერთაშორისო კონკურენცია იქნება საწინდარი გეოგრაფიული დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნების. გლობალური ბიზნესის გზების ძიება და კვლევა ქართულ კომპანიებს მისცემს შანსს, შეიძინონ ინოვაციური, მმართველობითი და ტექნოლოგიური გამოცდილება. ბოლო წლების მონაცემებით საქართველოდან ექსპორტი არ განხორციელებულა/ან შემცირდა 60 ქვეყანაში. უფრო კონკრეტულად: არგენტინაში, სლოვენიაში, ინდონეზიაში, ფინეთში, ეგვიპტეში, ხორვატიაში და ა.შ. ხოლო ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია დიდი რაოდენობის პროდუქცია, რომელიც ქვეყნისთვის დიდ სტრატეგიულ საქონელს არ წარმოადგენს.

შესაძლებელია იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკით საქართველომ ადგილობრივი რესურსების დახმარებით აწარმოოს მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია საექსპორტო პოტენციალის შემდგომი გაფართოებისთვის და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებისთვის. საჭიროა, გააქტიურდეს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები უცხო ქვეყნების ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის შეღწევადობისა და გრძელვადიანი დამკვიდრების უზრუნველსაყოფად.

საქართველოსთვის კარგი შესაძლებლობაა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შესრულება, დღეს უფრო საიმედოა ტურიზმისა და სატრანზიტო მომსახურების განვითარება. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება საკმაოდ რეალისტურია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძალიან სარგებლის მომტანი, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია გარკვეული რისკებიც და საფრთხეებიც. გლობალური პრობლემების მოგვარება და გლობალურ პრობლემებთან გამკლავება მარტო შეუძლებელია, საჭიროა, მოხდეს ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და გამოცდილების კვლევა და მათი გამოყენება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

2008 წელს მომხდარმა ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა და დაგვაყენა ფაქტის წინაშე, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის განვითარება. აქედან გამომდინარე, გლობალური კანონზომიერების შესწავლა და შესაბამისად, მისი გამოყენება და გათვალისწინება ქვეყნის ბიზნესის განვითარების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია და მითუმეტეს ისეთი სახელმწიფოსთვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა. პირველ რიგში საწყის ეტაპზე საქართველოს მიზანია, მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრა-

ცია, რაც შესაძლებელია ბიზნესგარემოს შერწყმით ამ სფეროში მსოფლიოს ძირითად მოთხოვნებთან. იმისთვის, რომ ქვეყანამ დაძლიოს უმუშევრობა, სიღარიბე და ბიზნესი განვითარდეს, აუცილებელია და ერთადერთი გზა არის ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური გააქტიურება. ამისთვის კი ადგილობრივი კაპიტალი არ არის საკმარისი, ამიტომ ქვეყნის წინაშე არის ამოცანა, რომელიც გულისხმობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, რათა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას და ბიზნესის განვითარებას ხელი შეეწყოს.

***საკვანძო სიტყვები:*** *საერთაშორისო ბიზნესი; გლობალიზაცია; KOF ინდექსი; სატრანზიტო დერეფანი; საერთაშორისო კონკურენცია*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-ekonomikuri-globalizatsiis-reitingshi-2/ 9.12.2021
2. ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გლობალიზაციის ინდექსი 2023წ. https://forbes.ge/blogs/globalizatsiis-donith-saqarthvelo-msophlioshi-54-e-adgilzea/
3. ხორგუაშვილი ზ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი მნიშვნელობა. https://gnomonwise.org/public/storage/publications/April2023/6LF0cwIFhTdHcjk3vcNq.pdf
4. საქართველო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-ekonomikuri-thavisuphlebis-reitingshi-9-adgilith-chamoqveithda/

# ბიზნესპროექტების ეფექტიანი მართვის AGILE მიდგომის დანერგვის მიზეზები, გამოწვევები და სტრატეგიები

**ირმა ჩხაიძე**

*ასოცირებული პროფესორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

***აბსტრაქტი***

ბიზნესპროექტების ეფექტური მართვა საპროექტო საქმიანობისთვის ცოდნის, გამოცდილების, უნარების, მეთოდებისა და ხერხების მისადაგებაა მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ბიზნესპროექტის ეფექტური მართვის მთავარი ამოცანაა მიღწეულ იქნას პროექტის მიზნები გარკვეული შეზღუდვების პირობებში: დაგეგმილ დროში, განსაზღვრული ხარისხით და დადგენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

ბიზნესპროექტების ეფექტური მართვის მიზნით და მიზნის მიღწევისთვის დასახული ამოცანების განხორციელებისთვის გამოიყენება მუშაობის კონკრეტული Agile-,,მოქნილი" ანუ ,,სწრაფი'' მიდგომა, რომლის დადებით მხარეებად_შეფასებულია: მოქნილობა, მომხმარებლებთან თანამშრომლობა, მოკლე ციკლური პროცესების და ინკლიმენტალური ინოვაციების განხორციელებით საქონლისა და მომსახურების გაუმჯობესება.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე რთულად პროგნოზირებად ცვლილებად პირობებში კომპანიებში მთავარ პრიორიტეტად დასახელებული ,,Agile'' ტრანსფორმაცია, რომელიც ხორციელდება გლობალური გამოწვევების შესაბამისად ეტაპობრივად და ეფუძნება კომპანიის იერარქიული სტრუქტურის ცვლილებას, პროფესიონალი გუნდების შექმნას, გუნდში და გუნდებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, მომხმარებლებთან უკუკავშირს და მუდმივ თანამშრომლობას, ცვლილებებისადმი მეტ მოქნილობას, შედეგებზე ორიენტირებული კონტროლის პროცესის ამოქმედებას და ა.შ.

მსოფლიოში ცნობილი და გავრცელებული Agile მოწოდებულია ორი მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად, მათ შორის პირველი- მარკეტინგის დრო (Time to market) ე.ი. ახალი პროდუქტის ბაზარზე გატანის დრო, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად; მეორე - გადაწყვეტილების მიღების დრო (Time to decision) ე.ი. გადაწყვეტილების მიღების დროის, სწრაფი რეაგირება ცვლილებებზე, მზარდ საჭიროებებსა და მომხმარებლის ქცევაზე.

კომპანიებში ბიზნესპროექტის მართვის Agile, Scrum, Scrumban, Lean Startup, XP და Kanban მეთოდების დანერგვის და გამოყენების ტენდენდენცია მზარდი აღმოჩნდა Covid-19 პანდემიის პირობებში. PMI 2021 Pulse of the Profession®-ის მიერ Covid პანდემიის პირობებში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ *waterfall* მეთოდით მოქმედებდა კომპანიების 30%, Agile-32%, 38% კი waterfall და Agile მართვის ჰიბრიდული მეთოდით. გამოკითხული კომპანიების 66% იყენებდა Scrum, 9% Scrumban, 6% Kanban, 1% Lean Startup, 1% XP მეთოდებს. 2021 წლებში გამოკითხული კომპანიების 73 %-მა შეძლო მიზნის მიღწევა (2020 წელს-69%,, 2019 წელს-68%), 55% - დაგეგმილ დროში პროექტის დასრულება (2020 წელს-53%, 2019 წელს-51%), 62% - დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში პროექტების განხორციელება (2020 წელს-59%, 2019 წელს-57%). ჩავარდნილი პროექტების რაოდენობამ 2019 შეადგინა - 15%, 2020 წელს - 13%. 2021 წელს - 12%.

კვლევის შედეგების გაანალიზებითა და შეფასებით Agile მიდგომის რეალიზების მხრივ ქართული კომპანიები მსოფლიოში მოქმედი კომპანიებისგან განსხვავებით ჯერ კიდევ სტარტაპს

წარმოადგენს. უცხოელ მეცნიერთა კვლევებით 2019 წელს მსოფლიოში მოქმედი 227 კომპანიის მენეჯერის გამოკითხვის შედეგებით პროექტის მენეჯმენტში Agile მეთოდის გამოცდილება გააჩნია გამოკითხული კომპნიების 59%-ს, გამოცდილებას არ ფლობს 41%. Agile მეთოდის ერთ წელზე ნაკლები გამოცდილება გააჩნია 9%-ს, ერთიდან ორ წლამდე გამოცდილება გააჩნია 18%-ს, 3-5 წლამდე გამოცდილება აქვს 15%-ს, ხუთ წელზე მეტი გამოცდილება აქვს 17%-ს. გამოკითხული კომპანიების 37% Agile მეთოდს იყენებს მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისთვის ან IT-თან დაკავშირებული პროექტების განსახორციელებლად. ხოლო კომპანიების 22% Agile მეთოდს იყენებს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისთვის და IT-თან დაკავშირებული პროექტების მიღმა.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პროექტის მენეჯმენტში Agile მეთოდის ეფექტიანობა ვლინდება არა მხოლოდ იმ კომპანიებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან პროგრამულ უზრუნველყოფაზე, არამედ იმ კომპანიებშიც, რომლებიც პროექტების მენეჯმენტს განახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. 2019 წელს 241-პროექტის მენეჯერის მონაწილეობით ჩატარებული კვლევის შედეგად კომპანიები, რომლებიც პროექტების მენეჯმენტს განახორციელებს Agile მეთოდით პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე, გამოკითხული კომპანიებიდან პროექტის მიწოდება - 13%-მა დააჩქარა, გააუმჯობესა პროექტის ხარისხი - 8%-მა, გააძლიერა კლიენტებთან ურთიერთობა - 8%-მა, კლიენტებზე ფოკუსირება შეძლო 10%-მა, პროექტის რისკი შეამცირა -8%-მა, პროექტის ღირებულება - 5%-მა შეამცირა, გუნდის მართვა - 8%-მა გააუმჯობესა, გუნდის მორალი-7%-მა გააუმჯობესა, ცვალებადი პრიორიტეტების მართვის უნარი - 14%-მა გაზარდა, პროდუქტულობა - 9%-მა გაზარდა, მიწოდების პროგნოზირებადობა - 5%-მა გაზარდა.

ამრიგად, Agile, Scrum, Scrumban, Lean Startup, XP და Kanban მეთოდებზე ქართული კომპანიების: *-გადასვლის შემაფერხებელ მიზეზებად სახელდება:* Agile ღირებულებებთან ქართული კომპანიების კულტურის შეუსაბამობა; არაპროფესიონალი პროექტის მენეჯმენტის ნაკლებობა, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა, გამოცდილების ნაკლებობა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში; არამოტივირებული გუნდი და გუნდის წევრთა დაბალი უნარები და სხვა.

*- გადასვლის გამოწვევებად სახელდება:* რეგიონისა და გლობალურ დონეზე კონკურენტული უპირეტესობების მოპოვება; IT მიმართულებით Agile-ის გამოყენების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება და კომპანიის ღირებულებების შესაბამისობა პროექტების სწრაფი მენეჯმენტის პრინციპებთან; განვითარების შესაძლებლობების შენელება; გადაწყვეტილებების მიღების სირთულე; მომხმარებლებთან უკუკავშირის ნაკლებობა და მათი მოთხოვნების შეუსაბამო ინოვაციების დანერგვა;

*- ეფექტიანობის განმსაზღვრელ სტრატეგიებს წარმოადგენს:* კომპეტენტური გუნდის შექმნა და შენარჩუნება გრძელვადიანი მოტივაციური სტრატეგიის შემუშავებით; ინოვაციური ბიზნესპროექტის განმახორციელებელ გუნდებთან და მომხმარებლებთან თანამშრომლობით სწრაფად გამოავლინონ პრობლემები და ინკლემენტარული ინოვაციების დანერგვით სწრაფად გააუმჯობესონ, როგორც საქონლის, მომსახურების, პროცესის ხარისხი.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესპროექტი, მენეჯმენტი, Agile, waterfal, Scrum, Scrumban, Kanban, Lean Startup, XP.*

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Aljaž Stare CSPM. (2014) ,,Agile Project Management in Product Development Projects". Procedia - Social and Behavioral Sciences. Volume 119
2. Agile Project Delivery Confidence Mitigate project risks and deliver value to your business. (2017).
3. Bergmann, T., Karwowski, W. (2019). ,,Agile project management and project success: a literature review''. In J. I. Kantola, S. Nazir and T. Barath (eds), Advances in Human Factors, Business Management and Society
4. Ciric, D., Lalic, B., Gracanina, D., Tasic, N., Delic, M., Medic N. (2019). ,,Agile vs. Traditional Approach in Project Management: Strategies, Challenges and Reasons to Introduce Agile''. 25th International Conference on Production Research Manufacturing Innovation: Cyber Physical *International* Scientific Journal Innovative Economics and Management E-ISSN:2449-2604 editor@iem.ge htpp://iem.ge Vol 10 No2. 2023 Manufacturing. | Chicago, Illinois (USA).
5. Edivandro, C. Conforto, Daniel C. Amaral. (2016). "Agile project management and stage-gate model—A hybrid framework for technology-based companies". Journal of Engineering and Technology Management. Volume 40, 2016
6. Gates, B. (2020). ,,Responding to Covid-19 –A once-in-a-century pandemic?'', New England Journal of Medicine
7. GLOBAL INNOVATION INDEX 2020 Who Will Finance Innovation? Cornell SCJohnson College of Business, 13TH EDITION Soumitra Dutta, Bruno Lanvin, and Sacha Wunsch-Vincent Editors.
8. Georgias Innovation &Technology Agency. (216-2023).
9. IDFI. (2022). Innovation Freedom Development Institute. (in Georgian).
10. Knowles, R., (2020). "What is Agile Research and Why Should Insights Teams Care?". Linkedin.
11. Lawrence, S., A., Callan, V., J. (2011). "The role of social support in coping during the anticipatory stage of organizational change: a test of an integrative model", British Journal of Management
12. National Statistics Office of Georgia. (2016-2023).
13. Project Management Institute. (2020). The Impact of the COVID-19 Crisis on Project Business.
14. Project Management Institute. (2020). „PMI Pulse of the Profession® 2021 Report Uncovers Benefits of Organizational Agility During Times of Great Change".
15. Schoper, Y-G., Wald, A., Ingason, H., T., Fridgeirsson, T., V. (2018). ,,Projectification in Western economies: a comparative study of Germany, Norway and Iceland'', International Journal of Project Management, Volume 36, Issie 1

# ქართული კომპანიების ბიზნესის პრობლემები თანამედროვე ინტერნეტ-მარკეტინგის განვითარების პირობებში

**დავით ქათამაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**გულიკო ქათამაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

**პრობლემის აქტუალობა.** ეკონომიკის გაციფრულების პირობებში თანამედროვე ბიზნესი ახალ, სპეციფიკურ პრობლემებს აწყდება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტერნეტ-მარკეტინგის ეფექტიანობის ამაღლებასთან, ბიზნეს-სტრატეგიის ციფრულ პლატფორმაზე მორგებასთან და სხვა პროცესების განვითარებასთან. ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გამოყენებით დაცულ გარემოში ხდება პროცესების, პროდუქტის, ორგანიზაციული კულტურისა და მომხმარებელთან ურთიერთობის არხების გარდაქმნა ისე, რომ კომპანიის სტრუქტურა თანხვედრაში იყოს თანამედროვე ბიზნესის გამოწვევებთან.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია, ეკონომიკის გაციფრულების პირობებში ბიზნესის განვითარების გამოწვევების დადგენა მომხმარებელთა სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და კომპანიის ღირებულებათა ჯაჭვის ტრანსფრომაციის მიზნით.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული იქნა მასალების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები. მასალების შეგროვების მეთოდი გამოყენებულ იქნა ბიზნესის სფეროში არსებული გამოწვევების გამოსავლენად, ხოლო ანალიზის მეთოდი - ამ პრობლემების გადაჭრისა და ბიზნესის გაციფრულების გზების დასახვის მიზნით.

**კვლევის შედეგები.** ბიზნესპროცესებისა და უახლესი ტექნოლოგიების გაერთიანება ბიზნესის გაციფრულების წინაპირობაა, რაც იწვევს მკვეთრ ცვლილებებს ბიზნესის განვითარების ტენდენციებში. ასეთ პირობებში კარგად გააზრებული ციფრული ტრანსფორმაცია ბიზნესის წარმატებით განვითარების საფუძველია. ბიზნესის გაციფრულების გამომწვევი ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს პერსონალის ტრენინგს მათ მიერ შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით. ბიზნესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა აჩქარებს ბიზნესპროცესებს, რაც აისახება ყველა სფეროში.

ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ახალ შესაძლებლობებს იძლევა მომხმარებელთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე. ბიზნესის გაციფრულებამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო იმ კომპანიების წარმატებას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი გაციფრულების პროცესში. თუმცა, ბიზნესის გაციფრულების გავლენა კომპანიების ბიზნესის მენეჯმენტზე, ორგანიზაციულ კულტურაზე, კონკურენტუნარიანობასა და შრომის პირობებზე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ორგანიზაციამ რა დონეზე აითვისა ციფრული ტექნოლოგიები. ინტერნეტის მეშვეობით მონაცემთა ბაზებზე წვდომამ საშუალება მისცა კომპანიებს კონკურენტუნარიანი გამხდარიყვნენ გლობალურ დონეზე და უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული თავიანთი პროდუქციის მომხმარებელთან. დისტანციური მუშაობის პროგრესულმა ტექნოლოგიებმა, კომუნიკაციის ახალმა საშუა-

ლებებმა (ონლაინმომხმარებელთა მომსახურების ცენტრებმა, ჩატის ოთახებმა, სინქრონულმა ინტერნეტკომუნიკაციებმა და სხვებმა) მკვეთრად შეცვალა მომხმარებელთან კომუნიკაციის კურსი.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქართულმა კომპანიებმა უნდა ჩამოაყალიბონ ბიზნესის განვითარების მენეჯმენტის ახალი, ციფრული, იაფი, მოქნილი და მომხმარებელზე მორგებული სტრატეგია. ციფრულ ეპოქაში წარმატებას მიაღწევენ მხოლოდ ის კომპანიები, რომლებსაც მომსახურება, პროდუქტები და მარკეტინგი მორგებული აქვთ თავიანთი პროდუქციის მომხმარებლის მოთხოვნილებებზე. უფრო მეტიც, ბიზნესის პროგრამული უზრუნველყოფა ქართულ კომპანიებს მისცემს მომხმარებელთა მოთხოვნებზე შეკვეთების მორგების საშუალებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია დიდ გავლენას ახდენს კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე.

ის ქართული კომპანიები, რომლებიც მოახერხებენ თავიანთი ბიზნესის გადართვას ციფრულ პლატფორმაზე, გახდებიან კონკურენტუნარიანები გლობალურ დონეზე. ბიზნესის გაციფრულება დიდ როლს შეასრულებს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ის ასევე გაამარტივებს მენეჯმენტის როლს ორგანიზაციაში პროგრამების მიწოდებით, რომელიც დაეხმარება ბიზნესმენებს ორგანიზაციული კულტურის სრულყოფასა და მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებაში. ბიზნესის გაციფრულება ასევე უზრუნველყოფს პერსონალს ახალი პროფესიული უნარ-ჩვევებითა და შრომის უნიკალური ინსტრუმენტებით, რომლებიც მათ გაუმარტივებს სამუშაო პროცესებს და გარემოს.

ყოველივე ეს გაუადვილებს ქართულ კომპანიებს მომხმარებელთან კომუნიკაციას, შეუქმნის მათთან უკუკავშირის დამყარებისა და, შესაბამისად, პროდუქციის/სერვისის ხარისხის სრულყოფის შესაძლებლობას. ის კომპანიები, რომლებიც სათანადოდ ვერ გამოიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს, ნაკლები შანსი ექნებათ, მიიღონ სწრაფი და ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებები; აჩვენონ ბიზნესის მაღალი წარმადობა; სწრაფი რეაგირება მოახდინონ დაქირავებული მუშაკების პრობლემებზე; გაზარდონ მათი შრომის ნაყოფიერება იმ ფირმებთან შედარებით, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ციფრულ შესაძლებლობებს.

ბიზნესის გაციფრულებამ შექმნა შრომის ორგანიზების ახალი ფორმა - ვირტუალური სამუშაო ადგილები. ვირტუალური კომპანიები ხდებიან სულ უფრო დინამიური, კარგად ორგანიზებული და მრავალსაიტიანი. ვირტუალური სამუშაო ადგილები ხელს უწყობს საოფისე ხარჯების შემცირებას, პროდუქტულობისა და გლობალური ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის ვირტუალურ ფორმას აქვს უარყოფითი მხარეებიც, ის კომპანიებს აძლევს შრომის ორგანიზების უფრო კონკურენტულ ფორმას და შესრულებული სამუშაოს მაღალ ეფექტიანობას, მრავალფეროვანი თანამშრომლების გლობალურად დაქირავების შესაძლებლობას, რაც კომპანიებში ზრდის ინოვაციურობისა და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელს, გლობალურ ბაზარზე საოპერაციო ღირებულების შემცირებით, კომპანიის პროდუქტულობის გაზრდით.

„ბიზნესის გაციფრულების მეშვეობით კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მათი თანამშრომლები. ტრანსფორმაციული ცვლილებები მოითხოვს კომპანიაში თანამედროვე სამუშაო სივრცის კულტურის დანერგვას" *(სულაშვილი მ...2023: 292*). ქართულმა კომპანიებმა ბიზნესის გაციფრულება უნდა დაიწყონ მიმდინარე ბიზნესპროცესების შესწავლითა და აღწერით. ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის გუნდმა უნდა შეისწავლოს კომპანიისთვის ღირებულების მომტანი/პრობლემური პროცესები და, შესაბამისად, სრულყოს ბიზნესსტრატეგია. კერძოდ, აღნიშნული ჯგუფი უნდა გაეცნოს კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ძირითადი ბიზნესერთეულების აღწერილობებსა და პროცესებს, უნდა გაესაუბროს კომპანიის თანამშრომლებს, შეხვდნენ სხვადასხვა ფუნქციონალური ქვედანაყოფის მენეჯერს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ბიზნესპროცესებში.

შედეგად, ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის გუნდი იღებს დეტალურ ინფორმაციას ბიზნეს-პროცესებში წარმოქმნილი პრობლემატური საკითხების შესახებ. შედეგად, ჯგუფმა უნდა აღწეროს კომპანიაში მიმდინარე ბიზნესპროცესები, მასში ჩართული თანამშრომლების მონაწილეობით, მათგან მიღებული რეკომენდაციების წყალობით, უნდა დაადგინოს ბიზნესის სამომავლო პროცე-სების მონახაზი. გუნდმა უნდა აღწეროს ბიზნესპროცესების თითოეული აქტივობა, რაც დაეხმა-რება მას, გამოავლინოს განმეორებითი ქმედებები, მოცდენები, ჭარბწარმოება და ა.შ. ამდენად, ქართულმა კომპანიებმა მკვეთრად უნდა შეცვალონ ბიზნესის განხორციელების გზები ციფრული ეპოქის ფონზე, გადავიდნენ ციფრული დოკუმენტების მართვაზე, კონტრაქტები გააფორმონ ელექტრონული ხელწერით. ციფრულმა ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი შესაძლებლობები, რომ-ლებსაც ბევრი კომპანია ჯერ კიდევ ვერ იყენებს სათანადოდ. მსხვილი კომპანიები ციფრულ ტრანსფორმაციას უპირველეს პრიორიტეტად ხედავენ, რომელსაც სჭირდება მართვის სწორი უნარები.

**დასკვნა.** ამდენად, თანამედროვე ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრა დამოკი-დებულია საქართველოს ეკონომიკური სექტორების გაციფრულების შესაძლებლობაზე. ბიზნესის გაციფრულება არ არის მხოლოდ ციფრული მარკეტინგი ან ციფრული სერვისების განვითარება, არამედ ის იძლევა ციფრულ გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის, ეკოსისტემის ჩამოყალიბების, დამატებითი საინვესტიციო საშუალებების, ქართული კომპანიების ბიზნესისთ-ვის კომფორტული ციფრული გარემოს შექმნისა და ხარჯების შემცირების წინაპირობებს. ევროკავ-შირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების ციფრულ ტრანსფორმაციაში განხორციელებული ინვესტი-რება ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის სარგებლის საქართველოში გავრცელების შე-საძლებლობას ქმნის. ეს ხელს შეუწყობს ციფრული ინფრასტრუქტურის, საჯარო სამსახურების სერვისების გაუმჯობესებას მოქალაქეებისთვის. ბიზნესის სტრატეგიაში ციფრული ტრანსფორმა-ციის კომპონენტების დანერგვა ხელს შეუწყობს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, რაც შეიძ-ლება გახდეს საქართველოში ბიზნესის განვითარების მამოძრავებელი ძალა.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესის გაციფრულება, მდგრადი ეკონომიკა, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ინფრასტრუქტურა, ციფრული მარკეტინგი, ინტერნეტრეკლამა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **Digital...(2024)** Digital transformation of the public sector of Georgia (**საქართველოს....(2024)** *საქართველოს საჯარო სექტორის ციფრული გარდაქმნა)* https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/stories/electronic-services.html
2. **GDS Insights.,** *What is Digital Leadership?* – Definition, Examples, Skills, Qualities., https://gdsgroup.com/insights/marketing/blueprint-for-digital-leadership/
3. **Kozlenkova I. (2020).** *The role of relationships in healthcare marketing.* University of Virginia; https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/
4. **Mdpi., (2021).** *Digital Transformation and Knowledge Management* https://www.mdpi.com/2071-1050/12/14/5824
5. **Sulashvili M., Kutsia I., Neparidze I. (2023).** *Digital transformation and modern challenges.* Globalization and modern business challenges. Publishing House „Technical University'', ISBN 978-9941-28-963-7 p. 290-293;
6. **Thomas M. Siebel. (2019).** *Digital Transformation. Survive and Thrive in an Era of Mass Extinction.* P. 256.

7. **Westgarth D. (2021).** *Has the Pandemic changed the way we communicate?,* Nature.com, https://www.nature.com/articles/s41404-021-0845-x#citeas;
8. **Wrede M., Velamuri V., Dauth. T., (2020).** *Top managers in the digital age: Exploring the role and practices of top managers in firms' digital transformation*;
9. **WritersBay U. (2022).** *Analysis of Shifting Management and Leadership Roles in a Digital Age.,* 15(2), 123–139.https://uniquewritersbay.com/analysis-shifting-management-leadership-roles-digital-age/;

# საქართველოში ბიზნესის განვითარების სოციალური და ადამიანური (შრომითი) რესურსების ცალკეული აქტუალური ასპექტები

**სერგო სვანაძე**

*ასოცირებული პროფესორი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქუთაისი, საქართველო,*

**აბსტრაქტი**

ეკონომიკის წარმატებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიზნესის განვითარება, რომლის ერთ-ერთი პირობაა კვალიფიციური ადამიანური-შრომითი რესურსი. ამასთან ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია საზღვარგარეთ, რაც მზარდი დინამიკით ხასიათდება, ქვეყნის შემდგომი აღმავლობისთვის და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე ზემოქმედების კუთხით საჭიროებს ღრმად შესწავლას სწორი ორიენტირებისა და სახელმწიფო სტატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

შრომის ბაზრის ფორმირების საფუძველს თანამედროვე მსოფლიოს განვითარებისა და გლობალიზაციის გათვალისწინებით შრომითი, ადამიანური რესურსის მიგრაციაც წარმოადგენს, ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებში. ცალკეული ინდივიდის გადასახედიდან ამ პროცესის მთავარი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილია და დღევანდელ მსოფლიოში სწორედ ყველაზე გავრცელებულია ეკონომიკური ხასიათის, შინაარსის მიგრაციული პროცესები- ე.წ. შრომითი მიგრაცია, რაც ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მიხედვით.

დასაქმების მოტივით მიგრაციას და საოჯახო ფინანსური შემოდინებების ზრდას წვლილი შეაქვს სოციალური სტაბილურობის განმტკიცებაში, ვინაიდან იგი გავლენას ახდენს ისეთი მიზნების მიღწევაზე, როგორიცაა - არა სიღარიბეს, არა უმუშევრობას, კეთილდღეობის ამაღლება, მეტი მატერიალური სიკეთე. ამასთან ის, რომ გლობალიზაციის ეპოქაში მუდმივად მზარდი ტენდენცია მიიღო ემიგრანტების რაოდენობამ და პარალელურად შემოსავლების ზრდამ, აღნიშნული ერთის მხრივ ზრდის, აუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ უსაფრთხოებას, მაგრამ ამასთან ადგილი აქვს აქტიური შრომითი რესურსების გადინებას, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, მათ შორის კვალიფიციური შრომითი რესურსების, რაც მთელ რიგი პროფესიების მიმართულებით ქვეყნის შიგნით გამოწვევების წარმოქმნის საბაბია, ამასთან შემოდინებული გაზრდილი ფინანსური ნაკადები, ძირითადად, მიმდინარე ხარჯებში და ე.წ. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების-სამშენებლო ბიზნესის განითარების წყაროა და ეკონომიკის სტრუქტურული დიფერენციაციის შეზღუდულობის გათვალისწინებით მდგრადობის გაძლიერებას რამდენად უწყობს ხელს - ცალკე საკითხია. სწორედ აღნიშნული არის კვლევისა და ანალიზის მიზანი.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესის განვითარება, სამუშაო ძალა, შრომითი მიგრაცია, სოციალურ-შრომითი ურთიერთობები.*

# მიწოდების პირობები - „ინკოტერმსი“

**ლელა ჯახაია**
*ეკონომიკის დოქტორი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სამყაროში საზოგადოებამ განიცადა ევოლუცია თავისუფლების კუთხით, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიოს ნებისმიერი გეოგრაფიული წერტილიდან მეწარმეების ფუნქციონალურ ჩართვასა და ინტეგრაციას ფართო სპექტრის საგარეო სავაჭრო სისტემებში, იქნება ეს ერთიანი ბაზარი, მაგალითად ევროკავშირი თუ სხვა საერთაშორისო ბაზრები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კომერციული ოპერაციები ექვემდებარება საერთო წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც დადგენილია და გამოიყენება გლობალურად ან რეგიონალურად, რაც ემსახურება ბიზნესსამყაროში სტანდარტების შეფასებასა და შემოწმებას. ინფორმირება წესების შესახებ მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის მონაწილეთა ყველა კატეგორიისთვის, რადგან ისინი გავლენას ახდენენ იმ საქონლის ღირებულებაზე, რომელიც იყიდება ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით. ამასთან, მიწოდების პირობების რაციონალური გამოყენება გულისხმობს ხელშეკრულების პარტნიორების მიერ წესების შინაარსის ცოდნას და მათ სწორად ასახვას მსგავს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებში ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინებით.

საქონლის მიწოდების წესები და პირობები რეგულირდება მრავალი საერთაშორისო წესით. 1928 წლიდან, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ინიციატივით, მოვაჭრეებისთვის შემუშავდა საერთაშორისო წესები, რომლებიც ახდენს სავაჭრო პირობების ინტერპრეტაციას საერთაშორისო ხელშეკრულებებში და, ამრიგად, ამარტივებს საქონლის რეალიზაციის შესახებ მოლაპარაკებებისა და გარიგების კომერციული ხელშეკრულების დადების პროცესებს. ხელშეკრულებებში დადგენილია მიწოდების ექვსი პირობა, რაც განსაზღვრავს საერთაშორისო გაყიდვებში ვალდებულებების, რისკებისა და პასუხისმგებლობის ინტერპრეტაციის ერთიან წესებს.

მოგვიანებით, 1936 წელს, პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა საერთაშორისო წესების სერია მიწოდების შესახებ, სახელწოდებით INCOTERMS (Incoterms – International Commerce Terms), რომელიც მოიცავდა 11 საერთაშორისო სავაჭრო პირობას, ასევე ცნობილია, როგორც ”მიწოდების პუნქტები”.

ეს პირობები განსაზღვრავდა გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებებს უკეთესად და სრულყოფილად, ვიდრე 1928 წელს. თუმცა აღნიშნული გამოცემა ორიენტირებული იყო ისეთ ტერმინებზე, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის მხოლოდ საზღვაო გადაზიდვისთვის, უკვე შემდგომი რედაქციები კი შეიცავდა ინფორმაციას საქონლის სხვა საშუალებების გადაზიდვების შესახებ (სარკინიგზო, საჰაერო, ავტოტრანსპორტი). მოგვიანებით, აღნიშნულ წესებში რამდენიმეჯერ იქნა შეტანილი შესწორებები და დამატებები 1953, 1967, 1976, 1980, 1990, 1998, 2000, 2010 და 2020 წლებში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ „INCOTERMS”-ის თითოეული ტერმინის სათანადო შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება, მნიშვნელოვნად დააზარალოს ხელშეკრულების ორივე მხარე და წარმოიქმნას ისეთი გარემოებები, რომლებიც გამყიდველსა და მყიდველს შორის დავის საგანი გახდება.

,,INCOTERMS”-არის კომერციული ტერმინების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებების დადებისას. იგი განიხილავს მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ისეთ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის, მიწოდების, დაზღვევის, განბაჟების, ტრანსპორტი-

რების ასპექტებთან და ა.შ. თავად ტერმინი „INCOTERMS"-ი არის შემოკლებული ვარიანტი „International commercial terms" (საერთაშორისო კომერციული ტერმინები). 2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „INCOTERMS 2020" დღეს მოქმედი საბოლოო რედაქციის სახით.

„ინკოტერმს 2020" საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მისი შემუშავების დროს სამუშაო ჯგუფში წარმოიშვა იდეა - მომხდარიყო ინკოტერმსში გაერთიანებულ ტერმინთა დიფერენცირება 4 საბაზისო კატეგორიად, რაც გააადვილებდა აღნიშნულ ტერმინთა წაკითხვა-აღქმას. აღნიშნული დაყოფის კრიტერიუმებად აღებულ იქნა არა მხოლოდ ტერმინთა საწყისი ასოები, არამედ მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. **ინკოტერმსი დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:**

**პირველ კატეგორიაში** გაერთიანდა ის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს გამყიდველის მიერ უშუალოდ თავის შენობაში მყიდველისთვის ტვირთის გადაცემას (ე.წ. **„E" ტერმინები**).

**მეორე კატეგორიაში** გაერთიანებულია ის ტერმინები, რომლებიც გამყიდველს ავალდებულებს, მიიტანოს ტვირთი მყიდველის მიერ მითითებულ გადამზიდველთან(ე.წ. **„F" ტერმინები**).

**მესამე კატეგორია** მოიცავს ე.წ. **„C" ტერმინებს**, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს სატრანსპორტო დანახარჯების ღირებულება, მაგრამ იგი თავის თავზე არ იღებს ტვირთის შემთხვევითი დაღუპვის ან განადგურების რისკს, აგრეთვე - იმ დამატებით ხარჯებს, რაც შეიძლება, წარმოიშვას გემზე დატვირთვისა და გაგზავნის შემდეგ.

**მეოთხე კატეგორია** „**D"** ითვალისწინებს გამყიდველის მიერ მყიდველისთვის საქონლის მიწოდების ადგილამდე ყველა ხარჯს და ტვირთის შემთხვევითი დაღუპვისა და განადგურების რისკს (ე.წ. **„D" ტერმინები**).

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალური; ვაჭრობა; საქონელი; მიწოდება; სტანდარტი; ტერმინი; გადაზიდვა.*

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ანგარიში, როგორც კომპანიის მენეჯმენტის ინსტრუმენტი

**ლია ბერიძე**
*ბიზნესის მართვის დოქტორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ნაშრომში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშის მომზადების უპირატესობა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება კომპანიის გარემოსთან და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, რადგან ანგარიშგება და გამჭვირვალობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებითი კომპონენტია. კომპანიის მიერ განხორციელებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის სრულად, ასევე კომპანიის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არის კომპანიის მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება, რომელიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მდგრადი განვითარების ანგარიშების სტანდარტიზებული ფორმატების გამოყენების ტენდენცია მსოფლიოში მზარდია. არსებობს მრავალი აღიარებული ფორმატი სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში ანგარიშგები, რომელიც სხვადასხვა საკითხზე კონცენტრირდება ან კომპანიები ერთი ანგარიშის ფარგლებში სხვადასხვა სტანდარტის მოთხოვნების ინტეგრირებას ახდენენ. ყოველწლიურად სხვადასხვა კომპანია მსოფლიოში ყველაზე აღიარებული და ფართოდ გავრცელებული ანგარიშგების გლობალური ინიციატივის სტანდარტის თანახმად ამზადებს ანგარიშს.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის თანახმად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშის ჩარჩოს განსაზღვრა დამოკიდებულია კომპანიაზე, ვინაიდან ანგარიში გამოიყენება კომპანიის მიღწევების ხაზგასასმელად და სოციალური პასუხისმგებლობის დასაკავშირებლად ბრენდის იდენტობასთან.

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ანგარიში; მდგრადი განვითარების ანგარიში; სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები*

# მოხალისეობრივი კულტურისა და ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარება ახალგაზრდებში უნივერსიტეტის მხარდაჭერით

**ნატო ქობულაძე**

*ასოცირებული პროფესორი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქუთაისი, საქართველო*

**შორენა ტყემალაძე**

*განათლების აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ბიზნესი სწრაფ, მუდმივად განვითარებად გარემოში უამრავი გამოწვევის წინაშე დგება, რაც მნიშვნელოვნად აისახება ბიზნესის წარმატებასა და მდგრადობაზე. ეს გამოწვევები სხვადასხვა სახისაა, დაწყებული სტარტაპის შექმნის სირთულეებიდან, დამთავრებული თანამშრომლების შენარჩუნების პოლიტიკის განსაზღვრით. თითოეული გამოწვევა მოითხოვს სიღრმისეულ ცოდნასა და სტრატეგიული მიდგომების შემუშავებას. მნიშვნელოვანია, მოსწავლეობის პერიოდიდანვე იყოს შესაძლებელი აღნიშნული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება. მოხალისეობა არის ის ეტაპი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა სოციალური თუ პროფესიული უნარების განვითარება. მოხალისეობის კულტურას, რომელიც ბიზნესის დაწყების ერთ-ერთი წინაპირობაა, დიდი მხარდაჭერა აქვს განვითარებულ ქვეყნებში, რადგანაც მოხალისეობა სკოლის, კოლეჯის, უნივერსიტეტის სტუდენტების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა, რის შედეგადაც ისინი სასწავლო კრედიტებს აგროვებენ და უვითარდებათ სხვებზე ზრუნვისა და მხარდაჭერის უნარ-ჩვევები.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ერთ-ერთ ასეთ აქტივობად შეიძლება, დასახელდეს ზამთრის სკოლა - “ნორჩი მეწარმე”, რომელიც განხორციელდა აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სსიპ ქუთაისის №23 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტების ჩართულობით. აღნიშნული ზამთრის სკოლა გახდა წინაპირობა მოსწავლეებისა და სტუდენტების თანამშრომლობით განხორციელებულიყო ბიზნესიდეა.

საკონფერენციო თემა ეხება ზამთრის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების თანამშრომლობის შედეგად, მოხალისეობით ინიცირებულ პროექტს, ”პოლიმერული თიხის აქსესუარები”, რომელიც განხორციელდა “საქართველოს კარიტასის” მხარდაჭერით. ნაშრომში ასახულია ბიზნესის დაწყების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

აღნიშნული ბიზნესინიციატივა შემდეგნაირად განვითარდა:

- სკოლის ბაზაზე, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით დაარსდა მინიკომპანია -„ფიმო“;
- სტუდენტებთან თანამშრომლობით შემუშავდა ინოვაციური ბიზნესგეგმა - პოლიმერული თიხისგან აქსესუარების დამზადება;
- თანამშრომლობა შედგა მშობლებთან, თემთან, ბიზნესსექტორთან და მედია წარმომადგენლებთან;
- აქსესუარების რეალიზებისთვის მოეწყო სათემო ბაზრობა ქუთაისის სახალხო დღესასწაულზე -„გვირილობა“.

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ შესწავ-ლილ იქნა:

- ბაზრის მოთხოვნები და გათვალისწინებულ იქნა რისკები;
- მოხდა კონკურენტების შეფასება;
- შემუშავდა მარკეტინგული სტრატეგია: რეკლამირება, სოციალური მედიის აქტივობების დაგეგმვა;
- განისაზღვრა პროდუქტის ფასი;
- გამოიკვეთა პროდუქტის უნიკალურობა-მახასიათებლები;
- შეირჩა გაყიდვების არხები: ონლაინგაყიდვა და მაღაზიები;
- განხორციელდა პროდუქციის რეკლამირება და რეალიზება;
- პროცესების მდგრადობისთვის განახლდა პროდუქტების სერვისები.

რეალიზებიდან შემოსული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ გაკეთდა ანალიზი და დაი-გეგმა სამომავლო ბიუჯეტი ახალი ხაზის შესაქმნელად ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული აქტივობები ,მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში მოხალისეობრივი და ბიზნეს უნარ-ჩვევების გასავითრებლად და მოტივაციის ასამაღლებლად. გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- როგორ შეიძლება მსგავსმა პროექტებმა წაახალისოს მეწარმეობა ახალგაზრდებში;
- როგორ გაიზარდოს პარტნიორული თანამშრომლობა სკოლასა და უნივერსიტეტს შორის ბიზნესისა და სოციალური პროექტების განხორციელებაში;
- როგორ გაიზარდოს მოხალისეობრივი საქმიანობის გავლენა საზოგადოებაზე და განათ-ლებაზე.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა მსგავსი ინიციატივების განხორციელებისთვის ამაღლებს მათ მოტივაციას და ხელს უწყობს ტრანსფერული/რბილი უნარებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ახლგაზრდებში. სასურველია, მეტად გამყარდეს პარტნიორული ურთიერთთანა-მშრომლობა უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის. ასევე, უნივერსიტეტებმა გამოიჩინონ ინიცია-ტივა - დააფინანსონ ბიზნესპროექტები სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის; დაეხმარონ სკო-ლებს ფონდების, დონორების მოძიებაში; წაახალოსონ ისინი ბიზნესიდეების განხორციელებისთ-ვის.

***საკვანძო სიტყვები:*** *მოხალისეობა, მეწარმეობა, ინიციატივა, ბიზნეს გეგმა, გამოწვევები, ახალ-გზრდების ჩართულობა, უნივერსიტეტის მხარდაჭერა*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://csogeorgia.org/ge/post/ratom-aris-mnishvnelovani-mokhaliseoba
2. მეწარმეობა-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი 2015.თბილისი
3. https://azraki.ge/biznesis-thanamedrove-gamotsvevebi/

# მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**ნინო დამენია**

*ასოცირებული პროფესორი*

*ივანე ჯავახიშვილისსახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოს ეკონომიკა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ემყარება, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა და სამუშაო ადგილების შემქმნელი კერძო სექტორია. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია კერძო სექტორის, უფრო კონკრეტულად კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისა და ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე.

მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნია დასაქმების ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის უზარმაზარი პოტენციალი. კარგად განვითარებულიი მცირე და საშუალო მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებას და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესი არის საბაზრო ეკონომიკის ძირეული რგოლი, სამეწარმეო ინიციატივა, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელზე, ყოველთვის მიიჩქარის იქ, სადაც არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა და ტოვებს იმ სფეროებს, რომლებიც აღარ აკმაყოფილებს ბაზრის საჭიროებებს. ამრიგად, ფორმირდება და შენარჩუნებულია ოპტიმალური ეკონომიკური პროპორციები [6].

მოქნილობისა და ინოვაციური მიდგომის გამო, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ, სწრაფად შეეგუონ მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებებს, იპოვონ თავიანთი ბაზრის ნიშა, სწრაფად აწარმოონ ახალი პროდუქტების დიდი რაოდენობა [8].

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უამრავ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება, როგორც ეკონომიკისა და დასაქმების დონის ზრდის ძირითადი მეთოდი.

ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს დაახლოებით 26 მლნ. მცირე და საშუალო საწარმო. მათში 109 მლნ. ადამიანია დასაქმებული და ისინი ევროპის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 60%-ს ქმნის. საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოებში მუშაობს დასაქმებულთა 45%, ხოლო მათი მიერ შექმნილია მთლიანი დამატებული ღირებულების 59% [1].

იმის მიუხედავად, რომ საშუალო ბიზნესს გააჩნია ბევრი უპირატესობა მცირესთან შედარებით (მეტი კაპიტალი, ფინანსები, სტაბილურობა და ნდობა საფინანსო ინსტიტუტებისგან), მცირე მეწარმეები უფრო დიდ ადგილს იკავებენ ქვეყნის ეკონომიკაში. დიაგრამაზე წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესთა სტატისტიკა 2015- 2023 წლებში. მონაცემები ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესი, საშუალოსთან შედარებით, უფრო დიდი ბრუნვით ხასიათდება და უფრო მეტ ადამიანს ასაქმებს [3]. ამავე მონაცემებიდან იკვეთება მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი ზრდის ტემპები. 2010 წლიდან 2020 წლამდე მათ ყოველწლიურად უფიქსირდებოდათ ბრუნვისა და გამოშვების ორნიშნულიანი ზრდა. ამ ტენდენციის შეფერხება მხოლოდ გლობალურმა პანდემიამ მოახერხა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნესმა, სხვა სექტორებთან შედარებით, უფრო რბილად გადაიტანა ეპიდემია.

საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს საქართველოში პირველად შემუშავდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის განხორციელებამ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი გააერთიანა და გაითვალისწინა. სტრატეგიის განხორციელების ბოლოს, 2020 წელი დაემთხვა Covid 19-ის გლობალურ პანდემიას. ეპიდემიისგან გამოწვეულ კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტზე. მან ზიანი მიაყენა ბიზნესის საქმიანობასაც. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემდგომი, 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავებამ. ასევე ამ სექტორში სამომავლო ხედვების, პრიორიტეტული მიმართულების, შესაბამისი ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრამ. ეს სტრატეგია უკვე შემუშავებულია და დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. იგი, 2015 წელს შექმნილი სტრატეგიის მსგავსად, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის უშუალო მხარდაჭერით შეიქმნა. სტრატეგიის მიზანია, პანდემიამდე არსებული ეკონომიკური ზრდის დადებითი ტენდენციების აღდგენა და ასევე - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა [5].

**მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტრატეგიების და მათ ფარგლებს გარეთაც შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი არაერთი სახელმწიფო ორგანიზაცია. ასეთებს მიეკუთვნება სააგენტო - „აწარმოე საქართველოში“ და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ასევე - კერძო ინსტიტუტები: სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, დამსაქმებელთა ასოციაცია და სხვა [7].

გარდა ამისა, არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ყველაზე ეფექტური საშუალება: დაბეგვრის შერბილებული პირობები. ბევრი ქვეყნის მთავრობა ქმნის დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმებს მცირე ზომის საწარმოებისთვის მათი განვითარების წასახალისებლად [4]. ამგვარი დახმარება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე. დამატებითი შემოსავალი, რომელიც წარმოექმნება შემცირებული გადასახადების საშუალებით, ხშირად მიემართება იმავე ბიზნესში ინვესტიციების სახით, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის სწრაფ ზრდას.

2024 წლის 1 აპრილის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 253044 აქტიური საწარმო, რომელიც მიეკუთვნება მცირე ბიზნესს, მათგან 98% რეგისტრირებულია როგორც „მცირე ბიზნესი" და სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ტემპები აღემატება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპებს, ხოლო ხელშემწყობი პოლიტიკის დახმარებით მათ შორის განსხვავება კიდევ უფრო მზარდია. ამ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის მთავარი მიზანია, მოსახლეობის დასაქმების დონისა და შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა. პოლიტიკის მიმართულებები ასახულია ყოველ ხუთ წელს შექმნილ ქვეყნის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში. მასში ჩამოყალიბებულია ყველა ის მიზანი, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესის განხრით, ქვეყანამ უახლოეს წლებში უნდა მიაღწიოს.

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიამ შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა, რამაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა მცირე მეწარმეობაზე, ახალმა კონიუნქტურამ ახალი შესაძლებლობები შექმნა, რითაც ისარგებლეს წარმოების დაწყების მსურველებმა და შექმნეს ბიზნესები, რომლებიც დაეხმარა ადამიანებს პანდემიის პირობებშიც კი მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ისე ქვეყნის მთავრობა სათანადოდ აცნობიერებს მცირე მეწარმეობის მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობს, შეიმუშაოს და ეფექტიანად მართოს მისი ხელშემწყობი ინიციატივები.

***საკვანძო სიტყვები:*** *მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკური ზრდა, განვითარების სტრატეგია, მცირე მეწარმეები, დასაქმება*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კაკულია ე., ბიბილაშვილი ნ., მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი.2017, (გვ. 1-5). თბილისი.
2. კოხრეიძე თ., (2022, 4 16). მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი საქართველოში. *Geoeconomics*, გვ.1.
3. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2021-2025. (2019). გვ. 25-37.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2010). საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გამოყენების შესახებ.
5. ღვინიაშვილი ლ., (2020). მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, Geoeconomics, გვ. 1.
6. ჯავახიშვილი რ., (2018). მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შვედური გამოცდილება, გვ. 1-2.
7. ჯანიაშვილი მ., (2017). „აწარმოე საქართველოში" - გაურკვეველი შედეგები, თბილისი.
8. Gartenstein, D. (2019). Reasons Why Small Businesses are Important. Chron, 1

# ბიზნესის განვითარების გარემო და მისი გამოწვევები

**სონია ჩეჩელაშვილი**
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის*
*სასწავლო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის*
*ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, ასისტენტ-პროფესორი*
*ხულო, საქართველო*
**ნათია აბულაძე**
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო*
*უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების*
*ფაკულტეტის ბიზნესის სპეციალობის I კურსის სტუდენტი*
*ხულო, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე პირობებში ბიზნესის განვითარებაზე დამოკიდებული ეკონომიკა ბიზნესის სამყაროში მოითხოვს ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობას. მეწარმე საკუთარი ბიზნესის დაარსების გააზრების პროცესშივე ირჩევს ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმას. ის სათანადოდ აანალიზებს საკონკურენტო გარემოს და განსაზღვრავს საკუთარ უპირატესობებს, მის წინაშე გახსნილ ახალ შესაძლებლობებს, რისთვისაც აყალიბებს მომავალი ორგანიზაციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ანუ ქმნის პროექტს ბიზნესგეგმის სახით. ბიზნესგეგმის შედგენით მეწარმე ამოწმებს საკუთარი საქმიანობის არა მხოლოდ საკუთარ იდეას და გათვლილი აქვს საჭირო ფინანსური რესურსი, არამედ მხედველობაში აქვს შესაძლო კრედიტორებისა და ინვესტორების მოზიდვის საჭიროებაც. ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა შეძლოს, შეაფასოს გარემო, რომელშიც მის ბიზნესს მოუწევს მოქმედება. ამასთანავე, ანგარიშს უწევს, განსაზღვროს ორგანიზაციათა კლასიფიკაციის მიხედვით, როგორი იქნება საკუთარი ორგანიზაცია: მსხვილი, რომელიც ლიდერია საქმიანობაში, საშუალო, რომლებიც სპეციალიზებული წარმოებებია და წვრილი, რომლებიც კლასიფიკაციით მეოთხე კლასის ორგანიზაციებია და წარმოადგენს წვრილ ფირმებს.

აქ ხდება ბიზნესის საქმიანობის გარემოს გამოკვეთა და თავს იჩენს უამრავი გამოწვევა: ვინ არის ორგანიზაცია ბიზნესში: **კომუტანტები**, რომელთა საქმიანობაც არ არის დაკავშირებული მასობრივ, სპეციალიზებულ და ინოვაციურ წარმოებასთან; **პატიენტები,** რომლებიც ეძებენ საკუთარ ნიშას ბაზარზე და სარგებლობენ შეზღუდული მოთხოვნით; **ვიოლენტები,** რომლებიც მსხვილი ორგანიზაციებია და უშვებენ სერიულ პროდუქციას და გააჩნიათ შეუზღუდავი შესაძლებლობები და ბოლოს, **ექსპლერენტები,** რომლებიც საკუთარ არსებობას უკავშირებენ მაღალ რისკებს და მიეკუთვნებიან წინა სამიდან ერთ-ერთს.

ნაშრომში შევეცდებით, წარმოვადგინოთ ბიზნესის გარემოში ასეთი ორგანიზაციების საქმიანობის გამოწვევები და მათი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკის ფინანსურ სამყაროზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესის გარემო, ორგანიზაციათა კლასიფიკაცია, კატეგორიები, კომუტანტები, პატიენტები, ვიოლენტები, ექსპლერენტები, ფინანსური სამყარო.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თეთრუაშვილი მ., – თსუ ასოცირებული პროფესორი, თეთრუაშვილი ზ., – ეკონომიკის დოქ-ტორი, თეთრუაშვილი ი., – გორის უნივერსიტეტის მაგისტრანტი - **საკუთარი ბიზნესი - პირველი ნაბიჯები გორი - 2008 წ.**
2. საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM - **მენეჯმენტის სა-ფუძვლები,** თბილისი, 2014 წ.
3. http://www.nplg.gov.ge/greenstone3/sites/localsite/collect/civil2/index/assoc/HASH44f6.dir/doc.doc;jsessionid=58A1D2802665C1189AA5FDA437CA8B43

# ESG კონცეფცია და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესისათვის

**ქეთევან მდინარაძე**
*პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*
**ეკა აბესაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*
**გელა ლობჟანიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ESG კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სამი ინგლისური სიტყვის აბრევიატურას, ეფუძნება გარემოს დაცვით, სოციალურ და მმართველობით პრინციპებს. ის გულისხმობს პასუხისმგებლობას მომავალი თაობის მიმართ. სამყარო უნდა განვითარდეს ისე, რომ უზრუნველყოს ცხოვრების მაღალი სტანდარტი დღეს, ისე, რომ არ მიაყენოს ზიანი მომავალ თაობებს.




სურათი 1. ESG პრინციპები

ჩნდება სულ უფრო მეტი და მეტი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა დაუთმოს კომპანიამ ყურადღება ESG სტანდარტებს. ეს მიზეზებია დაწყებული დანახარჯების ეკონომიით და დამთავრებული დაინტერესებული მხარეების ნდობის გამყარებით.

ESG პრინციპების დანერგვა არ არის მხოლოდ მორალური ვალდებულება. ეს არის ჭკვიანური ბიზნეს სვლა. კომპანია, საიმედო ESG სტრატეგიით, დიდი ალბათობით, შეიცნობს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საფუძველზეც მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და მიაღწევს ეკონომიკურ ზრდას.

ბიზნესი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას მაღალ ESG შეფასებაზე, უნდა აკმაყოფილებდეს განვითარების სტანდარტებს სამი მიმართულებით: გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი.

გარემოსდაცვითი პრინციპი გულისხმობს, თუ რამდენად ზრუნავს კომპანია გარემოზე და როგორ ცდილობს, შეამციროს გარემოზე მიყენებული ზიანი. გარემოსდაცვითი სტრატეგია გულისხმობს ენერგო ეფექტური მასალების გამოყენებას, ნარჩენების მართვის მეთოდების დანერგვას და ა.შ.

სოციალური პრინციპი გამოხატავს კომპანიის დამოკიდებულებას პერსონალის, მომწოდებლების, პარტნიორების და მომხმარებლების მიმართ. სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ბიზნესმა უნდა იზრუნოს სამუშაო პირობების ხარისხის ზრდაზე, უნდა დაიცვას გენდერული ბალანსი და უნდა განახორციელოს სოციალურ პროექტებში ინვესტირება.

მმართველობითი პრინციპი განსაზღვრავს კორპორატიული ქცევის პრაქტიკას და სისტემას, როგორიცაა კომპანიის მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ასევე მნიშვნელოვანია კომპანიაში ჯანსაღი გარემოს შექმნა და ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელება.

ESG რეიტინგს ახორციელებენ ისეთი კვლევითი სააგენტოები, როგორიცაა Bloomberg, S&P Dow Jones Indices, Just Capital, MSCI, Refinitiv და სხვ. რეიტინგის ფორმირების ერთიანი სისტემა არ არსებობს. შესაბამისად, სხვადასხვა სააგენტოს მიერ განსაზღვრული რეიტინგები შეიძლება, განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

კომპანია, რომელიც ითვალისწინებს ESG პრინციპებს, გრძელვადიან პერიოდში განიხილება როგორც ნაკლებრისკიანი და მეტად მდგრადი, რაც მას მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობებს უქმნის. ინვესტორები აფასებენ არასაფასო რისკებს, რომელიც მოქმედებს კომპანიის რეპუტაციაზე. ითვალისწინებენ რა ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის სოციალური პასუხისმგებლობა, ენერგოეფექტურობა, ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და მართვის კორპორატიული მეთოდები, ინვესტორები იღებენ მეტად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს და იცავენ თავიანთ პორტფელს დანაკარგების რისკებისგან.

ძირითად ESG რისკებს მიეკუთვნება პოტენციური ნეგატიური შედეგები, რომელსაც კომპანიები „აწყდებიან" ეკოლოგიურ, სოციალურ და მმართველობით სფეროში, რაც თავისთავად, ნეგატიურად აისახება კომპანიის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობაზე და რეპუტაციაზე. ამდენად, მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკების მართვა და ბიზნესსაქმიანობაში ESG მაჩვენებლების გაუმჯობესება.

ძირითად ESG რისკებს მიეკუთვნება:

**ეკოლოგიური რისკები:**

- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები, რაც მოიცავს ამინდის ცვლილებებს, ტემპერატურის მომატებას, ზღვისა და ოკეანის დონის ზრდას, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს ბუნებრივი კატასტროფები და ინფრასტრუქტურის დაზიანება;
- რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოფიტვასთან, მაგალითად, წყლის რესურსების ნაკლებობა, ტყეების გაჩეხვა, განუახლებელი რესურსების გამოლევა;
- რისკები, დაკავშირებული ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურებასთან;

**სოციალური რისკები:**

- რისკები, რომელიც დაკავშირებულია მომუშავეთა უფლებების დარღვევასთან, როგორიცაა შრომის არასაკმარისი პირობები, დისკრიმინაცია, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დარღვევა;
- რისკები, დაკავშირებული ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევასთან, როგორიც არის სავალდებულო სოციალური დაზღვევის უფლება, სქესობრივი უთანასწორობა, გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.
- რისკები, დაკავშირებული მომხმარებელთა უფლებების დარღვევასთან, მაგალითად, მოხმარებისთვის საშიში პროდუქცია და მომსახურება.

**მმართველობითი რისკები:**

- რისკები, რომლებიც გამოწვეულია კომპანიის არაეფექტური მართვის მეთოდებით, მაგალითად, არასაკმარისი გამჭვირვალობა, ინტერესთა კონფლიქტი, ეთიკური ნორმების დარღვევა;
- რისკები, დაკავშირებული ფინანსების მდგრადობასთან და მართვასთან, რაც მოიცავს არასტაბილურ შემოსავლებს, მაღალი დონის ვალდებულებებს, არაცხად ფინანსურ ანგარიშგებებს.
- რეპუტაციული რისკები, რომელიც შეიძლება, გამოწვეული იყოს უარყოფითი დამოკიდებულებით პარტნიორებთან, ინვესტორებთან - ESG პრინციპების არასასურველი მაჩვენებლების გამო.

ბიზნესის ESG ტრანსფორმაცია - ეს არის კომპანიის ცვლილებების და ადაპტაციის პროცესი საქმიანობის ყველა სფეროს ESG პრინციპებთან ინტეგრაციის მიზნით. ეს ტრანსფორმაცია მიმართულია მდგრადი და პასუხისმგებლიანი ბიზნესის ფორმირებაზე, რომელიც ითვალისწინებს თავისი საქმიანობის გავლენას გარემოზე, საზოგადოებაზე და კომპანიის შიდა პროცესების მართვაზე.

ზოგადად, ბიზნესის ESG ტრანსფორმაცია მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს:

***შეფასება და ანალიზი*** - პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება ეკოლოგიურ, სოციალურ და მმართველობით ასპექტებთან მიმართებით. ჩვეულებრივ, კომპანიები აფასებენ რისკებს და შესაძლებლობებს, ავლენენ სფეროებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

**სტრატეგიის შემუშავება** - შეფასების შედეგების საფუძველზე მუშავდება ESG ტრანსფორმაციის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ESG ასპექტებისთვის განსაზღვრულ მიზნებსა და მაჩვენებლებს, მოქმედების გეგმას, მისი მიღწევისთვის საჭირო რესურსებს და ასევე, კონტროლისა და ანგარიშგების მექანიზმებს.

**ბიზნეს-პროცესებში ინტეგრაცია** - ESG მიდგომა უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციის ბიზნეს პროცესებში. მაგალითად, მიწოდების ჯაჭვის სისტემაში, საწარმოო პროცესებში, ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების დანერგვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე, სტრატეგიულ დაგეგმვასა და კორპორატიულ კულტურაში.

**დაინტერესებული მხარეების ჩართვა** - მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთკავშირი: პარტნიორებთან, ინვესტორებთან, თანამშრომლებთან, რათა გათვალისწინებულ იქნას მათი მოთხოვნილებები და მოლოდინები ESG პრინციპებთან მიმართებით.

**მონიტორინგი და ანგარიშგება** - ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს მონიტორინგი და ანგარიშგება, რათა შეაფასოს ESG მიზნების რეალიზაციის პროგრესი. ESG მაჩვენებლების მიღწევის რეგულარული ანგარიშგება საშუალებას იძლევა, შეფასდეს ღონისძიებების ეფექტურობა და აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი კორექტირება.

ESG ტრანსფორმაცია წარმოადგენს განვითარების უწყვეტ პროცესს. ბიზნესი რეგულარულად უნდა აფასებდეს თავის საქმიანობას, სრულყოს პროცესები და უნდა ისწრაფოდეს მდგრადი განვითარების ამბიციური მიზნების მიღწევისკენ. კომპანიების უმრავლესობა იაზრებს, რომ ESG არის პირობა გრძელვადიანი წარმატებისთვის, რამდენადაც ის გახდა სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი და ბიზნესის მამოძრავებელი ძალა.

***საკვანძო სიტყვები:*** *ESG კონცეფცია, გარემოს დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა, კორპორატიული მმართველობა, ESG ტრანსფორმაცია, ESG რისკები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება, თბ., 2018.
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო, სამუშაო ვერსია, თბ., 2022
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N629, 20.12.2019, https://faolex.fao.org/docs/pdf/geo205261.pdf
4. Environmental Impact Assessment, ევროპის კომისიის ელექტრონული გვერდი, https://environment.ec.europa.eu/law-and-governance/environmental-assessments/environmental-impact-assessment_en
5. Gordon Scot / The Investopedia Team, https://www.investopedia.com/terms/e/environmental-social-and-governance-esg-criteria.asp, updated July, 30, 2024
6. Kara Anderson, https://greenly.earth/en-us/blog/company-guide/esg-criteria-what-you-need-to-know, updated July, 24, 2024

# THE CONCEPT OF THE PRECARIAT AS A SIGN OF THE EMERGENCE OF A NEW CLASS OF THE 21ST CENTURY

**Lyudmyla Shymanovska-Dianych**
*Poltava University of Economics and Trade, Doctor of Economic Sciences, Professor, Head of Management Department*
**Oksana Lozova**
*Poltava University of Economics and Trade, PhD of Economic, Associate professor of Management Department*
**Roman Molko**
*Poltava University of Economics and Trade, PhD Student, specialty 073 "Management"*
**Valeri Yastreba**
*Poltava University of Economics and Trade PhD Student, specialty 051 " Economy"*

**Abstract**

It has become fashionable to call "precarity" (which in Ukrainian could be most accurately translated as "vulnerability") an extremely unstable way of life and work without long-term guarantees and reliable earnings, especially in relation to the spread of "non-standard" employment in the neoliberal era. Some sociologists go further and insist on the emergence of a new class - the "precariat" - whose defining characteristic is the situation of precariousness and which has distinct class interests from workers in permanent employment and with guaranteed salaries - the "salariat".

Get up when I want, work 3-4 hours a day and enjoy life. According to this principle, the majority of representatives of generation Z are currently working. That is, young people under the age of 25. Such conclusions are provided by a study by the company Upwork [2], which monitors the number of freelance workers in the USA since 2014. According to her calculations, among working Americans, about 37% are not tied to a specific place of work. And this is 57 million people. According to forecasts, already in 2025, the figure was supposed to increase to 45%. But there are no final data yet.

There is also the term "precariat". It was proposed back in the 70s by Ulrich Beck, a professor of sociology at the University of Munich [2] who observed the development of labor relations around the world and realized that many workers instead of permanent work switch to seasonal work or "part-time" employment. And this is news for working traditions. However, the term did not come into widespread use. Until in 2011, the economist and sociologist Guy Standing released the book "The Precariat: The New Dangerous Class" [3], which identified 5 classes of society based on how they work and how much they earn:

1. The elite are the super-rich, of whom there is a small percentage in society;
2. Salariat (from the English salary — salary) — people who have a consistently high income and a permanent job. They often occupy management positions;
3. Professionals — people who have income thanks to their skills and abilities;
4. The core is the "old" working class, which works for a salary and sits at one job for years;
5. Precariat - people who are not settled anywhere, who do not have a stable income and employment. Only the poor population is below it.

It is "precarity" that is called a state of instability, when people have no guarantees in the future and depend on external conditions. Although the phenomenon is quite new, researchers have already identified subgroups in it. Professor Zhan Toshchenko refers to the precariat 7 types of workers [….]: emp-

loyed in temporary jobs; work part-time or settle for seasonal part-time jobs; people of creative professions who work for themselves (creative freelancers — designers, copywriters, etc.); migrants; interns and students who agree to low wages, or to receive at least something; unemployed.

It is important to add that some people of the new class did not choose to be in it. This happened due to lack of high-paying work or inadequate attitude of employers. The precariat is a product of time. With the development of technology, the very concept of an employee as a work unit began to blur. Digitalization leads to the fact that people of many professions no longer need to go to the office every day and stay at work for 8 hours. Employees began to manage their own time, and therefore resources: how much to work, how to work and where to do it. The essence of labor relations has changed.

On the other hand, the emergence of the precariat was influenced by labor market reforms. It became less rigid and gave employers the opportunity to independently determine the work standards of subordinates. This is precisely negative regulation: reducing salary without warning, providing more responsibilities than agreed, not fulfilling obligations regarding vacations. And those who did not like the conditions should be dismissed without any explanation. However, there is a third, more dramatic reason. The 21st century produced so many workers that there was an "extra overflow" in the market. Labor demand exceeded supply. Instead of professionals, employers began to hire specialists with dubious skills. And it doesn't matter that they lack experience and desire to work. The main thing is that it is cheaper than hiring a specialist "with a higher price". Therefore, the latter were forced to accept salaries and jobs that did not correspond to their skills and experience. Few people can like this state of affairs. The rebels, who did not like it, began to resign from their jobs and, as it were, abstracted from the labor system. Only it did not work in their favor. Instead of working for themselves and a certain income, people stopped being certain about their position and money. And as a result — a new, not too well-off, social class.

Standing also divided the precariat into types. But he did it in view of the reasons that led to its appearance (and which we talked about above). According to him, we have three groups of the precariat:

1. People who did not fit into the general work system. They feel lost and disappointed and often think about the missed opportunities in the past. Standing called them atavists.

8. საქართველოს პარლამენტი. (2001). *საქართველოს კანონი საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის შესახებ*. თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოპოვებული https://www.geostat.ge/media/58575/Business-sector-in-Georgia-2023.pdf-დან

# THE INFLUENCE OF CULTURE ON THE PROCESS OF CONDUCTING EFFECTIVE NEGOTIATIONS

**Nino Paresashvili**
*Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*
**Nanuli Okruashvili**
*Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Tbilisi, Georgia*
**Ketevan Chitaladze**
*Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

**Abstract**

Negotiation is a dynamic and essential process in which parties work to balance their divergent interests and come to a mutually agreeable solution. The strategies and planning used by the negotiators have a significant effect on the efficacy of this process. As it establishes the foundation for the negotiation's direction and effectiveness, preparation is essential prior to engaging into discussions. Effective planning encompasses a thorough understanding of objectives, strategic approaches, and the interplay between various interests. Unfortunately, a significant number of negotiators frequently overlook this crucial element due to time restraints, a preference for instinctive judgment, or a lack of appreciation for thorough preparation. This lack of preparation can lead to suboptimal outcomes, including misaligned goals, ineffective strategies, and poorly managed negotiations. The success of negotiations can be substantially increased by acknowledging and addressing the significance of careful planning and strategic selection.

To begin with, clear goal formulation is critical in negotiation preparation. Negotiators must determine their key goals, which are usually divided into three categories: substantive, procedural, and relational. Substantive goals refer to the exact outcomes or terms desired from the negotiation, such as financial agreements, contractual terms, or specified deliverables. Procedural goals are concerned with the methods and processes used during the negotiation, such as negotiation phases, meeting protocols, and decision-making procedures. Relational goals seek to preserve or strengthen the relationship between the parties involved, which is especially crucial in current or future interactions.

Prioritizing these aims is a strategic decision that determines the negotiation technique. For example, if the primary goal is to obtain favorable terms, a competitive or distributive strategy may be used. This technique is based on claiming value and maximizing one's own gains, typically at the price of the other party's benefits. On the other hand, if maintaining a positive connection or attaining a win-win situation is critical, a collaborative or integrative method may be more suited. This strategy promotes reciprocal benefits, open communication, and problem-solving in order to meet the interests of both sides.

Negotiation strategies must be chosen with consideration, taking into account both tactical and strategic components. Tactics are the specific acts and decisions taken during the negotiating process, such as making first offers, concessions, or proposals. These are short-term maneuvers that are consistent with the overall strategy. In contrast, strategy refers to the whole plan planned to attain the desired results, incurporating both immediate tactics and long-term goals. A well-chosen strategy is consistent with the negotiator's objectives and the circumstances of the negotiation, such as the nature of the relationship with the other party, the stakes involved, and the available resources.

In today's global environment, numerous negotiation processes occur between individuals from diverse cultural backgrounds. Cultural aspects significantly impact these negotiations, making it crucial for each party to possess comprehensive information about the opposing party's culture.

During international negotiations, understanding both foreign and native cultures is multifaceted. It is essential to gather substantial information from various sources, sort and analyze this information accurately. This process requires correct interpretation of cultural values, beliefs, and ethical norms, using both emic (insider) and etic (outsider) perspectives.

In the process of negotiations, it is also necessary to take into account the cognitive component, which helps participants of negotiations to know the values, beliefs and expectations of people from a foreign culture. Without this knowledge, communication can be based on incorrect assumptions, leading to inappropriate communication strategies or causing loss of face for oneself or others. This understanding requires action, openness, and what Gudikunst (1992) refers to as cognitive flexibility, which involves accepting and comprehending others' reactions.

Equally important is the emotional component, which includes human emotions, temperament, psychological type, and the need to establish or sustain commercial connections with representatives from other cultures. Individuals can gain self-confidence and negotiate more effectively when the emotional and cognitive components work together.

The dual-interest approach provides an effective framework for identifying and balancing the interests of both parties. This method enables negotiators to think about their own aims and needs alongside those of their adversaries. Negotiators can generate more agreeable outcomes by addressing all sides' interests. For example, if a negotiator wants to secure a specific contractual provision while keeping a friendly relationship, they may take a collaborative approach to develop a solution that benefits both parties.

Furthermore, identifying the strengths and limitations of both negotiation sides is critical for effective strategy formulation. Negotiators must evaluate their own positions, including leverage, resources, and prospective concessions. Equally crucial is assessing the opposing party's position, including their needs, limits, and potential strategies. This assessment assists negotiators in developing strategies that leverage their strengths, address their shortcomings, and anticipate the actions of the opposing party. It is also critical to be prepared to alter methods in response to changing facts and dynamics during the negotiating process.

The outcome of a negotiation is primarily determined by the negotiators' strategic planning and approach. Effective negotiation preparation requires clear goal-setting, strategic planning, and a full understanding of both sides' interests and perspectives. Negotiators can improve their chances of success by aligning their strategies with their aims and the negotiating situation. Recognizing the need of extensive preparation and strategic choices is critical for navigating the complexities of negotiations and producing results that meet the requirements and expectations of all parties involved.

***Keywords:*** *Negotiations, Culture, Communication, Emotional component, Cognitive component*

**References:**

1. Charlene Solomon, Michael S. Schell, 2009, Managing Across Cultures: The Seven Keys to Doing Business with a Global Mindset Hardcover, ISBN-13: -0-07-160585-4
2. Claude Cellich, 2020, Creative Solutions to Global Business Negotiations, Copyright © Business Expert Press, LLC

3. David C. Thomas , Mark F. (Frederick) Peterson, 2014, Cross-Cultural Management: Essential Concepts 3rd Edition, ISBN-13: 978-1452257501
4. Geert Hofstede, Gert Jan Hofstede and Michael Minkov, 2010, Cultures and Organizations: Software of the Mind, Third Edition
5. Gudikunst, A., and J. Mccarthy, 1992, "Determinants of Bond Mutual FundPerformance", The Journal of Fixed Income, 2
6. Hede Helfrich, Erich Hoelter, Igor V. Arzhenovskiy, 2012, Time and Management from a Cross-Cultural Perspective 1st edition
7. Jean-Claude Usunier, Hester van Nerk and Julie Anne, Lee, 2017, International Cross-Cultural Business Researcg, First publishes ISBN 978-1-47397-588-0
8. Marie-Joelle Browaeys, Roger Price, 2015, Understanding Cross-Cultural Management 3rd edn (3rd Edition) 3rd Edition, ISBN-13: 978-1292015897
9. Michael Wheeler , 2013, The Art of Negotiation, Publisher Simon & Schuster,ISBN 9781451690446
10. Richard D. Bucher (Author), Patricia L. Bucher (Contributor), 2009, Diversity Consciousness: Opening our Minds to People, Cultures and Opportunities (3rd Edition), ISBN-13: 978-0135014639
11. Roy J. Lewicki, Bruce Barry, 2016, Essentials of Negotiation, Sixth edition, David M. Saunders Queen's University
12. Roy J. Lewicki, Bruce Barry, David M. Saunders, 2015, Negotiation Readings, Exercises, and Cases, Seventh Edition, ISBN: 978-0-07-786242-8
13. William W. Baber, Chavi C-Y Fletcher-Chen, 2020, Practical Business Negotiation, Second edition published
14. ZeynepAycan, Rabindra N. Kanungo, 2014, Manuel MendoncaOrganizations and Management in Cross-Cultural Context 1st Edition, ISBN-13: 978-1412928748

# ელექტრონული კომერცია და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები თანამედროვე პირობებში

***გელა მამულაძე***
პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
***სალომე ქოქოლაძე***
მაგისტრანტი, ბიზნესის ადმინისტრირება
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

***აბსტრაქტი***

ელექტრონული კომერცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მიმართულება გახდა თანამედროვე ბიზნესში, რადგან ეს საქმიანობა იყენებს გლობალურ საინფორმაციო ქსელს, რომელიც ხელს უწყობს - დროითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებას. ელექტრონული კომერციის სტრატეგიებმა ბიზნესს მისცა შესაძლებლობა იმისა, რომ როგორც მომხმარებლებთან, ასევე მომწოდებლებთან და სხვა შესაძლო დაინტერესებულ სეგმენტთან, დაემყარებინა მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც თავის მხრივ, ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს.

ელექტრონული კომერცია ეს არის სავაჭრო პროცესი, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, შეიძინონ პროდუქტი ან/და მომსახურება ინტერნეტის საშუალებით. წარმატებული კომპანიები დღესდღეობით იყენებენ ელექტრონული კომერციის პლატფორმებს - საკუთარ ვებსაიტს, რათა განხორციელდეს ელექტრონული გადახდები და პროდუქტმა მიაღწიოს მომხმარებლამდე დროის უმოკლეს დროში და უმცირესი დანახარჯებით.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ელექტრონული კომერცია ინტერნეტგაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაც კი გახდა, რადგან ბიზნესს აქვს უკვე შესაძლებლობა, აირჩიოს მისთვის სასურველი ელექტრონული კომერციის შესაბამისი მოდელი. გაყიდვების სტიმულირებისთვის კომპანიას ერთის მხრივ აქვს საშუალება, შექმნას საკუთარი ვებგვერდი და მასში ჩააშენოს ელექტრონული კომერციის ფუნქციონალი, მეორეს მხრივ კი - გაყიდოს თავისი პროდუქცია ან/და მომსახურება უკვე არსებული ელექტრონული პლატფორმების დახმარებით. მათი საშუალებით ბიზნესს აქვს შესაძლებლობა, მისწვდეს პოტენციურ მომხმარებლებსაც, რაც გაყიდვების და კომპანიის ცნობადობის ზრდასთანაა დაკავშირებული.

ელექტრონული კომერციის მომავალთან დაკავშირებით დარგის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ელექტრონული კომერციის გაყიდვები გლობალურ დონეზე უახლოეს პერიოდში 5 ტრილიონ დოლარს მიაღწევს, მათ შორის მობილური კომერციის გაყიდვები 2025 წლისთვის მიაღწევს 728.28 მილიარდ დოლარს, ხოლო ტრანზაქციები მობილური აპლიკაციებიდან გაიზრდება 29%-ით. ეს ყოველივე აშკარად მიუთითებს დარგის შემდგომი განვითარების დინამიკაზე და მის აქტუალობაზე.

საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარების ტენდენციებს განაპირობებს მრავალი ფაქტორი და გარემოება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები როგორც კომპანიებში, ისე შინამეურნეობებში. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის ინტერნეტით უზრუნველყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან ინტერნეტის არქონა და/ან დაბალი ხარისხი პირდაპირპროპორციუ-

ლად აისახება ელექტრონული კომერციის გამოყენებაზე. ინტერნეტით უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ასევე, მომხმარებლებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან ერთად, ელექტრონული კომერციის განვითარება მოითხოვს, ასევე, კომპანიების მხრიდან გამართული და მიმზიდველი ვებგვერდის შექმნას. სტატისტიკური მონაცემებიდან კარგად ირკვევა, რომ მეწარმე სუბიექტებს, რომელთაც ჰქონდათ ეფექტური ვებგვერდი, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ვებგვერდის შექმნის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ინფორმაციის კონფიდენციალურობის პოლიტიკა.

კომპანიები უნდა შეეცადონ მომხმარებელთა ნდობის მოპოვება-შენარჩუნებას, რისთვისაც საჭიროა საქონელზე/მომსახურებაზე ხელმისაწვდომი ფასების დაწესება, გარკვეული ფასდაკლებების შეთავაზება, რათა იგრძნოს მომხმარებელმა უპირატესობები, რასაც ელექტრონული კომერციის პირობებში კომპანიები მათ სთავაზობენ. კვლევების თანახმად, ასევე დასტურდება, რომ ელექტრონული კომერციის შემაფერხებელ გარემოებად კომპანიები ასახელებენ ფინანსურ რესურსებზე ნაკლებ ხელმისაწვდომობას. თუმცა მძაფრი კონკურენციის პირობებში, აუცილებელია შესაბამისი ფინანსური რესურსების მოპოვება და პრაქტიკაში ელექტრონული კომერციის შესაბამისი მოდელების დანერგვა.

მართალია, საქართველოში არსებული ტენდენციები, სტატისტიკა და გატარებული რეფორმები, გარკვეულწილად, დადებითად აისახა ელექტრონული კომერციის განვითარებაში, მაგრამ ბიზნესისთვის კვლავ რჩება უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი, რომელიც აბრკოლებს აღნიშნული მიმართულების განვითარებას.

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომში განხილულია ელექტრონული კომერციის ზოგადი პრინციპები და ელექტრონული კომერციის ბიზნემოდელები საქართველოში არსებულ ელექტრონულ ბიზნესთან მიმართებაში. შესწავლილია ელექტრონული კომერციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები და გარემოებები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ციფრული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოკვლეული და გაანალიზებული იქნა მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით, ასევე - საქართველოში მოქმედი ელექტრონული კომერციის ძირითადი უმსხვილესი მონაწილეების ფინანსური მონაცემები. ნაშრომის ბოლოს მოცემულია შესაბამისი წინადადებები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ელექტრონული კომერციის შესაბამისი სტრატეგიების შემდგომ სრულყოფას და პრაქტიკაში დანერგვას.

***საკვანძო სიტყვები:*** *ელექტრონული კომერცია, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული გაყიდვები, ვებგაყიდვები.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. BigCommerce. (2023, March 13). *BigCommerce*. Retrieved from BigCommerce Web site: https://www.bigcommerce.com/articles/ecommerce/#h2_the_history_of_ecommerce__a_timeline
2. Commersant. (2023, ოქტომბერი 28). რომელი კომპანია გახდება ქართული Amazon-ი - ქართული ელ-კომერციის 3 მსხვილი მონაწილის ფინანსური მონაცემები. თბილისი, საქართველო. Retrieved from https://commersant.ge/news/world/rusetistvis-dronebis gadatsemis-gamo-ashsh-ma-da-evrokavshirma-irani-daasanqtsires
3. Kazinik. B;. (2024, March 24). The History of eCommerce - How it all started. *E-commerce*, pp. 1-2.

4. Pahwa. Aashish;. (2023, August 11). Ecommerce Business & Revenue Models Explained. *Ecommerce Business Model*, pp. 1-3.
5. Panozzo. K;. (2021, September 1). How Michael Aldrich created online shopping: The origins of ecommerce. *Who created online shopping?*, pp. 1-2.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით.* თბილისი: საქსტატი. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ინტერნეტის ბოლო გამოყენების დროის მიხედვით.* თბილისი: საქსტატი. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში.* თბილისი: საქსტატი. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები. თბილისი: საქსტატი.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ვებსაიტი/ვებგვერდი. თბილისი, საქსტატი.
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საწარმოთა წილი, რომელთაც ჰქონდათ ინტერნეტთან წვდომა. თბილისი, საქსტატი.

# საცალო ვაჭრობის მომხმარებელზე ემოციური გავლენა ციფრული მარკეტინგის საშუალებით

**ეკატერინე უროტაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*
**ნათია წაქაძე**
*დოქტორანტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

ოცდამეერთე საუკუნეში ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ციფრული მარკეტინგის საჭიროებას ბიზნესის თითოეულ სექტორში, მათ შორის საცალო ვაჭრობაშიც, რაც, თავის მხრივ, საინტერესოს ხდის, თუ რა ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ციფრული მარკეტინგი საცალო ვაჭრობის მომხმარებლებზე.

ნაშრომში განხილულია ემოციური ზემოქმედება, როგორც საცალო ვაჭრობის მომხმარებელთა ქცევაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა ქცევის შესწავლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოდელზე „სტიმული - ორგანიზმი - რეაქცია". ამ მოდელის მიხედვით მომხმარებლის განცდილი ემოციები „ორგანიზმის" ნაწილია და დიდი როლი უჭირავს, როგორც ყიდვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში, ასევე, ლოიალურ მომხმარებლად ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, ნაშრომში ფოკუსირებულია, როგორც იმ ემოციებზე, რომელსაც საცალო ვაჭრობის მომხმარებელი განიცდის, ასევე უშუალოდ ემოციური ზემოქმედების საშუალებებზეც.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ საცალოდ მოვაჭრეები სულ უფრო მეტ ენერგიას და რესურსს ხარჯავენ მომხმარებელზე ემოციური ზემოქმედების მოსახდენად. ხშირ შემთხვევაში ემოციური ზემოქმედება მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დადებითად მოქმედებს, თუმცა, საკმაოდ ხშირია უარყოფითი შედეგებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტატიაში გაანალიზებულია საცალო ვაჭრობის მომხმარებელთა განცდილი დადებითი და უარყოფითი ემოციები, მათი გამომწვევი მიზეზები და სავარაუდო შედეგები.

***საკვანძო სიტყვები:*** *ემოციური ზემოქმედება, მომხმარებელი, ციფრული მარკეტინგი, საცალო ვაჭრობა.*

# პიარი, რეკლამა და იმიჯი ბიზნესპროცესების ეფექტიანი წარმართვისათვის

**მარინე კობალავა**
*ასოცირებული პროფესორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ნაშრომი ეძღვნება პრიორიტეტული აქტორების - პიარის, იმიჯისა და რეკლამის პროცესუალურ ანალიზს და მათ მრავალმხრივ ზეგავლენას ბიზნესპროცესების განხორციელებაში. ბიზნესპროცესების მართვის პროცესში წარმატების გზა არის პიარის, რეკლამისა და იმიჯის ვალიდური ურთიერთკავშირი. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მედიის პიარ ანალიტიკის პროცესი მთლიანად ეყრდნობოდეს წინასწარ შემუშავებულ კონცეფციას და საზოგადოებასთან ურთიერთობა განიხილებოდეს მრავალწახნაგოვან სივრცეში.

ბიზნესპროცესების ეფექტიანი წარმართვისთვის პრიორიტეტულია პიარის, რეკლამის და იმიჯის შედარებითი ანალიზი და მათი იდენტიფიცირება კომპანიის ბიზნესსაქმიანობაში. პიარი ფოკუსირებულია კომპანიის იმიჯზე და რეკლამის ფუნქციონალების გამოყენებით ზრუნავს მის პრომოციოზე. კომპანიისთვის სწორად დაგეგმილი პიარი, შესაბამისი სარეკლამო გზავნილები და დაქირავებული იმიჯმეიკერები წარმატების ფუნდამენტური გზაა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია განვიხილოთ პიარის, რეკლამისა და იმიჯის ვალიდური ურთიერთკავშირი და მათი საშუალებით პოტენციური აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობა.

პიარის მძლავრი მეთოდების გამოყენებით, იმიჯის შესაძლებლობებითა და რეკლამის სხვადასხვა ტექნოლოგიის მეშვეობით მიმდინარეობს უძლიერესი შტურმი საზოგადოების ყველა წევრის ცნობიერებაზე მათი სურვილების საწინააღმდეგოდ. თუ ადრე მსოფლიო ეყრდნობოდა მწარმოებელს, ახლა იგი ეყრდნობა მომხმარებელს. წარმოების ლიდერმა ადგილი დაუთმო მომხმარებლის ლიდერს. ეს ყველაფერი კარგად აირეკლება ბიზნესპროცესების მართვის პროცესში.

თანამედროვე იმიჯი საკმაოდ რთული ფენომენია და სხვადასხვა აქტორის მომცველია. იმიჯი, როგორც მოვლენა, უნივერსალურია. იმიჯის თანამედროვე ფორმულირება საკმაოდ განსხვავებულია და ის შესაძლებელია, წარმოჩინდეს გაიდეალიზებულ მოცემულობაშიც ანუ ის არა იმდენად ადამიანის ან პროდუქტის რეალური სახეა, რამდენადაც წარმოდგენილია როგორც იდეალურთან მიახლოებული, თუმცა, განსხვავებულია რეალურისგან. იმიჯი განიხილება, როგორც რეპუტაცია ამა თუ იმ პროდუქტზე, პიარსა და/ან მომსახურებაზე.

ნაშრომში იმიჯი და რეპუტაცია განხილულია როგორც უმნიშვნელოვანესი ცნებები, რომელთა საშუალებითაც ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. ამასთან, რეპუტაციული ზიანი შეფასებულია ნეგატივის მრავალმხრივ კონტექსტში. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმიჯის იმ ფასეულობებზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. შესაბამისად, ოპტიმალურად არის მიჩნეული მოსაზრება, რომ შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და რეალობისგან მაინც განსხვავდება.

ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით ნაშრომში რეკლამა წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრენდული თემა თანამედროვე სამყაროში. რეკლამის საბოლოო მიზანია პროდუქტის და/ან მომსახურების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, მისი პრომოციო, მომხმარებლისთვის მიყიდვა და საბოლოო ჯამში პროდუქტზე ცნობადობის ამაღლება და მოგების მიღება. რეკლამა ყველაზე კომერციული ხასიათისაა ამ აქტორებიდან და იგი არაჰომოგენურ პრო-

ცესს წარმოადგენს. დასაბუთებულია, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს სხვადასხვა კულტურული და სუბკულტურული ნორმათა კატეგორიები გააჩნია. გაკეთებულია დასკვნა, რომ რეკლამის ეფექტიანობა მაღალია, როცა იგი შეესაბამება მომხმარებელთა კულტურას, ქცევებს, ნორმებს.

რეკლამა, ერთდროულად შეიძლება იყოს თავად პროდუქტიც და ამავდროულად წარმოადგენდეს ბიზნესსაც. ნაშრომში მოტანილია არგუმენტები, რომლითაც ნაჩვენებია, რომ რეკლამა ბიზნესის კრეატიულ განვითარებას უწყობს ხელს, შესაბამისად, რეკლამა ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ბიზნესპროცესების ეფექტიან განვითარებაზე. რეკლამა წარმატებას ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებითაც აღწევს. ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება კი ხორციელდება წარმატებული სარეკლამო გზავნილის შესაქმნელადაც, ხოლო იმიჯი ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებას არ ითვალისწინებს. რეკლამას მუდმივად თან სდევს სარეკლამო გზავნილი. სარეკლამი გზავნილი საბოლოო ჯამში გვევლინება, როგორც დაპირება ან დაპირებების აღწერა, რაც მომხმარებელს უქმნის განწყობას, იმოქმედოს დამკვეთის მიზნებიდან გამომდინარე.

ნაშრომში მოცემულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პიარი და რეკლამა გარკვეულ ერთ სიბრტყეში არსებობს და მიზანიც ერთი გააჩნიათ. პიარი მრავალწახნაგოვანი და ფართოდ მოცვითი კატეგორიაა, სადაც ის სარეკლამო გზავნილებსა თუ ელემენტებს, როგორც ინდიკატორებს თავის აუდიტორიასთან, ისე იყენებს. ხოლო მიზანი ორივე შემთხვევაში თანმხვედრია და ერთს ემსახურება - მისცეს საზოგადოებას სწორი და მისთვის საჭირო ინფორმაცია კონკრეტულ პროდუქტზე. ამასთან, პიარი მუშაობს მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან პირისპირ.

არსებული საკითხის ირგვლივ შეჯამებულია მრავალი მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონკრეტული ცნებები ფაქტობრივად იდენტურია. ჩვენი მოსაზრებით პიარის, რეკლამისა და იმიჯის ერთ ველში მოქცევა არარელევანტურია, რადგან მათი მახასიათებელი სხვადასხვაა და მრავალ ინდიკატორზეა დამოკიდებული. მოცემულ სტატიაში გამოკვეთილია მოცემულობა, სადაც ასახულია მათი ავთენტური ბუნება, განხორციელებულია შესაბამისობის იდენტიფიცირება და მათ შორის გავლებულია ზღვარი. დასაბუთებულია, რომ პიარი, ისევე როგორც რეკლამა და იმიჯი, ორიენტირებულია ნებისმიერი სფეროს წარმატებულ პერსპექტივაზე და ბიზნესპროცესების ეფექტიანად განხორციელებაზე.

სტატიაში განხილულია პიარისა და რეკლამის პრიორიტეტები, გაკეთებულია დასკვნა, რომ პიარის, რეკლამის და იმიჯის ბიზნესპროცესების ეფექტიანი წარმართვისთვის შესაძლებელია განწყობის თეორიის გამოყენება, სადაც გზამკვლევად წარმოჩინდება საზოგადოება. ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები პიარის, რეკლამისა და იმიჯის ბიზნესპროცესებში ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

***საკვანძო სიტყვები:*** *პიარი, რეკლამა, იმიჯი, ბიზნესპროცესები, ეფექტიანი წარმართვა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კობალავა მ., (2024). საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა, თბილისი.
2. კობალავა მ.,(2018). საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი.
3. კობალავა მ., (2018). PR. მონოგრაფია, თბილისი.
4. იავერბაუმი ე., ბლაი რ., ბენუნი ი. (2018). პიარი მარტივად, თბილისი.

5. Bicer M. (2023). Public Relations and Management In book: PUBLIC RELATIONS On the Axis of Communication. https://www.researchgate.net/publication/374386875_Public_Relations_and_Management
6. Belkova A. (2024). Successful PR-support means concerning the public image and business reputation of the corporate press SHS Web of Conferences 55, 02024 (2018) https://doi.org/10.1051/shsconf/20185502024 ICPSE 2018.
7. Isaac Tandoh I. (2020). Public Relations and Public Relations and corporate image corporate image. https://www.researchgate.net/publication/340579895_Public_Relations_and_Public_Relations_and_corporate_image_corporate_image
8. Mikáčová L., Gavlaková P. (2014). The Role of Public Relations in Branding. Social and Behavioral Sciences 110(11).

# SOME OPINIONS ABOUT THE ECONOMIC AND SOCIAL IMPORTANCE AND RESULTS OF AGRITOURISM (ON THE EXAMPLE OF GEORGIA)

**Maia Seturi**
*Associate Professor,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Abstract**

The author's discussion in the article focuses on the importance of agrotourism and the main aspects of its positive socio-economic results. Tourism in Georgia is considered one of the important parts of the country's development strategy. Agrotourism, as a tourist destination, means serving visitors who are interested in studying agricultural activities, getting to know the features and traditions of rural life. It is true that today Georgia is one of the attractive tourist destinations, but it has the potential to become interesting also in the field of agrotourism. The purpose of our research is to determine what positive results the development of agrotourism can bring for the country and its regions.

The author of the article believes that in the post-Covid period, the Georgian tourist and hotel business is working under conditions of increased demand for their services. However, the number of people living in rural areas has significantly decreased in Georgia. Unemployment and low wages are a problem in a number of areas.

In such conditions, it is an important issue to raise the awareness of the local population about agrotourism in terms of their employment and improvement of their living standards.

Based on the results of the research, the author believes that for the development of agrotourism, it is necessary to implement a number of changes in rural areas in those regions that have a great potential for the development of agrotourism.

The importance of agrotourism in promoting sustainable development and preserving the cultural and natural heritage of the village is great. This creates a win-win situation where both tourists and local residents benefit from the exchange of knowledge, experience and economic activities. Agritourism stimulates the local economy and will promote the development of small businesses.

Especially since there are additional contributing factors for the development of this direction in Georgia (for example, natural environmental factors in the regions, etc.), which will leave an impression on the guests and have a great impact on their satisfaction. And satisfied guests return to places of interest to them in the future and spread positive reviews. According to the author, the effective use of modern marketing approaches, social media marketing will increase the opportunities for the development of agrotourism in Georgia. The positive result of which will be that the standard of living of the local population in rural areas will improve significantly. This will help to stop the population migration from rural to urban areas, it will become attractive for many people to live and work in rural areas. The author's recommendations are offered in the final part of the article.

***Key words:*** *Agritourism, Tourism and Hospitality, Marketing, Sustainable Development, Sustainable Tourism*

# ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობების გამოყენება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის

**თამარ მაკასარაშვილი**
*პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*გორი, საქართველო*
**გიული გიგუაშვილი**
*პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*გორი, საქართველო*

***აბსტრაქტი.*** ციფრული რეალობა თანამედროვე სამყაროს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს ძველის საფუძვლიან რეორგანიზაციას და ახალი დარგების ჩამოყალიბებას. ციფრული მარკეტინგი სწორედ 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა.

დღეისთვის ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, სხვადასხვა ფენის, განათლების დონის, შეხედულებისა თუ ფასეულობის მქონე მოქალაქეები. სხვადასხვა საქმიანობის გაციფრულებამ შესაძლებელი გახადა თითქმის ყველა პროდუქტის შეძენა სახლიდან გაუსვლელად. ამჟამად საქართველოში 500-ზე მეტი დიდი და მცირე ონლაინმაღაზია ფუნქციონირებს. ათასებს აჭარბებს იმ თვითდასაქმებულთა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ონლაინპლატფორმის მეშვეობით დამოუკიდებლად ვაჭრობენ გამოწერილი ან საკუთარი პროდუქციით. ყველა პროდუქტს სჭირდება შესაბამისი შეფუთვა და მომხმარებლამდე მიტანა და რადგან ბიზნესის კეთება ყველაზე მოგებიანი ინტერნეტშია, მარკეტინგიც გაციფრულდა და რეკლამამ სოციალურ სივრცეში გადაინაცვლა, იქ, სადაც ყველაზე მეტი მომხმარებელია.

საქართველოს მოქალაქეები აქტიურად იყენებენ ცნობილ საიტებს: amazon.com, e-Bay.com, Alibaba,com, taobao.com და სხვა პოპულარულ საერთაშორისო ონლაინგაყიდვებში ჩართულ ვებგვერდებს. ადგილობრივ ბაზარზე ფუნქციონირებს საცალო ონლაინგაყიდვებისთვის განკუთვნილი პლატფორმა B2C, რომელიც მოქმედ სავაჭრო ბიზნესებსა და დამწყებ მეწარმეებს სთავაზობს სრულყოფილი ონლაინმაღაზიისა და კატალოგების შექმნას და ასევე მოქნილ გადახდის სისტემას. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებ აყიდვებს საწარმოს ვებსაიტით ან აპლიკაციებით (ექსტრანეტის ჩათვლით) და ასევე - იმ საწარმოთა წილი, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის/მომსახურების ვებგაყიდვებს ელექტრონული კომერციის ბაზრის ვებსაიტებით ან აპლიკაციებით, რომლებსაც რამდენიმე საწარმო იყენებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვის მიზნით (მაგ. MyMarket.ge, Wishlist.ge, Vendoo.ge, My.ge, Procurement.gov,ge, Booking.com, hotels.com, eBay, Amazon, Amazon Business, Alibaba და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობს ქვეყანაში თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას. ქვეყანაში ინტერნეტგარემო თავისუფალია, მოსახლეობისა და საწარმოებისთვის ხელმისაწვდომია ციფრული გარემო, ადვილია საიტისა და ბლოგის შექმნა, რეკლამის გამოქვეყნება, მარკეტინგული კამპანიის წარმოება. შესაბამისად, საქართველოშიც აღინიშნება იგივე ტენდენცია, რაც განვითარებულ ქვეყნებში და სულ უფრო მეტი ინვესტიცია იდება კომპანიების მხრიდან ციფრულ მარკეტინგში, კერძოდ: საიტების დამზადებაში, სოციალური მედიის განვითარებაში და სხვა.

ციფრული მარკეტინგის ძირითადი არხი ინტერნეტია, თუმცა ის იყენებს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ არხებს. მათ შორისაა: E-mail მარკეტინგი, ვებგვერდი, კონტენტის მარკეტინგი, Seo - სა-

ძიებო სისტემების ოპტიმიზაცია, სოციალური მედია, ონლაინრეკლამა, pay per click სისტემა, affiliate მარკეტინგი, მობილური აპლიკაციები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ბლოგები, ვირუსული მარკეტინგი. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებიდან მზარდი აქტუალობით გამოირჩევა მობილური მარკეტინგი, ნოვაცია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მარკეტინგში.

საქსტატის მონაცემებით, ჩვენს ქვეყენაში ბოლო სამ თვეში, ინტერნეტის მომხმარებელ 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, ძირითადად, ინტერნეტის გამოყენების მიზნებს წარმოადგენდა: ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (94.7%), სოციალური ქსელების გამოყენება (94.6%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (50.4%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (47.2%), ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (46.6%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (43.1%), ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (37.9%), პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა (15.5%) სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა (11.8%).

საწარმოების მიერ, ასევე, აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების, მათ შორის სოციალური მედიასაშუალებები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლისთვის გაზრდილია საწარმოების მიერ სოციალური მედიის გამოყენების მაჩვენებლები. კერძოდ, საწარმოები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს (მაგ. Facebook, LinkedIn, Xing, Viadeo, Yammer, და ა.შ.), საწარმოს ბლოგებს ან მიკრობლოგებს (მაგ.Twitter, Present. ly და ა.შ.), მულტიმედიური შინაარსის გაცვლის ვებსაიტებს (მაგ.YouTube, Flickr, Picassa, SlideShare და ა.შ.) და Wiki-ის ბაზაზე მოწყობილი ცოდნის გაზიარების საშუალებებს. თუმცა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია იმ საწარმოების წილი, რომლებიც არ იყენებენ არც ერთ ზემოთ აღნიშნული სოციალური მედიის საშუალებებს ან იყენებენ მათ მხოლოდ ფასიანი რეკლამის განსათავსებლად.

ციფრული მარკეტინგის განვითარების ტენდენციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნული ინტელექტი. ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) ბოლო წლებში ბევრი დარგი გარდაქმნა და არც მარკეტინგია გამონაკლისი. ხელოვნურ ინტელექტს აქვს შესაძლებლობა, გააანალიზოს დიდი რაოდენობით მონაცემი, გააკეთოს პროგნოზი და უზრუნველყოს პერსონალიზებული გამოცდილება, ამის გამო ის იქცა მძლავრ ინსტრუმენტად მარკეტინგის სპეციალისტებისთვის. დაწყებული მომხმარებელთა ავტომატიზებული მომსახურებიდან პროდუქტის პერსონალიზებული რეკომენდაციების შექმნამდე, ხელოვნური ინტელექტი ცვლის კომპანიების ურთიერთქმედებას მომხმარებლებთან და ზრდის გაყიდვების რაოდენობას, ეხმარება კომპანიებს მარკეტინგული ხარჯების ოპტიმიზაციაში, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ შემოსავალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირმა და კიდევ ათმა სახელმწიფომ, მათ შორის აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, ანდორამ, საქართველომ, ისლანდიამ, ნორვეგიამ, მოლდოვამ, სან-მარინომ და ისრაელმა ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს ჩარჩოკონვენციას ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ. ჩარჩოკონვენცია შემუშავდა ევროპის საბჭოს 46 წევრი ქვეყნისა და 11 არაწევრი სახელმწიფოს თანამშრომლობით. დოკუმენტი არეგულირებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანიების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას და ავალდებულებს მხარეებს, შეამოწმონ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენებისას ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვა ან დააწესონ აკრძალვა მათ გამოყენებაზე, თუ ამ მოთხოვნის უზრუნველყოფა შეუძლებელია. 2024 წლის მარტში კონვენცია დაამტკიცეს ევროპარლამენტის დეპუტატებმა, ხოლო მაისში დოკუმენტი მიიღეს ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობების გამოყენება ეკონომიკის განვითარებისთვის. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ციფრულ მარკეტინგში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოითხოვს ამ სფეროში შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ექსპერტების არსებობას, რაც შეიძლება რთული და ძვირი იყოს ზოგი კომპანიისთვის, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, ამასთან არსებობს შეცდომებისა და ხარვეზების რისკი, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესზე. მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ციფრულ მარკეტინგში ალტერნატივა არ გააჩნია, ის ეხმარება კომპანიებს, გააუმჯობესონ მარკეტინგული სტრატეგიები და გაზარდონ მათი ეფექტურობა. რაც შეეხება რისკებს, უმეტესი ნაწილი შეიძლება, დაიძლიოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღების, ხარისხის კონტროლის ეფექტური სისტემებისა და პერსონალის გადამზადების მეშვეობით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული მარკეტინგი, ხელოვნური ინტელექტი, ეკონომიკური ზრდა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Makasarashvili, T., & Giguashvili, G. (2024). PECULIARITIES OF USING INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES IN ENTERPRISES IN GEORGIA. *Grail of Science*, (42), 175–183. https://doi.org/10.36074/grail-of-science.02.08.2024.022
2. მაკასარაშვილი თ., გიგუაშვილი გ., (2023). ციფრული მარკეტინგის თანამედროვე ტენდენციების შეფასება და განვითარების შესაძლებლობები. გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, ISBN 978-9941-8-5984-7
3. Giguashvili, G., Makasarashvili, T. (2021). Possibilities of Using Artificial Intelligence in Post-Pandemic Georgia. *Globalization and Business,* 12, 83-87. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.011
4. Makasarashvili, T., & Giguashvili, G. (2023). THE OPPORTUNITIES OF USING ARTIFICIAL INTELLIGENCE IN DIGITAL MARKETING. *Grail of Science,* (31), 53–58. https://doi.org/10.36074/grail-of-science.15.09.2023.07
5. Giguashvili, G., & Makasarashvili, T. (2022). GEORGIA'S ARTIFICIAL INTELLIGENCE POSITIONING IN THE INTERNATIONAL RANKINGS. *Grail of Science,* (20), 19–24. https://doi.org/10.36074/grail-of-science.30.09.2022.001
6. Artificial Intelligence Business Association- AI Georgia, URL: http://www.aigeorgia.ge
7. GITA - Georgia's Innovation and Technology Agency. https://gita.gov.ge/en/about
8. AI მარკეტინგი: მომხმარებელთა ჩართულობის მომავალი (2023). ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. AI წიგნების სერია. https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2023/03/AI-MArketing-book-Geo-.pdf
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL: https://www.geostat.ge/ka
10. https://www.educba.com/traditional-marketing-vs-digital-marketing/
11. USAID. (2018). ციფრული მარკეტინგი გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე.
12. E-commerce: business – technology- Society, Kenneth C. Laudon, Carol Guercio Traver, 2017

# „მწვანე მარკეტინგი“ - ტენდენციები ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე

**ნანული მახარაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე ეტაპზე მწვანე მარკეტინგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. როგორც ცნობილია, მწვანე მარკეტინგი აქტუალურია როგორც ბიზნესსექტორის, ისე მომხმარებლების თვალსაზრისით. გარემოზე ზრუნვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები დღითი დღე იზრდება, რომელიც მოიცავს მომხმარებლის დამოკიდებულებას ბრენდის აღქმის მიმართ, რის საფუძველზეც ისინი იღებენ გადაწყვეტილებას შეძენის განზრახვის შესახებ. კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიებს შეუძლიათ, განახორციელონ მწვანე ცვლილებები მარკეტინგულ მიქსში და შეიტანონ თავიანთი წვლილი მწვანე მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებაში.

წამყვან ქვეყნებს აქვთ მწვანე მარკეტინგის მრავალფეროვანი გამოცდილება, რაც ასახავს მათ უნიკალურ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტს. თუმცა, ჩნდება საერთო თემები, მათ შორის სამომხმარებლო ბაზარზე მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებსა და მომსახურებაზე. მსოფლიოს მასშტაბით მწვანე მარკეტინგი აგრძელებს განვითარებას, რადგან ბიზნესი ადაპტირდება მომხმარებელთა პრეფერენციებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შეცვლასთან. მდგრადობის და მათ მარკეტინგულ სტრატეგიებში მწვანე პრინციპების დანერგვით, კომპანიებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ გარემოსდაცვით ღონისძიებებს და მათი ბიზნესის წარმატებას გრძლევადიან პერსპექტივაში.

ზოგადად მწვანე მარკეტინგი იმ პროდუქციის მარკეტინგია, რომელიც ითვლება ეკოლოგიურად უსაფრთხოდ. იგი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, მათ შორის პროდუქტის მოდიფიკაციას, წარმოების პროცესში ცვლილებებს, მდგრად შეფუთვას, ასევე რეკლამას. სწორედ ამიტომ, მწვანე მარკეტინგი არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი მახასიათებლების მქონე პროდუქტების ან მომსახურების პოპულარიზაცია. „მწვანე მარკეტინგი“ შეიძლება, მოიცავდეს: ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შექმნას; თვით მწვანე მარკეტინგის პოპულარიზებას; ეკოლოგიური შეფუთვის გამოყენებას; მწვანე ბაზრის პრომოციას; მარკეტინგის ძალისხმევის ფოკუსირებას შეტყობინებებზე, რომელიც პროდუქტის მწვანე სარგებლის მიღებაზე იქნება ორიენტირებული და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მწვანე მარკეტინგი ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ სტაბილურად იძენს ყურადღებას, რაც გამოწვეულია გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებითა და მდგრადობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მწვანე მარკეტინგის მიმართულებით შეიძლება არც ისე მოწინავე იყოს ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით, ამ სფეროში შეინიშნება განვითარების ტენდენციები, როგორიცაა: ცნობიერების ამაღლება; მთავრობის ინიციატივები; კორპორატიული პასუხისმგებლობა; მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდა და სხვა.

ამ ტიპის მარკეტინგი შეიძლება უფრო მეტად ძვირი იყოს, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგი მაგრამ მოგებიანია მასზე მოთხოვნის ზრდის გამო. მწვანე მარკეტინგი ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა საქართველოში, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი, რადგანაც იზრდება გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმირებულობა და როგორც ბიზნესი, ისე მომხმარებ-

ლები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მის სრულყოფასა და განვითარებას. ეკოლოგიურად პასუხისმგებელი „მწვანე" მარკეტინგი არის ბიზნესპრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების შესახებ ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას. მწვანე მარკეტინგული კამპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომპანიის პროდუქტებისა და სერვისების გარემოს დაცვისადმი მაღალ მახასიათებლებს. გამოკვლევებით ვლინდება, რომ ზოგიერთი ბიზნესი მწვანე მარკეტინგით არის დაკავებული მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი აქცენტი მათ მოგების მიღების საშუალებას მისცემს.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა ქართულ ბაზარზე არსებულ იმ კომპანიებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცდილობენ ან აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სახის მწვანე მარკეტინგულ ღონისძიებებში. ესენია: ნიკორა, ბოლტი, სილქ ჰოსფითალითი, ამერიკის საელჩო თბილისში, ნორვეგიის საელჩო თბილისში, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მწვანე მარკეტინგი აუმჯობესებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ეკოლოგიური პროდუქტის წარმოება, მწვანე გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, ეკოლოგიური კამპანიების წარმატებული პოპულარიზაცია და მომხმარებლებში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გამომუშვება. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე მარკეტინგი საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების გზაზეა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგმული იქნა და ბოლო წლებში სტაბილურად იძენს მომხმარებლის ყურადღებას, რაც გამოწვეულია მოსახლეობაში გარემოსდაცვითი თვითშეგნების და ცნობიერების ამაღლებით. რასაც ადასტურებს ის, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა აქტიურად დაიწყო მწვანე კამპანიაში ჩართვა, ისინი ცდილობენ მწვანე ღინისძიებების გატარებას და მეტი ეკოპროდუქტის შექმნას, თუმცა ზემოთ ხსენებული კომპანიების რიცხვი მცირეა საერთო სურათის შესაქმნელად არასაკმარისია მათი ოდენობა.

***საკვანძო სიტყვები:*** *მწვანე მარკეტინგი, ბიზნესი, ბრენდი, ეკოლოგიური პროდუქტი, მომხმარებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://learn.g2.com/green-marketing
2. https://www.investopedia.com/terms/g/green-marketing.asp;
3. https://www.marketinghouse.ge/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%90/
4. https://www.inc.com/encyclopedia/green-marketing.html
5. https://www.thebalancesmb.com/green-marketing-2948347
6. Green Advertising on Social Media: A Systematic Literature
7. https://www.researchgate.net/profile/Babulia-Mghebrishvili/publication/322746924_GREEN_MARKETING_AND_GEORGIAN_REALITY/links/5a6ce193458515d407570c2a/GREEN-MARKETING-AND-GEORGIAN-REALITY.pdf
8. https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/096959319500011
9. https://greengeorgia.org/

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

**ნინო მამულაძე**
*ასისტენტ პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

თანამედროვე კომპანიების წარმატებული საქმიანობისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. მომხმარებელიც აღიარებს და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ეთიკისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლს ბიზნესში. შესაბამისად, კომპანიები ცდილობენ, რომ ამ მიმართულებით გაზარდონ თა-ვიანთი პასუხისმგებლობა და მეტი სარგებელი მოუტანონ საზოგადოებას და გარემოს, იმისთვის რომ მოიზიდოს უფრო მეტი მომხმარებელი და გარდაქმნას ისინი ლოიალურ მომხმარებლებად. იგი შეიძლება, ჩაითვალოს კონკურენტულ უპირატესობად სხვადასხვა მცირე თუ დიდი ზომის კომპანიებისთვის. იგი ასევე არის მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტი სხვადასხვა საერ-თაშორისო ბაზრებზე მომხმარებელთა დაინტერესებისთვის, ზემოქმედებისთვის და მოზიდვი-სთვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს კომპანიის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად:

- ფილანტროპიული პასუხისმგებლობა (Philanthropic Responsibility) - იყავი კარგი ფილანტ-როპიული მოქალაქე. ფილანტროპიული საქმიანობა ბიზნესში არის ნებაყოფლობითი. მის ფარგ-ლებში განხორციელებული აქტივობები აჭარბებს საზოგადოების მოლოდინს, რაც უფრო მეტი დადებითი ემოციების ფორმირებას უწყობს ხელს. ზოგადად საზოგადოების მიერ ის კომპანიები შეიძლება შეფასდეს არაეთიკურად, რომელიც არ ასრულებს ფილანტრიულ პასუხისმგებლობას. ხშირ შემთხვევაში მას იყენებენ რეპუტაციის გასაძლიერებლად და შეიძლება ითქვას, რომ ქველ-მოქმედება არის არა კომპანიის კეთილი ნება, არამედ ნაბიჯი წარმატებისკენ, ცნობადობისკენ და რეპუტაციის ამაღლებისკენ.
- ეთიკური პასუხისმგებლობა (Ethical Responsibility) – გააკეთე ის, რაც სწორია. ბიზნესის ეთი-კური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების შეხედულების ფორმი-რებაში. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველამ დაიცვას ეთიკის კოდექსი მთელი ორგანიზაციის მასშტაბით.
- სამართლებრივი პასუხისმგებლობა (Legal Responsibility) - დაემორჩილე კანონს. ძირითადი წესები და რეგულაციები, რომელსაც ბიზნესი ემორჩილება. ეს წესები დადგენილია სახელმწიფოს მიერ. ის ბიზნესი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ საკანონმდებლო მოთხოვნებს, შესაძლოა, დადგეს იმიჯის შელახვის რისკის ქვეშ და არამარტო.
- ეკონომიკური პასუხისმგებლობა (Economic Responsibility) - იყავი მოგებიანი. ყველა ბიზნესს საზოგადოების წინაშე ეკისრება ვალდებულება, რომ ის უნდა იყოს მოგებიანი, იმისთვის რომ იარ-სებოს ბაზარზე. თითოეული ბიზნესი ქმნის საქონელსა და მომსახურებას, რომელიც საზოგა-დოებისთვის არის მისაღები. იმისთვის, რომ შეძლოს ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფი-ლება მნიშვნელოვანია მისი ფინანსური სტაბილურობა. ამიტომ აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს შემოსავლებს, განისაზღვროს ხარჯების რაციონალურობა, განხორციელდეს შესაბამისი ინვესტიციები და გატარდეს მარკეტინგული აქტივობები.

- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა (Environmental Responsibility) - ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც კომპანიის მხრიდან ეკოლოგიური მიმართულებით ზრუნვას მოიცავს. მაგალითად შეამციროს დაბინძურება, გადაამუშაოს ნარჩენები, გაზარდოს დამოკიდებულება განახლებად ენერგიაზე, მოახდინოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების კომპენსირება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების ¾ ევროპულია, ხოლო ¼ - ამერიკული. დღეისთვის სოციალურად პასუხსიმგებელი კომპანიების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან მათთან მიმართებაში მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან მზარდია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეს დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ის კომპანიები, რომლებიც ინტერესდებიან არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით, არამედ გლობალური, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრობლემებით და ამ მიმართულებით ახორციელებენ შესაბამის ქმედებებს.

კვლევის მიხედვით (prezly academy-ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 9 709 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა), გამოკითხული რესპონდენტების 61% ყიდულობს იმ კომპანიის საქონელს, რომელსაც გააჩნია სოციალური და გარემოსდაცვითი უპირატესობა. ამავე კვლევის მიხედვით, გამოკითხული მომხმარებლების 61%-თვის პრიორიტეტულია ის კომპანიები, რომლებიც ახდენენ დონაციას. გამოკითხული მომხმარებლების 53% ბოიკოტს უცხადებს იმ კოპმანიებს, რომლებიც არღვევენ ეთიკის ნორმებს.

როგორც აღვნიშნეთ, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია კომპანიის წარმატებაში, რადგან მომხმარებლები ეძებენ ეკო-მეგობრულ პროდუქტებს; მომხმარებლები ბოიკოტს უცხადებენ უპასუხისმგებლო ბიზნესს; მყიდველები აძლიერებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შეტყობინებებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით კომპანიებისთვის ნაბიჯების გადადგმა მნიშვნელოვან გარემოებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან იგი მომხმარებელზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტად შეიძლება, ჩაითვალოს.

განვიხილოთ სხვადასხვა მაგალითი, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს სხვადასხვა კომპანიების კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. მაგალითად, საქართველოს ბანკის პროდუქტი ,,მწვანე ანაბარი“. ყველა იმ ადამიანმა, ვინც საქართველოს ბანკში გახსნა ვადიანი ან საბავშვო ანაბარი, მათ სახელზე წაღვერის ტყეში დაირგო ერთი მწვანე ხე. ამ კამპანიის შედეგად ბანკმა დარგო 45 000 ნერგი.

კომპანია ,,ელიტ-ელექტრონიქსში“ ყველა თანამშრომელი სარგებლობს ჯამრთელობის დაზღვევით, რისთვისაც კომპანიას ყოველწლიურად 48 000 ლარი აქვს გამოყოფილი.

კომპანია ,,Coca-Cola” მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს მდგრადობას. ძირითადი სფეროებია კლიმატი, შეფუთვა, წყლის მართვა, პროდუქტის ხარისხი და სოფლის მეურნეობა. მათი მთავარი გზავნილი საზოგადოებისთვის არის ,,სამყარო ნარჩენების გარეშე“. ამ კამპანიის მთავარი მიზანი ბოთლების შეგროვება და გადამუშავებაა, იმისთვის რომ მათი შეფუთვა გახდეს 100%-ით გადამუშავებადი. მათი მიზანი 2030 წლისთვის კი ნახშირბადის 25%-ით შემცირებაა. რამდენიმე წლის წინ კომპანიამ შექმნა ბოთლი, რომლის 100% მცენარეული პლასტმასისგან არის დამზადებული.

კომპანია ,,Wells Fargo“ ყოველწლიურად 14 500-ზე მეტ არაკომერციულ ორგანიზაციას თავისი შემოსავლების 1,5%-ს სწირავს, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დამწყებ ბიზნესს ბაზარზე გასვლაში.

კომპანია ,,Starbucks”- ახდენს მისი მუშახელის დივერსიფიკაციას. კომპანიას დასაქმებული ჰყავს არაერთი ვეტერანი და მათი მეუღლე, თუმცა 2025 წლისთვის გეგმავს მთლიანობაში 25 000 ამერიკელი სამხედრო ვეტერანის დასაქმებას მისი სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიის ფარგლებში. კომპანიან რასობრივი და სოციალური თანასწორობის დასაძლევად გამოაცხადა მენ-

ტორის პროგრამა, რომელიც აკავშირებს შავკანიანებს, ადგილობრივებს და ფერადკანიანებს უფროს ლიდერებთან და ინვესტირებას უწევს პარტნიორობაში.

კომპანია ,,ტენე", რომელიც აგროვებს პლასტმასის ბოთლებსა და თავსაფრებს და მისგან ახდენს დასამუხტი კაბელების და ყურსასმენების წარმოებას.

,,პალიტრა L", რომელიც აგროვებს მაკულატურას და მისგან ახდენს ახალი წიგნების დამზადებას.

კომპანია ,,ნატახტარი", რომლის სოციალური კამპანიის ფარგლებში ყველა შეძენილ ბოთლზე, 1,2 და 3 თეთრი გადაეცემა მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარების ფონდში.

სათვალეების მწარმოებელი კომპანია ,,Coral Eyewear" ამზადებს დახვეწილ და მდგრად სათვალეებს გადაყრილი სათევზაო ბადეებიდან და გადამუშავებული პლასტმასისგან.

კომპანია ,,Green Toys" იყენებს გადამუშავებულ რძის ქილებს ნათელი სათამაშოების დასამზადებლად.

,,Garnier" - ფრანგული კოსმეტიკური კომპანია თვლის, რომ მომხმარებლის მოლოდინები შეცვლილია და მათ სურთ, მხარი დაუჭირონ ბრენდს, რომელიც მიმართულია მდგრადი განვითარებისკენ. კომპანია უკვე იყენებს გადამუშავებულ პლასტმასს თავის შეფუთვაში. 2025 წლიდან კომპანია მთლიან წარმოებაში გამოიყენებს შეფუთვას, რომელიც იქნება გადამუშავებადი, ბიოდეგრადირებადი ან ხელახლა გამოყენებადი მასალისგან დამზადებული.

,,Adidas" – 2020 წლიდან მის პროდუქტებში გამოყენებული პოლიესტერის ნახევარზე მეტი მოდიოდა გადამუშავებული პლასტმასის ნარჩენებისგან. ამავე წელს მან დაამზადა 15 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, რომლებიც დამზადებულია სანაპიროზე მოპოვებული პლასტმასის ნარჩენებისგან.

როგორც ვხედავთ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მნიშნელოვან როლს თამაშობს კომპანიების საქმიანობაში. დღითი დღე მზარდია იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის ბრენდის ცნობადობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, აძლიერებს საზოგადოების ნდობას და აუმჯობესებს მომხმარებელთა ლოიალურობას, ასევე, უზრუნველყოფს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას, მომხმარებელი ბრენდის შერჩევის დროს ითვალისწინებს ბრენდის სოციალურ პასუხისმგებლობას და ცდილობს მის გაძლიერებას და არა მხოლოდ, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარონ და დანერგონ ისინი ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მათი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების, წარმატებისა და ცნობადობის ამაღლების საშუალება იქნება.

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მომხმარებელი, მომხმარებელთა ქცევა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, ფილანტროპიული პასუხისმგებლობა, ეთიკური პასუხისმგებლობა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეკონომიკური პასუხისმგებლობა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. The influence of corporate social responsibility on consumer behavior https://www.researchgate.net/publication/376183207_The_influence_of_corporate_social_responsibility_on_consumer_behavior
2. Corporate social responsibility https://hal.science/hal-04386727/document

3. The impact of corporate social responsibility on consumer brand engagement and purchase process https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/mar.21940
4. Influence of corporate social responsibility and brand attitude on purchase intention https://www.researchgate.net/publication/368358248_Influence_of_corporate_social_responsibility_and_brand_attitude_on_purchase_intention
5. Social responsibility effect on consumer attitude https://eprints.bournemouth.ac.uk/34818/3/Does%20Perceived%20Social%20Responsibility%20Affect%20Consumer%20Attitudes%20towards%20Global%20Brands%20JCB%20.pdf
6. Corporate Social responsibility https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/SBR-10-2021-0207/full/html
7. How social responsibility effects on your consumer https://skillupwa.org/effect-of-csr-to-customers/
8. Corporate social responsibility and its types https://www.jaroeducation.com/blog/corporate-social-responsibilty-and-its-types/
9. What is corporate social responsibility https://www.prezly.com/academy/what-is-corporate-social-responsibility
10. CSR impact customer loyalty https://www.surveysensum.com/blog/csr-impact-customer-loyalty
11. Companies using recycled materials in manufacturing https://manufacturingdigital.com/procurement-and-supply-chain/top-10-companies-using-recycled-materials-in-manufacturing

# საგადასახადო შემოსავლების გადანაწილების პრობლემები საქართველოში

**ვაჟა ვერულიძე**
*პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ეკატერინე შაინიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საბიუჯეტო სახსრების მობილიზების უმთავრესი წყარო საგადასახადო შემოსავლებია. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების გადანაწილებაა, რამდენადაც ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად არსებითი ფაქტორი ფისკალური დამოუკიდებლობაა. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტია სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლების გადანაწილების მექანიზმის სწორად შერჩევა.

საქართველოში, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, საგადასახადო შემოსავლების დიდი წილი მოდის არაპირდაპირ გადასახადებზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, აქციზისა და იმპორტის გადასახადები სრულად ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო დღგ-ს სახით მობილიზებული სახსრების 19% მიემართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, დანარჩენი 81% კი - სახელმწიფო ბიუჯეტში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ქვეყანაში დაწესებულია მხოლოდ ერთი ადგილობრივი (ქონების) გადასახადი. ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო შემოსავლების წყაროს კი მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს. ამდენად, მაღალია მოცემული დონის ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებზე დამოკიდებულება.

გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების სახეები (მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი) არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფოებრივ მოწყობას (3 დონის მმართველობას).

ამდენად, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად უმნიშვნელოვანესია, გაიზარდოს მათი ფისკალური დამოუკიდებლობა, რაც გადასახადების შესაბამისი სახეების შემოღებითა და საგადასახადო შემოსავლების გადანაწილების სწორი მექანიზმის შემუშავებით უნდა განხორციელდეს.

***საკვანძო სიტყვები:*** *საგადასახადო შემოსავლები, ფისკალური დამოუკიდებლობა, შემოსავლების გადანაწილება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ) - კოდიფიცირებული ტექსტი, თბილისი;
2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი (2009 წ.) - კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
4. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები;
5. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები.

# საბაჟო-სატარიფო რეგულირების აქტუალური საკითხები

**ალეკო მელაძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საბაჟო საქმიანობა სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციას ემსახურება, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და საგარეო ვაჭრობის რეგულირებაზე და იმპორტ-ექსპორტის მოცულობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. საგარეო სავაჭრო საქმიანობის ოპტიმალურობის მიღწევისთვის და საზოგადოებრივ ინტერესთა ბალანსისთვის საბაჟო პოლიტიკა უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც მოიცავს საბაჟო გადასახდელებს, საბაჟო პროცედურებს, საქონლის კოდირებასა და კლასიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის უზრუნველყოფასა და კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდებს (Mazur, 2008). საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს საბაჟო სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ექსპორტის სტიმულირება, ადგილობრივი ბაზრის დაცვა, სატრანზიტო მიმზიდველობა და მისგან ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება (Abuselidze & Meladze, 2024). თანამედროვე პირობებში, საბაჟო ასრულებს სამ მთავარ ფუნქციას: ფისკალურს, ეკონომიკურსა და პროტექციონისტულს. საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტებად კი გამოიყენება სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმები.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნისთვის საბაჟო რეგულირების ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს ქვეყნის საგარეო და საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების მაქსიმალური დაბალანსება, რათა ხელი შეეწყოს ექსპორტის სტიმულირებისა და ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობას (მელაძე, 2023). საბაჟო-სატარიფო რეგულირება გულისხმობს საბაჟო გადასახადების განაკვეთების სისტემატიზებულ ერთობლიობას და იგი გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საბაჟო-სატარიფო რეგულირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი, სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი თავის მხრივ მოიცავს სპეციალურ, ანტიდემპინგურ და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადებს (აბელაშვილი, 2011). საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის ფარგლებში შიდა ბაზრის დაცვის უზრუნველსაყოფად ვაჭრობის რეპესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება აუცილებელია, რათა სახელმწიფომ გამოიყენოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სეზონური, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები (მელაძე, 2021).

საბაჟო რეგულირების მიმართულებით თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია საერთაშორისო ნორმების შესაბამისი მკაფიო მიმართულებების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფს საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციას, ვაჭრობის ხელშეწყობასა და ეროვნული ინტერესების დაცვას (Fedoova, 2018). საბაჟო რეგულირების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა მკაცრმა კონკურენტულმა გარემომ და მასში განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაციის სირთულემ. საბაჟო-სატარიფო რეგულირების ეფექტიანობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა საქართველოსთვის, რომელიც ამ ეტაპისთვის იმპორტდამოკიდებულ ქვეყანას წარმოადგენს, რადგანაც იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას დაახლოებით სამჯერ აღემატება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024). იმის გათვალისწინებით, რომ

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღნიშნული მონაცემებით არსებული ექსპორტის მოცულობა მოიცავს რეექსპორტსაც, რაც ექსპორტის თითქმის 25%-ის ტოლია (შემოსავლების სამსახური, 2024), რეალური თანაფარდობა წმინდა ექსპორტსა და იმპორტს შორის უფრო დიდია.

საბაჟო-სატარიფო რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს საბაჟო გადასახადების წამახალისებელი და მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერებას, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს მიზანმიმართული პროტექციონიზმის ესკალაციის პრინციპი (Novikov & Zemlyanskaya, 2021). საბაჟო-სატარიფო რეგულირება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმია, იგი გულისხმობს საბაჟო გადასახადების ოდენობისა და განაკვეთების განსაზღვრას საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისთვის (Korf, 2017). საქართველოს მსგავსი ქვეყნების ეკონომიკისთვის საკმაოდ დიდი როლი აქვს სწორ საბაჟო პოლიტიკას, გამომდინარე იქიდან, რომ მას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის ბიუჯეტის შევსების პროცესში და შესაბამისად - ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში (ცინარიძე და სხვ., 2022). საბაჟო-სატარიფო რეგულირების უმთავრესი ამოცანაა, საბაჟო გადასახადებმა შეასრულოს უპირატესად არა ფისკალური, არამედ პროტექციონიზმის, ვაჭრობის დაბალანსებისა და ეკონომიკის მარეგულირებლის ფუნქციები.

საბაჟო-სატარიფო რეგულირება მოქმედებს როგორც ეფექტიანი მარეგულირებელი, რომელიც ხელს უწყობს ბაზრის ღიაობას და საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის ინსტრუმენტების დანერგვას. საბაჟო-სატარიფო რეგულირების გაუმჯობესება აუცილებელია არსებული კრიზისების დასაძლევად და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (Nenko et al, 2022). საბაჟო-სატარიფო რეგულირების მოდერნიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში და გლობალურ ეკონომიკაში, ამასთანავე, უმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი (Shraiber, 2017). საბაჟო-სატარიფო რეგულირების პრინციპების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან და ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობასთან ადაპტირება განაპირობებს მის ეფექტიანობას, რაც ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური უსაფრთხოებითა და უცხოური კონკურენციისგან დაცვით გამოიხატება.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო პრაქტიკით გავრცელებული და მეცნიერული თვალსაზრისით დასაბუთებული საბაჟო გადასახადების შემოღება, რის საშუალებასაც იძლევა საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმები და ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებების პირობები.

კვლევის მიზანია საქართველოში საბაჟო რეგულირების სატარიფო მეთოდების გამოყენების აქტუალური საკითხების განხილვა, ძირითადი გამოწვევების შეფასება, პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების ძიება. მიზნიდან გამომდინარე, დავისახეთ შემდეგი სახის ამოცანები: საქართველოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა; საბაჟო-სატარიფო რეგულირების გავლენის ხარისხის დადგენა ექსპორტ-იმპორტის ბალანსზე; საბაჟო-სატარიფო რეგულირების უცხოური გამოცდილების გაზიარება; საბაჟო-სატარიფო რეგულირების თანამედროვე მექანიზმის შემუშავება.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება საბაჟო პოლიტიკისა და საბაჟო-სატარიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის გამდიდრებაში, კვლევის პრაქტიკული ღირებულება კი კვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში რეალიზაციით ვლინდება, რომლებიც შეიძლება, გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს მხრიდან საბაჟო რეგულირების მიმართულებით ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციისას. კვლევის ორიგინალურობად მივიჩნევთ შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების მა-

ღალ ეფექტიანობას სახელმწიფოსთვის (საბაჟო გადასახადების ფისკალური ეფექტის ზრდით) და ადგილობრივი მწარმოებლებისთვის (იმპორტირებული საქონლის კონკურენციისგან დაცვით).

***საკვანძო სიტყვები:*** საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები; საგარეო ვაჭრობა; საბაჟო რეგულირება; საბაჟო პოლიტიკა; საბაჟო-სატარიფო რეგულირება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბელაშვილი ნ., (2011). *პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში,* თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. მელაძე ა., (2021). *საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი.* ეკონომიკური პროფილი, 22(2), 51-62;
3. მელაძე ა., (2023). *საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები.* საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, 10(3), 152-169;
4. ცინარიძე რ., ცეცხლაძე ლ., კახიძე ს. (2022). *იმპორტის გადასახადების ფისკალური ეფექტი და იმპორის რეგულირება.* საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, №3. Vol 9. გვ. 91-113;
5. Abuselidze, G. & Meladze, A. (2024). *Innovative Customs System and its Impact on the Sustainability of the Transit Potential.* European Journal of Sustainable Development, 13(1), 229-248;
6. Fedoova, G. (2018). *Electronic Commerce: Customs Regulation Problems.* 1st International Conference “Development of Foreign trade in Modern World: Innovations and Challenges”. Saint-Petersburg: The Theses of Reports;
7. Korf, D. V. (2017). *Commodity Nomenclature and Classification of Goods for Customs Purposes in Eurasian Economic Union.* Pravo. Zhurnal Vysshey shkoly ekonomiki, №2, 188–198;
8. Mazur, A. (2008). *The Concept of Customs Affairs: Idea, Content, Legislative Fixing*. Customs Business, №5;
9. Nenko, S., Fedotov, O., Shchedrova, H. (2022). *Economic and Legal Bases of Administration of the Customs-tariff Mechanism*. Baltic Journal of Economic Studies. Vol.8, №1;
10. Novikov, M., Zemlyankaya, S. (2021). *The System of Customs and Tariff Regulation of the EAEU in the Context of Globalization: Problems, Trends and Prospects of Development*. The 20th International Scientific Conference Globalization and its Socio-Economic Consequences 2020;
11. Shraiber, C. (2017). *Customs Tariff Regulation as an Instrument of Economic Security of the Russian Federation.* Customs Scientific Journal. Vol.5, №2;
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024). www.geostat.ge;
13. სსიპ შემოსავლების სამსახური (2024). www.rs.ge.

# საქართველოს საჯარო სექტორში მენეჯერული კონტროლისა და ფინანსური მართვის თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

**გენადი შავაძე**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. საქართველოში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის კუთხით, უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი რჩება დაწესებულებებში არსებული ნაკლოვანი სტრატეგიული მართვის სისტემები, რისკის მართვის სისტემის არარსებობა, არ ხდება დაწესებულებების მიზნების მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტულობის გაზომვა, შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშაა, შიდა აუდიტის ხარისხის საბჭოს (ბორდის) არარსებობა, კვალიფიციური კადრების სიმცირე, ჩატარებული აუდიტორული შემოწმებები არ არის ხარისხობრივად მაღალი და სრულად ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების შემოწმების მასშტაბის მოცულობას, ახალი გლობალური სტანდარტების დანერგვა, ცნობიერების დაბალი დონე, სახელმწიფო შესყიდვების რაციონალური გამოყენება და საკანონმდებლო ხარვეზები. ეს ჩამონათვალი ძირითადი კომპონენტებია, რომლის წინაშეც დგას დღეს საჯარო დაწესებულებები. აღნიშნული გამოწვევების მოგვარება ნაკისრი გვაქვს, ასევე, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ევროკომისიის მიერ შემუშავებულ კონცეფციას, საერთაშორისოდ აღიარებულ კარგი მმართველობის პრინციპებს და პასუხობს ეროვნულ კონტექსტს, საჭიროებებსა და გამოწვევებს. თუმცა აღნიშნული რეფორმა რამდენად ეფექტური იქნება არსებული გამოწვევების წინაშე, ეს პრაგმატული პოლიტიკის და ფინანსურ სექტორში განხორციელებული ცვლილებების შედეგი იქნება.

საჯარო სექტორში მენეჯერული კონტროლი და ფინანსური სისტემის ეფექტური მართვა უზრუნველყოფს დაწესებულების წინაშე დასახული მიზნების ეფექტურ და ჯეროვან შესრულებას, რაც დაწესებულების განვითარების გარანტიაა. სისტემური და კუმულაციური პრობლემები საჯარო დაწესებულებების ფინანსური მართვის სისტემაში ფართო არეალს მოიცავს, მნიშვნელოვანია, გამოირკვეს არსებული გამოწვევების საწყისები და მოხდეს არსებული ალტერნატივების განხილვა. ამ ნაშრომის ერთი ასპექტი ეხება სისტემურ შეზღუდვებს, რომლებიც უფრო მეტად აფერხებენ ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას და მეორე ასპექტი ეხება მმართველი მენეჯმენტის არაეფექტურ ფინანსურ მართვასა და კონტროლს.

საჯარო სექტორში მენეჯერული მართვა და კონტროლი ხელოვნების დონეზე უნდა ავიდეს და განვითარდეს, რომელიც მოახდენს მმართველობითი სისტემის ინტეგრირებას და გააუმჯობესებს მენეჯმენტის მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს ინტეგრაცია მმართველ ტოპ მენეჯერებს საშუალებას აძლევს, გაანაწილონ რესურსები უფრო ეფექტურად, განსაზღვრონ გაუმჯობესების სფეროები და გააძლიერონ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საჯარო სახსრების მართვაში. თუმცა, კვლევა, ასევე, განსაზღვრავს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან, ფინანსური ლანდშაფტის ინტეგრაციასთან, ორგანიზაციულ სირთულესთან და ცვლილებებისადმი კულტურულ წინააღმდეგობასთან.

***საკვანძო სიტყვები:*** *გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ნაკლოვანი სტრატეგიული მართვის სისტემები, პრაგმატული პოლიტიკა, სისტემური და კუმულაციური პრობლემები, ფისკალური პოლიტიკა, ფინანსური ლანდშაფტი, კულტურული წინააღმდეგობები.*

# AGILE მიდგომა შიდა აუდიტში

**თათია უდესიანი**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

Agile არის მიდგომა, რომელიც პროექტების მართვაში გამოიყენება და რომელიც გულისხმობს დავალებების დაყოფას სამუშაოს მოკლე ფაზებად, მათ ხშირ გადაფასებას და შესაბამისად, გეგმების ადაპტაციას. ეს მიდგომა განსაკუთრებული პოპულარობით პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის მიმართულებით სარგებლობს, რადგან იგი ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებით მოქნილი და მომხმარებელთა საჭიროებებზეა მორგებული.

2001 წელს შეიქმნა დოკუმენტი სახელწოდებით „Agile პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მანიფესტი", რომელიც ასახავს Agile მიდგომის ძირითად ფილოსოფიას და განსაზღვრავს 12 პრინციპს. Agile ფილოსოფიის საფუძველზე გაჩნდა რამდენიმე სპეციფიკური მეთოდოლოგია, მაგალითად Scrum და Kanban, რომლებიც Agile პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავენ კონკრეტულ პროცესებს.

ორგანიზაციების ცვლილებებთან ერთად მეტ მნიშვნელობას იძენს Agile-ის გამოყენება, თუმცა მნიშვნელოვანია, შეფასდეს, არის ის თუ არა Agile მიდგომა თავსებადი შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან და ეფექტიანია, თუ არა ამ მიდგომის შიდა აუდიტორულ საქმიანობაში გამოყენება.

სწრაფად ცვალებადი გარემო განაპირობებს იმას, რომ აუცილებელია შიდა აუდიტორები იყვნენ მეტად მოქნილნი ორგანიზაციის წინაშე განვითარებადი რისკების საპასუხოდ, რადგან შიდა აუდიტორულმა საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს რისკების მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობა.

პრაქტიკაში, Agile მიდგომის გამოყენებას მნიშვნელოვანი როლი აქვს დამატებითი სარგებლის შექმნასა და შიდა აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობის ზრდაში, რადგან ცვალებად გარემოში გადაწყვეტილებების სწრაფი მიღება და პროაქტიული რეაგირება მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის.

დაინტერესებულ მხარესთან გაუმჯობესებული ურთიერთობა და კომუნიკაცია, მეტი თანამშრომლობა შიდა აუდიტის გუნდში და შიდა აუდიტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, აუდიტის დროის შესაძლო შემცირება - ეს ის არასრული ჩამონათვალია, რა სარგებელი შეიძლება მივიღოთ Agile მიდგომის გამოყენებით შიდა აუდიტორულ საქმიანობაში.

Agile შიდა აუდიტზე გადასვლა რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელსაც დადებით მხარეებთან ერთად აქვს და უარყოფითი მხარეებიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი შესაძლოა, არ მიესადაგოს აუდიტის ყველა სახეს და შესაბამისად, ყოველთვის ვერ იქნება წარმატების გარანტია.

მიუხედავად იმ სირთულეებისა რაც Agile მიდგომის გამოყენებას ახლავს შიდა აუდიტში, მისი პოტენციური სარგებელი და გაზრდილი ეფექტიანობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უზრუნველვყოთ მისი გამოყენება პრაქტიკაში.

***საკვანძო სიტყვები:*** *Agile მიდგომა, შიდა აუდიტი, ეფექტიანობა, სარგებელი, ცვლილებები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Ajibola Omonije. Agile Methodology: A Comprehensive Impact on Modern Business Operations, International Journal of Science and Research (IJSR)
2. Deloitte. Agile internal audit, Elevating Internal Audit's performance.
3. Deloitte. Becoming agile, A guide to elevating internal audit's performance and value.
4. KPMG. Agile Internal Audit, White paper on working Agile within Internal Audit Functions.
5. Mike Cohn. Agile Estimating and Planning.
6. Rick A. Wright Jr. AGILE AUDITING, Executive Book Summary.

# საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის შესაძლებლობები და განვითარების აუცილებლობა საქართველოში

**ია მესხიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ნატო ჯაბნიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

XXI საუკუნეში, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის პერიოდში კომპანიის წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესის წარმატებისთვის IT ინფრასტრუქტურის ხელსაყრელი და უსაფრთხო გამოყენება. IT სფეროში არსებული ყველა რისკი საფრთხეს უქმნის კომპანიას. ამ და კიდევ ბევრი სხვა საფრთხის ასაცილებლად კომპანიები მიმართავენ IT ინფრასტრუქტურის დანერგვას.

კომპანიას IT აუდიტი აძლევს შესაძლებლობებს აღმოაჩინოს მის IT გარემოში არსებული ხარვეზები და დასახოს გაუმჯობესების გზები. IT აუდიტი კომპანიაში არსებული საშუალებას იძლევა, დამუშავდეს კომპანიაში არსებული ავტორიზებული ინფორმაცია და ასევე სხვა, ნებისმიერი სახის IT ინფრასტრუქტურა, სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ორგანიზაციის ოპერაციები.

როგორც ჩვენ მიერ გამოკითხული კომპანიები აღნიშნავენ, IT აუდიტის სარგებელი კომპანიებისთვის დიდია - ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა, თავის დაღწევა თაღლითობისგან, ხედვა IT მიმართულებების ეფექტურობასა და ბიზნესის მოთხოვნებთან შესაბამისობასა და კომპანიის სანდოობაზე.

კომპანიის IT სტრატეგია მუშავდება და მუდმივად ახლდება ბიზნესის განვითარებასთან ერთად. IT აუდიტი მართვის სისტემის მიუკერძოებელი შემოწმების ერთ-ერთი შესაძლებლობაა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, IT აუდიტის განვითარება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც რთული ბიზნესგარემოა, სადაც მწარმოებელიც და მიმწოდებელიც დაუცველია ჰაკერული და საინფორმაციო თავდასხმებისგან, ხოლო IT აუდიტი ბიზნეს აქტივებითა და ბიზნესრესურსებით ბიზნესისთვის დამატებითი შესაძლებლობები შექმნის საშუალებაა.

***საკვანძო სიტყვები:*** საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი, IT ინდუსტრია, ინფორმაციული უსაფრთხოება, IT ინფრასტრუქტურა, IT გარემო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. IT Auditin, Using Controls to Protect Information Assets, Third Edition. By Mike Kegereis, Mike Schiller, et al. 2019
2. IT Audit Feild Manual: Strengthen yoyr cour cyber defense through proaqtive IT auditing. By Lewis Heuermann, 2024
3. UT Audit Funfundamentals Study Guide. By Isaca, 2022
4. Comprehensive manual of Internal Audit Praqtice and Giude: The Most Praqtical Guide To Internal Auditing Praqtice. By K. Ftaw, Kibreab. 2023
5. Audit Risk Assessment Made eatsy: Seeing WHat Others Miss. By Charles Hall. 2021.

# ფინანსური კონტროლის ფორმირების მეთოდოლოგიური ასპექტები

**ნანული ძიმცეიშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*
**ნაზიბროლა გვარამია**
*ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*თბილისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში არსებითად იზრდება ფინანსური კონტროლის როლი კომპანიების საქმიანობაში, რაც, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ბიზნესის კონსოლიდაციისა და დივერსიფიკაციის პროცესებთან. კონსოლიდირებული ინდუსტრიული ბიზნესი მიეკუთვნება ეკონომიკის სოციალურად მნიშვნელოვან სექტორს, რომელიც ხასიათდება მუდმივი რეორგანიზაციის პროცესებით, რაც მოითხოვს კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას.

ბიზნესერთეულებს, რომლებსაც აქვთ სააღრიცხვო პოლიტიკის განსხვავებული სქემა და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა, რთულია კონსოლიდაციის პროცესების მართვა, მაღალია ინფორმაციის მართვის პირდაპირი ხარჯები. ამჟამად აქტუალურია ბიზნესის ფინანსური კონტროლის სისტემის ფორმირების კონცეფციისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მხარდაჭერას.

ჩვენი აზრით, მსხვილ სამრეწველო კომპანიებში ბიზნესპროცესების ფინანსური კონტროლის სისტემის ფორმირებისთვის აუცილებელია: მენეჯერული აღრიცხვის მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვის მხარდაჭერა; ბიზნესპროცესების ეფექტურობის მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზირება; რისკების შეფასება გაურკვევლობის პირობებში.

საწარმოებში ბიზნესპროცესების ფინანსური კონტროლის კონცეფცია უნდა შემუშავდეს, როგორც მართვის პროცესის საინფორმაციო და ანალიზური კომპონენტი, მმართველობითი აღრიცხვის ბაზაზე და მონაცემების ანალიზურ დამუშავებაზე დაყრდნობით. ფინანსური კონტროლი შეიძლება, განისაზღვროს, როგორც მენეჯმენტის ინფორმაციული ნაკადის ანალიზური, მეთოდოლოგიური და ინსტრუმენტული მხარდაჭერის უწყვეტი პროცესი, რაც ფინანსური ინდიკატორებით გამოიხატება, განაპირობებს სტრატეგიის გამჭვირვალობას და მთლიანობაში სამრეწველო კომპანიების ეფექტურობის ზრდას.

ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავებისას არსებითია მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები და სამრეწველო კომპანიების ბიზნესპროცესების სპეციფიკის გათვალისწინება, რომელიც ემყარება განვითარების ყველაზე ადეკვატური სცენარების და გამოვლენილი ტენდენციების იდენტიფიცირებას.

ბიზნესპროცესების ფინანსური კონტროლის ორგანიზაციული და ეკონომიკური მახასიათებლების სისტემაში მოიაზრება: თვითგანვითარების უნარი და უწყვეტი თვითრეგულირება, გარე და შიდა ფაქტორებს შორის ბალანსის განსაზღვრა, სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებთან ადაპტაციის უნარი, მოქნილობა და სისწრაფე.

ბიზნესპროცესების ფინანსური კონტროლის მოდელის ფორმირება უზრუნველყოფს სტრატეგიული და ოპერატიული კონტროლის პროცესის, მათი ურთიერთქმედების პროცედურების შეთანაწყობას მოქნილ მენეჯმენტზე დაფუძნებულ განვითარების სტრატეგიასთან.

ბიზნესის განვითარების სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანია, კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებში სადიაგნოსტიკო პროცედურების განხორციელების ალგორითმის შემუშავება, რომელიც მინიმალური რისკებით უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების სტრატეგიული ფინანსური კონტროლის სისტემას.

ჩვენი აზრით, ბიზნესპროცესების ოპერატიული ფინანსური კონტროლის სისტემის მეთოდოლოგია შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ხუთ ეტაპად: ოპერატიული მონაცემების საჭიროების განსაზღვრა პროცესული მიდგომის გათვალისწინებით; ინტეგრირებული მიზნობრივ პროცესზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მოდელის შემუშავება; სტრუქტურული დანაყოფების ბიუჯეტების შინაარსის განსაზღვრა; ბიზნესპროცესების აღწერა და რეგულირება; რისკების მონიტორინგის, ანალიზის და მინიმიზაციის პროცედურების შემუშავება.

ბუღალტრული აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესპროცესების სიტუაციური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, შესაძლებელს ხდის მოვლენებისა და მიზეზების არასტანდარტული გამოვლინებების იდენტიფიცირებას.

ამრიგად, ფინანსური კონტროლის სისტემის ფორმირების პრინციპები განაპირობებს მის ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს კონტროლის ძირითადი ელემენტების ურთიერთქმედებას ბიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ფინანსური კონტროლი, მეთოდოლოგია, ბიზნესპროცესები*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისათვის. https://pifc.gov.ge/files/ShowFiles?id=2a2f1adc-5732-4558-b9f7-9704e1d2405a
2. ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლის სახელმძღვანელო https://saras.gov.ge/Content/files/AuditCommittees/2.7_FS_SHIDA_KONTROLEBI_GEO.
3. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისთვის. https://pdf.usaid.gov

# ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი და მისი ადმინისტრირების თავისებურებანი

**პაატა ბოლქვაძე**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მოწვეული მასწავლებელი*

*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნების ცალკეულ ელემენტზე და იყენებს ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს. ბუნებრივი რესურსების ერთი ნაწილი გამოულეველია, რადგან მათ სწორი ექსპლუატაციის კვალდაკვალ თვითგანახლებაც ხდება. არის ისეთი ბუნებრივი რესურსებიც, რომელთა მარაგი თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ამოიწურება. ამიტომ ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ქვეყნის უპირველესი საზრუნავია.

პირი, რომელიც აპირებს განახორციელოს ბიზნესი, რომელიც უკავშირდება გარემოდან სასარგებლო წიაღისეულის, ტყის ფონდის მერქნული რესურსების, მცენარეული, არამერქნული რესურსების, ზედაპირული წყლის რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს რესურსების ამოღებას (სარგებლობას), ვალდებულია, აღნიშნული საქმიანობის დაწყებამდე მიიღოს სარგებლობის ლიცენზია. საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. პირისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და ბიზნესსუბიექტს მიენიჭება ბუნებრივი რესურსების გარემოდან ამოღების (მოპოვების) უფლება. ამასთანავე, პირი ვალდებულია, გადაიხადოს ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებელი.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

1. სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა (რაოდენობა);
2. ტყის რესურსების მოცულობა/რაოდენობა;
3. წყლის რესურსების მოცულობა (რაოდენობა)
4. ცხოველთა სამყაროს რესურსების მოცულობა (რაოდენობა).

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლების გადახდის ადმინისტრირებას საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს საგადასახადო ორგანო, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა, კერძოდ: საგადასახადო ორგანო ადმინისტრირებას არ ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის მერქნული რესურსების პირადი მოხმარებისთვის, აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საქართველოს საპატრიარქოს მიერ ტყის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის, მცენარეთა არამერქნული რესურსებითა და მათი პროდუქტებით სარგებლობისთვის, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისთვის მოსაკრებლის გადახდაზე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზიის მიღების შემდეგ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი გადაიხდება – 6 თვეში ერთხელ, მაგრამ არაუგვიანეს მე-6 თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამასთანავე, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად. იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურ ასათვისებელ მოცულობას, მოსაკრებლის თანხა განისაზღვრება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით.

მინერალური წყლებისა და მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება არაუგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ნახშირორჟანგის (გაზი $CO_2$ ) შემთხვევაში – ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მიხედვით, თანაბარ ნაწილებად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურ ასათვისებელ მოცულობას, – ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით.

**თემის აქტუალობა** განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მიხედვით მოსაკრებლების დაბეგვრის დადგენილი წესი (პრინციპი) არ არის სამართლიანი და ამასთანავე, ხელს უშლის კომპანიის ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რადგან შეუძლებელია, ბიზნესსუბიექტმა თანამედროვე ბაზრის პირობებში წინასწარ, სრული სიზუსტით განსაზღვროს და ყოველწლიურად გეგმის მიხედვით მოიპოვოს წიაღისეული. ამასთანავე, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონისა და მოსაკრებლის კანონის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა და არა ბიუჯეტის შევსება (ფისკალური მიზანი).

**დასკვნის სახით** შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლით დაბეგვრის არასამართლიანი პრინციპი დადებით ეკონომიკურ ეფექტს ვერ მოიტანს ვერც ქვეყნის მაკროეკონომუკური განვითარების თვალსაზრისით და ვერც საწარმოო დონეზე. აუცილებელია ინტერესთა თანხვედრა ერთი მხრივ ბიზნესსუბიექტსა და მეორეს მხრივ - სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლების დაბეგვრის პოლიტიკისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებლით დაბეგვრას ფაქტობრივად მოპოვებული რესურსების მიხედვით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ლიცენზია, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი, სასარგებლო წიაღისეულის ათვისების გეგმა, სასარგებლო წიაღისეულის ფაქტობრივი მოპოვება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ.
3. საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ
4. Rs.ge
5. Namr.gov.ge

# ბიზნესის მდგრადი განვითარება და კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების გამოწვევები

**დალი სოლოღაშვილი**
*პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**თეა უდესიანი**
*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ბიზნესის მდგრადი განვითარების სრულყოფაში აქტიურ როლს ასრულებს კორპორაციათა მდგრადი ანგარიშგება, რომლის შედგენის საფუძველია ევროკომისიის მიერ შემუშავებული კორპორაციული მდგრადობის დირექტივა და კორპორაციული მდგრადობის სტანდარტები. მისი ინსტენსიურად დანერგვის შემთხვევაში იზრდება ინვესტორთა, კრედიტორთა და სხვა მომხმარებელთა ინტერესი, როგორც მათი განწყობის, ასევე შესყიდვის ქცევის მიმართ. ინვესტორები ინტერესდებიან არა მხოლოდ ეკონომიკური მდგრადობითა და კომპანიის მოგებიანობით, არამედ ეძებენ დეტალურ ინფორმაციას კორპორაციული მდგრადობის შესახებ, თუ რა რისკებია ბიზნესთან მიმართებაში ამ კუთხით; რა შესაძლებლობები გააჩნია მათი გადაწყვეტისთვი. ისინი აცნობიერებენ, რომ აღნიშნულ საკითხებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ბიზნესზე, რაც, რასაკვირველია, აისახება მის მოგებიანობაზე.

2014 წლის ივნისის თვეში გაფორმებული ხელშეკრულება -„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ - საქართველოსა და მეორეს მხრივ - ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის" - მხარეებს აკისრებს, შეასრულონ მრავალი ვალდებულება. შეთანხმების VI კარის, მე-6 თავის, 319-ე მუხლში წერია, რომ საქართველო დააახლოებს ეროვნულ კანონმდებლობას, ევროკავშირში არსებულ სამართლებრივ ინსტრუმენტებთან და საკანონმდებლო აქტებთან. ეს პრაქტიკაში ნიშნავს, საქართველოში დაინერგება კორპორაციული ანგარიშგების სისტემები. ვინაიდან ის გლობალურად აღიარებულ პირობას წარმოადგენს ბიზნესის წარმატების, მისი განვითარებისა და ინვესტირების გაზრდის კუთხით, რაც წარმოშობს მეტ სამუშაო ადგილს, გაიზრდება შემოსავლები და გაუმჯობესდება საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობა.

ნაშრომის მიზანია, საქართველოში ბიზნესის მდგრადობის ცნობადობისა და მდგრადობის ანგარიშგების გამჟღავნების არსებული გამოწვევების, ბიზნესის მდგრადობის უზრუნველყოფაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის როლისა და ადგილის შეფასება და ანალიზი, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

***საკვანძო სიტყვები:*** *ბიზნესი, მდგრადი განვითარება, აღრიცხვა*

# ტურიზმის განვითარების ტენდენციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში

**ეკატერინე ბახტაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
**ნარგიზ ფალავანდიშვილი**
*ასისტენტ პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი**

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ტურისტული მიზიდულობის ცენტრს ქმნის სამი ქვეყანა - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. მათ, როგორც მეზობელ ქვეყნებს, აქვთ ბევრი საერთო ნიშან-თვისება, თუმცა გააჩნიათ პოტენციალი, შექმნან უნიკალური და განსხვავებული ტურისტული პროდუქტები, მათი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების, კულტურული და ისტორიული ფასეულობების, გასტრონომიის, რელიგიის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ჩვენი კვლევის მიზანია, დაგვენახა სამხრეთ კავკასიაში ტურიზმის განვითარების არსებული ტენდენციები და გაგვეკეთებინა შედარებითი ანალიზი, რაც გახდება შემდგომში რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველი.

2019-2021 წლებში ტურიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ და შემდგომში - რუსეთ-უკრაინის ომმა. ამასთან, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ნაკლებად გამოირჩევა პოლიტიკური სტაბილურობით, მსოფლიო ბანკის ჯგუფის (World Bank Group) უსაფრთხოებისა და დაცულობის ინდექსის მიხედვით, სამივე ქვეყნის მაჩვენებელი საუკეთესო მაჩვენებელს ერთი-ორი ერთეულით ჩამორჩება. მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარების ინდექსის (TTDI) მიხედვით ქვეყნების მაჩვენებელი 4-ის ფარგლებში მერყეობს.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლების მიხედვით ერთმანეთს ნაკლებად ჩამორჩება. ქვეყნების ეკონომიკაში ტურიზმის სექტორს წამყვანი ადგილი უკავია, რაც გამოიხატება საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებულ შემოსავლებში და ქვეყნის მთლიან პროდუქტში ტურიზმისა და მასპინძლობის წილით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ტურიზმის განვითარების ანალიზისთვის შესწავლილ იქნა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სამიზნე ტურისტული ბაზრები და მათი დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. საქართველოსთვის მნიშვნელოვან სამიზნე ბაზარს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები წარმოადგენენ, მნიშვნელოვანია მათთან პირდაპირი საჰაერო კავშირები და მათი ტურისტული მოთხოვნილებების გათვალისწინება. როგორც არსებული კვლევები აჩვენებს გადახდისუნარიობის კუთხით სწორედ ამ საბაზრო სეგმენტზე უნდა გაკეთდეს გათვლა, ამასთან, საქართველომ უნდა შეძლოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონკურენციული უპირატესობის მოპოვება.

***საკვანძო სიტყვები:*** *სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ტურიზმი, ვიზიტორები, ტურისტული ბაზრები, კონკურენტუნარიანობა*

# ტურიზმის განვითარებაში არსებული პრობლემები და პერსპექტივები ქვეყნის მასშტაბით

**ჯამბული ბიწაძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**ნანა ბენიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**დარეჯან ჯინჭარაძე**
*მოწვეული პროფესორი*
*საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი*

**აბსტრაქტი**

სტატიაში „ტურიზმის განვითარებაში არსებული პრობლემები და პერსპექტივები ქვეყნის მასშტაბით." საუბარია ტურიზმის როლზე და მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკასა და მის განვითარებაში. აღნიშნულია, აგრეთვე, ის პრობლემები, რომელიც ამ დარგში არსებობს, ყურადღება გამახვილებული არსებულ პრობლემებზე და დასახულია პრობლემის გადაჭრის გზები.

ნაშრომში მოცემულია კვლევის შედეგები, რომლის ანალიზი წარმოდგენას იძლევა ტურისტული ბიზნესის ხარისხის, ინფრასტუქტურის და არაკვალიფიციური სპეციალისტების არსებობის შესახებ.

ასევე აღნიშნულია ის პრობლემები, რაც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ:

1. სავალუტო კურსის მერყეობა;
2. პოლიტიკისა და ეკონომიკის არასტაბილურობა;
3. შესაბამისი ინფრასრუქტურის არარსებობა;
4. სფეროში დასაქმებული პერსონალის არაკვალიფიციურობა;
5. საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სადაზღვევო პაკეტების არარსებობა;

აქვე მოცემულია რესპონდენტთა რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. აღსანიშნავია:

- კანონმდებლობის დახვეწა და შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან, რაც მიიღწევა კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით;
- სასტუმროების ქსელის მოწესრიგება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
- ინფრასტქტურის მოწესრიგება;
- სამოგზაურო დაზღვევის პაკეტების გაუმჯობესება - კერძოდ, ვიზიტორების ჯამრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის აუცილებლობა.

ყოველივე ამის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.

სტატიაში მოცემულია ავტორთა მოსაზრებები და რჩევები, რომელიც დანახულია მეცნიერთა თვალთახედვით და მისი პრაქტიკაში განხორციელება დაეხმარება დარგს საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტურიზმი, ეკონომიკა, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა, სამოგზაურო დაზღვევა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. https://www.businessinsider.ge/ka/utskhoeli-turistebistvis-janmrtelobisa-da-ubeduri-shemtkhvevis-savaldebulo-dazghveva-2026-tslis-1-eli-ianvridan-amokmeddeba
2. https://www.businessinsider.ge/ka/dziritadad-gvstumroben-arabetis-kveqnebidan-maghalia-turistebis-aktivoba-germaniidan-da-ashsh-dan-kastelo-mare
3. https://www.facebook.com/watch/?v=3732072757108758
4. https://openscience.ge/bitstream/1/2274/1/Tariel%20Ivaniedze%20Samagistro.pdf
5. https://ejournals.atsu.ge/BLSS2015/eJournal/Papers/BenidzeNana.pdf
6. file:///C:/Users/admin/Desktop/wlis_angarishi_2016.pdf
7. file:///C:/Users/admin/Desktop/wlis_angarishi_2016.pdf
8. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
9. https://ka.warbletoncouncil.org/infraestructura-turistica-8049#menu
10. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdf
11. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/vako.pdf

# საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ასპექტები

**მაია აზმაიფარაშვილი**

*ასოცირებული პროფესორი*

*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*გორი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ ფაქტორს დაცული ტერიტორიები წარმოადგენს. ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად დაცული ტერიტორიები ინახავს მეხსიერებას ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, კულტურა ხელს უწყობს ბუნებრივი გარემოს დაცვას. ახალი თაობის დარგების, მათ შორის ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმატით განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს დაცული ტერიტორიები ტურიზმის ბირთვია, დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება ნიშნავს რეგიონებში ვიზიტორების რაოდენობის ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნას და განვითარებას. მდგრადი ტურიზმის მიღწევის მნიშვნელობის გაცნობიერებამ და აღიარებამ საფუძველი დაუდო ეკოტურიზმის ცნების აღმოცენებას. ეკოლოგიური ტურიზმი გვევლინება, როგორც ტერიტორიების მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი. ამ კონცეფციის განმარტება შემოგვთავაზა სხვადასხვა ავტორმა და ორგანიზაციამ, მათ შორისაა: მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO, 1994), ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUNC, 1996), ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოება (TIES, 1991). ეკოტურიზმის კონცეფცია მოგზაურთა მხრიდან მეტ თანაგრძნობასა და ვალდებულებას გულისხმობს. მდგრადი ტურიზმი კი საზოგადოების ფუნქციურ ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და შენარჩუნება მომავლი თაობებისთვის.

საინტერესო და ღირებულია მდგრადობის პრინციპები ტურიზმში, რომელიც ტურიზმის ღირებულებების ჯაჭვში არსებულ ყველა სექტორს გამოწვევების წინაშე აყენებს. მიიჩნევა, რომ მდგრადი განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი. მდგრადი ტურიზმი იღებს პასუხისმგებლობას მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით გავლენაზე და ითვალისწინებს ვიზიტორების, ინდუსტრიის, გარემოსა და ადგილობრივი საზოგადოების ინეტერესებს. მდგრადობის უზრუნველყოფისთვის ტურიზმში პრიორიტეტი ენიჭება ბუნებრივ გარემოზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტის განვითარებას, რესურსების მდგრად გამოყენებას, გარემოს დაცვით ცნობიერებას და ეფექტურ მენეჯმენტს.

ნაშრომის მიზანია, ტურიზმის სექტორისთვის ღირებული რესურსების დაცული ტერიტორიების მაგალითზე შევისწავლოთ მდგრადი ტურისტული მნიშვნელობა, მდრადი სარგებელი, ეკოტურისტული დანიშნულების ადგილების მდგრადი დაგეგმვის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ასპექტები. მდგრადი განვითარების იდეიდან გამომდინარე, ბუნებრივ ტურისტულ დესტინაციაზე მდგრადი ეკოლოგიური უზრუნველყოფა, დაცული ტერიტორიების სისტემის ქსელის გაფართოება, ზემოქმედების შედეგები, განვითარება და მდგრადი მართვის საკითხები. ნაშრომში განხილულია ეკოტურისტული დანიშნულების ადგილის პროგრესული ტენდენციები, ეკოლოგიური ინტეგრაციის ხარისხი. როგორ აღიქმება ვიზიტორების მიერ დაცული ლანდშაფტის მრავალფეროვნება და რა

როლი შეიძლება, შეასრულოს პერცეფციულმა რესურსებმა დაცული ტერიტორიების მდგრადი დაგეგმარებისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების სქემაში.

მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების მონაწილეობრივ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალური პრიორიტეტების განსაზღვრას, მდგრადი მიზნების რეგიონალური ლოკალიზების საკითხებს, ინტეგრაციის ხარისხს და პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების როლს. მდგრადობის პრინციპი მოიცავს ტურიზმის განვითარების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს, ამიტომ ეროვნულ პრინციპებში საჭიროა სამივე მიმართულების ბალანსირება, რათა გარანტირებული იყოს ტურისტული დანიშნულების ადგილის გრძელვადიანი მდგრადობა. ნაშრომში განვიხილეთ ტურისტების მიერ ტერიტორიების გამოყენების „გამტარუნარიანობის" ზღვრული ნორმის დადგენის საკითხი. ასევე, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტები, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი მიზნების შესრულებას, ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნიეთ შემუშავებული ეკოტურიზმის სტანდარტი -ISO 18065, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ბუნებაში გაზრდილი მოგზაურობის დროს თავიდან ავიცილოთ გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, წითელ წიგნში შეტანილი სახეობების დაცვა და ა. შ.

კვლევის პროცესში განხილულია უცხოელი და ქართველი ავტორების სამეცნიერო ნაშრომები, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. დაცული ტყერიტორიების კვლევა, საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა" და სხვა.

ცხადია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ანთროპოგენურ ეპოქაში, როდესაც ჩვენი პოტენციურად გამოსაყენებელი ბიოგეოსფეროს თითქმის 80% შეიცვალა ადამიანების მიერ. როგორც წესი, ჩვენი ქმედებების შედეგების გაცნობიერების გარეშე, მისი ეკოსისტემების სტრუქტურის და, რაც მთავარია, ძირითადი ეკოლოგიური პროცესების შეცვლით. ეროვნულ დონეზე ეკოცივილიზაცია და მდგრადობა შეიძლება, უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ/კულტურულ განზომილებებს შორის კომპლექსური ურთიერთქმედების ეკოლოგიური გაგებით და ეკოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმვითა და მენეჯმენტით.

მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ბუნებრივ დაცულ ტერიტორიებზე უსაფრთხო, მაღალი სტანდარტის მდგრადი ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება, ეკოტურისტული პროდუქტის ფორმირება ადგილობრივი თემების ჩართულობით, რესურსების ტურისტული გამოყენების პროცესში „გამტარუნარიანობის" ზღვრული ნორმის დადგენა, შემუშავებული საერთაშორისო ეკოტურიზმის სტანდარტის -ISO 18065 გათვალისწინება.

***საკვანო სიტყვები:*** *ეკოტურიზმი, დაცული ტერიტორიები, მდგრადი მიზნები, ინტეგრაცია, ეკოლოგიური უსაფრთხოება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბერიძე რ., გოგელია მ., 2012. დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები", III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი", შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი.
2. გიგაური გ., სუპატაშვილი ა., 2007. საქართველოს ტყეების საკურორტო-რეკრეაციული-ტურისტული-მნიშვნელობა და მათში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები, მონოგრაფია, თბილისი.
3. მეტრეველი მ., 2012. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბილისი.

4. მაჭარაშვილი ი., არველაძე თ., სვანიძე ი., არჩუაძე მ., კობახიძე დ., ქუთათელაძე ი., 2018. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებში. მწვავე ალტერნატივა. http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/07/biodiversity_monitoring_2018.pdf
5. Gadinga Walter Forje, Martin N. Tchamba. 2022. ეკოტურიზმის მმართველობა და დაცული ტერიტორიების მდგრადობა კამერუნში: კამპო მაანის ეროვნული პარკის შემთხვევა https://doi.org/10.1016/j.crsust.2022.100172. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2666049022000500
6. აზმაიფარაშვილი მ., 2023. ეკოლოგიური ტურიზმი, როგორც მდგრადი განვითარების პერსპექტიული ტენდენცია საქართველოში: აქტუალობა, შესაძლებლობები, თავისებურება. No 38(175) (2023): მე-7 ISPC «საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია: პრობლემები, ამოცანები და პერსპექტივები». 2023; ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი).
7. საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030 ( https://gnta.ge).
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მონაცემთა კვლევის ჯგუფი, 2017. საქართველოს ეროვნული ნაკრძალების ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა. http://drg.com.ge/team.php
9. უკლება მ., 2017. ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი, თბილისი, უნივერსალი.
10. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 1996. „საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", თბილისი.
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ, 2021.
12. ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები.pdf.
13. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 2023 წლის ანგარიში.
14. http://www.apa.gov.ge/ge/angariSebi.
15. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WXeBhoSGOUk;

# ეკოტურიზმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცულ ტერიტორიებზე - რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

**ანზორ დევაძე**
*პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*
**ნანი გვარიშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

ტურიზმი, სოფლის მეურნეობასთან ერთად, წარმოადგენს დარგს, რომელსაც ყველაზე მაღალი პოტენციალი გააჩნია როგორც მთლიანად საქართველოს, ისე აჭარის არ-ის ეკონომიკის განვითარებისთვის. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონების სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. საქართველოს რეგიონების ეკონომიკის შემდგომი განვითარების მიზნით ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვაჩნია ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება აჭარის დაცულ ტერიტორიებზე, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკის ამაღლებას, ისე დაცული ტერიტორიების ბუნებრივი ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღნიშნულია პრობლემები, რომლებიც აფერხებენ აჭარის არ-ის დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას; განხილულია აჭარის არ-ის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის გავლენით გამოწვეული გარკვეული საფრთხეები, რომლებიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვასა და შენარჩუნებაზე. აჭარის არ-ის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის ორგანიზაციული საკითხების, ვიზიტორთა დინამიკის, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია მეცნიერულ - მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც, ავტორების აზრით, ხელს შეუწყობენ ეკოლოგიური ტურიზმის პროდუქციის ბაზრის ფორმირებასა და განვითარებას.

2023 წლის მდგომარეობით, IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 14 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 26 აღკვეთილი, 5 დაცული ლანდშაფტი და ერთი მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 912 862 ჰექტარს, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 13%-ია [2].

დღეისთვის, საქართველო იმყოფება რეგიონული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მკაფიო განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე, რომლებმაც თავიანთ თავზე უნდა აიღონ რეგიონების მდგრადი და სტაბილური განვითარების პასუხისმგებლობა. ამასთან ერთად, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა, ახალი დარგების განვითარება, რაც უზრუნველყოფს დადებით მულტიპლიკატორულ ეფექტს რეგიონულ ჭრილში. საქართველოს რეგიონების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად, მიგვაჩნია ეკოტურიზმის განვითარება [3].

გამომდინარე იქიდან, რომ აჭარის არ საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი და ბუნებით მრავალფეროვანი რეგიონია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოში დღეისთვის არსებულ ეკოტურიზმის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები, ასევე მისი გავლენა დაცული ტერიტო-

რიების ეკოსისტემების მრავალფეროვნებასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, განვიხილოთ აჭარის არ-ის მაგალითზე.

აჭარის არ-ში წარმოდგენილია შემდეგი დაცული ტერიტორიები [2]:

- კინტრიშის დაცული ტერიტორიები (კინტრიშის ნაკრძალი, ფართობით 3 108 ჰა; კინტრიშის ეროვნული პარკი, ფართობით 10 406 ჰა);
- მაჭახელას ეროვნული პარკი, ფართობით 7 333ჰა;
- მტირალას ეროვნული პარკი, ფართობით 15 580 ჰა;
- ქობულეთის დაცული ტერიტორიები (ქობულეთის ნაკრძალი, ფართობით 316 ჰა; ქობულეთის აღკვეთილი, ფართობით 466 ჰა).

ქვემოთ მოყვანილია აჭარის არ-ის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2018 – 2023 წლების მიხედვით (ცხრილი 1).

ცხრილი1.

აჭარის არ-ის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა 2018 – 2023 წწ

| დაცული ტერიტორიები | | აჭარის არ დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა 2018-2023 წლების მიხედვით, ათ. კაცი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
| მთლიანად აჭარის არ | | 88,8 | 109,8 | 20,2 | 56,3 | 85,7 | 104,3 |
| მათ შორის | კინტრიშის ნაკრძალი და ეროვნული პარკი | 6,6 | 7,0 | 1,2 | 1,8 | 2,9 | 3,1 |
| | მაჭახელას ეროვნული პარკი | 10,1 | 11,3 | 0,8 | 0,5 | 0,9 | 1,4 |
| | მტირალას ეროვნული პარკი | 57,8 | 77,3 | 15,4 | 51,1 | 78,1 | 95,3 |
| | ქობულეთის ნაკრძალი და აღკვეთილი | 14,3 | 14,2 | 2,8 | 2,9 | 3,8 | 4,5 |

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018-2023 წლების ანგარიშების მიხედვით.

ბოლო წლების მანძილზე (მხედველობაში გვაქვს პერიოდი 2020 წლამდე, პანდემია COVID-19-ის გავრცელებამდე), საქართველოში ადგილი ჰქონდა ვიზიტორებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების პერმამენტულ ზრდას. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელი განიხილება, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ყველაზე დინამიური წელი. აღნიშნული სრულად შეეხება ეკოლოგიურ ტურიზმსაც: 2019 წელს აჭარის არ-ის დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული იქნა ვიზიტორების რეკორდული მაჩვენებელი (109,8 ათ. კაცი).

პანდემია COVID-19-მა რადიკალურად შეცვალა მსოფლიოში ადამიანთა ცხოვრების წესი. მან გამოიწვია კრიზისი ცხოვრების და საქმიანობის აბსოლუტურად ყველა სფეროში. 2020 წელს, მსოფლიო პანდემიის გამო, ტურისტული ინდუსტრია საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, უპრეცედენტოდ შემცირდა. შემცირდა ვიზიტორების რაოდენობა აჭარის არ-ის დაცულ ტერიტორიებზეც: 2020 წელს, გასულ, 2019 წელთან შედარებით, ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა 81,8 %-ით, ანუ 89,6 ათ. ვიზიტორით და შეადგინა 20,2 ათ. კაცი.

დღეისთვის, თანამედროვე მსოფლიოში პანდემიის COVID-19-ის თითქმის სრულად დასრულების შემდეგ, მასობრივი ტურიზმის თავშეყრის ადგილებში, COVID-19-ის გავრცელების დროს მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირად ვხვდებით სოციალური დისტანცირების დაცვის ნიშნებს.

ადამიანებმა დაიწყეს ისეთი ადგილების მოძიება, სადაც თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და გადატვირთული ადგილების ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ ისეთი ადგილების მონახულებას, სადაც სოციალური დისტანცირების დაცვის საშუალება აქვთ, თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. საქართველოს ტურიზმის სექტორი კი დგას იმ გამოწვევის წინაშე, რომ უფრო აქტიურად უნდა მოხდეს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება, რაც ტურიზმის სინერგიას და ბუნებრივი რესურსების დაცვას გულისხმობს. ამასთან ერთად, ეკოლოგიურ ტურიზმს შეუძლია, მოიზიდოს სახსრები როგორც რეგიონის გარემოს დაცვის კუთხით, ასევე მისი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მიმართულებით. გარდა ამისა, აღნიშნული სახის ტურიზმის განვითარებით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემა, ტურიზმის მომსახურებისგან მიღებული შემოსავალი აქციოს დამატებითი შემოსავლის წყაროდ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას საქართველოში, და კერძოს აჭარის არ-ში აფერხებს გარკვეული ფაქტორების ზემოქმედება: არასრულყოფილი კანონმდებლობა; ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი ეკოლოგიური ტურიზმის სამართლებრივი სტატუსი (არასრულყოფილია შესაბამისი კანონები და დებულებები); ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების კონცეფციის დაზუსტების აუცილებლობა; არ იკვეთება კოოპერაციის და მართვის ეკონომიკური მექანიზმების დანერგვის ინტერესები; რეგიონის მუნიციპალური ორგანოები არასაკმარისად იყენებენ თავიანთ მმართველობით ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრავენ მუნიციპალური წარმონაქმნების პოლიტიკას ტურიზმის სფეროში, მათ როლს ტურიზმის ორგანიზაციასა და რეგულირების საკითხებში [4].

ეკოტურიზმის, როგორც თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის სექტორის, ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკოლოგიურ ტურიზმს პირველ რიგში ესაჭიროება მხარდაჭერა რეგიონულ დონეზე. ეკოტურიზმის სექტორის ორგანიზაციის საკითხში ძირითადი როლი უნდა ითამაშონ ტურისტული ბიზნესის რეგიონულმა ასოციაციებმა,

ტურისტული ბიზნესის რეგიონულმა ასოციაციებმა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან, რეგიონულ ფონდებთან, შრომის ბირჟებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად კურირება უნდა გაუწიონ ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის ფორმირებას ადგილებზე, ხოლო ინფრასტრუქტურის ფორმირების მექანიზმი უნდა ეფუძნებოდეს ეკოტურიზმის განვითარების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: ნორმატიულ - სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებას; საინფორმაციო ქსელების მეთოდურ უზრუნველყოფას და გაუმჯობესებას; ფინანსური ინფრასტრუქტურის ფორმირებას ფონდების, სპეციალური ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და საინვესტიციო ინსტიტუტების მონაწილეობით; ასევე საწარმო - ტექნოლოგიური და სოციალურ-საქმიანი წრეების მონაწილეობით.

***საკვანძო სიტყვები:*** *აჭარის არ, დაცული ტერიტორიები, ეკოტურიზმი, ეკონომიკა, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ეკოსისტემების მრავალფეროვნება.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Девадзе А., Гваришвили Н., Экология охраняемых территории Грузии в контексте развития туризма. Журнал «инновационная экономика и управление». №1, том V, стр. 112-122. Батуми, 2018.
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 2023 წლის ანგარიში. https://drive.google.com/file/d/1fhb_1Ud9yIGXsRiqzAFdGiMK0YYhFu_v/view
3. Девадзе, А., Девадзе, Л. Пандемия COVID-19 и туризм в Грузии: вызовы и перспективы развития. учасний рух науки: тези доп. XII міжнародної науково-практичної інтернет-конференції, 1-2 квітня 2021 р. – Дніпро, Україна, 2021. – Т.1.– 493 с.
4. დევაძე ა., ჩაგანავა პ., საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ქუთაისი, ნოემბერი, 2017. გვ. 57-66.

# კონფლიქტები და მათი გავლენა საერთაშორისო ტურიზმზე

**გვანცა თურმანიძე**
*დოქტორანტი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საერთაშორისო ტურიზმი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოში არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით, გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირსშესანიშნაობებით.

XXI საუკუნეში ტურიზმის ინდუსტრია საკმაოდ სწრაფად ვითარდება, თუმცა ამას თან სდევს მრავალი დაბრკოლება. პირველ რიგში ეს არის კონფლიქტები, როგორც შეიარაღებული, ისე პოლიტიკური არასტაბილურობა, საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციები, სავალუტო კურსის მერყეობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა, დარგში არაკვალიფიციური კადრების არსებობა, ბოლო პერიოდში აღნიშნულ ჩამონათვალს დაემატა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობა და არასტაბილურობა მსოფლიოს მასშტაბით.

კვლევებით დადასტურდა, რომ რეგიონში არსებული პოლიტიკურად არასტაბილური მდგომარეობა მეტწილად მოქმედებს მიმდებარე ქვეყნებში ტურისტული ნაკადების ცვლილებაზე. უახლოეს პერიოდში მიმდინარე პროცესები ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსეთ-უკრაინის და ისრაელ-პალესტინის ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე. მკვეთრად დაეცა უკრაინელი ტურისტების შემოსვლა საქართველოში, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთიდან წამოსულ მკვეთრად მზარდ ტურისტულ ნაკადზე. აქ იკვეთება ორი ძირითადი ფაქტორი - პირველი ის, რომ უკრაინის მოსახლეობას სამოგზაუროდ „არ სცხელა", სრულად არიან ჩართული საბრძოლო პროცესებში, მეორე მხრივ რუსეთის მოსახლეობა ცდილობს, თავი აარიდოს მოსალოდნელ საფრთხეს და გაექცეს საბრძოლო მდგობარეობას. აღნიშნული სიტუაცია მნიშვნელოვნად ცვლის საქართველოში ტურიზმის სექტორის მდგომარეობას: იზრდება ფასები, როგორც საცხოვრებელზე ,ასევე, სხვადასხვა მომსახურებასა და სერვისზეც, შემოვიდა დიდი რაოდენობით „რუსული ინვესტიცია", რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას და შიშს იწვევს. არც საერთაშორისო ტურისტები გრძნობენ თავს კომფორტულად ქვეყანაში, სადაც რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

აჭარის რეგიონისთვის განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა ისრაელ-პალესტინის ბოლოდროინდელ ომს. თუ 2023 წლის ექვს თვეში საქართველოში ისრაელიდან 210 178 ვიზიტი შედგა, ომის პერიოდში მკვეთრად დაეცა ეს მაჩვენებელი. იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელი არის ის გამონაკლისი ქვეყანა, საიდანაც ტურისტები წელიწადის თორმეტივე თვე ჩამოდიან და ათეულობით ფრენაა კვირაში როგორც ბათუმის, ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, მნიშვნელოვანია ამ ქვეყანაში მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრება, რაც არანაკლებ დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც. აღნიშნულ სიტუაციაში საქართველოს შეუძლია, წარმოი-

ჩინოს თავი, როგორც უსაფრთხო და მშვიდი დანიშნულების ადგილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ტურისტებისთვის.

მნიშვნელოვანია კონფლიქტების შემდგომი პროცესების სწორად წარმართვა. პირველ რიგში, უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების ნორმები, აღდგეს ნდობა, შემდგომ ეტაპზე კი ხდება პოზიტიური იმიჯის შექმნა და რეკლამირება საერთაშორისო ბაზრებზე.

დასკვნის სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ კონფლიქტები მნიშვნელოვანი გამოწვევაა ტურიზმის სფეროში, თუმცა სწორი სტრატეგიით და უსაფრთხოების ზომების დაცვით შესაძლებელია მისი აღდგენა. ტურიზმს, ისევე როგორც, სხვა ეკონომიკურ სექტორს, სტაბილურად განვითარებისთვის სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე ლოკალური და რეგიონალური თვალსაზრისით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტურიზმი, კონფლიქტების გავლენა, საერთაშორისო ტურიზმი, ინვესტიციები, პოლიტიკური არასტაბილურობა*

## ***გამოყენებული ლიტერატურა:***

1. Tourism Policy and Planning. Yesterday, today and tomorrow. David L. Edgell Srand Jason T. Swanson, 2008;
2. https://tourism-georgia.blogspot.com/p/blog-page_02.html
3. https://economics-and-finance.bpengi.com/
4. https://geoeconomics.ge/?p=13699
5. https://catalog.nplg.gov.ge/search*geo
6. https://gnta.ge/wp-content/uploads/2018/12/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98.pdf
7. https://bm.ge/news/
8. https://www.radiotavisupleba.ge

# მდგრადი კონკურენტული სტრატეგიის როლი ტურიზმის ინდუსტრიაში

**ელისო გველესიანი**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**თინათინ გუგეშაშვილი**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

**შესავალი:** სტრატეგიული მენეჯმენტის უპირველესი და უმთავრესი მიზანი არის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. იმისთვის, რომ ტურისტულმა საწარმომ, ფირმამ თუ ორგანიზაციამ ძირითად მიზანს მიაღწიოს, აუცილებელია, შეეძლოს სამომავლო განვითარებისთვის სხვადასხვა სტრატეგიული ვარიანტის დასახვა, შეფასება და მათ შორის ყველაზე უფრო დიდი წარმატების მომტანის შერჩევა-დანერგვა.

სტეტეგიული შერჩევა გვეხმარება სტრატეგიული ვარიანტების ფორმულირებაში, არსებული ვარიანტებებიდან იმ ვარიანტის არჩევაში, რომელიც ყველაზე დიდი ალბათობით სტრატეგიულ წარმატებამდე მიგვიყვანს.

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში ჩართული კერძო კომპანიები კონკურენციას უწევენ ამავე სექტორში მოღვაწე სხვა კომპანიებს მომხმარებლების მოსაზიდად და მოგების მისაღებად.

**კონკურენტული უპირატესობა**. კონკურენტული უპირატესობის მოპოვება არანაკლებ მნიშვნელოვანია საჯარო ორგანიზაციებისთვისაც (მაგალითად, მუზეუმებისთვის, გალერეებისთვის, ისტორიული მონუმენტებისა და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფესტივალებისთვის), რომლებიც ცდილობენ განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში საუკეთესო ხარისხის სერვისი შექმნან და კონკურენცია გაუწიონ სხვა საჯარო ორგანიზაციებს.

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში მომუშავე კომპანიები მუდმივად იბრძვიან კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. თუმცა თუ ვერ ხერხდება დაკავებული პოზიციის ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება, უპირატესობის მოსაპოვებლად გაწეული შრომა და რესურსი ფუჭად დაიხარჯება.

**სტაბილური კონკურენტული უპირატესობა** მიიღწევა მაშინ, როცა ორგანიზაცია იღებს კონკურენტებზე მაღალ შემოსავალს კონკურენტებს შორის პოზიციის გაუმჯეობესებისთვის საკმარისი დროის განმავლობაში.

**მიზანი:** კონკურენტუნარიანობის მდგრადობის განსაზღვრა. კონკურენტუნარიანობის მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: **ხანგრძლივობა -** უპირატესობის სამუდამოდ შენარჩუნება შეუძლებელია, რადგან კონკურენტები განუწყვეტლივ ცდილობენ მის გამეორებას. თუმცა კომპანიის რეპუტაციამ შესაძლოა, მოგვცეს საშუალება, გარკვეული დროის განმავლობაში გავიმყაროთ დაკავებული პოზიცია ბაზარზე. **გამჭვირვალობა** - რაც უფრო რთულია გარეშე პირებისთვის კომპანიის მუშაობის პრინციპების დანახვა, მით უფრო რთულია კონკურენტებისთვის მისი გამეორება. **განმეორებადობა** - როცა კონკურენტი ამოიცნობს კომპეტენციებს, რომლებიც მათ კომპანიის პროდუქტის შექმნის საშუალებას მისცემს, მათ დასჭირდებათ იმ რესურსების მოპოვება, რომლებიც ამ

მიზნის განხორციელებაში დაეხმარებათ. თუ რესურსები ბაზარზე თავისუფალ წვდომაშია, ეს ამოცანა გაცილებით მარტივად ამოსახსნელი გახდება.

***მეთოდი:*** კვლევა, რომელიც აერთიანებს ემპირიულ და თეორიულ ანალიზს. ემპირიული მონაცემები გვთავაზობს კონკრეტულ მტკიცებულებებს, ხოლო თეორიული ჩარჩოები უფრო ფართო კონტექსტს, რაც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

***საკვანძო სიტყვები:*** სტრატეგია, კონკურენცია, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი განვითარება.

**References:**


1. ***Carvalho I. Stanislav I.*** *ChatGPT for tourism: applications, benefits and risks, Tourism Review ISSN: 1660-5373, 2023.*
2. ***International Ecotourism Society*** *(IES). (2005/2006).Ecotourism fact sheet. Retrieved from http:// www.ecotourism.org.*
3. ***Khurma O. Khurma O.AliNagla N. Hashem A. Hashem R****. Critical Reflections on ChatGPT in UAE Education: Navigating Equity and Governance for Safe and Effective Use, International Journal of Emerging Technologies in Learning, Online ISSN: 1863-0383 Print ISSN: 1868-8799, 2023.*
4. ***UNWTO****, Tourism Highlights 2015 edition presents a concise overview of international tourism in the world based on the results for the year, Tourism – an economic and social phenomenon.*
5. ***UNWTO****, Tourism Highlights, (2020). Tourism Legislation and Regulation, technical product..*
6. ***World Tourism Organization*** *(2022). Tourism - an economic and social phenomenon. http://www2.unwto.org/content/why-tourism.*

# მწვანე ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და გამოწვევები (იმერეთის მაგალითი)

**იზოლდა ხასაია**
*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*
**თამთა დემეტრაძე**
*დოქტორანტი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მწვანე ტურიზმი არის დასვენების და მასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების ბიზნესი, რომელიც არ არის საზიანო რეგიონის ტერიტორიის გარემოსთვის. ის ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა და მდგრად პრაქტიკებს მთელი ტურისტული ღირებულების ჯაჭვში და გარემოზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციას.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია გამოყოფოს მწვანე ტურიზმის ძირითად პრინციპებს, რომლებიც აუცილებელია გლობალურად მწვანე ტურიზმის პრაქტიკის განვითარებისა და მართვისთვის: გარემოს მდგრადობა - ბუნებრივი რესურსების დაცვა, როგორიცაა წყალი, ენერგია და ბიომრავალფეროვნება; კულტურული და სოციალური პასუხისმგებლობა ადგილობრივი ტრადიციების, ხელნაკეთობებისა და საკვების პოპულარიზაციასა და იმის უზრუნველყოფას, რომ ტურიზმი უარყოფითად არ იმოქმედებს ტერიტორიის კულტურულ იდენტობაზე); ეკონომიკური შესაძლებლობები ადგილობრივი თემებისთვის (ტურისტების წახალისება იყიდონ ადგილობრივი მეწარმეებიდან ან დარჩნენ ადგილობრივ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებლებში); განათლება და ინფორმირებულობა (ადგილობრივი ველური ბუნებისა და ეკოსისტემების შესახებ საინფორმაციო მასალის მიწოდება და ეკოტურების შეთავაზება). მწვანე ტურიზმის წარმატება შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, მათ შორის მთავრობების, ადგილობრივი თემების, ბიზნესისა და ტურისტების.

*წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო იმერეთის რეგიონში მწვანე ტურიზმის განვითარების პრაქტიკის გაცნობა და არსებული გამოწვევების დადგენა.*

კვლევებმა გვიჩვენა, რომ ბიზნესსექტორში არის არაერთი მაგალითი, როცა ხდება მდგრადი პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაერთიანება ტურიზმის ინდუსტრიაში.

ნაშრომში მოყვანილია კვლევაში ჩართული მწვანე ტურიზმის მიმდინარე პრაქტიკის მაგალითები იმერეთის რეგიონში არსებული სხვადასხვა წარმატებული ბიზნესის (სასტუმრო, სასტუმრო კომპლექსი, ღვინის ტურიზმის დანიშნულების ადგილები (მარნები), იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, კულტურული ტურიზმის ობიექტი), რომლებიც ხაზს უსვამენ მწვანე ტურიზმის პრინციპების სხვადასხვა ასპექტს.

პატარა სასტუმროები იღებენ ენერგიის დაზოგვის ზომებს, მათ შორის პირსახოცების გამოცვლის სიხშირის შემცირებას და სტუმრებს ახსენებენ, რომ დაზოგონ ენერგია ფლაერებისა და ნიშნების საშუალებით. არა პიკის სეზონზე ისინი ხურავენ შენობების გარკვეულ ნაწილებს ენერგიის დაზოგვის მიზნით. თუმცა, ელექტროენერგიის გათიშვა პრობლემაა, რადგან მაღალი ძაბვის გენერატორები არ არის ეკოლოგიურად სუფთა. ამ პრობლემის გადასაჭრელად იზრდება ინტერესი ენერგიის ალტერნატიული წყაროების მიმართ, როგორიცაა მზის პანელები.

მცირე, საოჯახო მარნები წარმოადგენენ წარმატებულ ეკოტურიზმის მაგალითს ორგანული მევენახეობისა და დაბალი ინტერვენციის ღვინის წარმოებით, ნარჩენების მართვის გზით გარემოს დაცვაზე ორიენტირებული. ეს მარნები აწარმოებს ბიოკომპოსტს ორგანული ნარჩენებისგან და არ იყენებს მავნე ქიმიკატებს. აგრეთვე, სთავაზობენ ტურისტებს იმერულ სამზარეულოს, ადგილობრივ ორგანულ პროდუქტს და განთავსებას მწვანე გარემოში.

აღსანიშნავია ინიციატივა, რომელიც მოიცავს მეწყერსაშიში ფერდობების გაძლიერებას ხეხილის დარგვით, რაც ბუნებრივად ამაგრებს ნიადაგს ფესვებით და ხელს უშლის გარემოს დეგრადაციას. ნარჩენები, როგორიცაა ლუდის ნარჩენები, გადამუშავდება ცხოველების საკვებად, ხოლო ქიმიკატების შემცველი წყალი იფილტრება გარემოსთვის ზიანის თავიდან ასაცილებლად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მათ ბიზნესოპერაციებს არ ჰქონდეს უარყოფითი გავლენა გარემოზე.

ტურისტების დასასვენებლად და ბუნებით ტკბობისთვის დამატებითი მწვანე ზონების შექმნა რესპონდენტთა მიერ მიღებული კიდევ ერთი პრაქტიკაა. ეს შეესაბამება მდგრადობასა და გარემოზე მზარდ აქცენტს.

მწვანე ტურიზმის განვითარება მრავალი ურთიერთდაკავშირებული გამოწვევის წინაშე დგას, რაც მოითხოვს მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას.

მიუხედავად პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან, ჩამდინარე წყლებთან, ფინანსური და ა.შ. განვითარებადი პრაქტიკა და მზარდი ცნობიერება დარგის წარმომადგენლებს შორის მიუთითებს მწვანე ტურიზმის კარგ მომავალზე იმერეთში.

***საკვანძო სიტყვები:*** *მწვანე ტურიზმი, მდგრადი განვითარება, ნარჩენების მართვა, გარემოს დაცვა, ღვინის მარნები, იმერეთი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ხასაია ი., (2020), შიდა ტურიზმი: სოფლად დასვენებაზე მოთხოვნა პოსტპანდემიურ პირობებში (იმერეთი). ჟ-ლი „აგროNews“, #7, 113-118. https://iaa.org.ge/editions/237--.html
2. მწვანე ტურიზმი (2022) https://eu4business.ge/success-stories/sightseeing-the-green-way/
3. Cambridge Dictionary (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/green-tourism) (accessed 2023).
4. CABI, "Green Tourism: What is it and Why is it Important?" 2023
5. Furqan, Alhilal; Som, Ahmad Puad Mat; Hussin, Rosazman. Theoretical and Empirical Researches in Urban Management. Scholarly Journal Promoting Green Tourism for Future Sustainability, Bucharest Iss. 17, (Nov 2010): 64-74 . https://www.proquest.com/docview/816192905
6. Green Tourism Certification Program, UK, 2023.
7. Hall, C.M., & Gössling, S. (2009). Sustainable Tourism Development.
8. Steffen Schülein. Green Tourism in Georgia 2018. Georgian national tourism administration ელ წიგნი: file:///C:/Users/Administrator/Downloads/Green-Tourism-in-Georgia.pdf
9. UNWTO Sustainable Development of Tourism (https://www.unwto.org/sustainable-development) (წვდომის თარიღი: 2023
10. World Tourism Organization (UNWTO). (2005). Making Tourism More Sustainable: A Guide for Policy Makers. UNWTO and United Nations Environment Programme (UNEP). Link to UNWTO website (https://www.unwto.org/sustainable-development) (accessed 2024).

# მდგრადი ტურიზმი: მომავლის ტრენდი და კვლევის მიმართულება

**მაია დიაკონიძე**
*ასისტენტ პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ქუთაისი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

***შესავალი:*** მდგრადი ტურიზმის ისეთმა მიმართულებებმა, როგორებიცაა "ნელი ტურიზმის" და "ნელი მოგზაურობის" კონცეფცია, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო, რადგან ადამიანები დაეწაფნენ მდგრადი მოგზაურობის გამოცდილებას. მსოფლიოში მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებას, რაც ყველაზე კარგად სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მსგავსება ამ ორი მდგრადი ტურიზმის მიმართულებას შორის, მაინც არის განსხვავებები.

**ნელი ტურიზმი** ხაზს უსვამს მოქმედების ნელ ტემპს, გარემოსდაცვით და სოციალურ-კულტურულ მდგრადობას და საფუძვლიანად გამდიდრებულ ავთენტურ გამოცდილებას. მოიცავს ღრმა ინტეგრაციას ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებში. ხელს უწყობს ადგილობრივებთან ურთიერთობისა და საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობას. პრიორიტეტს ანიჭებს გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობას.

**ნელი მოგზაურობა** ყურადღებას ამახვილებს ნაკლები ნახშირორჟანგის გამოყენებით მოგზაურობის პრაქტიკაზე, ხანგრძლივ დაყოვნებაზე, ნაკლებ მოგზაურობაზე, გამდიდრებულ გამოცდილებაზე და უფრო ღრმა კავშირზე დანიშნულების ადგილთან. პრიორიტეტს ანიჭებს მოგზაურობის რეჟიმებს გარემოზე დაბალი ზემოქმედებით. ხელს უწყობს დანიშნულების ადგილებზე გახანგრძლივებულ ყოფნას მოგზაურობის შესამცირებლად. აფასებს ხარისხის გამოცდილებას, რაოდენობასთან შედარებით. პრიორიტეტს ანიჭებს მოგზაურობის გამოცდილებას ისევე, როგორც დანიშნულების ადგილს. ხელს უწყობს მდგრად და ეთიკურ პრაქტიკას.

***მიზანი:*** ნელი ტურიზმის მენეჯმენტის შესწავლა, რომელიც მოიცავს სტრატეგიებისა და პრაქტიკის განხორციელებას მდგრადი, ავთენტური და მნიშვნელოვანი მოგზაურობის გამოცდილების ხელშეწყობისთვის. ის ყურადღებას ამახვილებს ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციაზე, პოზიტიური შედეგების მაქსიმიზაციაზე და ადგილისადმი მიჯაჭვულობის განცდის განვითარებაზე.

***მეთოდი:*** კვლევა, რომელიც აერთიანებს ემპირიულ და თეორიულ ანალიზს, იძლევა მყარ საფუძველს ნელი ტურიზმის განვითარების გასაგებად. ემპირიული მონაცემები გვთავაზობს კონკრეტულ მტკიცებულებებს, ხოლო თეორიული ჩარჩოები უფრო ფართო კონტექსტს, რაც ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

***დასკვნები:*** დასასრულს, ნელი ტურიზმი გვთავაზობს პერსპექტიულ მიდგომას მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. საზოგადოების ჩართულობაზე, გარემოსდაცვით მდგრადობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე ფოკუსირებით, ნელი ტურიზმი ხელს შეუწყობს უფრო სამართლიან, მდგრად და სასიამოვნო მომავალს როგორც ვიზიტორებისთვის, ასევე ადგილობრივი თემებისთვის.

***ორიგინალობა და ღირებულება:*** კვლევა მიუთითებს, რომ კონსტრუქციის სანდოობა და სიზუსტე იყო დამაკმაყოფილებელი.

**საკვანძო სიტყვები:** ნელი ტურიზმი, ნელი მოგზაურობა, მდგრადობა, მდგრადი ტურიზმი, მდგრადი განვითარების მიზნები.

# სამკურნალო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

**თამარ ბერიძე**
*ასისტენტ-პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

მთელ მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ და ამავდროულად მოსახლეობის ყველა ფენაში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტექნოლოგიებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმართ ინტერესის გაღვივებამ გამოიწვია ტურიზმის ახალი, პერსპექტიული სახეების წარმოშობა. მათგან აღსანიშნავია სამკურნალო ტურიზმი, რომელიც ტურისტული ადგილების მონახულების პარალელურად მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების მიღებას გულისხმობს.

სამკურნალო ტურიზმი, ტურიზმის ერთ–ერთ მნიშვნელოვან და დინამიკურად განვითარებად სახეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ის მეტ-ნაკლებად ახალი დარგია, ძალიან სწრაფად ვითარდება. მისი განვითარება ხელს უწყობს სამედიცინო სექტორის განვითარებასაც.

სამკურნალო ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ამ სფეროს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისითაც, მისი მართვის სწორად დაგეგმარებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება.

საქართველოში არაერთი სამედიცინო პროფილის კურორტია, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები - მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი ჰავა და აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოსაყენებლად.

საქართველოში სამკურნალო ტურიზმი დღეს ვითარდება. მას შეუძლია ვიზიტორების მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან მოზიდვა. დღეს საქართველოს სამკურნალო ტურიზმის ბაზრის მომხმარებელი ძირითადად დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდანაა. სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც სამედიცინო ტურიზმის განსავითარებლად მეტი სახსრები გამოიყოფა. მან უნდა გამოიყენოს თავისი ყველა უპირატესობა და შესაბამისი ბერკეტები დარგის განსავითარებლად. კიდევ ბევრი მუშაობა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მსოფლიო გლობალურ ბაზარზე მოხდეს საქართველოს, როგორც ტურისტული დესტინაციის გაცნობა.

***საკვანძო სიტყვები****: სამკურნალო ტურიზმი, რეკრეაცია, კურორტი, ტექნოლოგიები, ეკონომიკური სარგებელი.*

# ტურიზმის ინდუსტრია და მთიანი აჭარის ტურისტული შესაძლებლობები

**ცირა ცეცხლაძე**

*ასისტენტ -პროფესორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბათუმი, საქართველო*

**აბსტრაქტი**

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო ათწლეულებში. ტურიზმს, როგორც ინდუსტრიას ჩვენს ქვეყანაში აქვს სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქტორები და ამასთან გამოიკვეთება ტურიზმის დარგის განვითრებით მიღებული დადებითი შედეგები, ესენია:

- საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- ტურისტულ-რეკრიაციული რესურსების მრავალფეროვნება;
- საქართველო როგორც ახალი საინტერესო და ასათვისებელი ტურისტული რეგიონი, როგორც ევროპის ისე აზიის ქვეყნებისთვის;
- ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრია გახდა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი წინაპირობა;
- ტურიზმის ინდუსტრია ქვეყანაში ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტია დასაქმების პრობლემის დაძლევაში;
- ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრია წარმოადგენს ინვესტირებისთვის კარგ და მომგებიან გარემოს და ა.შ.

ესაა არასრული ჩამონათვალი ხელშემწყობ ფაქტორებისა და მიღებული შედეგებისა, რომლებიც ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიას წარმოგვიდგენს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვან ბერკეტად.

საქართველოში ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიამ განვითარების რთული გზა განვლო, განსაკუთრებით ეს მწვავე იყო 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2000 წლამდე, შემდეგ წლებში კი ტურიზმის, როგორც დარგის, როგორც ერთ-ერთი მსხვილი ინდუსტრიის ზრდა - განვითარება წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იმატებდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამისი ნათელი მაგალითია ტურიზმის ინდუსტრიაში როგორც კვების, ისე განთავსების სფეროში საქართველოს ბაზარზე მნიშვნელოვანი ბრენდების შემოსვლა: როგორიცაა ჰილტონი, მარიოტი შერატონი, საბვეი, ვენდისი, მაკდონალდსი თუ სხვა. ასევე საყურადღებოა ისიც, თუ ამ წლების განმავლობაში რა რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, სწორედ ტურიზმის ინდუსტირიის განვითრებისთვის.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განსაკუთრებული წინსვლა 2015-2016 წლიდან დაიწყო კოვიდ პანდემიამდე. ამ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი სტატისტიკაზე დაყრდნობით შემდეგია: 2016 წელს 6.2 % დან მშპ გაიზარდა 8.4 %-მდე. პანდემიამ საქართველოშიც როგორც ყველგან მნიშვნელოვნად შეანელა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება, ფაქტობრივად, გაჩერდა. თუმცა 2021 წლიდან ტურიზმის დარგმა მალევე აიღო განვითრების სტარტი და თითქმის გაუტოლდა პანდემიამდელ აღმავალ მაჩვენებელს. 2023 წლის ბოლოსთვის კი ტურიზმის წილი მშპ-ში 9 %-მდე გაიზარდა.

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს გააჩნია ტურიზმის განვითარებისთვის უმთავრესი რესურსი, ესაა ის ბუნებრივი და ანთროპოგენული ტურისტულ-რეკრიაციული რესურსები, რომლითაც უხვადაა დაჯილდოებული ქვეყნის თითოეული რეგიონი, აჭარის ავტონომიური რესპიბლიკაც თავისი ტურისტული რესურსებით გამოირჩევა, განსაკუთრებით მთიანი აჭარა, რომელიც ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ ათვისების ეტაპზეა, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი გამოირჩევა და ხასიათდება გარკვეული უპირატესობებით, ესაა მთისა და ზღვის რესურსების ერთდროული პოტენციალი, რომლის შეთავაზებაც შეგვიძლია ვიზიტორებზე. განსაკუთრებით ვიზიტორების ინტერესი დიდია მთიან აჭარაზე, რომლის ათვისებაც აქტიურად მიმდინარეობს ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი პანდემიის შემდეგ შეიქმნა არაერთი ახალი ტურისტული ლოკაცია ქედისა და ხულოს რაიონში. წინ წამოიწია და მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული განთავსებისა და კვების სერვისების შექმნაში, ბოლო წლებში მხოლოდ ზემო აჭარაში 300 ზე მეტი საოჯახო ტიპის სასტუმროები, გემპინგები თუ ჰოტელები შეიქმნა. ამ პროცესს ხელი შეუწყო პანდემიის შემდგომ ტურისტული ხედვის ცვლილებამაც მიზნობრიობის კუთხით, ვიზიტორების ინტერესი უფრო და უფრო იზრდება და ეს ტენდენცია დღესაც თვალში საცემია მთიანი რეგიონების მიმართ.

ცხრილი 1

საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტების მიერ აჭარის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება (2019-2023წწ)

| მთა მუნიციპალიტეტებში აჭარის რეგიონი | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | % 2023/2022წ | % 2023/2019წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქედა | 42025 | 4793 | 36501 | 56269 | 73093 | 29,90% | 74% |
| ქობულეთი | 114177 | 385 | 56356 | 104826 | 109263 | 4,23% | -4% |
| შუახევი | 13171 | 109 | 4400 | 6860 | 11364 | 65,66% | -14% |
| ხელვაჩაური | 29929 | | 30575 | 48992 | 49006 | 0,03% | 64% |
| ხულო | 28519 | 2124 | 3551 | 14671 | 38392 | 161,69% | 35% |
| სულ | 227821 | 7411 | 131383 | 231618 | 28118 | 21,37% | 23% |

წყარო: ავტორის გამოთვლები ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტოს(TPDA) მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2023 წ.

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს პოზიტიურ ტენდენციას რეგიონის მთიან (ცხრილი1). ეს რიცხვები აჩვენებს მთის მიმართულებების მზარდ პოპულარობას ვიზიტორებს შორის. თუ კარგად დავაკვირდებით ცხრილს, დავინახავთ, რომ აჭარის რეგიონს არ გასჭირვებია პანდემიური პერიოდის აღდგენის პროცესი, სულ მთიან აჭარაში 2023 წელს 2022 წელთან შედარებით 21, 37 %-ით გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა, ხოლო ეს მაჩვენებელი 2019 წელთან პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით 23 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთგვარ მთავარ მულტიპლიკატორად თამამად შეიძლება, მივიჩნიოთ. ეს ხედვა განსაკუთრებულად თვალში საცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტული შესაძლებლობების პოტენციალის ათვისების კუთხით, მითუმეტეს, როცა რეგიონი განსაკუთრებით მთიანი აჭარა აქტიურად არის ჩართული ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებაში თავისი შესაძლებლობების გამოსავლენად, ეს მიიღწევა სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერითა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტურიზმის ინდუსტრია, რეკრიაციული რესურსი, ეკონომიკური მდგრადობა, ეკოლოგიური მდგრადობა , სოციალური მდგრადობა.*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 (პროექტი) თბილისი. 2018 წ.
2. https://gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-სტატისტიკა-2023-წლი/
3. https://gnta.ge/ge/publication/ტურიზმის-ინდუსტრიაში/2021-2023
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები 2015-2023 წწ.
5. ჟ.მიქაშავიძე.ვ. მიქაშავიძე (2017) საქართველოს ტურისტული რესურსები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 15.

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **გუნა სამნიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.03.2025
ფიზიკური თაბახი 14
ტირაჟი 50

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12